# თბილისელები®

...ველო ბეჭედია ბაჟაო... ობილისი – შიგ ჩასმუ... აჭში

www.tbiliselebi.ge

№23 (649) * 3 – 9 ივნისი ფასი 1,50 ლარი



გვ. 70

რას ვერ იშორებს ია კიწმარიშვილი წარსულიდან და რა გამოცდებს უწყობს მას ცხოვრება

გვ. 79

რატომ არ აქვს სტეფანეს პირადი ცხოვრება და რა ნარკოტიკი ენატრება მას

ISSN 1987-569X
9 771987 569002

გვ. 2

როგორ გადაიტანა გიორგი სუხიტაშვილმა ცხოვრებაში ყველაზე მძიმე პერიოდი და რა დაეხმარა მას სასწაულებრივად განკურნებაში



ვისი ზეწრის ქვეშ არ იხედება იუნა შაფათავა და რის ჩვენებას შეეცდება ის თავის გადაცემაში

გვ. 19



როგორ აპირებს დათო ევგენიძე თემურ-ლენგისთვის სამაგიეროს გადახდას საქართველოს რვაჯერ აოხრების გამო

გვ. 22



გვ. 74

სად გაატარებინეს „ახალი საბავშვო ხმის“ გამარჯვებულ რეზიკო დიდებაშვილს ფინალის ღამე და ვინ „იშვილა“ ის

ვინ შეცვალა ბესო ზანგურის ბოჰემური ცხოვრება და რა კომფორტი შეუქმნა მას მეუღლემ



გვ. 72

## მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

# ს ა რ ჩ ე ვ ი


როგორ სჯიან უმცირესი გადაცდომის გამო დასავლეთში ყოფილ და მოქმედ ჩინოვნიკებს და რა უნდა ვისწავლოთ სამხრეთაფრიკული კოჰაბიტაციისგან ... 6



იქნება თუ არა უზრუნველყოფილი საქართველოს პატრიარქის უსაფრთხოება აფხაზეთში ჩასვლის შემთხვევაში და რა პრეტენზიები აქვთ აფხაზებს მის მიმართ .......... 8

რატომ აირჩია დავით აღმაშენებელმა მტრებით დასახლებული ქალაქი თბილისი დედაქალაქად და როგორ დაამყარა წესრიგი ზნეობრივად და სახელმწიფოებრივად მორღვეულ ქვეყანაში.........................10



ყველაზე სექსუალური პრეზიდენტი................12

დონალდ ტრამპისა და რომან აბრამოვიჩის ცოლები.............................. 13

ადვოკატი გირჩევთ.................................... 16

ელის თუ არა ყველა ქალს ღალატი, იმედგაცრუება და ოცნების კოშკების დანგრევა.................................................. 20

როგორ ეძებს ალმა-ატაში მცხოვრები კაცი მამას, რომელიც მას არასდროს უნახავს ................................................ 21

ვინ დააპროექტა ფეთხაინის კიბე 1850 წელს და რის გამო უწოდეს გამოქვაბულს მეტეხის კლდეში „ჯოჯოს საყდარი“ ................................................ 23

რომელ თვისებას წარმოაჩენს მაცხოვარი სასულიერო პირში და რაში უნდა ეხმარებოდეს მრევლი საკუთარ მოძღვარს................................................ 24

რამდენი წლის ასაკში მოაწერა პირველ კონტრაქტს ხელი დევიდ ბექჰემმა და რომელი ოცნების ასრულებას ვერ ახერხებს ის................26

ექიმის რჩევები.........29

რა იყო სახიფათო მიხეილ ჭიაურელის კინოშემოქმედებაში და ვინ ასოცირდება სტალინთან ფილმში „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“..........................30

რა კავშირშია ეზოში დარგული ხეები ოჯახის გამრავლებასთან და რა საფრთხეს გვიქმნის რემონტის დროს შეტანილი არასწორი შტრიხები ................................ 32



თურქულ ტელესერიალ „ეზელის" ვარსკვლავების ცხოვრების საინტერესო დეტალები .......... 34

რატომ ცდილობდა სტალინი ომის დაწყების თარიღის საიდუმლოდ შენახვას ............ 35

რა თავისებურებით გამოირჩევა კვირის თითოეული დღე...........................36



შეკითხვა ასტროლოგს..........36

კვირის დღეების ასტროპროგნოზი.....45

კოსმეტოლოგის რჩევები.....................47

რა სქემით გამოააშკარავა ქართველმა კაპიტანმა „მაქციების“ სისხლიანი ბანდა ლენინგრადში ............................................. 48

ვეტერინარის რჩევები................56



ფლორის სამყაროში............56

ახალგაზრდა მამაკაცი საცოლის სასტიკი ცემისთვის ციხეში ორ წელს გაატარებს.............57

მე – დაქირავებული მკვლელი ............... 58

მკვდარი ვერსია ........................................ 66

უწყობს თუ არა ხელს „სწრაფი კვება“ შაქრიანი დიაბეტის განვითარებას და როგორ ვაკონტროლოთ ის.......................................73



„მაგიური“ პულტი, დამუხტული ცხვირი და აღშფოთებული ედიშერ მაღალაშვილი...............78

როგორ აგროვებს ჩინელი ბიჭი ფულს საქართველოში ღირსეული იმიჯის შესაქმნელად ................................................ 78



## ყურადღება!

„აკადემია ლიბერთი-პროფი“ სასწავლებელი, რომელიც გჭირდებათ თქვენ!

ჩვენი დევიზია: თუ იცი – საქმე თვითონ გეძებს!

ჩვენ გაძლევთ უნიკალურ შანსს, ერთდროულად მიიღოთ, როგორც საშუალო განათლების ატესტატი, ისე პრესტიჟული და შემოსავლიანი პროფესიის, სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი. ვიღებთ 9, 10, 11 და 12-კლასდამთავრებულებსაც (კოლეჯის პროგრამებზე). გარდა ამისა, შესაძლებელია სწავლა ექსტერნად და შესაბამისი ატესტატის მიღება. მიიღებიან რუსულენოვანი მოქალაქეებიც.

მისამართი: ზაზიაშვილის ქუჩა №1 (სავ. ცენტრ. „ქარვასლასთან“) მე-4 სართული. ტელეფონის ნომრები: 295-20-16; 599 55-02-95; 790 50-60-98; 574 05-06-12.

ვრცლად: facebook-ზე აკადემია ლიბერთი-პროფ



## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




დაბეჭდილია „ასავალ-დასავალის“ სტამბაში
ელ-ფოსტა: PRINT@ASAVALI.GE

**განყოფილებები**

პოლიტიკა: ნინო ხაჩიძე, თამუნა სამადაშვილი

საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე

რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე

კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი

მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე

სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე

სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე

სტილისტი: ნანა წერეთელი

კორექტორი: ხატია ჟღენტი

მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე

ოპერატორი: მაია კარანაძე

ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე

მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე

ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი

იურისტი: ქეთი უტიაშვილი

მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე

კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია

სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მაია ფირცხალავა

მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52;
599 10-15-20
239-23-52

სარეკლამო სამსახური:
593 38-75-61;
239-23-53

დამფუძნებელი:
შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# თანამდებობისთვის შეუფერებელი

## „გოგრა“ და „შირაზის ვარდი“

ტრადიციისთვის, რომ **ცოცხალ ჟურნალისტებს (ბეჭდური მედიის ფლანგზე) კვლავაც ნაკლებად სწყალობენ**, „ნაცმოძრაობას“ **არც „ეროვნულ მოძრაობად“ რებრენდინგის შემდეგ უღალატია,** თუმცა, ახლებური შტრიხი მაინც დაამატეს. სახელდობრ, **თავიანთ მოსაზრებებს საზოგადოებას სოციალური ქსელით აწვდიან**. ამ მხრივ ერთ-ერთი აქტიური – ჩემი მოგვარე ხალხის რჩეულია.

სულ ბოლოს, ბ-ნმა **ხაჩიძემ სოციალური ქსელის მომხმარებლებს საკუთარ დუხჭირ ყოფაზე შესჩივლა** (სავარაუდოდ, პრინციპით, **მადა ჭამაში მოდისო, რადგან, ხალხის რჩეულის ყოველთვიური ხელფასი სამნულიანია**).



კერძოდ, **გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი მსხვილ-მსხვილ კურცხლებს აღვარღვარებს**, რაკი, თურმე (მომყავს ციტატა), **„დღეს კერძო კომპანიის საშუალო რგოლის მენეჯერს ჩემზე მეტი ხელფასი აქვს**.“ იქვე თავის საქმიან ბიოგრაფიასაც გვაცნობს: „...**დეპუტატი ვიყავი, ორი რეგიონის გუბერნატორი და 4 წელი მინისტრი. კიდევ 8 წელი ნავთლუღში 70 კვ.მ ბინის კრედიტი უნდა ვიხადო** (ვითომ ჩვენ, **ამომრჩევლებს, გვთხოვს, კრედიტი დამიფარეთო?!)“.**

იქვე კი შენიშნავს, რომ **ასეთი მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში მყოფმა** (კვლავ ციტატას მოვიშველიებ, იმ მიზნითაც, რომ თაობებს დარჩეთ ეს ოქროს სიტყვები): „**მოთმინებით უნდა ვუსმინო, ვიღაც ქოცები როგორ მლანძღავენ და შეურაცხყოფას მაყენებენ**.“

თუმცა, ყველაზე საინტერესო მაინც დასკვნაა: „**ამის შემდეგ, ჩემი ამ დედააფეთქებულ პოლიტიკაში ყოფნის მოტივაცია თუ შენში** (ვიღაცა ხარ) **კითხვებს ბადებს – წადი, შენი** ... (საჯაროდ არ შეგაგინებ)“.

**თუ ამ „დედააფეთქებულობას“კანონშემოქმედებით ორგანოში ხსენებული ბატონის ფუქსავატურ გამოხდომებსაც დავამატებთ**, აშკარაა, რომ **ვერც დეპუტატობას, ვერც გუბერნატორობასა** და **ვერც მინისტრობას მისი პიროვნული ზრდისთვის ხელი არათუ ვერ შეუწყვია**, იოტისოდენა კვალიც ვერ დაუმჩნევია, შესაძლოა, იმ მიზეზითაც, რაზეც პოეტი ამბობს: **გოგრა, რაგინდ მაღლა, თახჩაზე, დადო, მაინც ვერ გახდება შირაზის ვარდი!**

# უშრომელი შემოსავალი

## „დილით – ფული, საღამოს – სკამები“

მართალია, თავის დროზე **დიდი ალიაქოთი გამოიწვია 112-ის შენახვის ხარჯის საქართველოს მოქალაქეებისთვის დაკისრებამ**, თუმცა, **ალიაქოთი ალიაქოთად დარჩა** და საქართველოს მობილური თუ ქალაქის სატელეფონო ქსელის **აბონენტები ყოველთვიურად მორჩილად იხდიან 20-20 თეთრს** (ზოგიც თვეში რამდენჯერმე, ვინაიდან მობილურიც რამდენიმე აქვს და სტაციონარული ტელეფონიც).




**ძველების ეს გადაწყვეტილება ახლებმაც აიტაცეს** (სავარაუდო პრინციპით, **მუქთა იყოს, კუბო იყოს, არათუ თეთრებიო**). თუმცა ერთი შვება ის არის, რომ **გავარკვიეთ, რამდენი შეგვიგროვებია 20-20-თეთრობით**.

IDFI-ის ინფორმაციით, საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრ **112-ს 2012 წლის მოქალაქეების ჯიბეებიდან შვიდმილიონ-ნახევარზე მეტი ლარი მიუღია**, დახარჯვით კი **მხოლოდ სამ-ნახევარ მილიონზე ოდნავ მეტი დაუხარჯავს**. შესაბამისად, **მის ანგარიშზე ნაშთის სახით 4 მილიონამდე ლარია მობილიზებული.**




თუ გავითვალისწინებთ, რომ **ჩვენს სამშობლოში მობილური ტელეფონების მფლობელთა რიცხვი არ იკლებს** (თუ არ იმატებს), სავარაუდოდ, **ამ ჩვენს საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრს ანგარიშზე ნაშთად 2013 წელს კიდევ ერთი 4 მილიონიც დაემატება**.

ხოლო, რაკი ჯერჯერობით **ამ გაურკვეველი გადასახადის** (გაურკვევლის, რადგან, საქართველოს გადამხდელები ისედაც უხდიან სახელმწიფოს საშემოსავლოს სახით როგორც სასწრაფო დახმარების, ისე პოლიციისა და სახანძრო სამსახურების ფუნქციონირებისთვის გადასახადს) **გაუქმების თუ არა, შემცირების საკითხიც არ დამდგარა**, უნდა ვივარაუდოთ, რომ **ამ ტემპებით გვარიან თანხასაც დააგროვებენ.**



ზედაც, თუ გავიხსენებთ, რომ, მაგალითად, **საბჭოეთში უშვილობის გადასახადიც არსებობდა,** შესაძლოა, **იქ, ზემოთ, ეს გამოცდილებაც გაიზიარონ და** ასეთ ნოვაცია-ნოვაციებში **ბიუჯეტს ინვესტორების მოზიდვის გარეშეც შეავსებენ.**

# ამტანები

**თუკი აქამომდე მოარული ხმებით ვიცოდით, აწ უკვე** ხალხის რჩეულმა ბ-ნმა ტყემალაძემაც **დაგვიდასტურა, რომ, ჯერ ერთი, პარლამენტის ქუთაისური შენობა უკანონოდ ყოფილა აგებული** (თუმცა, რაც მართალია, მართალია, **ამას ჩვენ, ნაბოტოქსრებს, დიდად არ გავუკვირვებივართ**); მაგრამ, **რაც მთავარია, დღემდე ვერ მოუძიებიათ ცნობა, რაც დაადასტურებდა, რომ შენობა მდგრადია და ჩვენს რჩეულებს საფრთხე არ ემუქრებათ.**



მაგრამ, ეს მხოლოდ „ყვავილებია“, რადგან, როგორც ირკვევა, **ტემპერატურის მატებასთან ერთად, ქუთაისური პარლამენტი სულ უფრო და უფრო ემსგავსება საუნას**.

იმას გარდა, რომ **მოშუშულ შენობაში ჰაერი თითქმის არ მოძრაობს**, რაკი **მზემ დააჭირა, ცოცხალ არსებებს სუნთქვა კიდევ უფრო გაუჭირდათ** (კონდიცირებული მხოლოდ სასესიო დარბაზი და დეპუტატთა კაბინეტებია, ასე რომ, გულებს მთლად უმოწყალოდაც ნუ დაიხეთქავთ ნერვიულობით).

## „ლიონჩინოები“ „ზანზარონეების“ გარემოცვაში

თუმცა, რადგან სიფრთხილეს თავი არ სტკივა, **პარლამენტის შენობაში ტემპერატურა გაუზომავთ** და, **შედეგი მართლაც რომ შემაშფოთებელია**. კერძოდ, **როცა გარეთ 28 გრადუსია, პარლამენტის შენობაში თერმომეტრის ნიშნული 54-ს აღწევს.**



უფრო მეტიც, აღმოჩნდა, რომ **შენობაში მომრავლებულან სხვადასხვა ტიპის მწერები: კალიებიც და მოზრდილი კოღოებიც**. სავარაუდოდ, შესაბამისი სამსახურები გაატარებენ შესაბამის ღონისძიებებს, რომ **მფრინავმა მავნებლებმა ჩვენს რჩეულებს სისხლი ზომაზე მეტად არ ამოსწოვონ**, თუმცა, მანამდე კი, **რაკი სიტყვამ კოღო მოიტანა**, აქვე გეტყვით, რომ იტალიურად **კოღო „ზანზარონეა“,** ხოლო **ლომი – „ლიონჩინო“.**

შესაბამისად, ვითარება საქართველოს უმაღლეს კანონშემოქმედებით ორგანოში ამ წუთის მდგომარეობით შემდეგნაირია: ამტანობა ამტანობად, მაგრამ, **ჩვენი „ლიონჩინოები“ „ზანზარონეებს“ შეუვიწროებიათ.**

# ხელმოჭერილები

## და ხახამშრალები

თუმცა მაყურებელმა ფრიად ისიამოვნა „მილანისა“ და „კალაძის მეგობრების“ გუნდთა მეგობრული დაპირისპირებით, **თუ ბოროტ ენებს ვერწმუნებით, ჩვენებური კანონმდებლების ნაწილი** (უმრავლესობის ფრონტიდან) **ენერგეტიკის მინისტრზე განაწყენებულა.**

განაწყენებას კი მეტად **პროზაული მიზეზი ჰქონია**: კერძოდ, **რაკი კახა კალაძის ფეხბურთიდან გაცილების მატჩის მოსაწვევები მხოლოდ ბიუროს წევრ დეპუტატებს მიუღიათ, დანარჩენები, ბუნებრივია, ხახამშრალები დარჩენილან.**

შესაბამისად, **თითქოს პირად საუბრებშიც დაუჩივლიათ** (100 ბილეთი რა გახდაო), **ანუ, სულ არ გვცემს პატივს ენერგეტიკის მინისტრიო.**

თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ **მატჩი საქველმოქმედო იყო,** რაც იმას ნიშნავს, რომ **ბილეთების გაყიდვიდან შემოსული თანხა სრულად გადაირიცხება საქველმოქმედო ფონდში** და, ზედაც, დავამატებთ, რომ **ხალხის რჩეულებს მსუყე ხელფასი აქვთ**, წესით, **არც ბილეთების შეძენა უნდა გასჭირვებოდათ** საკუთარი ხარჯით და, უფრო მეტიც, **ბილეთების შეძენაზე თავადვე უნდა ყოფილიყვნენ გამეცადინებულნი,** რომ **თავიანთი წვლილი შეეტანათ ქველმოქმედებაში.** მაგრამ, რეალობა მოწმობს სამწუხარო ტენდენციას, რომ, **რაც უფრო გამძღარია** (ჩინოვნიკ-პოლიტიკოსი), **მით მეტად ხელმოჭერილია.**

# ქანცგაწყვეტილი

## ანუ, დისლოკაციის ადგილი უცნობია

რაკი გასულ კვირას **მთავრობის სხდომაზე არ გამოჩენილა** და **სიტყვა წამლადაც არ შეუწევია, ოკუპანტი რომ 300 მეტრით მოგვიახლოვდა,** სავსებით **ბუნებრივია, რომ ჩემი კოლეგები მისი ადგილსამყოფლით დაინტერესდნენ**.

მართალია, **თავდაცვის მინისტრის ამჟამინდელი დისლოკაციის ადგილი უცნობია**, მაგრამ, სამაგიეროდ, ის მაინც **შევიტყვეთ, რომ ბ-ნი ალასანია შვებულებაში გასულა** (ამჯერად მეუღლესთან ერთად), **დასასვენებელ ადგილად კი განა მშობლიური სანახები**, **უცხო ადგილი შეურჩევია.**

სამწუხაროდ, **ჩვენ არ ვიცით**, ბ-ნი **ალასანიას შვებულება ბიუჯეტმა დააფინანსა თუ საკუთარმა ჯიბემ,** რადგან, ჯერაც მოქმედი **„შრომის კოდექსით“, დაქირავებულს მხოლოდ 9 თვის შემდეგ აქვს ანაზღაურებადი შვებულების მოთხოვნის უფლება**, თუმცა, **საკუთარი სურვილით** (თუ ზემდგომი, ამ შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრი დართავდა ნებას), **საკუთარი ხარჯით შეეძლო შვებულებაში წასვლა**.



სავარაუდოდ, **კანონის მოთხოვნები ფორმალურად მაინც დაცული იქნება,** თუმცა, **თუ გავიხსენებთ, რომ** თავდაცვის მინისტრი, ცალი ხელის თითებზე რომ დაეტევა, იმდენი თვეა, პოსტზეა, იბადება რიტორიკული კითხვა: **ასე დაუნდობლად რამ გაუწყვიტა ქანცი?!**

# უცხო კვერცხების იმედად

## შიგნით – ათასი, გარეთ – ატლასი

**თუკი საქართველოს მეფრინველეობის განვითარების ასოციაციის ხელმძღვანელს**, ბ-ნ უჩუმბეგაშვილს **ვერწმუნებით, ქართულ კომპანიებს 10 მილიონი კვერცხის ნაშთი აქვთ, თუმცა**, იმავდროულად, **ქვეყანაში ირანული კვერცხი-კვერცხზე შემოდის.**



უფრო მეტიც, **ირანელ მეკვერცხეებს ორ ტენდერშიც გაუმარჯვიათ** და ახლა **მათ ქათმებზეა როგორც თავდაცვის სამინისტროს, ისე უფასო სასადილოების მომარაგება**. ხოლო, იმ მარტივი მიზეზით, რომ **ჩვენს სამშობლოში კვერცხის ხარისხიანობის შემოწმების სამსახური არ არსებობს, უცნობია, რა ხარისხის კვერცხს მიირთმევენ ჩვენი სამხედროები და სოციალურად შეჭირვებული მოხუცები.**

სურსათის ეროვნული სააგენტო **გვამშვიდებს, რომ ბოლო პერიოდში ამოღებულ უხარისხო კვერცხს შორის ირანული პროდუქცია არ ყოფილა** და **გულს იმით გვიკეთებს, რომ ორიოდ კვირაში კვერცხის მარკირების შესახებ კანონიც ამოქმედდება**, რომელიც შემომტანებს კვერცხზე გამოშვების თარიღისა და მწარმოებლის მითითებას დაავალდებულებს.

მეორე მხრივ, **რაკი სიტყვამ,** ამ კონკრეტულ შემთხვევაში, **თავდაცვა მოიტანა, რაღა მაინცდამაინც ირანულით**, იმის თავიც არ შეგვრჩა, **ადგილობრივი კვერცხებით რომ მოგვემარაგებინა ჩვენივე ჯარი?!**

# თვალწარმტაცი

## ანუ, ღაწვებიც არ შემეფაკლება

მართალია, ჯერჯერობით ჩვენს **პრეზიდენტსა და მის თანაგუნდელებს ღაწვებიც არ შეფაკვლიათ იმ** დოკუმენტაციის გამოქვეყნების შემდეგ, რომელთა მიხედვითაც, **სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ ჩვენი ბობოლ-ბობოლების არაერთი კერძო ხარჯი დაფინანსებულა**, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენ **დამატებით შევიტყვეთ** (უმრავლესობის წევრის მიერ გავრცელებული დოკუმენტებით), რომ **ამ ჩვენს პრეზიდენტს ნიუ-იორკის ერთ-ერთ კლინიკაში ბოტოქსის ორ პროცედურაში 5 600 და 5 800 დოლარი გადაუხდია** (2009 და 2011 წლებში, რაც იმას ნიშნავს, რომ 2013-შიც მოუწევს). **აღარ შევჩერდები შიშველი სხეულით მოხატულ 6 000-ფუნტიან ნახატზე** (აღარ-მეთქი, რადგან, **ხელოვნება და ხელოვანები ჩვენი პირველი პირის ისეთი სუსტი წერტილებია, რა გულმა უნდა დამაძრახინოს)** და არც აშშ-ელი ლამაზმანის სასტუმროში ცხოვრებასა და მისთვის მიძღვნილ ბოტასებში გადახდილ 7 000-მდე ლარზე.

მოარული ხმები ისედაც ამტკიცებდნენ, რომ **ჩვენი პრეზიდენტი ესთეტიკური მედიცინის მიღწევებს ფრიად ახლოს იცნობდა**, შესაბამისად, **დიდი ვერაფერი სიახლე შევიტყვეთ** იმას გარდა, რომ **საკუთარ გარეგნობაზე ბიუჯეტის ხარჯით ზრუნავდა.**



თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ **თავისი გადაჭიმული სახით, სწორედაც რომ, საქართველოს ჯიბედაცარიელებული მოქალაქეების თვალებს ახარებდა,** შესაძლოა, **ბიუჯეტის ხარჯით ესთეტიკური პროცედურების ჩატარება გამართლებულიც იყოს** (ბოლოს და ბოლოს, თვალი ჭამს და თვალი სვამს).

ოღონდ, **თუ ბოტოქსის პროცედურის ფასს გავიხსენებთ** (თითო პროცედურა – 6 000 აშშ დოლარად), რაც, ცოტა არ იყოს, მეძვირება და, **ზედაც, ჩვენი პრეზიდენტის გადატკეცილ სახის კანსაც დავამატებთ**, გონივრული ეჭვი მაქვს, რომ **მხოლოდ ბოტოქსს არ უნდა დასჯერებულიყო** და, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რა თქმა უნდა, ჩვენი თვალების ბედნიერებისთვის, ზედ **პლაზმოლიფტინგიც მიეყოლებინა**!

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან



ზარი ფასიანია

**სულ ბოლო ცნობებით, ხორვატიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, არაერთი სახელმწიფოებრივად აუცილებელი გადაწყვეტილების ავტორი და შემსრულებელი, დააპატიმრეს; გამოძიება დაინტერესდა ჩეხეთის პრეზიდენტის ქმედებით და მას შეწყალების სანაცვლოდ ქრთამის აღებას ედავება; იტალიის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ლეგენდარულ მექალთანე ბერლუსკონის, საერთოდაც, მიუსაჯეს; გერმანიის პრეზიდენტს, იმას გარდა, რომ გადადგა, მისი მეუღლის მიერ წლების წინათ კერძო პირისგან ოფიციალურზე ნახევარი პროცენტით დაბალ ფასად აღებული სესხის გამო სდებენ ბრალს; საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი სარკოზი აქტიურად დაიარება დაკითხვებზე. სულ ახლახან კი ლიტვის ეკონომიკის მინისტრი გადადგა, ვინაიდან საქმიან ფორუმზე კერძო საფრენი აპარატით გაემგზავრა. ეს იმ დასავლელი ჩინოვნიკების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია, რომლებსაც დასავლური კანონების მსახვრალი ხელი მისწვდა. მეორე მხრივ, ამ ფაქტებს დასავლური პოლიტელიტა არათუ არ შეუშფოთებია, ფრიად ბუნებრივად მიიღეს მომხდარი, ოღონდ, პარალელურად, ღრმა შეშფოთებებს არ მალავენ საქართველოში ყოფილი მაღალჩინოსნების არათუ დაკავების, დაკითხვაზე დაბარების გამოც. რატომ არ ეპატიება საქართველოს სამართალდამცველებს ის, რაც ეპატიება მათ ევროპელ კოლეგებს? – ამ რიტორიკულ და აქტუალურ კითხვაზე პასუხის მიღებას პოლიტოლოგ სოსო ცინცაძისგან შევეცდებით.**

# როგორ სჯიან უმცირესი გადაცდომის გამო დასავლეთში ყოფილ და მოქმედ ჩინოვნიკებს და რა უნდა ვისწავლოთ სამხრეთაფრიკული კოჰაბიტაციისგან



**როდესაც აფრიკაში დეკოლონიზაცია დაიწყო, აფრიკელები ცდილობდნენ, გამხდარიყვნენ ინგლისელები, ისინი კი ეუბნებოდნენ, ნუ გვბაძავთ, რადგან ვერც ინგლისელები გახდებით და აფრიკელებიც აღარ იქნებითო**

**– არის დასავლეთში ინდულგენცია ყოფილი მაღალი პოსტი, რომ არ აგო პასუხი დაშვებული შეცდომებისა თუ ჩადენილი დანაშაულის გამო?**

– კოჰაბიტაციას მძიმე მშობიარობა ჰქონდა და გადაჰყვა მას. ბავშვი დაიღუპა, მაგრამ, საბედნიეროდ, დედა, ანუ ქვეყანა გადარჩა, ამიტომ დავივიწყოთ ეს ცნება და ფენომენი. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას: ეს არის კლასიკური მაგალითი იმისა, რასაც ჩვენ უკვე მივეჩვიეთ ეგრეთ წოდებული ორმაგი სტანდარტის სახით. ის, რაც პარიზში ახლახან მოხდა, გამოსვლები ერთსქესიანი ქორწინების წინააღმდეგ, იქ აღიქვეს, როგორც ჩვეულებრივი პროტესტი, ჩვენთან კი ამას უწოდებენ ველურობას, თეოკრატიის დამყარების მცდელობას. იქ ყველას აქვს უფლება, გამოვიდეს, მაგრამ აქ მარტო პედერასტს აქვს ეს უფლებები. ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ ევროპისკენ გვაქვს გეზი აღებული, მაგრამ გვავიწყდება მთავარი: რა არის დღეს ევროპა? 80 წლის წინათ გენიალურმა გერმანელმა ისტორიკოსმა და ფილოსოფოსმა ოსტაპ შპენგლერმა დაწერა ბრწყინვალე წიგნი: „ევროპის დაისი“. წიგნში, რომელმაც 38 გამოცემას გაუძლო, ბრწყინვალედ დაამტკიცა შპენგლერმა, რომ ევროპული კულტურა, ცივილიზაცია დაბერდა და კვდება. თავი დავანებოთ სექსუმცირესობებსა და ერთსქესიან ქორწინებებს, ინგლისში 25 წლის წინათ 80 000 მუსლიმანი ცხოვრობდა, დღეს ცხოვრობს 2 მილიონ 600 ათასი. ანუ ევროპული იდენტურობა საერთოდ აღარ არსებობს. ჩვენ ევროპად წარმოგვიდგენია ვიქტორ ჰიუგო, ბალზაკი, მოპასანი, შატობრიანი, მაგრამ დღევანდელ ევროპას არაფერი აქვს საერთო დიდ ევროპასთან. დღეს იქ სხვა კულტურა იკიდებს ფეხს. ევროპულმა ცივილიზაციამ ვერ გაუძლო მდგრად, შეკრულ, თავისებურად ჯანსაღ ისლამს, ამიტომ თავისთავად დგება საკითხი: სასიკეთოა ჩვენთვის ყველაფერი ევროპული?!

თქვენს ჩამონათვალში გამოგრჩათ ჰელმუთ კოლი: კოლს, გერმანიის გამაერთიანებელს, არ აპატიეს, რომ თავისი პარტიისთვის წინასაარჩევოდ ცოტაოდენი ფული აიღო დეკლარირების გარეშე. მაშინვე დაივიწყეს კოლის დამსახურება, რომ მუქთად გააერთიანა გერმანია, არადა, გერმანია მზად იყო, 100 მილიარდი ოქროს მარკა გადაეხადა გაერთიანებაში.

**– შევარდნაძეს ამასაც აბრალებენ რუსები, არათუ უარი თქვა ამ თანხაზე და მუქთად დუთმო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, არამედ, საბჭოეთის კუთვნილი უძრავი ქონებაც დაუტოვაო.**

– გამოქვეყნდა ბეიკერის მემუარები, სადაც აღწერილია, როგორც ურეკავდა ბეიკერი პრეზიდენტ ბუშს და ეუბნებოდა, შევარდნაძე და გორბაჩოვი აზრზე არ არიან, რა ხდებაო. იმიტომ რომ გერმანია 10-ჯერ მეტის მიმცემი იყო, მაგრამ ესენი ვერ მიხვდნენ, როგორც იტყვიან, „პროდეშევილის“. როგორ იქნება ქართულად?

**– ჟარგონით თუ ვიტყვით, „ჭამეს“.**

– დიახ, „ჭამეს“. მიუხედავად იმისა, რომ მუქთად გააერთიანა გერმანია, მაინც არ აპატიებს კოლს ფულის აღება, თუნდაც, პარტიისთვის. საერთოდ, კანონის უზენაესობა ხშირად თვით დასავლეთშიც კი ერთობ პირობით სახეს იღებს.

**– თუმცა ფორმა იქ უფრო დაცულია.**

– რასაკვირველია, 5 წლის წინათ საფრანგეთში დაკითხვებზე იბარებდნენ გაეროს ორ ფრანგ თანამშრომელს, რომლებიც კოფი ანანის გენერალური მდივნობისას მუშაობდნენ გაეროში, იმიტომ რომ რაღაც იმაიმუნესო. იქ უფრო მეტი პრინციპულობაა, მაგრამ წაყრუების შემთხვევებიც არის. კანონის უზენაესობა ორლესური მახვილია, რადგან სწორედ კანონის უზენაესობის შირმით ხდება ხოლმე ყველაზე დიდი უკანონობები. სამწუხაროდ, ამას გვიჩვენებს მსოფლიო პრაქტიკა.

**– მაგალითად?**

– მაგალითად, ის, რომ სწორედ კანონის უზენაესობით ხდება პირადი ანგარიშსწორებები. თავის დროზე, კრომველმა მეფეს თავი მოკვეთა

**ისეთმა დიდმა ადამიანმაც კი, როგორიც ჯორჯ ვაშინგტონი იყო, მეორე მხარის ბევრ წარმომადგენელს პირადი ანგარიშები გაუსწორა, თუმცა ისიც კანონის უზენაესობის პრინციპით მოქმედებდა**

პირადი ურთიერთობის შედეგად მოჰკვეთა. უფრო ახლო მაგალითების დასახელება არ მინდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ისეთმა დიდმა ადამიანმაც კი, როგორიც ჯორჯ ვაშინგტონი იყო, მეორე მხარის ბევრ წარმომადგენელს პირადი ანგარიშები გაუსწორა, თუმცა ისიც კანონის უზენაესობის პრინციპით მოქმედებდა. ხშირად ხდება ასეთი რაღაცეები, იმიტომ რომ ეს ყველაფერი დამოკიდებულია ქვეყნის ისტორიულ კულტურასა და კონკრეტული ადამიანების პრინციპულობაზე, მენტალობაზე, შემწყნარებლობაზე, დიდსულოვნებაზე. ძალიან ძნელია ამ ყველაფრის ერთ ქვაბში მოხარშვა. რამდენიმე ისეთი ფაქტორია, რომლებიც ერთად ვერ ძოვენ და როდესაც ასეთ კოქტეილს ვაკეთებთ, ხშირად ხდება ხოლმე არასასურველი მოვლენები, ამიტომ არის დრო ყველაფრის მკურნალი. როდესაც ვნებათაღელვა ჯერ არ დამცხრალა და სამართლიანი პირადი წყენა ძალიან ძალიან დიდია, რთული ვითარება იქმნება. როდესაც, თავის დროზე, ვუყურებდი კადრებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მიმდინარე კოჰაბიტაციის პროცესზე, იცით, როგორ მშურდა?! ნელსონ მანდელას ორივე თვალით დაბრმავებულმა თანამებრძოლმა როგორ აპატია სასამართლოს წინაშე ყოფილ პოლიციელს, რომელმაც ის დააბრმავა. როგორ ეუბნებოდა, წავიდა ის დრო, დავივიწყოთ და არც ითხოვდა მის გასამართლებას.

**– იქნებ ჩვენც რომ მივალთ სასამართლო პროცესებამდე, ჩვენთანაც აპატიონ დახოცილების ოჯახებმა, დასახიჩრებულებმა, დაზარალებულებმა ამ ბოროტების ავტორებს? იქნებ სამაგალითო დიდსულოვნები გახდნენ?**

– ეს საჯაროდ ხდებოდა, მაგრამ ამ პროცესს იქ სათავეში ედგა ნობელის პრემიის ლაურეატი დესმონდ ტუტუ, არქიეპისკოპოსი, ანუ მაინც რელიგიის ფაქტორით მიდიოდა ეს პროცესი. ჩვენთან კი დღეს შემთხვევითი არ არის სამიზნედ ქცეული რელიგია, ეკლესია. ოღონდ ეს არ არის პედერასტების ექსკლუზივი, ჩვენ დაგვავიწყდა, როგორ დარბოდა პერანგშემოხეული გიგა ბოკერია, იეღოველების უფლებების დამცველი; დავივიწყეთ, როგორ დაანგრიეს ეკლესია, არადა, უნდა გავიხსენოთ. არც „თავისუფლების ინსტიტუტი“ წასულა სადმე და არც ლევან რამიშვილი. ეს არის ბრწყინვალედ ორგანიზებული და გულუხვად დაფინანსებული ძალები, რომლებმაც შეიძლება, წაიფორთხილონ, მაგრამ ის ფინანსური ოქროს ძარღვი, რომლის ბოლოც არავინ იცის, სად მიდის, ვერც მიაგნებ, სულ მუშაობს. ამიტომაც ეს ყველაფერი, დაჭერებიც და გეი-აღლუმებიც, ერთი კონტექსტია.

კიდევ ერთი მომენტი: წაუგებელი თამაშია დაწყებული ივანიშვილის წინააღმდეგ. ის აკეთებს განცხადებებს, რომ ევროპა არის ჩვენი არჩევანი, არადა, თუ დემოკრატიული ქვეყანა ვართ, მაშინ უნდა იყოს პედერაზმის თავისუფლება და უმრავლესობა ზურგს შეაქცევს ივანიშვილს; თუ წაუყრუებს ივანიშვილი არასამთავრობოებს, მაშინ ევროპასთან ექმნება პრობლემები. აი, რუსებმა 300 მეტრით გადმოწიეს საზღვარი და ეს არის მცოცავი ანექსიის კლასიკური მაგალითი. ვნახოთ, აბა, ევროპა გადააწევინებს უკან იმ საზღვარს რუსებს? ისე არაფერი გეტკინოთ, ევროპამ ის საზღვარი რუსეთს არ გადააწევინოს. ჩინელები ლამის დასახლდნენ რუსეთის ტერიტორიაზე, ხმას არ იღებს რუსეთი და ეს ჩვენი 300 მეტრი რა ჯანდაბად უნდათ, მაგრამ ეს არის გზავნილი პირადად ივანიშვილისთვის, შენგან უფრო მეტს მოველითო.

**– მეტს რაღას ელიან, ნახევარი საქართველო აღიარეს დამოუკიდებელ ქვეყნებად?**

– მთავარი ისაა, რომ რუსეთი ელის პროდასავლურობის საწინააღმდეგო ქმედებებს, იმიტომ რომ პუტინის გედის სიმღერაა ევრაზიული კავშირი, რაც უკრაინისა და საქართველოს გარეშე გამორიცხულია. რაც უნდა მოხდეს საქართველოში, ყოველდღე რომ გეი-აღლუმები ჩატარდეს, საქართველო მაინც იქნება სამხრეთ კავკასიის ქიპი.

**– არეულია დასავლეთი, მაგრამ ჩვენ ხომ შეგვიძლია, ორიენტირად ავიღოთ ნამდვილად ევროპული ღირებულებები და ჩვენი გზა დემოკრატიისკენ გადიოდეს არა ექსკლუზიურად ადამიანის სხეულის ერთი ნაწილის უფლებაზე, არამედ, ზოგადად, ადამიანის უფლებებზე?**

– ნინო, მითხარით, იაპონია როგორი ქვეყანაა: ტოტალიტარული თუ დემოკრატიული?

– **დემოკრატიული.**

– იქ რატომ არ არიან გეები?! როგორ მოახერხა იაპონიამ თავისი ეროვნული იდენტურობის შენარჩუნება?! მახსოვს, ერთი ფრანგი მიყვებოდა, იაპონელებს ვერ გაუგებ, ჩემს სახლში ცხოვრობს მილიონერი ბიზნესმენი, დღე სამსახურში დადის ევროპული მანქანით, უკეთია ევროპული საათი, აცვია ევროპული კოსტიუმი, საღამოს კი სახლში იცვამს კიმონოს, ფეხმორთხმული ზის, იკიბანა აქვს ეზოში და ჩაის სვამსო. იაპონელი ტელევიზიისთვის კი არ იცვამს კიმონოს და ჩაი სმა საჩვენებელი რიტუალი კი არ არის, როგორც ეს ჩვენში ხდება, ნებისმიერი გოთვერანი ანგელოზი რომ ხდება, თუ საღამოს მასთან ტელევიზია მივა, არამედ ეს იაპონელის ბუნებრივი მდგომარეობაა. სამხრეთ კორეა არ არის დემოკრატიული?! ინდოეთში არ არის დემოკრატია?! ინდოეთმა დაამტკიცა ის, რაც მსოფლიოში არავის დაუმტკიცებია, რომ ღარიბი ქვეყანა შეიძლება, იყოს დემოკრატიული. ასე რომ, დემოკრატიას ნუ ავურევთ რაღაც-რაღაცეებში.

**– გამოქვეყნდა პრეზიდენტის ფარული ხარჯები, როგორ იხდიდა ბიუჯეტის ფულით შვილის სწავლის ფულს, როგორ ასვენებდა თანაგუნდელებს, მაგრამ ვითომც არაფერი. არადა, დასავლეთში, რომც არ დადასტურებულიყო, ასეთი სკანდალის შემდეგ ნებისმიერი თანამდებობის პირი გადადგებოდა. საპასუხოდ, ბაიდენმა მიხეილ სააკაშვილს ქართველი ჯორჯ ვაშინგტონი უწოდა. ეჭვს იწვევს ჩვენი გონებრივი მონაცემები თუ რა ხდება?**

– ჩემი შვილი სწავლობდა ამერიკის უნივერსიტეტში და მითხრა, ამერიკელი ლექტორები იმ ცოდნაში, რაშიც ჩასულებს მაღალ ქულებს უწერდნენ, ამერიკელ სტუდენტებს ნულიანებს უწერდნენო.

**– როგორც ამბობენ, ევროპაშიც ასეთი ტენდენციაა.**

– დიახ და რატომ ხდება ეს? იმიტომ რომ ესეც დიდი პოლიტიკის ნაწილია: თავისიანისადმი მომთხოვნები არიან, დანარჩენებისადმი – ნაკლებად, იმიტომ რომ ფიქრობენ, ესენი მაინც წავლენ და ჩვენ არ გამოგვადგებიანო. ამიტომაც ჩვენთან უკვე მოვიდა უვიცი თაობა: სტუდენტებს ერთი წიგნიც კი არ აქვთ წაკითხული არასასკოლო. კლასიკას ვინ ჩივის, დეტექტივი მაინც. ესეც არ არის შემთხვევითი.

**– კვდება თუ იხრწნება, ეს დასავლეთი არ პატიობს თავის ყოფილ მაღალჩინოსნებს შეცდომებს და, მით უმეტეს, დანაშაულებს. გარდა ამისა, იქ მოქმედებს გადადგომის პრაქტიკა. ჩვენთან კი ვერ ააყენებ სკამიდან ვერავის, თუ ერთხელ დაჯდა.**

– რასაკვირველია. მაგალითად, საფრანგეთში სკანდალი მოხდა: ერთ-ერთ ცნობილ ფრანგ მოღვაწეს რამდენიმე წლის წინათ საყვარელმა აჩუქა ძვირად ღირებული ფეხსაცმელი, იმ ქალს კი ის ფეხსაცმელი ნაყიდი ჰქონდა არაშრომითი შემოსავლით და სასამართლოში ატარეს, რატომ არ დაინტერესდი, იმ ქალმა საიდან იყიდა ეს ფეხსაცმელიო. ის ქალიც სახელმწიფო მოღვაწე იყო და ქრთამით შეუძინა უძვირფასესი ფეხსაცმელი თავის საყვარელს. მთელი პარიზის პრესა და ტელევიზია ამ ამბავზე წერდა და თავი ამართლებინეს სასამართლოში. არაფრად ჩაუთვალეს წინა დამსახურებები. რატომ არის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სახელმწიფო მოხელეს არ აქვს უფლება, მიიღოს გარკვეულ ფასზე ძვირი საჩუქარი?! პრეზიდენტ რეიგანის მეუღლის მრჩეველი გადადგა იმის გამო, რომ დაუმტკიცდა, იაპონელებისგან მიიღო საათი, რომელიც არც გაუკეთებია, მაგრამ რომლის ფასიც დაწესებულს რამდენიმე დოლარით აღემატებოდა. ისინი თავიანთთვის ამ წესებს მკაცრად იცავენ, მაგრამ იცით, რა არის ევროპელებისა და ამერიკელების კოზირი ჩვენთან მიმართებაში? ჩვენ ისეთი სასამართლო გვაქვს, როგორსაც თქვენ სიზმარშიც ვერ ნახავთო.

**– სიზმრად ნახვა რად უნდა, როდესაც ცხადში ხედავ, რომ ბიუჯეტის ფული არამიზნობრივადაა დახარჯული?**

– არ არსებობს ცნება აშკარად: სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ნებისმიერი არის მხოლოდ ეჭვმიტანილი. ასე, შეიძლება, ისიც ვთქვათ, რომ თამაზაშვილი, კახეთის პოლიციის შევარდნაძისდროინდელი უფროსი, ანგელოზი იქნებოდა?!

**– მაგრამ ის ხომ იარაღის უკანონო შენახვისთვის იჯდა და არა სხვა რამეზე?**

– ამიტომაც ამბობენ დღეს, რომ ის, რისთვისაც დაიჭირე, უსამართლობა იყოო. ევროპასა და ამერიკაში არ დაიჭერდნენ ადამიანს ისეთი ბრალდებით, როგორიც თამაზაშვილს ჰქონდა. ინგლისი 300 წელს ქმნიდა სასამართლო სისტემას, ამერიკასაც ხანგრძლივი დრო დასჭირდა. ამიტომაც აქვთ მათ ეჭვი ჩვენ მიმართ: ყველამ ვიცით, რა სასამართლოც გქონდათ ერთი წლის წინ და უცებ შეიცვალა ყველაფერიო?

**ნინო ხაჩიძე**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღელამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური 237-80-50
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 298-39-43; 299-53-50
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11



გავიხსენოთ კონფლიქტი ვახტანგ გორგასალსა და პატრიარქს შორის, რომელმაც მეფეს კბილი ჩამოუგდო

**გავრცელებული ინფორმაციით, მსოფლიო პატრიარქთან ერთად შესაძლოა, აფხაზეთში ჩვენი პატრიარქი ჩავიდეს. ჯერჯერობით კი აფხაზეთში შემდეგნაირი ვითარებაა: სასულიერო პირთა ნაწილი მოსკოვის საპატრიარქოს უჭერს მხარს, ნაწილს მსოფლიო პატრიარქისკენ მიუწევს გული. სამწუხაროდ, არ არსებობს სასულიერო პირთა ჯგუფი, რომლებიც აფხაზეთის საეკლესიო ცხოვრების მომავალს ქართული ეკლესიის წიაღში ხედავდნენ. იმავდროულად, რუსეთის პატრიარქი აცხადებს, რომ პრობლემა საეკლესიო კანონებითა და აფხაზი ხალხის ნების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს. ვითარება არათუ რთული, თითქმის ჩიხურია. რა ხდება აფხაზეთის სასულიერო ცხოვრებაში და როგორია მოვლენათა შესაძლო განვითარების სცენარი, – თემაზე მამუკა გიორგაძე გაგვიზიარებს თავის მოსაზრებებს.**

# იქნება თუ არა უზრუნველყოფილი საქართველოს პატრიარქის უსაფრთხოება აფხაზეთში ჩასვლის შემთხვევაში და რა პრეტენზიები აქვთ აფხაზებს მის მიმართ

**– ძალიან აგრესიულად გამოეხმაურნენ სოციალური ქსელის მომხმარებელი აფხაზები ჩვენი პატრიარქის აფხაზეთში შესაძლო ჩასვლის შესახებ ინფორმაციას.**

– ბუნებრივია, აგრესია იქნება. ამდენი ხნის განმავლობაში ამ ადამიანებზე ზეწოლაა. მათ ჩააგონეს, რომ ეს არის მათი დამოუკიდებლობის ხელყოფა. მრავალი ჭორი აგორდა და ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ასეთ პროვოკაციებზე ხშირად წამოვგებულვართ: ერთ-ერთი ეთნიკური კონფლიქტის დროს თბილისში ჩამოვიდა ინფორმაცია, რომ აკვანში მწოლიარე ქართველი ბავშვი მოკლეს. ქართველი საზოგადოება აღელდა, მრავალი სისხლი დაიღვარა და შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ფაქტი ტყუილი იყო და არავინ მოუკლავთ. ისევე, როგორც აფხაზეთსა და ცხინვალში ჩაიტანეს ინფორმაცია, რომ თითქოს პატრიარქმა, რომელმაც თქვა, სამოქალაქო ომი უნდა დამთავრდეს და ქართველზე ხელის ამწევი ქართველი უნდა დაისაჯოსო, დაწყევლა არაქართველები. რა თქმა უნდა, მუშაობს მოწინააღმდეგე მხარე, რომ არასწორი ინფორმაციები, არამეცნიერული ისტორიები გავრცელდეს. დიდი ფული იხარჯება ამაში. მზადდება შესაბამისი კადრები და დღეს ამ მიმართულებით სწორად მისი უწმიდესობა მუშაობს, რაშიც ხელს უშლის ბევრი პოლიტიკოსი, რომელიც აფხაზეთს ვინ ჩივის, იმას ცდილობს, ბიბლია მეგრულ და სვანურ ენებზე ითარგმნოს და ისე წარმოაჩინოს, რომ მეგრელები, სვანები, ლაზებიც კი ქართული გენეტიკის არ არიან. აფხაზეთში რუსული მოდელის პარალელურად, მეორე ჯგუფი ცდილობს, გაათამაშოს მეორე კარტი, რომ, თუ ვინიცობაა რუსული მოდელი ვერ ამუშავდა, ამუშავდეს კონსტანტინოპოლის ვარიანტი.

**– ჩვენთვის ორივე ერთი და იგივე საფრთხეა, როგორც ვხვდები?**

– ისე უნდა დავიხმაროთ ორივე, რომ, საბოლოო ჯამში, არც ერთთან არ გავწყვიტოთ კავშირი. უწმიდესისა და საქართველოს ეკლესიის მაღალი ავტორიტეტი ჯერჯერობით ამისგან გვიცავს.

**– უკვე გადაწყვეტილია, რომ ჩავლენ?**

– სურვილი დიდია, დანარჩენი ტექნიკურ მხარეზეა დამოკიდებული. ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს გასული საუკუნის 90-იან წლებში მისი უწმიდესობის ჩასვლა აფხაზეთში, მიუხედავად იმისა, რომ უდიდესი საფრთხე ელოდა. მიუხედავად იმისა, რომ ლხინში წინააღმდეგობა დაახვედრეს, გზა გადაკეტეს, უწმიდესი მაინც ჩავიდა. ერთი წარბი არ შეუხრია უამრავ შეურაცხყოფაზე, როდესაც მის მანქანას მუშტებს ურტყამდნენ. ჩავიდა და დაადასტურა თავისი დამოკიდებულება, რომ აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოს ხელშეუვალი ტერიტორიაა. უწმიდესი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ კვლავ დაუდასტუროს ყველას, თუნდაც, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, რომ ეს ჩვენი ტერიტორიაა და ის ადამიანებიც ჩვენები არიან.

**– საქართველოს ეკლესიის თანხმობის გარეშე, მოსკოვის პატრიარქი ან მსოფლიო პატრიარქი შეძლებენ აფხაზეთის ეკლესიის საკითხის გადაწყვეტას?**

– ეს დამოკიდებულია, თუ რა სიმაღლეზე იქნება საქართველოს ეკლესია, საქართველოს სახელმწიფო.

**– საეკლესიო სამართალი, წესებიც ხომ არსებობს?**

– სამართალი ისეთი ცნებაა, რომელიც ზეწოლას ექვემდებარება და ჩვენ ხშირად ვყოფილვართ ამის მოწმენი. ყოველგვარი სამართლის გარეშე გააუქმა რუსეთმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. მოძებნეს ისეთი მექანიზმი, რომ ვითომ გაერთიანდა ორი ეკლესია. საქართველოს დაპყრობაზე გამოცხადდა, რომ საქართველოში კი არ გაუქმდა სახელმწიფოებრიობა, არამედ რუსეთის მეფემ მიიმატა ტიტული – მეფე საქართველოსი და იგივე ნიკოლოზ მეორე იწოდებოდა, როგორც საქართველოს მეფე. როდესაც სხვები „ი პროჩიე და ი პროჩიეში" გადიოდნენ, საქართველოს მეფე ტიტულატურაში ცალკე იყო მოხსენიებული. სამართლიანობა ისეთი მომენტია, რომელიც აუცილებლად საჭიროებს დაცვას.

**– ჩვენ გვყავს მოკავშირეები სამართლიანობის დაცვის საქმეში?**

– ჩვენ ძალიან ძლიერი მოკავშირეები გვყავს, ჯერ ერთი, სიმართლე და სხვა ეკლესიებიც. თუ პრაგმატულად მივუდგებით საკითხს, ასეთი პრობლემები შეიძლება, ყველა ეკლესიაში მოხდეს და ამიტომ ყველა იცავს საზღვრების ურღვევობას. რუსეთისთვის თუ საპირწონედ დადგება: საქართველო თუ უკრაინა, გასაგებია, ვის აირჩევს. იმავე კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ბევრ რამეზე, ვერ უარყო, როდესაც საქართველოს ეკლ-

> **უწმიდესი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ კვლავ დაუდასტუროს ყველას, თუნდაც, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, რომ აფხაზეთი ჩვენი ტერიტორიაა და ის ადამიანებიც ჩვენები არიან**

ესიამ გახსნა ლაზეთის და ტაო-კლარჯეთის ეპარქიები, იმიტომ რომ, სამართლებრივად, ეს ტერიტორია კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ აღიარა საქართველოს იურისდიქციის ქვეშ.

**– ოფიციალური აღიარებაა?**

– როდესაც ეს ეპარქიები შეიქმნა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია. ეს ეპარქიები სამართლებრივად, იურიდიულად და ისტორიულად სწორად გათვლილ დროსა და მართებული ფორმულირებებით შეიქმნა. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არ გამოუთქვამს პრეტენზია, იმიტომ რომ ის, როგორც ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრე, ვერ განაცხადებდა პრეტენზიას იბერიის ეკლესიის სამკვიდრო ტერიტორიაზე. დღეს შესაძლოა, არც ერთი მღვდელმსახური არ გვყავს იქ, მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა ვიფიქროთ ამ მიმართულებით. საქართველოს ეკლესიამ პირველი ნაბიჯი გადადგა, ხვალ მეორე ნაბიჯი უნდა გადაიდგას. ისევე, როგორც რუსეთის ეკლესია პირველ ნაბიჯებს დგამს აფხაზეთისა და ცხინვალის ტერიტორიაზე. მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ საქართველოს ეკლესია მარტოა ამ ბრძოლაში, რუსეთის ეკლესიას კი რუსეთის სახელმწიფო უმაგრებს ზურგს. სახელმწიფომ ეკლესია კონკურენტად არ უნდა განიხილოს, მაგრამ, რატომღაც განიხილავენ მტრად და სულ ეჩვენებათ, ხელისუფლების განაწილებაში ხომ არ შეეცილება მათ საქართველოს ეკლესია. არადა, საქართველოს ეკლესიას ისტორიის არც ერთ ეტაპზე არ გამოუხატავს სურვილი, რამე მიწიერი ხელისუფლებისადმი ჰქონოდა წვდომა. ერთადერთი თუ გამოხატავდა იმით, რომ წმიდა გრიგოლ ხანძთელი ამხელდა მეფეს ანდა წაართმევდა საყვარელს; როდესაც დავით ულუს ეკლესია ღირსეულ ცხოვრებას სთხოვდა; დემეტრე თავდადებულის ქმედებების გამო პატრიარქი გადადგა კიდეც. ჩვენ ასეთი მრავალი ფაქტი ვიცით, მაგრამ არ არსებობს არც ერთი ფაქტი, რომ ეკლესიას ძალაუფლებაზე გაეწია ხელი. დღეს სულიერებისა და ზნეობისკენ მითითება აღქმულია, თითქოს ძალაუფლებას მართმევსო. გავიხსენოთ კონფლიქტი ვახტანგ გორგასალსა და პატრიარქს შორის, რომელმაც მეფეს კბილი ჩამოუგდო.

**– თუმცა ვახტანგი არ დაპირისპირებია პატრიარქს, არ უჩვენებია ძალა, რაც არ გაუჭირდებოდა, საეკლესიო მსახურებს მიმართა კონფლიქტის მოსაგვარებლად.**

– დიახ, თხოვნით მიმართა, თავისი ჩამოგდებული კბილი გაგზავნა კონსტანტინოპოლში და არ დაუწყია თავისი ძალის დემონსტრირება არც დავით ულუს, არც აშოტ კუროპალატს, არც დემეტრე თავდადებულს. დღეს კი ღიად ებრძვიან საქართველოს ეკლესიას და ამას მოწმობს ბოლო პერიოდში შემოტანილი ლოზუნგი: „არა თეოკრატიას", არადა, ვის უნდა შენი ხელისუფლება, ძალით რომ მისცე, არ აიღებენ. ეკლესია გეუბნება, მოიქეცი ნორმალურად, ნუ გადადიხარ იმ საზღვრებს, რის შემდეგაც მე ვერ გავჩერდები. საქართველოში იმიტომაც იყო ჰარმონიული თანაცხოვრება, რომ ეს ორი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებოდა: სულიერი მიმართულება არ შედიოდა ხორციელ გადაწყვეტილებაში და სახელმწიფო, ხორციელი სხეული, არ შედიოდა სულთან კონფლიქტში.

**– ისევ აფხაზეთის ეპარქიის თემას დავუბრუნდები, კონსტანტინოპოლის პატრიარქსაც აქვს პრეტენზია თუ უბრალოდ მოქმედებს პრინციპით, რატომაც არ უნდა დაიქვემდებაროს აფხაზეთის ეპარქია?**

– აქ შეიძლება, ერთი მხრივ, ვიფიქროთ, რომ ეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს გულწრფელი სურვილია, რადგან კონფლიქტია, მე, როგორც ნეიტრალური ადამიანი, მივხედავ ამ საქმეს და მეორე, რატომ უნდა ვთქვა უარი ღვთისგან ბოძებულ საჩუქარზე?

**– გარდა ამ ორისა, სხვა რომელიმე ეკლესია**

# „კაიზერი“ – ცოცხალი ბავარიული ლეგენდა

***კომპანია „ნატახტარმა“ ახალი ლუდის – ხორბლის გაუფილტრავი „კაიზერის“ წარმოება დაიწყო, რომელიც ლუდის სხვა სახეობებისგან განსაკუთრებული არომატით გამოირჩევა. ქართველი მომხმარებლისთვის ის უკვე საქართველოში ექსკლუზიური ლიცენზიითა და გერმანული ტრადიციების გათვალისწინებით ჩამოისხმება.***

***კომპანიამ ახალი ლუდის პრეზენტაცია რესტორან „ბიერ გარდენში“ გამართა და ხორბლის გაუფილტრავი „კაიზერის“ დეგუსტაციაც მოაწყო. ეს არის პირველი შემთხვევა, როცა საქართველოში ხორბლის გაუფილტრავი ლუდის მასობრივი წარმოება ხდება.***

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲥᲝᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ***(კომპანია „ნატახტარის“ ტექნიკური დირექტორი):*** „აღნიშნული ლუდი ძირითადად ბავარიაში იწარმოება და საკმაოდ რთული წარმოების პროცესით ხასიათდება. ამ მიზეზის გათვალისწინებით, ლუდის მწარმოებელი კომპანიები ერიდებიან მის წარმოებას. ჩვენ ეს გავბედეთ და საკმაოდ წარმატებულადაც – შედეგად მივიღეთ უმაღლესი ხარისხის უგემრიელესი პროდუქტი.“




ალკოჰოლის დიდი ოდენობით მიღება ვნებს ჯანმრთელობას

**ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ** ***(კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი):*** „საქართველოში პირველად მოხდა ხორბლის გაუფილტრავი ლუდის წარმოება. ეს არის ლუდი, რომლის გემო და არომატი არასოდეს დაგავიწყდებათ.“

ლუდის ცნობილი ბრენდის – „კაიზერის“ ჩამოსხმის ოფიციალური უფლება, პირველად კომპანია „კაიზერბრაუსის“ ისტორიაში, საქართველომ, უფრო კონკრეტულად კი, კომპანია „ნატახტარმა“ მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ „კაიზერის“ ბოთლზე უკვე დატანილია წარწერა „მეიდ ინ ჯორჯია“. ლუდსახარშმა „ნატახტარმა“ მიაღწია შეთანხმებას გერმანულ კომპანიასთან და საქართველოში ლიცენზირებული „კაიზერის“ ჩამოსხმა აქტიურად გასული წლის აგვისტოდან დაიწყო.

**ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲮᲘᲓᲣᲠᲔᲚᲘ**

---

**ხომ არ არის აფხაზეთის ეპარქიის დაქვემდებარების მსურველი?**

– სხვა მეტი ვერავინ ჩაერევა ამ საქმეში, იმ უბრალო მიზეზით, რომ არანაირი ტერიტორიული შეხება არ აქვთ. თეორიულად, პრეტენზიის გამოთქმა შეუძლია ანტიოქიის საპატრიარქოს, რადგან თავის დროზე ავტოკეფალია ანტიოქიისგან მივიღეთ, მაგრამ ეს აბსურდია, მით უმეტეს, ახლა, როდესაც დამასკო იბომბება. კონსტანტინოპოლის პატრიარქი, რომელიც არაფრით არის უმეტესი არც საქართველოს და არც რუსეთის საპატრიარქოზე, თავისი აქტიური ბუნებიდან გამომდინარე, ცდილობს, წარმმართველი როლი შეასრულოს და დაიკმაყოფილოს ამბიციაც, რადგან ტიტულატურაში უწერია მსოფლიო პატრიარქი და, სამართლებრივადაც, თუ ორ ძმას შორის დავაა, ჯობია, მესამემ, უფროსმა ძმამ, დაარიგოს ჭკუა. თუმცა აქ ნამდვილად არის ქვეტექსტები და ჩემთვის საშიში იქნება, თუ სეპარატიულ გარიგებებს ექნება ადგილი რუსეთისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოებს შორის. ისევე, როგორც თურქეთსა და რუსეთს აქვთ ერთმანეთთან პრეტენზიები და ერთმანეთის კონკურენტები არიან გარკვეულ სფეროებში, სხვა სფეროებში, იმავე საქართველოს ტერიტორიის საკითხებთან დაკავშირებით, შესაძლებელია, მათ შორის შედგეს რამე გარიგება, ასევე, შეიძლება, შედგეს გარიგება რუსეთისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოებს შორის. ამიტომაც ჩქარობს მისი უწმიდესობა, როდესაც სახელმწიფო არაფერს აკეთებს. ერთია, რომ თურქეთი ჩვენი მეგობარია, მაგრამ, მეორე მხრივ, რუსეთის შემდეგ თურქეთი აფხაზეთის რიგით მეორე პარტნიორია. ჩვენ ამაზე თვალს ვხუჭავთ მეგობრობის გამო, თუმცა სათქმელი მეგობარსაც უნდა უთხრა.

**– და ორმხრივია მეგობრობა, სიყვარულის არ იყოს.**

– ჩვენ მეგობრობით სპეკულაცია გამოგვდის და როგორც ჩანს, ამის უკან სხვა რაღაცეები იმალება, რადგან, წესით, ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე ღიად უნდა ვილაპარაკოთ თურქეთთან და არ გვინდა ეს თვითგვემები. როგორ ჩვენ გვჭირდება თურქეთი, ასევე, თუ უფრო მეტად არა, ვჭირდებით თურქეთს. როგორც თურქეთი არ ერიდება თავისი სახელმწიფო ინტერესების რეალიზებას საქართველოს ტერიტორიაზე, არც ჩვენ უნდა მოვერიდოთ ჩვენი ინტერესების რეალიზებას როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

**– ბუნებრივია, თურქეთის ხელისუფლება დაინტერესებული იქნება, თუ მსოფლიო პატრიარქი გაიფართოებს იურისდიქციას და, ამდენად, ერთი მოთამაშე გამოდის. ანუ ეს უფრო რეგიონული პრობლემაა?**

– რა თქმა უნდა, ისევე, როგორც აზერბაიჯანი ცდილობს, წამოწიოს მართლმადიდებელი ეკლესია.

**– მას ეს სჭირდება ყარაბაღთან მიმართებაში.**

– ისედაც სჭირდება, თავისი ტერიტორიების დასაცავად. მას აქვს ისტორიული პრობლემა, რადგან ასეთი სახელმწიფო – აზერბაიჯანი ამ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე არ არსებობდა, ის შეიქმნა რუსეთის იმპერიის მოსვლის შემდეგ.

**– როგორც ჩვენი „იუჟნაია ოსეტია“.**

– საჭიროა ამის განმტკიცება როგორც სამართლებრივი, ისე ისტორიული კუთხითაც და ამიტომ წამოწია ახალი თეზა, რომ ალბანელი ხალხისა და ალბანეთის ეკლესიის მემკვიდრეები არიან.

**– აზერბაიჯანი ცდილობს, მოიპოვოს ალბანეთის ეკლესიის აღიარება.**

– რა თქმა უნდა, შეეცდება და შემდეგ მეორე ნაბიჯს გადადგამს, მისთვის ეს საშიში აღარ არის, მაგრამ დარჩება თავის ტერიტორიაზე კულტურული ძეგლების მემკვიდრედ. ისევე, როგორც სომხეთი ცდილობს, საქართველოში თუ რომელიღაც სომეხს რომელიღაც ქვა დაუდვია, თავის საკუთრებად გამოაცხადოს და ბევრ შემთხვევაში, სადაც ხელიც არ მოუკიდია სომეხს, ისიც თავისად აღიაროს. მაშინ, როდესაც ქართულ სახელმწიფოს ისევ რცხვენია, ხმა ამოიღოს, რატომ გვაძლევენ იმ ეკლესიას, რომელიც დღეს სომხეთის ტერიტორიაზეა და ქართულია. გარშემო ყველა იცავს თავის ინტერესს, არ ერიდება ამ ინტერესის დემონსტრირებას, თუნდაც, აგერ მეგობარი აზერბაიჯანი, რომელიც განა ქურმუხთან თუ სხვა ტაძრებთან დაკავშირებით ატარებს მკაცრ პოლიტიკას, არამედ დავით გარეჯის რამდენიმე კილომეტრი გახდა დიდი წინააღმდეგობის საგანი. იქით სომხეთის ინტერესებია, აქეთ – რუსეთის გაძლიერებული ინტერესი, თურქეთის ინტერესი, ჩვენ კი ღია კარის პოლიტიკა გვაქვს: მობრძანდით, ვისაც გინდათ, რაც გინდათ, წაიღეთ და ვამაყობთ ჩვენი ჰუმანოიდოზური მიდრეკილებებით. თუ ეს შეუგნებლად კეთდება, მაშინ ვაი, იმიტომ რომ ეს თვითგვემა დაგვღუპავს, თუ შეგნებულად და გრძელდება ის პოლიტიკა, რაც სააკაშვილის დროს იყო, მაშინ უი, იმიტომ რომ ეს საშიშ ტენდენციად ჩამოყალიბდება.

**ᲜᲘᲜᲝ ᲮᲐᲭᲘᲫᲔ**

ნდობის ტელეფონი
0902 200 200
SMS – 93094
დარეკვა
შეგიძლიათ
ნებისმიერი
ქსელიდან



ზარი ფასიანია

**შესაძლოა, იმიტომ რომ ეს ჩვენი ქვეყანა სამყაროსავით ძველია, მისთვის არც ლგბტ საკითხია ახალი. ამ თემას რუის-ურბნისის კრებაც შეეხო და ამ საკითხს ერთი ყველაზე მოზრდილი თავიც მიუძღვნა. საინტერესოა ისიც, რომ იმავე პერიოდს უკავშირდება ტოლერანტობის ტრადიციის დასაწყისიც. აკაკი ასათიანთან ერთად დავით აღმაშენებლის ეპოქას მიმოვიხილავთ და შევეცდებით, სადღეისოდ აქტუალური გაკვეთილების გამოტანას.**

# რატომ აირჩია დავით აღმაშენებელმა მტრებით დასახლებული ქალაქი თბილისი დედაქალაქად და როგორ დაამყარა წესრიგი ზნეობრივად და სახელმწიფოებრივად მორღვეულ ქვეყანაში

**– დავით აღმაშენებლის ეპოქას ზოგი ეთაყვანება, ზოგი ედარება, მაგრამ არცთუ იშვიათად ინფორმაციული სიღრმე აკლია როგორც მოთაყვანეს, ისე მიმბაძველს. რატომ გახდა აუცილებელი იმ პერიოდში მკაცრი რეფორმების გატარება?**

– დავიწყოთ იმით, რომ მეფეებთან შედარება, რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტულია, იმიტომ რომ მეფე პირდაპირ იბადება იმ უფლებებით, რაც არავის ჰქონია, არ აქვს და არც ექნება. და რამდენად გაუმართლებდა ხალხს და ქვეყანას, ეს იმაზე იყო დამოკიდებული, როგორი მეფე ეყოლებოდა. დავითის შემთხვევაში ამას გამართლება აღარ ჰქვია, ისეთი ამბავი მოხდა. თუმცა ცუდისთვის მოწოდებული ვერც ერთი მეფე ვერ იქნებოდა, იმიტომ რომ ის თავის თავს ვერ უღალატებდა. დავითი გამორჩეული მაგალითია, მაგრამ ჩვენი პოლიტიკოსების მიერ მისი მაგალითის მოყვანა შეიძლება მხოლოდ ხალხის გასამხნევებლად, რომ არ დაავიწყდეთ, თორემ ჩვენ მის გამოცდილებას ვერ გავიზიარებთ, იმიტომ რომ არ გვაქვს კანონიერად ის უფლებები, რაც მას ჰქონდა.



**დავითი შემოვიდა თბილისში და პირველ სამ დღეს აქ საშინელი ხოცვა-ჯლეტა მიდიოდა, 500 წარჩინებული გასვა ძელზე**

რაც შეეხება დავითის საქმიანობას: ქვეყანა იყო მოშლილი და ამოცანას წარმოადგენდა მორალური კლიმატის შეცვლა. თუმცა იმას კი აღნიშნავს მემატიანე, ხალხი წუწუნებს, გამუდმებული ომი და წვრთნა აღარ შეგვიძლიაო. დავითი არ იყო კლასიკური ფეოდალური მეფე, ის უფრო ნაციონალური სახელმწიფოს მოღვაწე იყო და შუა საუკუნეებმა ცოტა თუ იცის ასეთი. დავითი ის ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისია ფეოდალურ ხანაში, რომელიც აშენებდა ნაციონალურ სახელმწიფოს. როგორ აშენდებოდა ასეთი სახელმწიფო? რა თქმა უნდა, გადამწყვეტი ფაქტორი იქნებოდა რელიგია, რაზეც იდგა ეს ქვეყანა და რის გამოც მას უპირისპირდებოდა ყველა გარშემო. ამ სახელმწიფოს იდეოლოგია შეიძლებოდა, ყოფილიყო მართლმადიდებელი ქრისტიანობა. დავითის ამოცანა, როგორც ჩანს, იყო ჩვენების გამოყვანა იმდროინდელი მოდუნებიდან: მტერი მოვა, შევებრძოლებით, თუ წავაგებთ, ხარკს გადავიხდით, თუ მოვიგებთ...

**– ცოტა ხანს ვიქეიფებთო...**

– სულს მოვითქვამთ და დროს გავატარებთ.

**– ეს მენტალიტეტი დღესაც დარჩა, რაც, ჩემი აზრით, ერთგვარი თავდაცვის მექანიზმია და, რაც, მათ შორის, გამოიხატება პირველივე მოგების ფუფუნების საგნებში დახარჯვაში.**

– ვიღაცეები ადვილად უყურებენ და ამის დამსხვრევა უნდათ, არადა, ეს ხასიათში აქვთ სამხრეთის ხალხებს. ესპანელებს სიესტა ვერავინ მოაშლევინა. ისეთი სიცხეა შუადღეს, ისადილებენ, წამოწვებიან, დაიძინებენ, შემდეგ გაიღვიძებენ და საქმიანობას აგრძელებენ.

**– ვერ უშველა ამ საქმეს კონდიცირების სისტემების განვითარებამ?**

– არ შველის. ეს ბუნებრივი პირობებითაცაა გამოწვეული. ჩრდილოელს რომ არ ემუშვა, ქვა-ღორღში სხვა რა უნდა ეკეთებინა?! ერთი სიტყვით, დავითს ეს ამოცანა ჰქონდა და გადაჭრა კიდეც, ოღონდ მენტალობა კი არ დაამსხვრია, არამედ, დადებით თვისებებზე გაამახვილა ყურადღება. ახლა შეიძლება, იყოს საკამათო, მაგრამ მაშინ თქვენ ვერ ნახავდით უცხოურ წყაროებს, რომლებიც არ გვაქებდნენ. ბიზანტიელები პირდაპირ წერდნენ: მამაცი აღმოსავლელი იბერები. მუსლიმანი ავტორები თან გვწყევლიდნენ და თან აღიარებდნენ ჩვენს სიმამაცეს ბრძოლაში და გამარჯვების შემდეგ სულგრძელობას. დავითის ამოცანა იყო, რომ ეს თვისებები სახელმწიფო ინტერესებს დაქვემდებარებოდა. რეალური საქმიანობა დაიწყო იდეოლოგიური რუის-ურბნისის კრებით. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, მკვლევართა უმეტესობა მიიჩნევს და მეც ვეთანხმები, რომ ის დაწერილია არსენ იყალთოელის მიერ. ეკლესია მოაწესრიგა და ამით შექმნა იდეოლოგიური საფუძველი. თითქოს დეტალია, მაგრამ ეპისკოპოსის ასაკად 35 წელი დაწესდა. ეტყობა, მანამდე ჩაწყობები იყო და ახალგაზრდებს ნიშნავდნენ ეპისკოპოსებად. არადა, ეს 1 105 წელია.

დავითმა დაამყარა რეჟიმი, რასაც, ძირითადად, ინფორმაციული ხასიათი ჰქონდა. მემატიანე წერს, ვინმეს რომ დაეჩურჩულებინა კი არა, რომ ეფიქრა რამე, ისიც იცოდაო.

**– როგორც ერთმა ისტორიკოსმა მითხრა, იმდროინდელი წყაროების თანახმად, დავითმა იცოდა, ცოლ-ქმარი რას ლაპარაკობდა საძინებელშიო.**

– მას ჰქონდა რეგულარული არმიის შექმნის მცდელობა, გააძლიერა საიდუმლო პოლიცია. შექმნა მკაცრად ცენტრალიზებული სახელმწიფო, რაც უცხოა ფეოდალიზმისთვის და ეს უნებლიეთ აისახა მატიანეში. რომ შეადაროთ დავითისა და თამარის მატიანეები, აღმოაჩენთ, რომ დავითის მატიანეში მოქმედი გმირი თვითონ დავითია და თითო-ოროლა სხვა ისხენიება. თამარის ისტორიაში კი აურაცხელი მოქმედი გმირია, ანუ ტიპური ფეოდალური სახელმწიფოა, ყველა ერისთავი ბაქიბუქობს, სარდლები არიან, იბრძვიან, კარზე პოეტები არიან, ერთი სიტყვით, სულ სხვა ტიპის ცხოვრებაა. დავითის დროს კი მკაცრად ცენტრალიზებული სახელმწიფო იყო. ბევრი ვეძიე და აღმოვაჩინე, რომ დავითმა თავისი სახელმწიფო ააგო ნიზამ ალ-მულქის სახელმძღვანელოს, „სახელმწიფოს მართვის ხელოვნების“, მიხედვით. ისე არავის აუსრულებია მისი იდეები, როგორც დავითმა აასრულა. ქართულად მაშინაც არ იყო თარგმნილი, მაგრამ ჩვენმა მეფეებმა სპარსული იცოდა თითქმის ყველამ, არაბული და ბერძნულიც.

**– კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, როგორ გადაწყვიტა რუის-ურბნისის კრებამ მამათმავლობის საკითხი.**

– რუის-ურბნისის კრების ტონალობა საკმაოდ მკაცრია. სადღეისოდ აქტუალურ და კურიოზულ ლგბტე თემას ყველაზე დიდი მუხლი ეძღვნება. ჩვენ არ ვიცით, ეს სენი საიდან შემოგვეპარა, მაგრამ უნდა ამოვძირკვოთ, რადგან ამან დაღუპა მსოფლიოს უდიდესი იმპერიები, სადღა არიან მიდნი და სპარსნი, სომხებს, ნახეთ, რა დაემართათ, მეფე კი არა, მთავარი აღარ ჰყავთო.

**– ამ ფაქტორის როლზე სომხეთის იმპერის რღვევაში, არაფერი ვიცოდი.**

– არ მგონია, სომხებს ვინმეზე მეტად შეეცოდათ ამ მხრივ, მაგრამ ჩვენებს მოჰყავთ მაგალითად, იმიტომ რომ ჩვენთვის ნაცნობი სამყაროა. ძალიან ცუდ სიტყვებს ამბობენ ამ ყველაფერზე, მაგრამ ეს შუა საუკუნეებია და მორწმუნე კაცია დავითი. მთელი მეთვრამეტე მუხლი ამ საკითხს ეძღვნება და ძალიან ვრცელია, ანუ დავითი ძალიან სერიოზულად უყურებდა ამას, როგორც ცოდვას და როგორც ქვეყნის მოშლის ფაქტორს. სხვათა შორის, ძველბერძნული ანტიკური წყაროები ასე ასხვავებენ ცივილიზებულსა და ველურს. ველური ადამიანი საჯაროდ აკეთებს ყველაფერს, ცივილიზებული ადამიანი კი ეფარებაო და, თუ დღეს ვინმეს სურვილი აქვს, დავბრუნდეთ ველურობაში, ეს ამბავი არ გამოვა.

**– ძირითადი აქცენტები, გარდა ეკლესიის მამათმავლებისგან გაწმენდისა, რა არის?**

– ძირითადად, საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგებას ეხება, რომ ეკლესია გახდეს სამაგალითო, განიწმინდოს შემთხვევითი პირებისგან, გაუნათლებლობისგან. აღმაშენებელში უფრო იგულისხმება ამშენებელი, გამაბედნიერებელი, თორემ მშენებლობები დავითისგან დიდი არაფერი დაგვრჩენია, ხელნაწერებიც კი ცოტაა შემორჩენილი.

**– იმ ეპოქაში ტოლერანტობის აუცილებლობაზეც ვისაუბროთ.**

– ეს ტოლერანტობა ისლამთან იყო დაკავშირებული და ძალიან რაციონალური საფუძველი ჰქონდა. დავითი შემოვიდა თბილისში და პირველ სამ დღეს აქ საშინელი ხოცვა-ჟლეტა მიდიოდა, 500 წარჩინებული გასვა ძელზე. ძირითადად, არაბები, ქალაქის არისტოკრატია, თბილისს ხომ იმ დროს ამირა აღარ ჰყავდა და წარჩინებულები მართავდნენ მონაცვლეობით. ზნეობა ერთობ მოშლილი იყო ამ ქალაქში და დავითის ასეთი სისასტიკეც ამით იყო გამოწვეული. ამით მიახვედრა ყველას, ვინც ცოცხალი დარჩა, რომ ძველებურად აღარ გაგრძელდებოდა.

**მთელი მეთვრამეტე მუხლი ლგბტ საკითხს ეძღვნება და ძალიან ვრცელია, ანუ დავითი ძალიან სერიოზულად უყურებდა ამას, როგორც ცოდვას და როგორც ქვეყნის მოშლის ფაქტორს**

**– ქალაქის მოსახლეობის შემადგენლობა როგორი იყო?**

# IFC-მა და კანადის მთავრობამ, ენერგოეფექტიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ხელშეწყობის მიზნით, კომპანია „M$^{2}$ უძრავი ქონება“ 14 მილიონი ამერიკული დოლარით დააფინანსა

*კომპანია „M $^{2}$ უძრავი ქონება“ საქართველოში უკვე დიდი ნდობითა და პოპულარობით სარგებლობს. იგი 2006 წელს დაარსდა და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვეყნის უძრავი ქონების ბაზარზე. კომპანიის წარმატებას განაპირობებს კარგად აწყობილი მენეჯმენტი, ხარისხზე ორიენტირებულობა და გუნდის მაღალი პროფესიონალიზმი.*

*კომპანიამ – „M $^{2}$ უძრავი ქონება“ წარმატებით განახორციელა სამშენებლო პროექტი ჩუბინაშვილის ქუჩაზე. ამ დროისთვის მიმდინარეობს მეორე ანალოგიური სამშენებლო პროექტი – „M $^{2}$ იპოდრომზე“, რომელიც 2014 წელს დასრულდება.*

*ახალ პროექტს იწყებს „M $^{2}$ უძრავი ქონება“, რომელიც საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია IFC მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრმა 14 მილიონი აშშ დოლარით დააფინანსა. „M $^{2}$უძრავი ქონება“ საქართველოში ენერგოეფექტიან, ხელმისაწვდომ და მაღალხარისხიან საცხოვრებელ სახლებს ააშენებს.*

**ირაკლი ბურდილაძე** *(M $^{2}$ უძრავი ქონების“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე):* ჩვენი კომპანიის წარმატებას განაპირობებს სანდოობა და კლიენტების რაოდენობა. ჩვენი მიზანია, მომხმარებელს შევთავაზოთ ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და თანამედროვე საცხოვრებელი ბინები. ეს დაფინანსება კი კომპანიას დაეხმარება თბილისის ცენტრში სამი ახალი პროექტის განხორციელებაში და ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებაში. მინდა აღვნიშნო, რომ პროექტი ითვალისწინებს ისეთი შენობების დაპროექტებას, რომლებიც ხელს შეუწყობს ენერგიის, წყლისა და მასალების ეფექტიან გამოყენებას და გარემოზე მავნე ზემოქმედების შესუსტებას. კანადის მთავრობის ქმედითი წვლილი უზრუნველყოფს ფინანსური პაკეტის სიცოცხლისუნარიანობას. კანადის გარემოს დაცვის მინისტრმა, ბატონმა პიტერ კენტმა, ამ პროექტთან დაკავშირებით ასეთი კომენტარი გააკეთა: „ეს პროექტი არის მაგალითი კანადის მცდელობისა, რეაგირება მოახდინოს კლიმატის გლობალურ ცვლილებაზე. ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა შექმნის სამომავლო შესაძლებლობებს მსოფლიოს მასშტაბით გარემოს დაცვის გასაუმჯობესებლად“.



კონფერენციას ესწრებოდა IFC-ის რეგიონული მენეჯერი სამხრეთ კავკასიაში თომას ლუბეკი, რომელმაც ისაუბრა IFC-ის კანადის კლიმატის ცვლილების რეაგირების პროგრამაზე და კომპანიის მიღწევებზე საერთაშორისო ბაზარზე.

**თომას ლუბეკი**: IFC, მოგეხსენებათ, მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრია, განვითარებაზე ორიენტირებული ყველაზე მსხვილი საერთაშორისო ინსტიტუტი, რომელიც ექსკლუზიურად კერძო სექტორის განვითარებას უწყობს ხელს. ჩვენ ვეხმარებით განვითარებად ქვეყნებს, მიაღწიონ მდგრად განვითარებას ინვესტიციებით. საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე კაპიტალის მობილიზების და მეწარმეებისა და მთავრობებისთვის საკონსულტაციო მომსახურების გზით, 2012 ფინანსურ წელს ჩვენმა ინვესტიციებმა ყველაზე მაღალ მაჩვენებელს – 20 მილიონ დოლარს მიაღწია. ჩვენმა საქმიანობამ ხელი შეუწყო კერძო სექტორს სამუშაო ადგილების შექმნაში, ინოვაციური მიდგომების დანერგვასა და მსოფლიოში განვითარების ყველაზე მწვავე პრობლემის მოგვარებაში. რაც შეეხება ამ კონკრეტულ პროექტს, ეს არის IFC-ის პირველი ინვესტიცია საქართველოში ბინათმშენებლობის განვითარებისთვის, რომელიც მიზნად ისახავს ახალი, მაღალხარისხიანი სახლების მშენებლობას და, შედეგად – ოჯახების ცხოვრების დონის ამაღლებას. ამ ინვესტიციის მეშვეობით, ჩვენ მხარს ვუჭერთ რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ასევე, სამუშაო ადგილების შექმნასა და ინვესტორთა ნდობის ამაღლებას. ამისთვის მადლობა როგორც კანადის, ასევე, საქართველოს მხარეს. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული პროექტი წარმატებით განხორციელდება და ქმედით წვლილს შეიტანს სამშენებლო სექტორის განვითარებაში.

**სოფი ლორია**

---

– მუსლიმანები, ორი მესამედი ან სამი მეოთხედი, ჩვენები, სომხები და ებრაელები. გათხრებითაც ჩანს, რომ დიღმის კარისკენ ქართული მოსახლეობა იყო. ამასვე ადასტურებს ქალაქში მართლმადიდებლური ტაძრების არსებობა. დავითმა დედაქალაქად გამოაცხადა ქალაქი, რომლის ძირითადი მოსახლეობა იყო მტრული, არადა, ამ ქალაქში უნდა იცხოვრო, გქონდეს რეზიდენცია, მართალია, დაცვაც გყავს და ვერც ვერაფერს გაგიბედავენ, მაგრამ შეუძლებელია გაბოროტებულ გარემოცვაში ცხოვრება. დავითმა ჩათვალა, რომ მათთან ცოტა სხვაგვარი ურთიერთობა იყო საჭირო. ჯერ ერთი, იმდენად მორწმუნე და განათლებული იყო, არ ეშინოდა, რომ სხვა რელიგიის არსებობა სხვა რწმენაზე გადაიყვანდა ხალხს. „გალობანი სინანულისანიში“ ამბობს, ბევრი ცოდვა მაქვს, მაგრამ ერთი ცოდვა არ მაქვს, შენში არასდროს შემპარვია ეჭვიო. მართლაც ასე იყო. მეჩეთში თვითონაც დადიოდა და დემეტრესაც ატარებდა. რათა იმ ადამიანებს ენახათ, რომ პატივს მიაგებდნენ მათ რწმენას. შესანიშნავი გამოკვლევაა თბილისელი სწავლული მუსლიმანების შესახებ. ისინი იყვნენ: ექიმები, ქიმიკოსები, ხელოსნები, მშენებლები, ვაჭრები. რა ხეირი ექნებოდა, ეს ხალხი რომ გაერეკა ან შეევიწროებინა?! მეორე ფაქტორიც იყო, ჩვენები ქვეცნობიერად უწევდნენ ანგარიშს იმას, რომ არაბობა არ იყო მძიმე რეჟიმი. დავითი კულტურული კაცი იყო, ღრმად დარწმუნებული თავისი რელიგიის სიმართლეში და მას არ ეშინოდა, სცოდნოდა სხვა რელიგიები. ამით იყო გამოწვეული მისი ტოლერანტობა. გადასახადს სომეხი და ქართველი უფრო მეტს იხდიდა, ვიდრე ებრაელი, ებრაელზე ნაკლებს კი – მუსლიმანი.

სხვათა შორის, რუის-ურბნისის კრებაზე ლაპარაკია, რომ ცოდვაა მამათმავლობა, მაგრამ არსად წერია, რომ ისინი უნდა დახოცონ. საერთოდ, ჩვენი ისტორიისთვის უცხოა რელიგიური ან რამე სხვა ნიშნით საჯაროდ დასჯა. ეს უფრო დასავლური ტრადიციაა. ეკლესიასთან ბრძოლა ამ ქვეყანასთან ბრძოლას ნიშნავს, რადგან ეს ქვეყანა ამაზე დგას. ეკლესიამ გაუძლო ყველაფერს და ამის წყალობით ჩვენც გავუძელით ყველაფერს. ისეთ მდგომარეობაში ვიყავით მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებში, ეკლესია რომ არ ყოფილიყო, ადამიანურ სახეს დავკარგავდით მონღოლებისა და თუმურ ლენგის შემდეგ. ქართული სახელმწიფო, თანამედროვე გაგებით, ეკლესიის დამსახურებაა.

**– თითქოს სასტიკი მეფე იყოო.**

– მატიანეს არ შემოუნახავს მისი სისასტიკის შესახებ ცნობები. ერთადერთი, ბაღვაშები გაასახლა და ისიც პრევენციის მიზნით. ამდენად, სისულელეა, დავითი რეპრესიებს სჩადიოდაო. მას ჰყავდა რეგულარული არმია, საიდუმლო პოლიცია და აკონტროლებდა ვითარებას. იცოდა, რა განწყობები იყო ქვეყანაში, იმიტომ რომ ქვეყანა ძალიან მძიმე მდგომარეობიდან გამოდიოდა. რაც დღეს „ნაცმოძრაობამ“ გააკეთა, იგივე ხდებოდა მაშინ: ქვეყანას ლობე არ ჰქონდა, სახელმწიფო დაშლილი იყო, ვისაც უნდოდა, შემოდიოდა და თავისუფლად დაბოდიალობდა. დავითმა ეს მოაწესრიგა, თუმცა იმპერიული ტიპი იყო საგარეო პოლიტიკაში და ეს იმ ეპოქაში მინუსად ვერ ჩაეთვლება. თავისი ქალიშვილი ცოლად გაატანა შირვან-შაჰის ძეს და შემდეგ დაიპყრო შირვანი. ანისი დაიკავა. გასცდა ძირითად ქართულ ტერიტორიას. დიახ, იმპერიული პოლიტიკა ჰქონდა და ამას ჰქონდა თავისი გამართლება: იმპერია ბევრ რამეს აწესრიგებს ისეთ რეგიონში, როგორიც კავკასიაა. დავითმა შექმნა ის, რასაც ჰქვია სახელმწიფო, როგორც ფუნქციონირებადი აპარატი, როგორც მწყობრი ნაგებობა. თუ ზერელედ მაგალითის მოყვანას და მასზე სწორებას ვინმე აპირებს, გაითვალისწინონ, რა შრომად დაჯდა ეს, როგორი ენერგია ჩაიდო და რამხელა რწმენა დასჭირდა. ეს კომპონენტები არავის აინტერესებს.

**– სამაგიეროდ, ტიტულია მომხიბვლელი.**

– დავითს ესმოდა თავისი ამოცანა და უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ამ საქმეს. სპარსულენოვანი შირვანშელი პოეტი იყო ჰაგანი შირვანი, იგივე ჰაკანი, კვიმატი ენის პატრონი, საქართველოზე ბევრს წერდა სიყვარულით. სატრფიალო ლექსები აქვს ქართველ ქალებზე. დააპატიმრეს კიდეც, მაგრამ გამოეპარა შირვან-შაჰს და სხვაგან ცხოვრობდა. წერდნენ წერილებს, დაბრუნდიო, მაგრამ იპრანჭებოდა, არ ბრუნდებოდა. ეს წერილები, სხვათა შორის, მაგალი თოდუამ თარგმნა და მათში ჩვენი ისტორიის ძალიან საინტერესო დეტალებია აღწერილი. ბოლოს მისწერეს, რატომ არ ბრუნდებიო და ჰაკანმა ასე უპასუხა: დავითს ჰყავდა ვეზირი სიმონი, გიორგი ჭყონდიდელის ძმაზეა საუბარი, რაღაც უთანხმოება მოუვიდათ და სიმონი კონსტანტინოპოლში წავიდაო. ორჯერ გაუგზავნა ხალხი დავითმა, დაბრუნდიო, მაგრამ სიმონი არ ბრუნდებოდა. მესამედაც რომ აგზავნიდა, უთხრეს, რას ელოლიავები, ან თავი დაანებე, ან მეფე ხარ და დასაჯეო. დავითმა გაიღიმა და უთხრა მათ: თეთრი ქორი იშვიათი ფრინველია, ამიტომ დიდი ხანი სჭირდება მოშინაურებაო.

ზულებაზეა მინაწერი: დიდ მეფე დავითს აქვს ნათქვამი, იმ ხნის კაცი ვარ, ჩემი თვალით მინახავს, არსენ იყალთოელი შიო მღვიმეში დოგმატიკონს როგორ უდარებდა, ცვილისგან აიასოფიას აქანდაკებდა, თან არაყში პურს აწობდა და ჭამდაო. ძალიან სხვანაირი კაცი იყო. მას ბევრი ისეთი რამის კეთება მოუწია, რასაც სხვა პირობებში არ გააკეთებდა.

**ნინო ხაჩიძე**

# ყველაზე სექსუალური პრეზიდენტი

***ეკვადორის დედაქალაქ კიტოში არჩეული პრეზიდენტის, რაფაელ კორეას ინაუგურაცია შედგა. პოლიტიკოსი მესამე ვადით აირჩიეს პრეზიდენტად და ინაუგურაციის ცერემონიალს ვენესუელისა და ბოლივიის პრეზიდენტებთან ერთად, საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილიც დაესწრო საპატიო სტუმრის სტატუსით. ოპონენტების მიერ დიქტატორად წოდებული რაფაელ კორეა ქარიზმატულ პოლიტიკოსად და ლიდერად მიიჩნევა ლათინურ ამერიკაში, რომელსაც „ოცდამეერთე საუკუნის სოციალისტს" უწოდებენ.***

* რაფაელ ვისენტე კორეა ელგადო ქალაქ გუაიაკილის მახლობლად, ღარიბულ ოჯახში, 1963 წლის 6 აპრილს დაიბადა. კორეების მრავალშვილიან ოჯახში ის მეშვიდე შვილი იყო. ბავშვობაში რაფაელი და მისი ძმები იშვიათად დადიოდნენ სკოლაში და დროის უმეტეს ნაწილს ქუჩაში ატარებდნენ, სადაც ძირითადად, გაზეთების გაყიდვითა და ფეხსაცმელების წმენდით იყვნენ დაკავებულნი. საინტერესოა, რომ რაფაელს ბავშვობიდან უყვარდა წიგნების კითხვა, მაგრამ მშობლები ეწინააღმდეგებოდნენ მის ამ გატაცებას და მოუწოდებდნენ, უფრო აქტიურად ჩართულიყო ქუჩაში გაზეთების გაყიდვის ბიზნესში. აღსანიშნავია, რომ რაფაელს და მის და-ძმებს დედა მარტო ზრდიდა, რადგან ოჯახის უფროსი ამერიკის შეერთებულ შტატებში ნარკოტიკების უკანონო შეტანისა და გავრცელებისთვის იხდიდა სასჯელს. აღსანიშნავია, რომ ეკვადორული ოპოზიცია ხშირად ამ ფაქტს რაფაელ კორეას მაკომპრომეტირებელ მასალად იყენებს.



* 1980-1990-იან წლებში რაფაელ კორეა ეკვადორის ეკონომიკის მინისტრი იყო. იმ პერიოდში ეკვადორში ხშირი იყო გადატრიალების გზით მთავრობაში მოსვლა. პირადად რაფაელი ათამდე გადატრიალების მომსწრე გახდა და ერთ-ერთი ასეთი გადატრიალებისას, ის დააპატიმრეს კიდეც. ეს დაპატიმრება მომდევნო გადატრიალებამდე გრძელდებოდა. საინტერესოა, რომ მსოფლიო პრესაში არაერთი ვერსიაა, მის დაპატიმრებებთან დაკავშირებით. კერძოდ, დამოუკიდებელი ექსპერტების ვარაუდით, ეკონომიკის მინისტრად მუშაობის პერიოდში, კორეა შემჩნეული იყო იარაღითა და ნავთობპროდუქტებით უკანონო ვაჭრობაში და სწორედ იმის გამო დააკავეს, რომ სახელმწიფო რესურსების გაყიდვებიდან შემოსულ თანხებს ბიუჯეტში არ რიცხავდა.

* პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებში განათლებამიღებული რაფაელ კორეას პირველი ინაუგურაცია საკმაოდ უცნაურ ვითარებაში, ანდებში ჩაკარგულ ინდიელთა სოფელ სუმბაუაში ჩატარდა. ეკვადორის ტერიტორიაზე მცხოვრებ ინდიელ ტომთა ბელადებმა მას „ძალაუფლების სიმბოლო" – ხისგან გამოთლილი კვერთხი გადასცეს. რაფაელ კორეა კი ინდიელ ბელადებს დაჰპირდა, რომ ამიერიდან ის ჭეშმარიტ „ინდიელთა" მთავრობას ჩამოაყალიბებდა, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებს დაიცავდა. „იწყება ლათინური ამერიკის ახალი ეპოქა – ამაყი, სუვერენული და სამართლიანი, რომელიც ააშენებს სოციალიზმს ოცდამეერთე საუკუნის ეკვადორში," – ამ სიტყვებით დაასრულა რაფაელ კორეამ გამოსვლა ინაუგურაციის ცერემონიალზე, რომელსაც მსოფლიო ლიდერებიდან მხოლოდ ანტიამერიკული პოლიტიკის მიმდევრები – უგო ჩავესი და ევო მორალესი ესწრებოდნენ. რაფაელ კორეას მესამე ინაუგურაციას, ასევე, ბოლივიის პრეზიდენტი ევო მორალესი და ვენესუელის პრეზიდენტი ნიკოლას მადურო დაესწრნენ.

* ეკვადორში ყველაზე ხშირად ხდება ამოუცნობი მფრინავი ობიექტების დაფიქსირება. უფოლოგები ვარაუდობენ, რომ „კოსმიური დერეფანი" სწორედ ამ ლათინური ქვეყნის ცაზე გადის. ამასთან დაკავშირებით, ეკვადორელმა მეცნიერმა, ხაიმე როდრიგესმა, ამოუცნობი მფრინავი ობიექტების მკვლევარმა და რამდენიმე დოკუმენტური ფილმის ავტორმა, რომლებიც ძირითადად უცხოპლანეტელების ფენომენის შესწავლას უკავშირდება, გადაწყვიტა, დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება. ამიტომ, თხოვნით მიმართა პრეზიდენტ რაფაელ კორეას, რათა მისგან აიღოს უფლება, გაეცნოს იმ საიდუმლო სამხედრო მასალებს, რომლებიც უცხოპლანეტელების არსებობას ეხება. რაფაელ კორეა დაინტერესდა როდრიგესის კვლევებით და შესაბამისი განკარგულება გასცა, რომლის საფუძველზეც, როდრიგესს უფლება აქვს, გაეცნოს საიდუმლო მასალებს და პირადად შეხვდეს იმ ადამიანებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ გატაცებულნი იყვნენ უცხოპლანეტელთა მიერ. აღსანიშნავია, რომ კორეამ ენთუზიასტ მეცნიერს იმის გარკვევა დაავალა, თუ რა ზიანი შეუძლია, მიაყენოს უცხოპლანეტელების არსებობამ ეკვადორს.



* 2008 წელს მსოფლიოში განვითარებული ფინანსური კრიზისის დროს, ეკვადორის პრეზიდენტმა რაფაელ კორეამ სავალუტო საშუალებების ეკონომიის მიზნით, საგრძნობლად შეამცირა ფუფუნების საგნების იმპორტი ქვეყანაში. კორეას ბრძანებით, შემცირდა 600-მდე დასახელების მსოფლიოს ცნობილი ბრენდის ნაწარმის იმპორტი. ძირითადად, ეს შეეხო ძვირად ღირებულ ავტომობილებს, მობილურ ტელეფონებს, სუნამოებსა და კოსმეტიკის საშუალებებს. 35 პროცენტით გაიზარდა საბაჟო გადასახადი მსოფლიოში ცნობილი დიზაინერების ფეხსაცმელსა და ტანსაცმელზე. სხვათა შორის, ფინანსური კრიზისის გამომწვევ მიზეზად რაფაელ კორეამ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში-უმცროსი დაასახელა და ერთ-ერთ გამოსვლაში ის „არაჩვეულებრივ იდიოტად" მოიხსენია.

* ინტერნეტ ვებ-გვერდ „ჰოთესთ ჰედს ოფ სთეითსმა" ვერსიით, რაფაელ კორეა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სექსუალური პოლიტიკოსია. „ცხელი" ათეულის წევრები გახდნენ: ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი იენს სტოლტენბერგი, ბუტანის მეფე ჯიგმე ვანგჩუკ კჰესარ ნამგუელიმი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯოზეფ კაბილა და არგენტინის პრეზიდენტი ქრისტინა ფერნანდეს დე კირშნერი. 50 წლის რაფაელ კორეა დღემდე ინარჩუნებს ამ სტატუსს, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სექსუალური პრეზიდენტი მსოფლიოში.

* პრეზიდენტობის პირველი ვადის პერიოდში, ეკვადორის პრეზიდენტმა რაფაელ კორეამ საკმაოდ სკანდალურ განკარგულებას მოაწერა ხელი – ბრაზილიური სამშენებლო კომპანია „ოდებრექტის" ბალანსზე არსებული აქტივები ნაციონალიზებულად გამოაცხადა და კომპანიის კუთვნილ ტერიტორიაზე ეკვადორის სამხედრო ჯარები შეიყვანა. აღსანიშნავია, რომ საპრეზიდენტო მანდატის დაუფლებისთანავე, კორეამ შეიმუშავა კანონპროექტი, რომლის საფუძველზეც მას გაეზარდა უფლებამოსილება ქვეყნის ეკონომიკაში ჩარევის მხრივ. საინტერესოა, რომ კორეას მთავრობა ბრაზილიურ კომპანიას 30 მილიონი დოლარის ოდენობის თანხას ედავებოდა, რომელიც კომპანიას ეკვადორის სან-ფრანცისკოში არასწორად აშენებული დამბის საკომპენსაციოდ უნდა გადაეხადა. ბრაზილიელები არ აპირებდნენ თანხის გადახდას და საბოლოოდ, მათი 800 მილიონ დოლარად ღირებული აქტივები მთლიანად ეკვადორის სახელმწიფოს კუთვნილებაში გადავიდა.

* არსებობდა საშიშროება, რომ ეკვადორს აფხაზეთისა და ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობა ეცნო. რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის, ნიკოლაი პატრუშევის კიტოში ვიზიტის დროს, გადაწყდა, რომ რუსეთის ფედერაცია ეკვადორის მთავრობას საჩუქრად გადასცემდა რამდენიმე ათეულ ვერტმფრენს, მი-171, თვითმფრინავ სუ-30-ს და სარაკეტო დანადგარ „იგლას". გარდა ამისა, რაფაელ კორეა 2,2 მილიარდი ამერიკული დოლარის კრედიტს მოითხოვდა რუსებისგან. ჯერჯერობით ეკვადორს ქართული რეგიონების აღიარება არ გამოუცხადებია.

* 2010 წელს ეკვადორში მიმდინარე მასიური საპროტესტო აქციების დროს, პრეზიდენტი რაფაელ კორეა მომიტინგეებთან შეხვედრისას დაშავდა და გადაყვანილ იქნა სამხედრო ჰოსპიტალში. რამდენიმე საათის განმავლობაში ჰოსპიტლის შენობა მომიტინგეებს ალყაშემორტყმული ჰქონდათ და კორეას ლინჩის წესით გასამართლებას მოითხოვდნენ. კორეა 10 საათი იმყოფებოდა საავადმყოფოში და მხოლოდ სამთავრობო ჯარების ჩარევის შედეგად, მოხერხდა მისი გაყვანა სამშვიდობოს.

* ეკვადორის პირველი ლედი წარმოშობით ბელგიელი, ანა მალიერბე გოსელინია. ერთმანეთი რაფაელმა და ანამ 1990 წელს გაიცნეს ლუვეინის კათოლიკურ უნივერსიტეტში, ბელგიაში. წყვილს სამი შვილი ჰყავს – მიგელი, ანა-დომინიკა და სოფია. რაფაელ კორეა ფლობს ინგლისურ, ესპანურ და ფრანგულ ენებს, ასევე, საუბრობს ინდიელების ტომ კეჩუას ენაზე. ახალგაზრდობაში კორეა ანდების მთებში მისიონერმოხალისედ იყო წასული და კეჩუას ტომის ინდიელებთან ერთად ცხოვრობდა.

**უშანგი რუხაძე**

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"**
***შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს***
***ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში***
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# დონალდ ტრამპისა და რომან აბრამოვიჩის ცოლები

*მათი მეუღლეები პლანეტის უმდიდრესი ადამიანები არიან და „ფორბსის" 2013 წლის მილიარდერთა რეიტინგში სხვადასხვა პოზიციას იკავებენ. არაერთი კვლევის თანახმად, მილიარდერთა ცოლები, ხშირ შემთხვევაში, კოლეგები, ტოპ-მოდელები, მსახიობები და ბავშვობის მეგობრები ხდებიან. საინტერესო იქნება, გავეცნოთ 2013 წლის მილიარდერთა მეორე ნახევრებს.*

### სელმა ჰაიეკი

ცნობილი მსახიობი და ფრანსუა-ანრი პინიო დიდი ხანია, ერთად ცხოვრობენ, მიუხედავად იმისა, რომ მათი კავშირი რამდენჯერმე დანგრევის პირას იყო მისული. 2007 წელს წყვილს ქალიშვილი, ვალენტინა პალომა პინიო შეეძინა. 2008 წელს კი სამოდელო სახლებისა და აუქციონ „კრისტის" მფლობელმა პინიომ და ჰაიეკმა დაშორების შესახებ გააკეთეს განცხადება. თუმცა, მალევე შერიგდნენ და 2009 წელს ვენეციაში ქორწილი გადაიხადეს. ფრანსუა-ანრი პინიოს კაპიტალი 11,5 მილიარდი ამერიკული დოლარია და მას 67-ე ადგილი უკავია რეიტინგში.



### მაკენზი ბეზოსი

მწერალი მაკენზი ბეზოსი ინტერნეტ-აუქციონ „ამაზონ.კომის" დამაარსებლისა და მფლობელის, მილიარდერ ჯეფრი ბეზოსის მეუღლეა. ჯეფრი ბეზოსი 25,2-მილიარდიან კაპიტალს ფლობს და რეიტინგში მე-19 ადგილი უკავია. მაკენზი ბეზოსი ოთხ შვილს ზრდის და ახლახან „ამაზონ.კომზე" მისი მეორე რომანის პრეზენტაცია შედგა. მაკენზი იყო დაქორწინების ინიციატორი გაცნობიდან მესამე დღეს და საგულისხმოა, რომ მაშინ ჯეფრი ბეზოსი არც მილიარდერი იყო და არც ინტერნეტი გახლდათ ასეთი პოპულარული. „ამაზონ.კომის" შექმნა ჯეფრიმ 1994 წელს დაიწყო და თავდაპირველად, მხოლოდ წიგნების ინტერნეტით გაყიდვით იყო დაკავებული. მოგვიანებით „ამაზონი" მსოფლიოს ერთ-ერთ უმსხვილეს ინტერნეტ-მაღაზიად გადაიქცა.

### ანა ვოიჯიცკი

ბიოტექნოლოგი ანა ვოიჯიცკი „გუგლის" დამაარსებლის, სერგეი ბრინის მეუღლეა. ანამ და სერგეიმ ერთმანეთი სტუდენტობის პერიოდში გაიცნეს, როდესაც მომავალი მილიარდერი ანას უფროსი დისგან ავტოფარეხს ქირაობდა. 2008 წელს წყვილს ვაჟი, ბენჯი შეეძინა, ხოლო 2012 წელს – ქალიშვილი. ცნობისთვის, ანა კომპანია „23 ენდმის" მფლობელია, რომელიც გენეტიკური კვლევებით არის დაკავებული. მისი მთავარი დამფინანსებელი, რა თქმა უნდა, კომპანია „გუგლია".

### ალექსანდრა ნიკოლაენკო

„მის უკრაინა 2004", მოდელი და ტელეწამყვანი ალექსანდრა ნიკოლაენკო 26 წლის ასაკში ცოლად გაჰყვა 72 წლის მილიარდერს, ფილ რაფინს, დონალდ ტრამპის ბიზნესპარტნიორსა და მეგობარს. ფილ რაფინი ამერიკელი მილიარდერია, რომელმაც თავისი კაპიტალი სათამაშო ბიზნესსა და ნავთობგადამამუშავებელ კომპანიებზე ააწყო. რაფინი პლანეტის უმდიდრესი ადამიანების ტოპ-400-ის წევრია. ალექსანდრა, მეუღლის დახმარებით, სხვადასხვა ჰუმანიტარულ აქციაშია ჩართული, გახლავთ უკრაინის კეთილი ნების ელჩი და ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ფონდის თავმჯდომარე. ფილ რაფინი მეუღლეს მუდამ თან ახლავს საგარეო ვიზიტების დროს. ალექსანდრა ხშირად ჩადის მშობლიურ უკრაინაში საკუთარი თვითმფრინავით. წყვილს ორი შვილი ჰყავს.

### ერიკა ბაქსტერ-პარკერი

მოდელი და მომღერალი ერიკა ბაქსტერი ავსტრალიის უმდიდრეს ადამიანს, მედიამაგნატ ჯეიმს პარკერს 2007 წელს გაჰყვა ცოლად და მათი საქორწილო ცერემონიალი 5 მილიონი დოლარი დაჯდა. სამოდელო სფეროში ათწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, ერიკამ მომღერლობა გადაწყვიტა. წყვილს სამი შვილი ჰყავს: ინდიგო, ემანუელ შილა და ჯექსონ ლოიდი. ჯეიმს პარკერი ცხრა სატელევიზიო ქსელის, 60 ავსტრალიური ჟურნალ-გაზეთისა და ადგილობრივი ტელეკომპანიის 25 პროცენტის მფლობელია. მისი ქონება ბოლო მონაცემებით 5,21 მილიარდი დოლარად არის შეფასებული.

### მელანია ტრამპი

სლოვენიელმა მოდელმა თავისი კარიერა 16 წლის ასაკში დაიწყო, როდესაც გავლენიანი „სპორტს ილუსტრეიტედის" გარეკანზე გულახდილი საცურაო კოსტიუმით გამოჩნდა. სლოვენიაში არქიტექტურის განხრით უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მელანია ნიუ-იორკში გადაბარგდა, სადაც წარმატებული მოდელის კარიერა აიწყო. რამდენჯერმე გამოჩნდა „ვოგის" გარეკანზე, იყო მიწვეული ოპრა უინფრის თოქ-შოუში. 2005 წელს მელანია ცოლად გაჰყვა მილიარდერ დონალდ ტრამპს, რომელიც მასზე 24 წლით უფროსია. 2006 წელს წყვილს ვაჟი შეეძინა და მას შემდეგ ისინი დროის უმეტეს ნაწილს ტრამპის ვილაზე ატარებენ პალმ-ბიჩში. დონალდ ტრამპის კაპიტალი ბოლო მონაცემებით 7 მილიარდამდე ამერიკული დოლარია და ის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ინვესტორად ითვლება მსოფლიოში.



### ვენდი დენგი

ვენდი დენგი მედიამაგნატ რუპერტ მერდოკის მესამე ცოლია. რუპერტის მეორე განქორწინება ანა ტორვთან, მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულ განქორწინებად მიიჩნევა, რადგან ტორვმა რუპერტისგან 1,2 მილიარდი დოლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდების მიღება მოახერხა. განქორწინებიდან მე-17 დღეს რუპერტმა ცოლად მოიყვანა ვენდი დენგი, რომელიც მასზე 37 წლით უმცროსია. წყვილი მანჰეტენზე ცხოვრობს ორ ქალიშვილთან ერთად. ვენდი დენგი ჩინეთში დაბადებული ტელეწამყვანია, რომელიც რუპერტ მერდოკმა ჰონკონგში გაიცნო. ამჟამად ვენდი მერდოკის ყველაზე ძვირად ღირებული მედია-პროექტების განხორციელებით არის დაკავებული.

### დარია ჟუკოვა

დაშა ჟუკოვა ყველაზე ცნობილია რუსი ოლიგარქების ცოლებს შორის. რომან აბრამოვიჩის მეორე ნახევარი ქორწინებამდე წარმატებული ბიზნეს-ლედი გახლდათ და არც ღარიბი ოჯახიდან იყო. დარია მოსკოვში დაიბადა კომპანია „სინთეზ ოილის" დამფუძნებლის ალექსანდრ ჟუკოვის ოჯახში. მისი დაბადებიდან რამდენიმე ხანში მშობლები განქორწინდნენ და დარია დედასთან ერთად, სანტა-ბარბარაში გადავიდა საცხოვრებლად. 16 წლის ასაკში დაშა ლონდონში გადავიდა საცხოვრებლად მამასთან, რომელიც იმ დროს უკვე დიდი ბრიტანეთის მოქალაქე იყო. დაშა სამოდელო ბრენდ „კოვა ენდ ტეს" დამფუძნებელია. გარდა ამისა, ჩართულია ქველმოქმედებაში და მძიმე სენით დაავადებულ ბავშვებს ეხმარება. დარიას და რომანს საერთო შვილი – აარონ ალექსანდერი ჰყავთ.

### პოლინა დერიპასკა

პოლინა დარია ჟუკოვას საუკეთესო მეგობარი და მილიარდერ ოლეგ დერიპასკას მეუღლეა. პოლინას მამა – ვალენტინ იუმაშევი, წარსულში „კომსომოლსკაია პრავდას" ჟურნალისტი, ბორის ელცინის მრჩეველი და ადმინისტრაციის უფროსი გახლდათ, პოლინას დედა კი – ირინა ვედენეევა, ასევე ჟურნალისტი, „სოვეტსკი სპორტის" და „მოსკოვსკი კომსომოლეცის" ყოფილი თანამშრომელი. პოლინა და ოლეგი 2001 წლიდან ერთად ცხოვრობენ და ორი შვილი ჰყავთ – პეტრე და მარია.

### ელენა პერმინოვა

ელენა პერმინოვა ოლიგარქ ალექსანდრ ლებედევის მეუღლეა. რუსეთის პროვინციული ქალაქ ბერდსკის მკვიდრი ელენა ცნობილი ჟურნალ „ფლეიბოის" საშუალებით გახდა, როდესაც გულახდილ ფოტოსესიებში მიიღო მონაწილეობა. მეუღლეებს შორის ასაკობრივი სხვაობა 25 წელია. წყვილს ორი ვაჟი ჰყავს და ისინი ლონდონში ცხოვრობენ. ცნობისთვის, ალექსანდრ ლებედევის პირადი კაპიტალი 2,1 მილიარდი დოლარია. ის ფლობს გავლენიან ბრიტანულ გაზეთებს – „ინდეპენდენტსა" და „ივნინგ სტანდარტს".



**უშანგი რუხაძე**

**„ქაჯები მოდიან, ქაჯები მიდიან!.." – არავინ იცის, ამ სიტყვების ავტორი, სალომე ზურაბიშვილი, გახდება თუ არა საქართველოს პრეზიდენტი, მაგრამ, მათ, ვისაც ძალიან უნდა, ეს ადამიანი ახლოდან გაიცნოს, მისი განვლილი ცხოვრების გზას გადაავლოს თვალი, ახლა ამის კარგი საშუალება ეძლევა, ვინაიდან, მის (და არა მხოლოდ) ინტერვიუებს პირად ცხოვრებაზე, სადაც ის თავისუფლად საუბრობს, სხვაგან ვერსად შეხვდებით.**

# რა დათმო საქართველოში ჩამოსვლის გამო სალომე ზურაბიშვილმა და რატომ ვერ ისწავლა მან რუსული



**ალარაფერი მიკვირს. რაც შეიძლებოდა და რაც არ შეიძლებოდა, ყველაფერი მაკადრეს**

**სალომე ზურაბიშვილი:** მე არასდროს ვყოფილვარ პრეზიდენტობის კანდიდატის ამპლუაში, თუმცა, ლევან გაჩეჩილაძის კანდიდატობის დროს, მაშინ, როცა გაერთიანებული ოპოზიციის მიერ გამოცხადებული იყო პრეზიდენტის პოსტის გაუქმების სურვილი, წარდგენილი ვიყავი პრემიერის ამპლუაში. მაგრამ, ამ ოპოზიციის საბჭოზე კენჭისყრით გამყარებულ არჩევანს რეალურად არაფერი მოჰყვა, მალე დავიწყებულიც იქნა ყველასაგან და, იმისთვის, რომ ყოველთვის ფხიზლად ვიყო და არაფერი ადვილად აღარ დავიჯერო, შენახული მაქვს იმ „პლაკატის" ის ერთადერთი ეგზემპლარი, სადაც მე და ლევანი ტანდემად ვფიგურირებთ. მაშინ ვისწავლე ერთი დიდი გაკვეთილი: პოლიტიკაში ყველა დაპირება შეიძლება დავიწყებულ და უარყოფილ იქნას! იყო ასეთი ეპიზოდიც, როცა მთავაზობდნენ ამ არარსებული ადგილის მიყიდვას პატარკაციშვილისთვის რაღაც მილიონიანი დახმარების სანაცვლოდ! ამ გამოცდილებას ძალიან ვაფასებ და ამის შემდეგ სიფხიზლე ყველაზე საჭირო თვისებად მეჩვენება. რაც შეეხება იმას თუ რა მომიტანა თანამდებობამ, შეგიძლიათ, ეს კითხვა უკუღმა დამისვათ, ანუ, რა დავთმე იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში ჩამოვსულიყავი, როცა საგარეო მინისტრის თანამდებობას დავთანხმდი. ძალიან ბევრი დავთმე: გარანტირებული კარიერა მაღალი ხელფასით, სიმყუდროვე, ბავშვები, რომლებიც დავტოვე პარიზში და ვერ ავარიდე ნერვიულობას, მაგრამ უფრო ძვირფასი რამ დავკარგე – გამიქრა სპეტაკი წარმოდგენა საქართველოზე და ქართველებზე, ემიგრაციის წლებში ასე სათუთად რომ მქონდა შემონახული. თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში აღმოვაჩინე: ღალატი, ტყუილი, ზურგს უკან „ჩაწყობილი" საქმეები, ორპირობა თუნდაც უახლოესი თანამდგომელებისგან; აღმოვაჩინე, რომ, შეიძლება, წლების განმავლობაში ნაოცნებარ ქვეყანაში დაგხვდეს უმიზეზო სიძულვილი, შური, გაუტანლობა, გულგრილობა... ეს დიდი დარტყმა იყო და მძიმედ ასატანი. კარგად მახსოვს წამოსვლის დღე, როცა იპოდრომზე ყოფნის მომენტში მომიხსნეს დაცვა და შემომითვალეს: ნახევარ საათში ახალი მინისტრი შედის კაბინეტში, დროზე უნდა მიხვიდეთ და თქვენი პირადი ნივთები წამოიღოთო. მაშინ კი სასწრაფოდ დავტოვე იპოდრომი. სამინისტროში მისულს დამხვდა კოლექტივის დიდი ნაწილი, რომელმაც ტირილით გამომაცილა იმ ჩემთვის ძალიან ძვირფასი (წმიდა ნინოს სახელობის ქალთა პირველი სასწავლებლის) შენობიდან. სევდიანი, მაგრამ, თბილი გაცილება მომიწყო! ჩემი მეუღლე, ჯანრი კაშია დაითხოვეს „იმედიდან". მისი გადაცემების დახურვისა და პოსტიდან ჩემი დათხოვნის შემდეგ აღმოვჩნდით სრულიად უსახსროდ და უბინაოდ... დავბრუნდით ჯანრის დედის ბინაში, მაგრამ, ყველას მოლოდინის მიუხედავად და წასვლის მაგივრად, შედგა: იპოდრომი, დარჩენა და გრძელი ბრძოლის დაწყება. ზოგის ქმედებებს რომ ვიხსენებ, დღესაც მწყინს და მაოცებს, მაგრამ, დიდი გაკვეთილიც მივიღე და გამოცდილებაც, რაც არ მქონდა გავლილი ჩემს, ბევრად უფრო დაცულ დიპლომატიურ წინა კარიერაში. მეორე და მთავარი რაც მომიტანა, ეს იყო ჩემი ბავშვობის ოცნების ასრულება, ის, რის გამოც დიპლომატიური კარიერა ავირჩიე, ანუ, საქართველოსთვის ერთ-ერთი საკვანძო საკითხის მოლაპარაკებების გზით გადაჭრა. ეს იყო პირადად ჩემთვის დიდი გამარჯვება და ერთგვარად ჩემი დიპლომატიური კარიერის დაგვირგვინება, თუმცა, ის გაყვანილი ჯარები შემდგომში უარესად დაბრუნდნენ სააკაშვილის მიერ დაწყებული ომით! ამიტომ, აღარაფერი მიკვირს – რაც შეიძლებოდა და რაც არ შეიძლებოდა, ყველაფერი მაკადრეს. მეგობრები და ჩემი შვილები მეხვეწებიან და მარწმუნებენ, რომ არ ღირს კიდევ ერთი მცდელობა, ქვეყანას ვემსახურო და ჩემი თავი შევთავაზო – როდის გაიგებ, უნდიხარ თუ არ უნდიხარ ქვეყანას და პოლიტიკურ ელიტასო. ამაში არის რაღაც ჭეშმარიტების ნაწილი, მაგრამ, ჩემში სადღაც ჯიუტად არის ჩანერგილი მოვალეობის გრძნობა, რომელიც თან მომყვება წინაპრებისგან და ჩემი მშობლების მაგალითიდან, რაც არ მასვენებს. შეიძლება, კიდევ ბევრი წინააღმდეგობა შემხვდეს; შეიძლება გზაში დავიღალო კიდეც, მაგრამ, სურვილი – ვემსახურო საქართველოს სახელმწიფოს, ალბათ არასდროს ჩაქრება და რაღაც ფორმით თან მომყვება სადაც არ უნდა ვიყო!

**– წარსულზე ფიქრობთ ხოლმე? რეალურად რომ შეიძლებოდეს, რა მონაკვეთიდან დაიწყებდით ცხოვრებას?**

– წარსულზე ფიქრი ძალიან მამხნევებს და სულაც არ მამძიმებს! ამ წარსულში და ჩემს ზურგს უკან ისეთი ძლიერი ქართველი პიროვნებები არიან, რომლებსაც ძალიან ხშირად მივმართავ რჩევისთვის, რომ გზა გამიკვალონ. ვერ ვიტყვი, რომ რამეს ვნანობ. ყველაზე რთული ეს ბოლო ათწლეულია – ამ ქვეყანაში მიღებული გამოცდილება და მძიმე დარტყმები, მაგრამ, ამის მიუხედავად, არ ვნანობ, რომ ჩამოვედი. ისევ გავივლიდი ამ გზას და ისევ ჩავებმებოდი ამ ბრძოლაში.

**– მინდა, ისევ თქვენი მინისტრობის პერიოდს დავუბრუნდეთ: ყველაზე მეტად რა მომენტში გაგიჭირდათ?**

– საგარეოში, ბევრი უსიამოვნო მომენტის მიუხედავად, ძალიან ბედნიერი ვიყავი: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩემს საქმეს ვაკეთებდი. მართლაც, დავიწყეთ ამ უწყების გადახალისება და ახალი მეთოდების დანერგვა-აღდგენა (მაგალითად, როტაციის პრინციპის აღდგენა, რომელიც, პრაქტიკულად, მოშლილი იყო; ახალი კადრების კონკურსის წესით მიღება, ხელფასების გადახალისება, პროფესიონალიზმის დაფასება…). ცხადია, დასაწყისში გამიჭირდა, რადგან, უცებ აღმოვჩნდი ჩემთვის სრულიად უცხო გარემოში: 30 წელი საფრანგეთის საგარეო სამინისტროში მუშაობის შემდეგ, უცებ გადმოვბარგდი საქართველოს პოსტსაბჭოთა სამინისტროში, სადაც სხვა ტრადიციები, მუშაობის სხვა მეთოდები სუფევდა... ყველაზე უფრო გამიჭირდა ინფორმაციის ნაკლებობა. ფრანგულ სისტემაში მინისტრთან ან თუნდაც დეპარტამენტის დირექტორთან, ყოველდღიურად იყრის თავს სხვადასხვა საელჩოდან მოწოდებული ყველა ინფორმაცია – დაახლოებით 300 გვერდი კონფიდენციალური ანალიზები მსოფლიოს ყველა კუთხიდან, რის მიხედვითაც შემდეგ ყალიბდება პოლიტიკა, აქ კი აღმოვჩნდი სიცარიელეში... ელჩები რეკავდნენ, ძირითადად, პირად საქმეებზე და, მერე ბრაზობდნენ, თუ ამ ფორმით ურთიერთობას თავს ვარიდებდი. საელჩოებიდან პრაქტიკულად არ მოდიოდა არც ინფორმაციები, არც ანალიზები და არც საქმიანი ხასიათის წინადადებები... ადაპტაცია გამიჭირდა...

**მეგობრები და ჩემი შვილები მეხვეწებიან და მარწმუნებენ, რომ არ ღირს კიდევ ერთი მცდელობა, ქვეყანას ვემსახურო და ჩემი თავი შევთავაზო – როდის გაიგებ, უნდიხარ თუ არ უნდიხარ ქვეყანას და პოლიტიკურ ელიტასო**

**– საბჭოთა რეჟიმმა, როგორც სხვა ოჯახები, თქვენი ოჯახიც დააზარალა. თქვენ პირველი ქართველი მინისტრი იყავით, რომელმაც რუსული არ იცოდა და, როგორც ადრე თქვით, სწორედ ამ მიზეზით არ ისწავლეთ.**

– ოჯახში ბებიაჩემი და მამაჩემი თავისუფლად საუბრობდნენ რუსულად და ფრანგულად. ჩემთვის არავის არასდროს უთქვამს, რუსული არ ისწავლოო, პირიქით, მამაჩემი სულ იმას ამბობდა, შენი მტრის ენა კარგად უნდა იცოდე და გესმოდესო... მეც ვეცადე და, უნივერსიტეტში რომ გადავედი, ღამის კურსებზე დავდიოდი რამდენიმე თვე, რომ რუსული მესწავლა, მაგრამ, ვერ ვისწავლე – როგორც ჩანს, ჩემში ქვეცნობიერად არსებობდა რაღაც გადაულახავი ბარიერი, რომელიც ხელს მიშლიდა... გრამატიკას ვსწავლობდი, ბევრი რამ მესმოდა, ჟურნალ-გაზეთების კითხვაც შემეძლო, მაგრამ, ვერ ვლაპარაკობდი... ლავროვთან მოლაპარაკებების დროს, თვითონ გაუკვირდა – მიხვდა, რომ, სანამ თარჯიმანი გადათარგმნიდა მის ნათქვამს, რაღაც-რაღაცეები უკვე გაშიფრული მქონდა და, ხუმრობით მკითხა კიდეც: აკი თქვენ რუსული არ იცით, რა, მიმალავთო?

**– რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში ბატონი ჯანრის გარდაცვალების შემდეგ?**

– ცხოვრება გრძელდება. მეგონა, რომ გაჩერდებოდა და სუნთქვაც კი შეუძლებელი იქნებოდა, თუმცა, გრძელდება მუშაობა, დღეები დღეებს მიჰყვება, მაგრამ, ერთი მთავარი ძრავა, საყრდენი და სიხარულის წყარო გაქრა – ხალისი აღარ არის! ყველაზე უფრო გადაწყვეტილების მიღება მიჭირს, რადგან, ვიცოდი, რომ ჯანრის ჰქონდა არაჩვეულებრივი სწორი და გამჭრიახი ხედვა, დაბალანსებული ანალიზი ყველასა და ყველაფრის მიმართ. შეიძლება, გაგეცინოთ და, მაკლია მისი კარში დახვედრა, მუდამ ღიმილიანი, გახარებული სახე, წამიერად რომ გარწმუნებდა, რომ შენი მისვლა მართლაც სიხარული იყო მისთვის... და, კიდევ ერთი – მოგზაურობამ თავისი ხიბლი დაკარგა. მართალია, განვაგრძობ მოგზაურობას, რადგან, ერთ ადგილას გაჩერება მიჭირს, მაგრამ, სამსახურისთვის... ის სიამოვნება კი – ახალი ადგილების აღმოჩენის, მანქანით უმიზნოდ და უმისამართოდ წასვლის, სადაც დაგვიღამდებოდა, იქ გაჩერების, რაც ორივეს ძალიან გვიყვარდა – აღარ მიზიდავს და აღარ მაინტერესებს...

**– დიპლომატი რომ არ ყოფილიყავით, როგორი იქნებოდა თქვენი ცხოვრება, რა მოგცათ პოლიტიკამ, ამ გაუთავებელმა ბრძოლებმა?**

– დიპლომატობა, რომ არა, არ ვიცი, შეიძლება, მწერალი ან მასწავლებელი ვყოფილიყავი, თუმცა, ეს პროფესია ძალიან ადრე ამოვირჩიე და არც დავფიქრებულვარ... პოლიტიკაზე კი მართლა არ მიფიქრია, ის ჩემამდე თვითონ მოვიდა და ჩამითრია... საფრანგეთში ყოფნის დროს წარმოუდგენელი იქნებოდა ამაზე ფიქრი. როგორც უცხოელი, ჩემს თავს ნებას არ ვაძლევდი, რომ ფრანგულ პოლიტიკაში მიმეღო მონაწილეობა. არასდროს არც ერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ, არც მხარდამჭერი. პარტიების მიმართ უარყოფითი განწყობა მქონდა, რადგან ბავშვობაში სულ მესმოდა: ქართველმა სოციალისტებმა დამოუკიდებლობა ვერ შეინარჩუნეს და სახელმწიფო დაღუპეს, სწორედ იმიტომ, რომ პარტიული ინტერესები ქვეყნის ინტერესებზე წინ დააყენესო.

**– იყო პერიოდი თქვენს ცხოვრებაში, როცა თქვენს ოჯახს უჭირდა?**

(გაგრძელება 72-ე გვერდზე)

# როგორ ვებრძოლოთ ნაოჭებს

ასაკის მატებასთან ერთად ყველა ქალის მთავარი საზრუნავი ნაოჭებთან ბრძოლაა. სხვადასხვა კოსმეტოლოგიური კომპანია არაერთ საშუალებას გვთავაზობს ნაოჭებთან საბრძოლველად, დღეს რჩევებს სწორედ ამის შესახებ მოგცემთ.

საინტერესოა, თქვენ ასაკსაწინააღმდეგო საცხებით პირველად როდის დაინტერესდით? 21 წლის თუ 29 წლის ასაკში? და პირველი იმედგაცრუება როდის განიცადეთ? კონკრეტული ეფექტის მოლოდინი რომ გაქვს და ამ დროს არც არაფერი რომ არ ხდება?!

სახეზე ნაოჭებს მხოლოდ ასაკის მატება არ იწვევს და ეს ჩვენთვის სიახლე აღარ არის. სტრესი, სიგარეტი, გამონაბოლქვი, მზე, ყინვა და სხვა გარეშე ფაქტორები, უპირველესად, სწორედ რომ ჩვენი სახის კანის მდგომარეობაზე აისახება – ნაოჭების სახით.

ეს ნაოჭები ნაადრევად, 30 წლამდეც კი შეიძლება, დაგეტყოთ. ასეთ დროს, მნიშვნელოვანია სხვადასხვა ასაკსაწინააღმდეგო ეფექტური საცხებისა თუ შრატების გამოყენება, რის შედეგიც ხშირ შემთხვევაში მანუგეშებელია, თუმცა, სამწუხაროდ, ყოველთვის არა. სწორედ ასეთ დროს ბევრი ჩვენგანი რადიკალური მეთოდების არჩევანის წინაშე შეიძლება, აღმოჩნდეს, ისეთების, როგორიცაა ლაზერი, სკალპელი ან ინიექციები.

ამიტომაც ბოლო წლებში სულ უფრო თავგანწირვით იღვწიან სხვადასხვა წამყვანი კოსმეტიკური ფირმები, რომ ამ ინიექციებისა და ლაზერის მარტივი ალტერნატივა გამოიგონონ და შესთავაზონ მომხმარებელს.

ცოტა ხნის წინათ L'oreal-ის კომპანიამ მრავალწლიანი კვლევების შედეგი წარუდგინა საზოგადოებას: სახის მოვლის საშუალებების ხაზი, რომელიც ფრაქციული ლაზერის მსგავსად კანის ყველაზე ღრმა შრეებში აღწევს და ქსოვილების რეგენერაციასა და კოლაგენის ბოჭკოების აღდგენას უწყობს ხელს. ახალ ხაზს Revitalift Laser ჰქვია და მასში დღის საცხი, სახის კანის აღმდგენი შრატი და თვალის საცხი შევიდა.

ახალი პროდუქციის ეფექტურობის წარმოსაჩენად ასეთი ექსპერიმენტი ჩაატარეს: 50 ქალი ორ ჯგუფად დაყვეს და ტესტირებაში მიაღებინეს მონაწილეობა. ერთმა ნაწილმა ნაოჭების კორექციის ლაზერული პროცედურა გაიარა, მეორე ჯგუფი კი 8 კვირის განმავლობაში Rivitalift Laser-ის ხაზის პროდუქციას მოიხმარდა. შედეგი ასეთი გამოვიდა: მეორე ჯგუფის შედეგები არაფრით ჩამორჩებოდა ლაზერულ პროცედურას გამოვლილი ქალების შედეგებს.

ასე რომ, ლაზერამდე და ინიექციებამდე კიდევ ბევრი რამ გვაქვს გამოსაცდელი და ასათვისებელი. და, რაც მთავარია, არ დაგავიწყდეთ ოქროს წესი, ყოველდღე მიიღეთ „ბაკურიანი“, რადგან დღის განმავლობაში მიღებული დიდი რაოდენობით წყალი, უპირველესად, კანის ელასტიკურობას უზრუნველყოფს.

***„ბაკურიანი“ – თქვენ გრძნობთ, სხვები ამჩნევენ!***



# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
**ირაკლი გაბრიჭიძე**

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორია სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის ზოგადი წესი?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება, დაინიშნოს დანაშაულთა ერთობლიობითა და განაჩენთა ერთობლიობით, ხოლო, კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის საფუძველია საპროცესო შეთანხმება.



**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორი სახის სასჯელი ინიშნება დამნაშავე პირის მიმართ, თუ არსებობს შემამსუბუქებელი გარემოება?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ, თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავე გამოცხადდა ბრალის აღიარებით, აქტიურად შეუწყო ხელი დანაშაულის გახსნას და არ არსებობს დამამძიმებელი გარემოებანი, სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა აღემატებოდეს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის სამ მეოთხედს.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა გარემოებებს ითვალისწინებს სასამართლო დამნაშავისთვის სასჯელის დანიშვნის დროს და რა კრიტერიუმებით ხდება სასჯელის სახისა და ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ: დანაშაულის მოტივსა და მიზანს; ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას; მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას; ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს; დამნაშავის წარსულ ცხოვრებას; პირად და ეკონომიკურ პირობებს; ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით კი – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი და შეურიგდეს დაზარალებულს.

**კითხვა: მაინტერესებს, რომელი კონკრეტული გარემოება შეიძლება იყოს ყველა სახის დანაშაულისთვის დამამძიმებელი გარემოება?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისთვის.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა სახის მუქარა რა შემთხვევაში ითვლება დანაშაულად?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ, სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების, ან/და ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ითვლება დანაშაულად და ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

**კითხვა: მაინტერესებს და, გთხოვთ, მაცნობოთ, რა სახის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს კანონი სახელმწიფო შესყიდვების დროს პროცედურების დარღვევისას, თუ ეს ჩადენილია განზრახ, ანგარების მოტივით?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პროცედურებში მონაწილეობისას შესყიდვებში მონაწილე სუბიექტების მიერ წინასწარი შეთანხმება ან სხვა გარიგება, თავისთვის ან სხვისთვის მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით ორ წლამდე.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა სახის სამართლებრივ პასუხისმგებლობას აკისრებს კანონი იმ ადამიანს, რომელიც განზრახ არასწორ და გაზვიადებულ რეკლამას უწევს თავის პროდუქციას, რამაც მომხმარებელს დიდი ოდენობის ზიანი მიაყენა?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ აღნიშნული ქმედება არის ყალბი რეკლამა და წარმოადგენს დანაშაულს, კერძოდ, ეს რეკლამის დამკვეთის, მწარმოებლის ან გამავრცელებლის მიერ მომხმარებლის განზრახ შეცდომაში შეყვანაა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია დაისჯება ჯარიმით ან გამოსასწორებელი სამუშაოთი, ვადით 1 წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით, ვადით 1 წლამდე.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რას ნიშნავს გენეტიკური მანიპულაცია და კანონით ისჯება თუ არა მსგავსი ქმედება?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ გენეტიკური მანიპულაცია, ესე იგი, ადამიანის მსგავსი არსების შექმნა, გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით და ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით 3 წლამდე.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა სახის ქმედება ითვლება გარყვნილ ქმედებად და რა სასჯელს ითვალისწინებს კანონი ამგვარი ქმედებისთვის?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ ძალადობის გარეშე გარყვნილი ქმედება დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით, 16 წლის ასაკს მიუღწეველთან, არის დანაშაული და ისჯება ჯარიმით ან გამოსასწორებელი სამუშაოთი, ვადით 1 წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით, ვადით 2 წლამდე. ამგვარ ქმედებად ითვლება ყველა სახის ამორალური, განზრახი გაშიშვლება და დემონსტრირება 16 წლის ასაკს მიუღწეველი მოზარდის წინაშე.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რას ნიშნავს დანაშაულის პროვოკაცია?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ დანაშაულის პროვოკაცია, ესე იგი, სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად, მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით, ისჯება თავისუფლების შეზღუდვით, ვადით 3 წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით 1-დან 3 წლამდე. დანაშაულის პროვოკაციის დროს, მართალია, პირი სჩადის კანონით აკრძალულ ქმედებას, მაგრამ, ამ ქმედების მაპროვოცირებელია სხვა პიროვნება, რომლის მიზანია, ამ შემთხვევაში, მსხვერპლის მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში.

# ინტიმური საუბრები

## შეყვარებულს კბილების გამო დავშორდი

შეიძლება, ბევრს გაეცინოს ჩემი წერილის წაკითხვისას, ბევრმა კი დამცინოს და უტაქტობად ან უზრდელობადაც კი ჩამითვალოს, რომ ასეთ თემაზე გწერთ, მაგრამ მაინც გავრისკავ.

დავიწყებ იმით, რომ ყველასთვის საყვარელი სერიალის „ჩემი ცოლის დაქალების“ ყველაზე წესიერმა პერსონაჟმა – დათომ ცოლს თავის კბილის ექიმთან უღალატა. ის, თუ როგორ გადარია საზოგადოება ამ ღალატმა – საუბრის ცალკე თემაა და ამას არ შევეხები. სერიალი კი იმიტომ ვახსენე, რომ მეც სტომატოლოგი ვარ.

ორიოდე წლის წინ შევუყვარდი... უფრო სწორად კი, საკმაოდ სერიოზული გრძნობები ჰქონდა ჩემ მიმართ ერთ ახალგაზრდა, ძალზე სიმპათიურ, წარმოსადეგ და რესპექტაბელურ მამაკაცს (ოღონდ, მინდა დაგამშვიდოთ და ხაზი გავუსვა, რომ უცოლო იყო). მინდა გითხრათ, რომ მთლად გულგრილად არც მე ვიყავი მის მიმართ და, აქედან გამომდინარე, ვხვდებოდით კიდეც ერთმანეთს. ჩვენი ურთიერთობა თანდათან სერიოზულ სახეს იღებდა და იმ ეტაპამდე ვიყავით მისულები, რომ ერთმანეთის მშობლები და ოჯახები უნდა გაგვეცნო. მაგრამ, ისე მოხდა, რომ ჩემს ოჯახში მის ვიზიტამდე ორი დღით ადრე, ლექსოს კბილი ასტკივდა და დილაუთენია დამირეკა – ვკვდები და რამე მიშველეო. უკვე სამსახურში მივდიოდი და ვუთხარი, 15 წუთში კლინიკაში ვიქნები-მეთქი. ისე იყო ტკივილისგან გამწარებული, რომ მივედი, უკვე მელოდებოდა.

ახლა კი ჩემი წერილის ყველაზე არაესთეტიკური ნაწილი იწყება: სავარძელში რომ ჩაჯდა და პირი გავაღებინე, კინაღამ გული წამივიდა, ისეთ დღეში ჰქონდა პირის ღრუ: პარადონტოზი და შესაბამისად, ყველა კბილი ამოსაღები ან მისახედი. და, იცით, როგორ გაგრძელდა, უფრო სწორად კი – დასრულდა ეს ყველაფერი?! მე, როგორც ექიმმა, ყველაფერი გავუკეთე, რაც შემეძლო, მაგრამ, ვერაფრით ველარ ვაიძულე თავი, მასთან ურთიერთობა გამეგრძელებინა. იმის მერე მხოლოდ ერთხელ შევხვდი და, ის თხუთმეტი წუთი, რაც კაფეში ვისხედით, მხოლოდ მისი პარადონტოზი და მორყეული კბილები მელანდებოდა. ამიტომ, სასწრაფოდ რაღაც მოვიმიზეზე და იქიდან მარტო დავბრუნდი სახლში, მერე კი დავურეკე, აღარასოდეს აღარ შეგხვდები-მეთქი. მიზეზი, რა თქმა უნდა, არ მითქვამს. საწყალმა, ახლაც არ იცის, რა ბზიკმა მიკბინა და რატომ დავშორდი.

დიახ, ასეთებიც ხდება ხოლმე, თუ უფრო უარესი არა.

**მედეა, 31 წლის.**

## ნამდვილი მამაკაცი თავისი მექალთანეობით ხმამაღლა არ ტრაბახობს

ვიცი, ამ წერილით უამრავ მამაკაცს გავანაწყენებ, მაგრამ, თავი ველარ შევიკავე, რომ არ მომეწერა და ჩემი აზრი არ გამომეთქვა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რაც ასე გახშირდა ჩვენს რეალობაში, უფრო სწორად კი – ზოგიერთი მამაკაცის, რბილად რომ ვთქვა, ცანცარული საქციელის გამო.

მეც კაცი ვარ, საშუალო ასაკის და, ცხადია, როგორც ყველა ნორმალურ მამაკაცს, მეც მქონია რომანტიკული პერიოდები და პატარ-პატარა „ცდუნებები“, მაგრამ, ძალიან არაკაცურ, დამამცირებელ და უღირს საქციელად მიმაჩნია, როცა ცნობილი თუ არაცნობილი მამრობითი სქესის წარმომადგენლები თითოეულ შემთხვევას ტელევიზიაში ან პრესაში დაწვრილებით, თან – შელამაზებით განიხილავენ და, თავიანთი ჭკუით, ამით იმკვიდრებენ საზოგადოებაში „კაზანოვას“ სახელს. რატომღაც, სიტყვა „მაჩო“ თბილისში აღმატებულ კომპლიმენტად ითვლება. თავი დავანებოთ სიტყვების განმარტებას, მე მხოლოდ იმას გეტყვით, რომ, არც დონ ჟუანი, არც თავად ცხონებული კაზანოვა, არც თვით რასპუტინი და, მით უმეტეს, არც ერთი ნამდვილი ქართველი მამაკაცი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით (არადა, ამ მკვეხარა ცრუპენტელებს ამ „ტიტულებზე“ აქვთ პრეტენზია), არავის მოუყვებოდა იმის შესახებ, რა ასაკიდან დაიწყეს ქალებში სიარული და რამდენი ქალბატონი იჭრიდა მისთვის ვენებს, გარდა იმ ძალით „გაცნობილებული“ მამრობითი სქესის ადმიანებისა. ჩემს ნაცნობებს შორისაც არიან ისეთები, ერთმანეთს რომ ეტრაბახებიან, ვინ რამდენი ქალი „შეაბა“, ვის რამდენი ქალი დასდევს და ვინ როგორ აგიჟებს თვით ყველაზე თავშეკავებულ, ქმრების ერთგულ, ცნობილ თუ უცნობ ქალბატონებს.

ერთ რამეს გეტყვით, ჩემო ძვირფასებო, და დამიჯერეთ: კაცი, რომელიც თავისი მექალთანეობითა და მამაკაცური პოტენციით ტრაბახობს და, გინდ საქვეყნოდ, გინდ ვიწრო წრეში, პირზე ქაფმომდგარი გაიძახის, „ტაიფუნი“ და „ურაგანი“ ვარო, ესე იგი, მსუბუქად რომ ვთქვა, ძალიან არ უმართლებს ქალებში – არ არის პოპულარული, უფრო მეტიც – არ არის ქალბატონებისთვის სასურველი მამაკაცი, რადგან, ბევრი არაფრის თავი აქვს. არადა, უნდა, რომ ჰქონდეს და ამ ტყუილი მკვეხარობით იქმნის მაგარი კაცის იმიჯს როგორც საზოგადოების, ისე საკუთარი თავის თვალში, ოღონდ, ვერ ხვდება, რომ ამით სასაცილოდ და საბრალოდ გამოიყურება, ყოველ შემთხვევაში, იმისთვის, ვინც მას იცნობს. ანუ, ვინც ძალიან კარგად იცის მისი „საქმენი საგმირონი“.

და, კიდევ ერთი: ნურც ერთი კაცი ნუ დაირწმუნებს თავს, მაგარი მამაკაცი ვარო, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იაფფასიანი მეძავები იცნობენ კარგად და, მით უმეტეს, სხვების გასაგონად ნუ დაიწყებენ კვეხნასა და გულზე ხელის ბრაგუნს – ამით ისევ მხოლოდ ამ იაფფასიან მეძავებს მოატყუებენ, რომლებისთვისაც მთავარი ფულია და არა მათი მამაკაცური ღირსებები.

**ოთარი, 57 წლის.**

## ჩემს ძმას ცოლი ღალატობს

ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვარ ჩავარდნილი და არ ვიცი, როგორ მოვიქცე. საქმე ისაა, რომ, სრულიად შემთხვევით გავიგე ჩემი რძლის (ძმის ცოლის) ამორალური საქციელის შესახებ.

დაახლოებით ერთი თვის წინ ჩემი მეგობრისგან მოვდიოდი ჩემს შეყვარებულთან ერთად გვიან საღამოს. ტაქსის გაჩერება გვინდოდა, მაგრამ, ტაქსი რომ გამოჩნდა, მოულოდნელად, გვერდითა სადარბაზოდან ხმამაღალი სიცილით გამოვარდა ახალგაზრდა წყვილი, ტაქსი ცხვირწინ აგვართვა. დღეს ტაქსების მეტი რა არის თბილისში, მაგრამ, ისე გამაბრაზა მათმა თავხედობამ, ჩხუბი დავაპირე, თუმცა ჩემმა შეყვარებულმა გამაჩერა – თავი დაანებეო და, კიდევ კარგი, ასე მოიქცა, რადგან, როდესაც ამ ახალგაზრდამ გოგოს ტაქსის კარი გაუღო, სანამ მანქანაში ჩაჯდებოდა, გოგო იმ ბიჭს გადაეხვია და ერთმანეთს კარგა გემრიელად აკოცეს, კარისკენ რომ მიბრუნდა, ამ გოგოს სახე დავინახე და კინაღამ გული წამივიდა – ყველაფერს მოველოდი, გარდა იმისა, რომ ლამის შუაღამისას ვიღაც კაცის სახლიდან გამოსული მთვრალი ქალი ჩემი რძალი აღმოჩნდებოდა. მან ვერ დამინახა და ხმამაღლა განაგრძობდა სიცილს. მერე იმ ბიჭს უთხრა, ერთი-ორი კვირა ველარ გნახავ, ხვალ ჩემი ქმარი ჩამოდის მივლინებიდანო. ისე ცუდად გავხდი, ჩემი შეყვარებული შევაშინე – ვერ მიხვდა, ასე მოულოდნელად რა დამემართა. ჯერ არ ვაპირებდი თქმას, მაგრამ, ამ ელდას მარტო ვერ გადავიტანდი. როცა ტაქსი წავიდა, ვუთხარი, ვინც იყო ის გოგო. არ ვიცი, შეიძლება, არ უნდა მეთქვა, მაგრამ იმ მომენტში ისე დავიბენი, აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი.

სახლში რომ მივედი, ჩემი რძალი უკვე მისული დამხვდა, მაგრამ თავის ტკივილი მოიმიზეზა და დასაძინებლად დაწვა (სიმთვრალე რომ დაეფარა). მე, რა თქმა უნდა, არაფერი მითქვამს. მაინტერესებდა, მეორე დღეს როგორ მოიქცეოდა, როგორ შეხვდებოდა ქმარს. მომხდარმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მსგავსი თვალთმაქცობა და ნაძირლობა არც მინახავს და არც გამიგია. ჩემს ძმას კისერზე ჩამოეკიდა, კოცნა, ცრემლები აღვარღვარა – მომენატრე და უშენოდ ვერ ვძლებ. იცოდე, აღარასდროს, არც ერთი დღით აღარ დამტოვო მარტო, თორემ, რომ ჩამოხვალ, მკვდარი დაგხვდებიო. ეს დებილი ჩემი ძმაც ბედნიერი ეფერებოდა ცოლს და ათასგვარ საალერსო სიტყვას ეუბნებოდა. მერე საჩუქრებით სავსე ერთი დიდი ჩანთა დაუდო წინ და უთხრა, რაც ამაში დევს, ყველაფერი შენ გიყიდე, იმიტომ, რომ ასეთი კარგი და მოსიყვარულე ცოლი ხარო. ჩემმა რძალმა საჩუქრების ამოლაგება დაიწყო და ვითომ ძალიან შეწუხებულმა, ჰკითხა, კიდევ როდის მიდიხარ მივლინებაშიო. მხოლოდ მე ვიცოდი, რატომ დაუსვა ეს კითხვა, მაგრამ, ხმას როგორ ამოვიღებდი.

ამის მერე, უკვე მთელი თვეა, სახლში მისვლა აღარ მინდა, თავს ვებრძვი და ვერ გადამიწყვეტია, ვუთხრა თუ არა ჩემს ძმას, რასაც შევესწარი. თქმას ვერ ვბედავ, მაგრამ ვიცი, რომ ადრე თუ გვიან, ჩემი ძმა გაიგებს, რომ ცოლი ღალატობს და, ისიც თუ გაიგო, რომ მე ეს ვიცოდი, მაგრამ, არ ვუთხარი, ალბათ, სამუდამოდ დამკარგავს. ამიტომ არის, რომ ორ ცეცხლშუა ვიწვი, თუმცა, გამოსავალი ჯერჯერობით ვერ მიპოვია.

**გვანცა, 22 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

**სულ ახლახან ქართველმა მოჭადრაკემ ბელა ხოტენაშვილმა ქალთა შორის 2013-2014 წლის გრანპრის გათამაშების პირველ ეტაპზე სენსაცია მოახდინა და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. სენსაცია იმიტომ უწოდეს მის გამარჯვებას, რომ დასაწყისში ბელას 12 მონაწილეს შორის მერვე რეიტინგი ჰქონდა, თუმცა, საბოლოოდ, ერთპიროვნული გამარჯვება მოიპოვა და ლიდერი გახდა.**

# როდის მიიღებს ბელა ხოტენაშვილი კაცთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის წოდებას და რა სენსაცია დააფიქსირა მან ჟენევაში ქალთა შორის გრანპრის გათამაშებისას

**– როდის დაიწყე ჭადრაკის თამაში?**

– 4 წლის ვიყავი, როდესაც მშობლებმა მასწავლეს ჭადრაკის თამაში. თვითონ ერთმანეთს ეთამაშებოდნენ ხოლმე სახლში. 5 წლის ასაკში თელავში მიმიყვანეს მასწავლებელთან. კარგად მახსოვს, არ მიღებდა – ჯერ სკოლაში მივიდეს, პატარააო. მაგრამ, რომ მეთამაშა და ნახა, კარგად ვთამაშობდი, მიმიღო. მალევე დავიწყე თბილისში ტურნირებზე სიარული. თბილისში მყავდა მწვრთნელიც – თამრიკო ხმიადაშვილი.

**– რა იყო შენი პირველი წარმატება?**

– 10 წლამდე ასაკის საქართველოს ჩემპიონატში გავედი მეორე ადგილზე; შემდეგ, ევროპის ჩემპიონატზე მეორე-მეხუთე ადგილები გავიყავი, იმ წელსვე, 10 წლამდე ასაკის მსოფლიო ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი ავიღე. ამის მერე თითქმის ყოველ წელს ვხდებოდი საქართველოს ჩემპიონი ასაკობრივ ჯგუფებში: 16 წლამდე ვიყავი მსოფლიო ჩემპიონი, გავხდი ქალთა შორის საერთაშორისო დიდოსტატი და ნელ-ნელა დიდი წარმატებებიც მოვიდა.



ძალიან საინტერესო პარტია იყო, ორი ფიგურა შევწირე. რეიტინგების მიხედვით, სხვები იყვნენ ფავორიტები, მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი თამაშობდა, ძალიან ძლიერი კონკურენცია იყო. მაგრამ, გავიმარჯვე და მე გავხდი ფავორიტი

**– რომელი იყო ის ტურნირი, რამაც გარდატეხა შეიტანა შენს ცხოვრებაში?**

– როდესაც სტუდენტი გავხდი, ვსწავლობდი და ჭადრაკს დიდ დროს აღარ ვუთმობდი. ვფიქრობდი კიდეც, რომ, შეიძლება, ეს აღარ ყოფილიყო ჩემი მომავალი პროფესია. მაგრამ, 2009 წელს მოვიგე მაია ჩიბურდანიძის თასი, რომელიც თბილისში ჩატარდა. საერთაშორისო ტურნირი იყო და ბევრი ძლიერი მოჭადრაკე თამაშობდა, ჩემზე რეიტინგით ბევრად მაღალი, მაგრამ, მოვიგე ეს ტურნირი, რომელიც გახდა გარდამტეხი ჩემს ცხოვრებაში პირადი და კარიერული თვალსაზრისითაც. ამის შემდეგ მოვიდა ბევრი წარმატება. ისეთი შედეგები მქონდა, რომ უნდა გამეგრძელებინა თამაში. ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე ქალებში – პირველი ადგილი ავიღე; ასევე, ვიყავი საბერძნეთში, სადაც შევასრულე მამაკაცთა შორის პირველი დიდოსტატის ნორმა. მამაკაცთა შორის დიდოსტატი რომ გახდე, ამისთვის უფრო მეტი გჭირდება. ამ ტურნირით შევასრულე მამაკაცებში დიდოსტატობა. სექტემბერში, ალბათ, უკვე მომენიჭება და ვიქნები მამაკაცთა შორის საერთაშორისო დიდოსტატი. 2009 წლიდან მოვხვდი ეროვნულ ნაკრებში, პირველად ვიყავი სერბეთში ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე, სადაც მეც კარგად ვითამაშე და გუნდმაც. ჩემს დაფაზე ავიღე ვერცხლის მედალი, გუნდმაც პირველი და მეორე ადგილები გაიყო და ვერცხლის მედალი ავიღეთ. ოლიმპიადაზე ავიღეთ ბრინჯაო; მსოფლიო ჩემპიონატზეც ბრინჯაო ავიღე გუნდთან ერთად. შარშან გავხდი საქართველოს ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონატზე ინდივიდუალურში მეხუთე ვიყავი, მანამდე კი მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოვიპოვე, მეორე წელს – მეორე და ახლა მივიღებ მონაწილეობას.

**– იმ ტურნირის შესახებაც გვიამბე, რომელშიც ახლახან მონაწილეობდი და შენს წარმატებას სენსაციაც უწოდეს. რეიტინგში მერვე ადგილზე იყავი და პირველ ადგილზე გახვედი.**

– ეს არის ქალთა შორის 2013-2014 წლის მსოფლიო გრანპრი, ტარდება 6 ეტაპად. თითოეული მონაწილე იღებს 4 ეტაპში მონაწილეობას. ანუ, სულ 18 მონაწილეა, რომლებიც 4 ტურნირში არიან გადანაწილებულები. გრანპრის გამარჯვებული, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად, ხვდება მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულს. გრანპრის გამარჯვებული კი გამოვლინდება 4 ტურნირიდან სამი საუკეთესო შედეგით. ჯერ ვითამაშეთ პირველი ეტაპი და ჩემპიონი გავხდი – 170 ქულა ავიღე. ძალიან მნიშვნელოვანი ტურნირია, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძვი. მეორე ტურნირი იქნება ერთ თვეში, მესამე – სექტემბერში, მეოთხე – მომავალ წელს, თბილისში. სხვა ტურნირში, შეიძლება, მეორეზე გახვიდე, მაგრამ, გეყოს ქულები, თან, სხვის შედეგებზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული. ვნახოთ, რა იქნება, მაინც ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული, ანუ იმაზე, თუ როგორ შედეგებს ვაჩვენებ. ეს ტურნირი ჟენევაში ჩატარდა, ძალიან მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. 12 გოგო ვიყავით, თითომ 11 პარტია ვითამაშეთ – ყველა ერთმანეთს ხვდებოდა. თამაშობდნენ ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონები, ახლანდელი მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპის მრავალგზის ჩემპიონები. ძალიან ძლიერი ტურნირი იყო. ჭადრაკის ელიტას ვინც წარმოადგენს, ყველა იღებდა მონაწილეობას. თავიდან ხუთეულში მოხვედრა ითვლებოდა წარმატებად. მაინცდამაინც კარგად ვერ დავიწყე – ოთხიდან ორი ქულა მქონდა, რადგან, ორი პარტია წავაგე. ოთხი ტურის შემდეგ დასვენების დღე იყო და კარგად მოვემზადეთ მე და ჩემი მწვრთნელი, დავით ჯოჯუა, რომელიც საერთაშორისო დიდოსტატია და ხუთი პარტია მოვიგე ზედიზედ. ბოლოს ისიც მითხრა, ჩვენ პირველზე გავალთო. მე ვუთხარი – შენ უკვე პირველ ადგილზე ფიქრობ-მეთქი? მე – კი

**იქიდან რომ ველაპარაკებოდი მეუღლეს, მეუბნებოდა: თუ გინდა, ცოცხალი დაგხვდე, კარგად მოიგეო. ძალიან ნერვიულობს ხოლმე და ამიტომ, ვურჩევ, არ უყუროს პარტიას, მხოლოდ შედეგი ნახე-მეთქი**

და, შენ – არაო? ნელ-ნელა დავიწყეთ ბრძოლა პირველი ადგილისთვის.

**– ამ თერთმეტში რომელი იყო განსაკუთრებულად რთული პარტია?**

– ყველა რთული იყო. უფრო გარდატეხას დავარქმევდი ბოლოს წინა ტურის პარტიას – უკრაინელ მოჭადრაკეს ვეთამაშე, რომელიც ევროპის ორგზის ჩემპიონია, ძალიან ძლიერი გოგონაა. მე და ერთ სხვა გოგოს ერთნაირი ქულები გვქონდა და, ვინც მოიგებდა, ის გადიოდა წინ. რომ მოვიგე ეს პარტია, ჩემმა კონკურენტმა ყაიმი გააკეთა, ანუ, ნახევარი ქულით გავასწარი და ბოლო ტურში ყაიმიც მაწყობდა იმისთვის, რომ ჩემპიონი გავმხდარიყავი. ძალიან საინტერესო პარტია იყო, ორი ფიგურა შევწირე. რეიტინგების მიხედვით, სხვები იყვნენ ფავორიტები, მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი თამაშობდა, ძალიან ძლიერი კონკურენცია იყო. მაგრამ, გავიმარჯვე და მე გავხდი ფავორიტი.

**– როგორი გამოხმაურება მოჰყვა შენს გამარჯვებას?**

– დაიწერა: შეიძლება, ყველა არ იცნობს მას ისე, როგორც სხვა დანარჩენებს, მაგრამ, ვიცით, რომ კარგად თამაშობს და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ამ შედეგისთვის მიეღწია და გაემარჯვაო. ჩემ მიმართ მოლოდინი დიდია და, შესაბამისად, პასუხისმგებლობაც დიდი მაქვს. იმედია, მაღალ შედეგებს ვაჩვენებთ. ოთხი ტურნირიდან ერთი, ყველაზე ცუდი შედეგი აკლდება და სამი საუკეთესო შედეგი ითვლება. მესამე – არის ტაშკენტში, მეოთხე – თბილისში. მე ვარ თბილისის ნომინანტი. ნანა ძაგნიძე, რომელმაც ამ ტურნირში მესამე-მეოთხე ადგილები გაიყო, კოეფიციენტით მეოთხეზე გავიდა და ეს საკმაოდ კარგი შედეგი იყო, რეიტინგით ისედაც ხვდებოდა. რადგან თბილისი ატარებს ერთ ეტაპს, ამიტომ, შეეძლო, თავისი ნომინანტი წარედგინა გრანპრიზე და მე გავხდი თბილისის ნომინანტი. ეს ორმაგად სასიამოვნო იყო. გრანპრის გათამაშება არ ჩამოუვარდება მსოფლიო ჩემპიონატს; ძალიან რთული და საპასუხისმგებლო ტურნირია, თან, ხვდები მსოფლიო ჩემპიონს და იბრძვი ჩემპიონის ტიტულისთვის.

**– როგორ ეგუება შენს გრაფიკს შენი მეუღლე? ისიც მოჭადრაკე ხომ არ არის?**

– ჩემი მეუღლე, მახო სულაშვილი, ყოფილი მოჭადრაკეა, ბავშვობიდან ვიცნობ. 15 წლის ვიყავი, როდესაც ერთად წავედით ტურნირზე, იქ უფრო კარგად გავიცანით ერთმანეთი და ვმეგობრობდით. საერთაშორისო ოსტატია, მაგრამ, სამსახურის, ოჯახის გამო იშვიათად თამაშობს. 2010 წელს დავქორწინდით ტრადიციულად, თავისი ნიშნობითა და ქორწილით. დიდად არ ერევა ჩემი მომზადების პროცესში, მაგრამ, ზოგჯერ მაძლევს რჩევებს. იქიდან რომ ველაპარაკებოდი, მეუბნებოდა: თუ გინდა, ცოცხალი დაგხვდე, კარგად მოიგეო. ძალიან ნერვიულობს ხოლმე და, ამიტომ, ვურჩევ არ უყუროს პარტიას და პირდაპირ შედეგი ნახოს. ის, რომ ცოლი წავიდეს უცხოეთში ზოგჯერ ერთი თვით, ქართველი კაცისთვის და, ზოგადად, მამაკაცებისთვის, ალბათ, არ არის სასიამოვნო. მაგრამ, მახო გვერდში მიდგას, რაც მისი დიდი პლუსია და ჩემთვის კი ძალიან მნიშვნელოვანია. მართალია, ხანდახან აპროტესტებს ხოლმე, მაგრამ, იცის, რომ ასეა საჭირო. ჩემთვისაც რთულია, მით უმეტეს, რომ ბავშვს ვტოვებ, რომელიც სულ დედას კითხულობს. რომ იღვიძებს, მაშინვე კომპიუტერთან მიდის, რომ სკაიპში მელაპარაკოს. ეს ძალიან რთულია, მაგრამ, ჩემები მეხმარებიან. როდესაც წასული ვარ, მარიამი ჩემს მშობლებთან არის და მშვიდად ვგრძნობ თავს, რადგან, ძალიან მოსწონს მათთან ყოფნა.

**ნათია უტიაშვილი**

**ქალბატონმა, რომელიც საზოგადოებისთვის ეროტიკული ფილმებით, თამამი სცენებითა და ქცევით არის ცნობილი, „მეცხრე არხზე“ ახალი გადაცემა დაიწყო. „16+“ არ გულისხმობს რაიმე ასაკობრივ ცენზს, ის მხოლოდ და მხოლოდ გარკვეულ ინტრიგას ატარებს. როგორ გასცემენ სტუმრები იუნა შაფათავას 16 კითხვას პასუხს, რომლითაც ის მათ გახსნასა და ახალი კუთხით წარმოჩენას ცდილობს, ამას ყველა ერთად ვნახავთ.**

# ვისი ზეწრის ქვეშ არ იხედება იუნა შაფათავა და რის ჩვენებას შეეცდება ის თავის გადაცემაში

**იუნა შაფათავა**: რესპონდენტის ამპლუაში მილიონჯერ ვყოფილვარ, მაგრამ, წამყვანის როლი პირველად მოვირგე და ძალიან მიხარია, რადგან, სულ მინდოდა. ეს არის პატარა ქრონომეტრაჟის, 5-7-წუთიანი გადაცემა, რომელიც გადის კვირაში ერთხელ და ჰქვია „16+“. „თექვსმეტი პლუს“ არანაირი „ნამიოკი“ არ არის, უბრალოდ, გადაცემაში ისმება თექვსმეტი და კიდევ უფრო მეტი კითხვა.

**– თუმცა, შენგან უფრო ასაკობრივ ცენზურას მოელოდნენ.**

– დიახ, ყველა ამას მოელოდა, მაგრამ, ასე არ არის. სერიოზული ფორმატი ავირჩიეთ და, ალბათ, სულ ასე იქნება. ფილმების ამპლუა ფილმებისაა და რეალური ცხოვრება კიდევ სულ სხვა.

**– ანუ, ორი იუნა არსებობს – საჯარო და ნამდვილი?**

– რატომ ორი? ძალიან ბევრი იუნა არსებობს, ალბათ, უფრო ორას ოცდაორი – გააჩნია, ცხოვრებაში რა სიტუაციაა.

**– და, რეალური იუნა როგორია?**

– არ ვიცი, ადამიანი ყველანაირია სხვადასხვანაირ მომენტში: თუ გამაბრაზებენ, საშინლად ბრაზიანი და ცოფიანი ვხდები, ძალიან მხიარულიც ვარ, გართობაც მიყვარს, ძალიან სერიოზულიც ვარ და ვლოცულობ კიდეც. მონასტერში ძალიან ხშირად დავდივარ, არც მინდა ამაზე საუბარი – ძალიან სათუთი თემაა. მოკლედ, ჩამოთვლა რომ დავიწყო, ძალიან შორს წავალ. რაც შეეხება პროფესიებს, ვარ ენის სპეციალისტი, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მენეჯერი, იურისტი. ვაკეთებ თარგმანებს. ვარ ჩემი დის მენეჯერი და სპონსორი, რომელიც ჩოგბურთის ნაკრების პირველი ჩოგანია. სოფიკო შაფათავა ჩემი დაა. წელს ჩოგბურთის დაფინანსების კუთხით დიდი პრობლემებია და ამასთან დაკავშირებით, ალბათ, დიდი ბრძოლები მომიწევს. პლუს, ვწერ, ვმღერი. შარშან ფრანგული სიმღერა ჩავწერე. შაბათობებშიც მიმიღია მონაწილეობა და შუშებიც მიწმენდია.

**– შედის შენს გადაცემაში ინტიმური შეკითხვები?**

– არა, ნამდვილად არა. მე უფრო ღრმა ფსიქოლოგია მაინტერესებს, ვიდრე ყვითელი თემები. მესმის, რომ პირადი ცხოვრება ძალიან საინტერესოა, მაგრამ, რასაც ჩვენ ვხედავთ ზედაპირზე, ხშირად ის მოჩვენებითია და რეალობასთან ოდნავაც არ არის ახლოს. ნებისმიერ შოუში, იქნება ეს ოპრას, ელენ დი ჯენერისის თუ სხვა, თავის სტუმარს ყველა სხვადასხვანაირად ხედავს. სხვადასხვა არხზე ჩვენი მსახიობები, პოლიტიკოსები, საჯარო პირები სულ სხვადასხვანაირად ჩანან. ვეცდები, ჩემი სტუმრების ის მხარე ვაჩვენო, რომელიც მაყურებლისთვის ახალი იქნება. ჩემთვის

**„გამარჯობას“ რომ ვეტყვი, უკვე ხვდებიან, ეს რა გამარჯობაა – დისტანციის გამჩენი თუ, პირიქით – ახლოს მოსაშვები**

მთავარია, ადამიანი შევისწავლო, ზედაპირიდან ღრმად ჩავიდე, მისი კარგი და ცუდი მხარეები ვაჩვენო და მერე უკვე მაყურებელმა გადაწყვიტოს, როგორია ის. რა თქმა უნდა, შვიდ წუთში ამის გაკეთება რთული იქნება, მაგრამ, ვეცდები. რა კუთხით დაინახავს სტუმარი ამა თუ იმ კითხვას, ეს მის პიროვნებაზე ილაპარაკებს. ეს ღრმა ფსიქოლოგიაა...

**– რატომ არ აირჩიე ის მიმართულება, რომელსაც უფრო მოელოდნენ შენგან – რატომ არ იყურები ზეწრის ქვეშ?**

– არ მაინტერესებს, ზეწრის ქვეშ რა ხდება. ამის სურვილი რომ გამჩენოდა ოდესმე, შესაძლებლობა მქონდა, ცნობილი ვიდეოებით სწორედ ასეთი იმიჯი შემექმნა. ეს იყო პროექტის პრომოს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ძალიან საინტერესო პროექტზე ვმუშაობდი მაშინ, რომელიც ზუსტად ზეწრის ქვეშ იხედებოდა, თუმცა, არ შედგა. მაგრამ, რა ვიცით, რა ხდება ხვალ?! კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ეს თემები არ მაინტერესებს, რადგან, ჩემზე ზეწრის ქვეშ იმდენი ილაპარაკეს ადამიანებმა, რომლებსაც წარმოდგენა არ აქვთ, ვინ ვარ, რომ, მივხვდი, ეს ძალიან კომიკურია.

**– შენ თავად ხომ არ შეუწყვე ხელი ამ საუბრებს?**

– არ ვუწყობ ხელს მათ ასეთ ლაპარაკს, რადგან, ადამიანები ხედავენ იმას, რისი დანახვაც თავად უნდათ.

**– მაგრამ, რატომ არ ხედავდნენ დედა ტერეზაში?**

– რა იცით, რომ არ ხედავდნენ?! ბოლო დროს დედა ტერეზას გარშემო ძალიან ბევრი ჭორი აგორდა. როდესაც ვიღაც ცნობილ პიროვნებაზე ვკითხულობ რაღაცას, სულ მაინტერესებს მისი პირადი ცხოვრება, შეყვარებული, სიყვარული... ჩვენ ხომ ინსტინქტებით ვმოქმედებთ. ინსტინქტებზეა ყველაფერი დამოკიდებული. თუ შენ მშიერი, მწყურვალი, დაუკმაყოფილებელი ხარ, მაღალ მატერიებზე ვერ იფიქრებ – ეს ელემენტარულია. რით ვირთობთ თავს? ადამიანმა მთელი დღე ფიზიკურად იმუშავა, მივიდა სახლში და იმას დასვენებაც უნდა და ქალისა და ზეწრის დანახვაც. ყველას აინტერესებს ის, რისი გაკეთება თავადაც შეუძლია. ამიტომ არის, რომ წარმატებული ადამიანი არც ისე ბევრია, პოპულარული კი – ძალიან ბევრი.



**ქალისთვის და, მით უმეტეს, ქერა ქალისთვის, წარმატების მიღწევა ათმაგად რთულია**

**– თავს პოპულარულ ადამიანად მიიჩნევ თუ წარმატებულად?**

– საქართველოს პირობებში წარმატების მიღწევა ძალიან რთულია. შენს სფეროში რომ ექსპერტი იყო, ამას ძალიან ბევრი „წყალქვეშა დინება“ ახლავს თან, უამრავი შეფერხება გხვდება. ქალისთვის და, მით უმეტეს, ქერა ქალისთვის, ეს ათმაგად რთულია. ჩვენი მამაკაცები ქალს როგორც გართობის ობიექტს ისე აღიქვამენ. უამრავ მოლაპარაკებაზე ვარ ნამყოფი, შევარდნაძის დროიდან საკმაოდ მაღალ პოზიციებზე ვმუშაობდი, მაგრამ, საზოგადოებას სერიოზულად რომ აღვექვი, ძალიან ბევრი მონდომება დამჭირდა. ვინმეს ცოლი ან საყვარელი თუ ხარ, მაშინ სხვანაირად ხდება ამბავი. არის ძალიან იშვიათი გამონაკლისებიც, მაგრამ, ძირითადად, ცდილობენ, მოგიპოვონ. არიან ისეთი ქალებიც, ვინც აქეთ ცდილობს მამაკაცის მოპოვებას და ეს უკვე მომგებიანი პოზიციაა.

**– შენ რომელი გირჩევნია – როცა მონადირე ხარ თუ, როდესაც შენზე ნადირობენ?**

– მადლობა ღმერთს, იმ სტადიაზე ვარ, რომ ახლა არც ერთი არ მაინტერესებს. თუმცა, თავი ორივე ამპლუაში მაქვს გამოცდილი და საკმაოდ წარმატებულად.

**– ნადავლი როდის უფრო გემრიელია?**

– გააჩნია ხასიათს. ზოგჯერ გინდა, რომ ვიღაცის ნადავლი იყო, ზოგჯერ კი – მონადირე. აზარტი ორივე შემთხვევაშია. ამ ეტაპზე ჩემს ორბიტაზე ჩემთვის საინტერესო პიროვნება არ არის და, რომც იყოს, არ მქონია ისეთი შემთხვევა, როცა მდომებია და არ მიმიღწევია. მამაკაცების ეს დამოკიდებულება მხოლოდ ვიზუალიდან არ მომდინარეობს. მივლია ღრმა დეკოლტეთიც და საკმაოდ მკაცრად ჩაცმულსაც, მაგრამ, ეს რუსული ტიპაჟი მაინც სხვანაირად მოქმედებს. რატომღაც, უყვართ ჩვენს კაცებს სლავური ტიპის ქალები. მე თვითონაც ძალიან მომწონს კავკასიელი კაცები – როგორც ჩანს, ეს გენეტიკური კოდია. მაგრამ, დისტანცირება მამაკაცებთან პრობლემა არ არის: „გამარჯობას“ რომ ვეტყვი, უკვე ხვდებიან, ეს რა გამარჯობაა – დისტანციის გამჩენი თუ, პირიქით – ახლოს მოსაშვები. შენ რა გინდა, ესაა მთავარი – შეგიძლია, ეს დისტანცია წამებში შეამცირო ან სამუდამოდ დატოვო.

**– ეს ხერხები გამოცდილების შედეგად მოვიდა თუ თანდაყოლილი სიკეკლუცის უნარებია?**

– ნამდვილად გამოცდილების შედეგია. იბადებიან ასეთები, თან, დედებზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული. მე, მაგალითად, ისე გავთხოვდი, ცხოვრებაში პაემანზე არ ვიყავი ნამყოფი. ჩემი პირველი მამაკაცი ჩემი პირველი სიყვარული, ჩემი ქმარი იყო. მერე და მერე იძენ გამოცდილებას. კარგი გაკვეთილები მქონდა ცხოვრებაში, კარგი ადამიანებიც შემხვედრიან და ცუდიც, მათ შორის – მამაკაცები, თავიანთი დაჟინებული თხოვნებით, ზარებით, რაც ჩემთვის ამაზრზენია. ქართველმა კაცებმა ხომ საერთოდ არ იციან, რა არის თაყვანისცემა, როგორ უნდა ქალის მოხიბვლა, ერთეულებს თუ არ ჩავთვლით. ამიტომ, ძნელია მათთან ურთიერთობა, მათ მხოლოდ ერთი უნდათ – შენი ხელში მოგდება და, იცი, როგორი მეთოდებით?!

**– სლავ ქალებზე ეს მეთოდები კარგად მოქმედებდა და როგორც ჩანს, აღარ ჭრის.**

– სლავ ქალებთან სხვანაირად იქცევიან და ეს ჩვენი, როგორც ქალების, ისე მამაკაცების, უბედურებაა. ისინი სხვანაირად ითხოვენ. მათი მიდგომა ასეთია: მე ვარ ქალი და მე მეკუთვნის ყველაფერი საუკეთესო ბუნებისგან.

**– ახლა რა ეტაპი გაქვს ცხოვრებაში?**

– ახლა მარტო ვარ, არავინ მყავს, მაგრამ, ზუსტად ვიცი, ვინ მჭირდება გვერდით: მჭირდება ძალიან სერიოზული ადამიანი, ვინც ყველანაირს მიმიღებს, მთელი ჩემი კაპრიზებით, სურვილებით. საკმაოდ მომთხოვნი ვარ და ამიტომაც ვარ მარტო.

**– ანუ, პრინცს ეძებ?**

– პრინცს არა, კარგ, მძიმეხასიათიან ნამდვილ მამაკაცს...

**– ნამდვილ მამაკაცს მძიმე ხასიათი აქვს?**

– ჩემთვის – აუცილებლად. არ მჭირდება სულელი და ჩერჩეტი, თორემ... გვერდით მინდა მამაკაცი, რომელიც გამანებივრებს, ყველა სურვილსა და ფანტაზიას დამიკმაყოფილებს – რატომაც არა?! ძალიან მინდა, გამანებივრონ და, ალბათ, ვიპოვი ასეთს.

**სალომე გველესიანი**



# ელის თუ არა ყველა ქალს ღალატი, იმედგაცრუება და ოცნების კოშკების დანგრევა

**თემა ძველია – თითქმის მარადიული... მასზე ბევრჯერ გვისაუბრია და, ალბათ, კვლავ ბევრჯერ ვილაპარაკებთ, თუმცა, საეჭვოა, მოვძებნოთ ამ პრობლემის მოგვარების საშუალება. ღალატი – დამანგრეველი, პიროვნების მტერი და საშინელი სტრესი, რომელიც კაცობრიობასავით ძველია. არასდროს ყოფილა ღალატი ადვილად მისატევებელი და დასავიწყებელი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლოს ქალების უმრავლესობა თითქმის თანხმდება იმაზე, რომ ღალატის პატიება შეიძლება ერთხელ მაინც... თუმცა, საბოლოოდ, ღალატი სერიოზულ საზოგადოებრივ პრობლემად რჩება.**

ირინა *(31 წლის):* გამიგია, რომ უმძიმესია ღალატის გადატანა ორმოც წელს გადაცილებული ქალისთვის, მაგრამ, არც ჩემს ასაკში გამოდგა ეს მარტივი. მეტსაც გეტყვით, ვერასდროს და ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ასეთ სიმწარეს გამოვცდიდი. ვიცი, რომ ყველა ამას ლაპარაკობს და ყველას ერთნაირი რეაქცია აქვს, ანუ ორიგინალურობით არ გამოვირჩევი.

**– ღალატის შემდეგაც თითქმის ყველა ერთნაირად იქცევა.**

– ვერ ვიტყოდი. ერთად შვიდი წელი ვიცხოვრეთ. ჩვენი სიყვარული საკმაოდ ადრეულ ასაკში დაიწყო: ოცი წლის ვიყავი, როცა გავიცანი. თითქმის ოთხი წელი გვიყვარდა ერთმანეთი. სიცოცხლე ვერ წარმომედგინა მის გარეშე. სხვათა შორის, დღესაც ასე ვარ. მიუხედავად იმისა, რაც მოხდა, მეშინია მის გარეშე ცხოვრების. ასე მგონია, ჰაერი აღარ მეყოფა და დავიხრჩობი. ზოგიერთი ჩემი მეგობარი მეუბნება, ასე ძალიან რომ გიყვარს და რომ იცის, ყოველთვის ყველაფერს აპატიებ, ამიტომაც მოგექცა უსარგებლო ნივთივითო. არ მესმის, რა არის არაბუნებრივი იმაში, რომ ცოლს ქმარი უყვარდეს. აბა, როგორ უნდა იცხოვრო კაცთან, თუ არ გეყვარება; როგორ უნდა განსაზღვრო ის „დოზა“ სიყვარულისა, რომელსაც არ უნდა გადააჭარბო, რომ ქმარმა არ გიღალატოს?! აბსურდამდე მივალთ ასეთი მსჯელობით. სხვათა შორის, გათხოვების პირველი ორი წლის განმავლობაში თავს ძალიან დაუცველად და არამყარად ვგრძნობდი. ვერ ვიჯერებდი, რომ შევძლებდი ოჯახის გაძღოლას ან ქმრისთვის სასურველ ქალად დარჩენას. ყველაზე ძალიან სწორედ ამის მეშინოდა, ლამის ფობიად მექცა. შეჩვევა საშინელებაა, კლავს სიყვარულს. ჩემი ქმარი იქამდე მივიდა, რომ მითხრა: კი მიყვარხარ, შენ გარეშე ძალიან გამიჭირდება, ისე შეგეჩვიე, მაგრამ, შენს სხეულსაც შევეჩვიე და რაღაც ახალი მინდოდაო. სასტიკი გულახდილობაა, ხომ მართალია?! მაგრამ, ლოგიკაც არის მასში და, ამიტომაც, უნდა გაუგო ადამიანს.

**– გაუგეთ და აპატიეთ?**

– ეჰ, ასე მარტივად რომ ყოფილიყო საქმე... ყველაზე მტკივნეულად ის განვიცადე, რომ საკუთარი თვალით ვნახე მისი ღალატის დამადასტურებელი ფაქტი. ჩემი ქმრის სამსახურში კორპორაციული წვეულება იყო და მეც დამპატიჟეს. რესტორნის დიდ დარბაზში იყო მოწყობილი ალაფურშეტი. დარბაზში ყველანი თავისუფლად დავსეირნობდით. მეც ვიღაცეები მელაპარაკებოდნენ, მეცნობოდნენ... უცებ თვალი მოვკარი, ჩემი ქმარი გასასვლელისკენ წავიდა, მივხვდი, რომ ქუჩაში აპირებდა შეუმჩნევლად გასვლას. უკან გავყევი. არ არსებობს ქალი, რომელიც ჩემს ადგილას სხვანაირად მოიქცეოდა. სიმართლე გითხრათ, მერჩივნა, არ გავყოლოდი – იმ ტკივილს მაინც ავცდებოდი, რაც განვიცადე. რაც ვნახე, იმან ერთ წუთში დაუკარგა ფასი ყველაფერს და შვიდწლიანი ბედნიერი თანაცხოვრება აბსურდად იქცა. იმ წუთში ისეთი უსუსური ვიყავი, მგელივით ყმუილი მინდოდა... რესტორანთან გაჩერებულ მანქანაში ჩემი ქმარი ვიღაც ქერა ქალს ჰკოცნიდა. ვიცანი – მისი თანამშრომელი იყო. სულ ერთი წამით წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა. მუხლები მომეკვეთა და, როგორ არ წავიქეცი, ძალიან მიკვირს. ისიც მიკვირს, საიდან მოვიდა ძალა, რომელმაც შემაძლებინა უკან, დარბაზში დავბრუნებულიყავი. ჩემი ჩანთა მოვძებნე, მინდოდა, სწრაფად გავცლოდი იქაურობას, გავქცეულიყავი სადმე შორს... ჩემი ქმრის თანამშრომელმა, რომელთანაც ვმეგობრობთ კიდეც, შემამჩნია, რაღაც რომ მჭირდა. მოვიდა და გაკვირვებით მკითხა, რა მოხდა, სად მიდიხარ, დიტო სად არისო. სახლიდან დამირეკეს, ბავშვი აღარ ჩერდება, სასწრაფოდ უნდა წავიდე. დიტოს ვერ ვპოულობ, მაგრამ, არა უშავს, ტაქსით წავალ და გზიდან დავურეკავ-მეთქი. ეტყობა, ჩემი ხელოვნური სიმშვიდე ნაკლებად დამაჯერებელი იყო, რადგან, აღარ მომეშვა – მე გაგაცილებო. ძლივს დავარწმუნე, არ გამომყოლოდა. ტაქსიში ხმამაღლა ვტიროდი. მძღოლი გაოცებული მიყურებდა, მაგრამ არაფერი უკითხავს. სახლში დასიებული თვალებით მივედი. ბავშვს უკვე ეძინა. ძიძა ტელევიზორს უყურებდა. შეიძლება, ძალიან უნდოდა, ეკითხა, რატომ დავბრუნდი სახლში მარტო, მაგრამ, მიხვდა, რომ ჯობდა, ჩუმად წასულიყო. კარი ჩავკეტე და მთელი ხმით ავბღავლდი. კონიაკი ვიპოვე, დავიდგი წინ და სმა დავიწყე. თან საკუთარ თავს ველაპარაკებოდი, კითხვებს ვუსვამდი – ასე რატომ მოხდა, რატომ მივედი აქამდე-მეთქი. მშვენივრად ვცხოვრობდით ერთად – არც ვჩხუბობდით, არც სკანდალებს ვუწყობდით ერთმანეთს... ნუთუ ჩემში ქალს ვეღარ ხედავს? ან, იქნებ, აღარ სიამოვნებს ჩემი მოფერება, ჩემი კოცნა? ისე მომექცა, როგორც უსარგებლო ნივთს, არაფრად ჩამაგდო. იმასაც არ მოერიდა, რომ იქვე, ახლოს ვიყავი. ხაზი გადაუსვა ყველაფერს, რაც გვაკავშირებდა. მანქანაში მოაწყო ორგია საყვარელთან – ამაზე უარესი რა შეიძლება მოხდეს-მეთქი. თითქმის მთელი ბოთლი დავლიე... მერე ავდექი, კარადიდან ჩემი ქმრის ტანსაცმელი გამოვიღე და შემოსასვლელში დავყარე. ორი საათის შემდეგ მოვიდა. რიხზე იყო – სად წამოხვედი, თავი რატომ მომჭრიო. იატაკზე დაყრილი ტანსაცმელი რომ დაინახა, ცოტა შეცბა, მაგრამ, უკან მაინც არ დაიხია. მოვუყევი, რაც ვნახე... ვეღარ გაბედა, ეთქვა, მოგეჩვენაო. იმავე ღამეს ვაგდებდი – წადი იმ შენს საყვარელთან-მეთქი. იცოდე, თუ გამაგდებ, აუცილებლად ინანებ ამას. ახლა მთვრალი ხარ, დილით ვილაპარაკოთო. რაც ხელში მომხვდა, ყველაფერი ვესროლე. ხმას არ იღებდა, იდგა და მიყურებდა. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს... მე მას უკან აღარ მივიღებ. თავს უარესად არ გავიმასხრებ და არ დავიმცირებ. ამით ის გამოვა, რომ ჩემს სიყვარულზე ვიტყვი უარს. მე ხომ მაინც მიყვარს ჩემი ქმარი, მიუხედავად ყველაფრისა. რას მივიღებ მისი გაგდებით? – დავრჩები მარტო და ვიგლოვებ. ბავშვიც მამის გარეშე გაიზრდება. იქნებ ჯერ დაველაპარაკო და გავიგო, რა მოხდა, რატომ მოხდა, სინდისი თუ მაინც აწუხებს-მეთქი.

**როგორ უნდა განსაზღვრო სიყვარულის ის დოზა, რომელსაც არ უნდა გადააჭარბო, რომ ქმარმა არ გიღალატოს?!**

**– ფაქტობრივად, განეწყვეთ პატიებისთვის.**

– ალბათ. გითხარით და ისევ ვიმეორებ – სიყვარული ისევ მაქვს ჩემი ქმრის მიმართ. გავაცნობიერე, რომ, თუ გავაგდებდი და არ ვაპატიებდი, უარესად ვიქნებოდი. თან, რა ვიფიქრე, იცით?! რადგან ვაგდებ და არ მიდის, ესე იგი, წასასვლელი არა აქვს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იმ ქალთან სერიოზული არაფერი აქვს-მეთქი.

# როგორ ეძებს ალმა-ატაში მცხოვრები კაცი მამას, რომელიც მას არასდროს უნახავს

***45 წლის არტურ ედუარდის ძე სოტნიკოვი (დედის გვარზეა) ეძებს: დაახლოებით 65 წლის ედუარდს (გვარი და მამის სახელი უცნობია).***

**ისტორია**: ვეძებ მამაჩემს, დაახლოებით 65 წლის ედუარდს (გვარი და მამის სახელი უცნობია). მე მამაჩემი არასდროს მინახავს. მის შესახებ თითქმის არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ ის ქართველია და თბილისში ცხოვრობდა. მაქვს მამის ფოტო. ძალიან მინდა მისი პოვნა. თქვენი დიდი იმედი მაქვს, იქნებ მშობლის მოძებნაში დამეხმაროთ. პირადად მე, ალმა-ატაში ვცხოვრობ, აქ დავიბადე და გავიზარდე. მამაჩემი, სავარაუდოდ, დღემდე თბილისში უნდა ცხოვრობდეს.

**– როგორ მოხდა, რომ მამა არასდროს გინახავთ, გვიამბეთ თქვენი ისტორია.**

– დედაჩემმა – ლუდმილა ვიქტორის ასულმა



სოტნიკოვამ მამაჩემი ალმა-ატაში გაიცნო. მამა იქ დროებით იყო ჩამოსული. მაშინ ისინი ახალგაზრდები იყვნენ. მამა დაახლოებით 19-20 წლის იქნებოდა, დედა კი 18 წლის იყო. დედას შეუყვარდა ედუარდი და შედეგად მე დავიბადე. მამაჩემი თავის სამშობლოში დაბრუნდა. მან არ იცის ჩემი არსებობის შესახებ. 45 წელია უკვე გასული მას შემდეგ, რაც ეს ისტორია მოხდა, მაგრამ მამა ალმა-ატაში, როგორც ჩანს, აღარ ჩამოსულა და დედასთანაც არანაირი კავშირი აღარ ჰქონია. ამჟამად მას, ალბათ, ოჯახი აქვს და არც ის არის გამორიცხული, ბაბუა იყოს. თავად მე უკვე ორი შვილი მყავს და ძალიან მინდა, ისინი საკუთარ ბაბუას იცნობდნენ. დედის გვარზე ვარ. ისე გავიზარდე, მამა არასდროს მინახავს. სულ მაინტერესებდა, როგორია, რა ხასიათის ადამიანია. დედის მონაყოლიდან მხოლოდ ის ვიცი, რომ მას ედუარდი ერქვა და თბილისიდან იყო.



**– აქამდე თუ ეძებდით მამას ან მისი მოძებნა ახლა რატომ გადაწყვიტეთ?**

– მამის ნახვა და გაცნობა ყოველთვის მინდოდა, მაგრამ გამბედაობა არ მყოფნიდა, მომეძებნა. ბევრს ვფიქრობ, პოვნის შემთხვევაში რას ვეტყვი ან როგორი იქნება მისი რეაქცია. მან ხომ ჩემი არსებობის შესახებ არაფერი იცის. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, გადავწყვიტე განაცხადის გაკეთება „ჟდი მენიას“ სამძებრო საიტზე. იმ მოკლე ინფორმაციით, რასაც მე ვფლობ, მისი მოძებნის შანსი „ჟდი მენიას“ საშუალებით ნულია, მაგრამ მას შემდეგ, რაც თქვენი რუბრიკის შესახებ შევიტყვე, იმედი მომეცა. მამის ფოტო ჩემი ერთადერთი იმედია, ძალიან მინდა, რომ გამომეხმაუროს.

**– როგორ ფიქრობთ, თქვენი არსებობის შესახებ რომ გაიგებს მამა, რა რეაქცია ექნება მას, ან მის ოჯახს?**

– დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემ გამოჩენას ყველანი მშვიდად მიიღებენ. მე მამისგან არაფერი მინდა, გარდა იმისა, რომ გავიცნო და ცხოვრებაში ერთხელ მაინც ვნახო. მესმის, რომ ჩემი გამოჩენა, შეიძლება, შოკის მომგვრელიც კი იყოს მისთვის, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. რაც მთავარია, ცხოვრება ძალიან ხანმოკლეა იმისთვის, რომ რაღაც არ გააკეთო და შემდგომ ძალიან ინანო. მე, მაგალითად, მამის პოვნა მინდა, მაგრამ თუკი მას ამის სურვილი არ ექნება, ამასაც გაგებით მოვეკიდები. იმას ხომ მაინც გავიგებ, როგორია და ისიც გაიგებს, რომ ალმა-ატაში შვილი ჰყავს.

**– დედამ თუ იცის, რომ მამას ეძებთ და რა რეაქცია აქვს ამასთან დაკავშირებით?**

– დედაჩემს ჩემი იდეა თავიდანვე არ მოსწონდა, ამბობს, რომ ედუარდს, ალბათ, უკვე დიდი ხანია, თავის ცხოვრება აქვს და ამიტომ, ჩემი გამოჩენა უადგილო იქნება. მაგრამ, მას შემდეგ, რაც მე არაერთხელ ავუხსენი, თუ რა მნიშვნელოვანია ჩემთვის ის ფაქტი, რომ მამა გავიცნო, მას წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, მხოლოდ იმას განიცდის, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდეს. ედუარდის სურათიც მან მომცა, დიდი ხვეწნის შემდეგ. ფოტოს ის ჩემთვის ინახავდა. როდესაც გავიზარდე, მაშინ მანახა და მითხრა: აი, ეს კაცია მამაშენიო. მას შემდეგ, რაც სრულწლოვანი გავხდი, მამის მოძებნა ჩემი ერთ-ერთი ოცნება გახდა.

*თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიის შესახებ ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.*

**ნატალია მახარაშვილი**

---

**– სერიოზული, ანუ?**

– სიყვარული. გრძნობაა სერიოზული და არა გართობის სურვილი.

**– ანუ, თუ ქმარი სხვა ქალებში ერთობა, არა უშავს, მთავარია, არ შეუყვარდეს?**

– თქვენ ვერ გამიგეთ. როგორ არა უშავს... ესეც ძალიან მძიმეა და საშინლად დამამცირებელი, მაგრამ, როცა ადამიანი გიყვარს, თანაც, ისე გიყვარს, როგორც მე მიყვარს ჩემი ქმარი, ბევრ რამეზე დახუჭავ თვალს.

## რაც ვნახე, იმან ყველაფერს ერთ წუთში დაუკარგა ფასი. შვიდწლიანი ბედნიერი თანაცხოვრება აბსურდად იქცა

**– და, აბიჯებ საკუთარ თავმოყვარეობას?**

– სიყვარული და თავმოყვარეობა ერთმანეთთან ვერ თანხმდებიან – ეს ფაქტია და რეალობაც ესაა. როცა ასეთი პრობლემა გიჩნდება, ჯობია, რჩევა არავის ჰკითხო და საკუთარი გულის კარნახით იმოქმედო. ორი უბედურებიდან ნაკლები უბედურება უნდა აირჩიო. მე მყავს ორი დაქალი, რომლებმაც არ აპატიეს ქმრებს ღალატი და ახლა დეპრესიაში ცხოვრობენ. თუ არ შეგიძლია, გააგდო და ახალი ცხოვრება დაიწყო უკვე მის გარეშე, მაშინ, უნდა აპატიო და დაივიწყო მომხდარი.

**– თუ დავიწყებაც არ შეგიძლია?**

– ჰო, ეგ მძიმე საკითხია. ძალიან რთულია, აპატიო და კიდევ უფრო რთულია – დაივიწყო. აი, ეს მეორე პუნქტი, პრაქტიკულად შეუსრულებელია. დილით ჩემი ქმარი ცდილობდა, რაღაც აეხსნა, რაღაც იდიოტური არგუმენტები მოჰყავდა, მომხდარის იმ ქალზე გადაბრალების მცდელობაც კი ჰქონდა. თითქოს ბოდიშიც მოიხადა... მოკლედ, ვუსმენდი და მეცოდებოდა, ისე წვალობდა. ერთი თვე არ ველაპარაკებოდი. ძალიან დაძაბული, ფეთქებადსაშიში ატმოსფერო იყო ჩვენს სახლში. სხვათა შორის, ამ პერიოდის განმავლობაში ქმარი მკაცრი დაკვირვების ქვეშ მყავდა. ერთ საღამოს თქვა, რომ ფირმა სხვა ფილიალში გადადიოდა. მერე უცებ სამოგზაუროდ წამიყვანა, იქაც ბოდიში მოიხადა და პატიება მიიღო – მივეცი შანსი მასაც და საკუთარ თავსაც. შეიძლება, დიდი სისულელე გავაკეთე, მაგრამ, არა უშავს. აღარ ვიდარდებ. ეს ნაბიჯი აუცილებლად უნდა გადამედგა. ვინც ჩემსავით შეყვარებული არ ყოფილა, ის ვერც გამიგებს. დანგრევაზე ადვილი არაფერია, აშენებაა ძნელი. ამიტომ, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა დაანგრიო.

**დალი მიქელაძე**

---

# რედაქციაში წერილი მოვიდა

**რამდენიმე წლის განმავლობაში ჩემი ქმარი ძალიან წარმატებულად მატყუებდა და მღალატობდა. დიდი სკანდალების მიუხედავად, ოჯახი მაინც არ დავანგრიეთ და ეს მძიმე პერიოდი რაღაცნაირად გადავიტანეთ. ახლა მე ვარ გატაცებული ერთი მამაკაცით. მთელი ცხოვრება ვნატრობდი, გვერდით ასეთი ადამიანი მყოლოდა. მასაც ვუყვარვარ და მეუბნება, თუ ქმრისგან წამოვალ, მზად არის ჩემთან შექმნას ოჯახი. როგორ მოვიქცე? ზოგჯერ ვფიქრობ – ჩემი ქმარი იმსახურებს იმას, რომ მივატოვო.**

**გამოხმაურება:** არაფრის გაკეთება არ შეიძლება პრინციპით – „ის ამის ღირსია“, „ის ამას იმსახურებს“, „მოდი, სამაგიეროს გადავუხდი“... ანუ, თუ არ გაქვთ ჭეშმარიტი გრძნობა იმ მამაკაცის მიმართ, ჯობია, ჯიბრით და პრინციპით არ იმოქმედოთ. მოკლედ, ჰკითხეთ საკუთარ თავს, მართლა გიყვართ ის კაცი და გინდათ მის გვერდით ცხოვრება თუ არა.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა როზაქიძე**

**კომპოზიტორ დათო ევგენიძეს კინოსა და მუსიკის ბევრ ცნობილ ვარსკვლავთან აკავშირებს მეგობრობა და შემოქმედებითი ურთიერთობები. მათ შორისაა ფიოდორ ბონდარჩუკიც. ევგენიძისა და ბონდარჩუკის მეგობრობა სათავეს კომპოზიტორის კარიერის დასაწყისში, ქალაქ მოსკოვიდან იღებს. ჩვენი რესპონდენტია დათო ევგენიძე.**

# როგორ აპირებს დათო ევგენიძე თემურ ლენგისთვის სამაგიეროს გადახდას საქართველოს რვაჯერ აოხრების გამო

**დათო ევგენიძე:** მოსკოვთან საკმაოდ ბევრი წელი მაკავშირებს. 1977 წელს ჩავაბარე მოსკოვის კონსერვატორიაში, შემდეგ იყო ასპირანტურა. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მქონდა დიდი თეატრის პერიოდი. სადაც ჩემი სამი დივერტისმენტი დაიდგა.

– **მოდი, სტუდენტობის წლები გავიხსენოთ.**

– სიამოვნებით. იქიდან გამომდინარე, რომ მშობლებს არ უნდოდათ საერთო საცხოვრებელში მეცხოვრა, ჩემი გიჟი ხასიათის გამო, ბებია გამაყოლეს და იქვე ბალშაია გრუზინსკაიაზე მიქირავეს ბინა. მეოთხე კურსზე უკვე სტანისლავსკის ქუჩაზე გადავედით, უფრო ახლოს კონსერვატორიასთან. სწორედ იქ გავიცანი ფიოდორ ბონდარჩუკი და დავუახლოვდი. იმ დროს სკოლის მოწაფე იყო. მე მასზე 6 წლით უფროსი ვარ. სტანისლავსკის ქუჩასთან იყო სკვერი, მასში – კომპოზიტორთა კავშირი. ოდნავ მოშორებით – რესტორანი „ბალალაიკა”. იქვე ცხოვრობდნენ: ნინო ანანიაშვილი, ალიკა სმეხოვი, ანრის ლიეპა, გია ჩუბინიშვილი... ვინც სხვაგან ცხოვრობდა, ისინიც ამ ბაღში მოდიოდნენ. მოკლედ, ტუსოვკის ადგილი იყო. მე ამ თაობაში ცოტა მასწავლებელივით ვიყავი, 6 წელი იმ ასაკში უფრო შესამჩნევი იყო. ჩვენ ძალიან დავახლოვდით: ჯარში მე გავაცილე ფედია ბონდარჩუკიც, სტიოპა მიხალკოვიც.



**იქიდან გამომდინარე, რომ მშობლებს არ უნდოდათ, საერთო საცხოვრებელში მეცხოვრა, ჩემი გიჟი ხასიათის გამო, ბებია გამომაყოლეს და იქვე, ბალშაია გრუზინსკაიაზე მიქირავეს ბინა**

– **სტიოპა, ნიკიტა მიხალკოვის შვილი?**

– კი, ნიკიტა მიხალკოვისა და ანასტასია ვერტინსკაიას პირველი შვილი. გვქონდა მიმოწერა. ეს იყო ბავშვობისა და ჩვენი მეგობრობის დასაწყისი. ჩვენთან მოდიოდნენ. ბებიაჩემის ხაჭაპურებზე გიჟდებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდათ აგარაკები და უზარმაზარი სახლები, რატომღაც ჩემი სახლი იყო ხოლმე ცენტრი. ხშირად ღამითაც ჩემთან რჩებოდნენ.

მოგვიანებით, ცოტა ხნით საქართველოში დავბრუნდი, როდესაც მოსკოვში ჩავედი, ისინი უკვე სარეჟისორო ფაკულტეტის პირველკურსელები იყვნენ.

– **როდის დაიწყო თქვენი შემოქმედებითი ურთიერთობა?**

– პირველი შემოქმედებითი ურთიერთობა შედგა, როდესაც მათ გააკეთეს პროექტი „პაკალენიე” – ვიდეოკლიპების ფესტივალი. ის არ ყოფილა ერთწლიანი: „პაკალენიე 93”, „პაკალენიე 94” და ასე შემდეგ გრძელდებოდა. ერთ-ერთ ასეთ ფესტივალზე ჩემმა კლიპმაც აიღო ნომინაცია, რომლის რეჟისორიც თვითონ ფედია იყო. სხვათა შორის, ეს იყო პირველი საერთაშორისო კლიპი, რომელიც უცხოეთში, რუსეთის გარეთ იქნა გადაღებული. კლიპში ჩემი სიმღერა ჟღერდა, ვასრულებდით დუეტში მე და კრისტინა ორბაკაიტე. ეს იყო 1993 წელს.

მომდევნო წელს გავაკეთე პირველი ინტერნაციონალური ფესტივალი – რუსი მუსიკოსები პირველად გავიყვანე დასავლეთში და დასავლეთის ვარსკვლავებთან ერთად ერთ სცენაზე დავაყენე. ამ ყველაფერს კი წინ უძღოდა ჩემი 4-წლიანი წასვლა კანარებზე.

– **რა ხდებოდა კანარის კუნძულებზე და საერთოდ, როგორ აღმოჩნდით იქ?**

– ფრანგები ფლობდნენ კანარებზე „მიუზიკ ქლაბებს“. ივ როშე, ცნობილი სუნამოს ავტორის შვილი იყო ერთ-ერთი ამ „ქლაბის“ მუსიკალური პროდიუსერი. ეს გორბაჩოვის პერიოდია. პერიოდი, როდესაც ძალიან პოპულარული გახდა დასავლეთისთვის რუსეთი. ივ როშე-უმცროსი ჩამოვიდა სტუმრად რუსეთში და ეძებდა მუსიკოსს რუსულ ბაზარზე. მოსკოვში მომისმინა მე. მითხრა: კანარებზე დაგპატიჟებთო. მანამდე, ჩემით ვუკრავდი მოსკოვში, საქართველოში. როგორც ასეთი, ბენდი არ მყავდა. შემატყობინეს, მოწვევას გიკეთებს ბენდითო. მაშინვე ჩამოვქანდი თბილისში, დავურეკე დათო ჯაფარიძეს: სასწრაფოდ ბენდი გავაკეთოთ-მეთქი. მან დაუძახა გია სალაღიშვილის, მე, პაპკა კვაჭაძეს და ასე გაჩნდა კვარტეტი. მერე ჩვენ, მაია ჯაბუა და ეკა კახიანი, ყველანი ერთად, 1989 წელს წავედით კანარებზე. გვერქვა: „დათოს ჯორჯიან ბენდ”, წარმოიდგინეთ, მაშინ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირი იყო და ჩვენ აღმოვჩნდით სამოთხეში.

– **წარმომიდგენია, ბალალაიკას მოტივებზე აღზრდილის ინტერპრეტაციებს რომ ელოდნენ, თქვენი მოსმენის შემდეგ, რა დიდ სიამოვნებას მიიღებდნენ.**

– არ ელოდნენ ბალალაიკას მოტივებს, რადგან ივ როშემ მანამდეც ხომ მომისმინა. გახსოვთ, ალბათ, ერთი პერიოდი მონაკოს პრინცესა სტეფანი მღეროდა. ივ როშე, იმავდროულად, სტეფანის პროდიუსერიც იყო. მე სტეფანის პირადადაც ვიცნობ, რადგან ის იმ კლუბში ჩამოდიოდა, სადაც ჩვენ ვმოღვაწეობდით, ისევე როგორც – ალენ დელონი, მისი ვაჟი ენტონი დელონი, ბელმონდო, მისი ვაჟი, დანიელ ეშტერი, დანიელ ბიაზინი... ამ კლუბის პატრონი ჟან-მარ გოდერსი იყო – მათი მეგობარი. ის ძალიან ცნობილი ფრანგი არქიტექტორია, რომელიც ტენერიფის სამხრეთს, ლას-ამერიკას მთელ სანაპიროს ფლობდა.

მე რომ ჩავედი, კანარებს, როგორც ტურისტულ ადგილს, უკვე 30-წლიანი ისტორია ჰქონდა, 4 წლის განმავლობაში ჩემი ბენდი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გახდა იქ. სხვები თუ ქავერებს უკრავდნენ, ჩვენ ყოველ საღამოს კონცერტებს ვმართავდით. იმიჯიც შეეცვალა კლუბს და ბილეთის ფასიც გაძვირდა. ზემოთ მოგახსენეთ, როგორი ცნობილი ადამიანები ჩამოდიოდნენ ჩვენს მოსასმენად. მოგვიანებით, სანტა კრუსის კონსერვატორიაშიც დავიწყე გაკვეთილების მიცემა. ნელ-ნელა გამიჩნდა გარკვეული სანაცნობო წრე – სპონსორები, გუბერნატორი, ჰაი კლასის წარმომადგენლები... მივხვდი, რომ მათ ძალიან აინტერესებდათ რუსი ტურისტები. ამ დროს მე რუსეთში მთელ ვარსკვლავებს ვიცნობ... 90-იან წლებში ძალიან დიდი ფული გაჩნდა რუსეთში, მაგრამ, კანარებზე არ დადიოდნენ. იმხანად რუსი ტურისტების ბუმი იყო თურქეთში. მე ამ ორი ინტერესის თანხვედრა დავინახე. შევთავაზე, მათ, რომ ჩავუყვანდი რუს ტურისტებს ყველაზე მაღალი კლასის რუს ვარსკვლავებთან ერთად.

– **დაინტერესდნენ?**

– რა თქმა უნდა. დავაფუძნე კომპანია “დეკსი ინტერნეიშენალ” (დათო ევგენიძე, კაჟევნიკოვი სერგეი, სერგეი არხიპოვი და იოსებაშვილი გეგი). შეთანხმება გვქონდა „არტ ფიქჩერთან,“ ბონდარჩუკსა და მიხალკოვის სტუდიასთან, მხოლოდ მათ ჰქონდათ ექსკლუზიურად გადაღების უფლება.

– **ესე იგი, ეს პროექტი თქვენი მეორე შემოქმედებითი ურთიერთობის საწინდარი გახდა.**

– სწორედაც. საქართველოდან წავიყვანე მთელი ჩემი სამეგობრო, ირაკლი ჩარკვიანი, დათო გომართელი თავიანთი ოჯახებით. უკრავდა პაკო დე ლუსია, ლატოია ჯექსონი... კონცერტები გვქონდა კორიდაზე. პირველ განყოფილებაში ვაკავებდი რუს ვარსკვლავს, მეორეში – საერთაშორისოს, რომ ხალხი მოსულიყო. თან წავიყვანე სულ ლაივ ჯგუფები: „მარალნი კოდექს”, პრესნიაკოვი, ვინც ცოცხლად უკრავდნენ.

– **ამის შემდეგ თქვენს შემოქმედებაში იყო ფრანგული პერიოდი. რამდენ ხანს გაგრძელდა ეს?**

– 6 წელი. წასვლამდე შევქმენი „დექსი პლანეტა“ რადიო. სერგეი არქიპოვს და სერგეი კაჟევნიკოვს ათ-ათი პროცენტი ჰქონდათ ამ რადიოში ჩადებული, 70 – ჩემი იყო. ამის შემდეგ იშვიათად ვრეკავდი. სულ მეუბნებოდნენ, რადიოს მიხედეო... რაღაცა პერიოდის შემდეგ, მოსკოვში რომ მოვხვდი, ბონდარჩუკმა და მიხალკოვმა მითხრეს, თუ შეხედე, ქალაქში „რუსსკოე რადიოს” პლაკატებიაო. ეგ შენი რადიოა, „პლანეტა დექსი“, ახლა „რუსსკოე რადიო“, ხოლო „ზალატოი გრამაფონი” – შენი რადიოს პრიზიაო. მოკლედ, 7 წელიწადში ამ რადიომ იბარტყა.

– **როგორ მოიქეცით?**

– როდესაც, თვითონ მიატოვებ, შენივე უყურადღებობით, მერე სხვებს არ უნდა მოსთხოვო, რატომ არ გაგახსენდითო. ყოველ შემთხვევაში, მერე იმ ადამიანებს შევხვდი და ახლა მაგალითად, მთავაზობენ მოსკოვში ჩემი იუბილეს გადახდას, – 55 წლის ვხდები. რომელ დარბაზსაც გვეტყვი და რომელი სუპერვარსკვლავის ჩემოყვანაც გინდაო... მე რაც ჩავდე იმ რადიოში, მაშინ დიდი ფული იყო, მაგრამ რეალურად, ბევრი რამ იმათი შრომის შედეგია.

– **იურიდიულად?**

– იურიდიულად ახლაც იმავე სიხშირეზე ზის ის რადიო, რომელიც მე მეკუთვნის, მაგრამ... რეალურად, მე იმ რადიოსგან მეკუთვნის ყურადღება, რომელსაც არ მაკლებენ, ყველაფერი ახსოვთ. ჩემს მეგობრებსაც კი, რომლებიც მიდიოდნენ და სჭირდებოდათ რეკლამა, უფასოდ უკეთებდნენ. ასე რომ, მადლიერების გარდა, არაფერი მეთქმის.

– **რა იყო თქვენი და თქვენი მეგობრების საქმიანი ურთიერთობის ნაყოფი?**

– ფედიას პირველი სერიოზული და სრულმეტრაჟიანი ბლოკბასტერი „მეცხრე როტა”. მისთვის მე დავწერე მუსიკა. ეს იყო ფედიას ყველაზე წარმატებული ფილმი. ფილმმა, მგონი, რა პრიზებიც არსებობს, ყველა აიღო. მათ შორის სამი პრიზი: „ოქროს ვერძი”, „ოქროს არწივი” და „ნიკა” ავიღე მე.

ახლახანაც გავაკეთეთ ფილმი: „ლუჩშაია ნევესტკა კავკაზა”, ფედია არის მისი პროდიუსერი. ეს ფილმი გადაძახილია: „კავკაზსკაია პლენნიცასთან”. ძალიან სასაცილო კომედიაა, სექტემბერში იქნება მისი პრემიერა.

– **როგორც შევიტყვე, 9 მაისს ფიოდორ ბონდარჩუკის დაბადების დღეზე იყავით მიწვეული.**

– რომ არ ჩამოხვიდე, დაგკარგავო. ჩავედი და დამახვედრა სიურპრიზი: „არტ პიქჩერის“ 20 წლისთავია და შენ მუსიკალური პროდიუსერი იქნები ამ პროექტისო. მე მესმის, რომ

(გაგრძელება 50-ე გვერდზე)

# ვინ დააპროექტა ფეთხაინის კიბე 1850 წელს და რის გამო უწოდეს გამოქვაბულს მეტეხის კლდეში „ჯოჯოს საყდარი“

*თბილისში ზოგიერთი ძველი ისტორიული დასახელება დამკვიდრდა და ხალხი მათ ისევე მოიხსენიებს, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში ან უფრო ადრე. თუმცა, არსებობს სხვა დასახელებებიც, თანდათან დავიწყებას რომ ეძლევა და მათ მხოლოდ ისტორიულ ლიტერატურაში მოიხსენიებენ. გთავაზობთ მოკლე ჩანახატებს თბილისის რამდენიმე ძველ ისტორიულ დასახელებაზე.*



თაბორის მთაზე მდებარე მონასტერი. თანამედროვე ხედი

### თაბორის ციხე

თბილისის ციხესიმაგრეებს აერთიანებდა კარგად გააზრებული სისტემა, რომელიც იყენებდა მთაგორიანი რელიეფის თავისებურებებს. ამ სისტემაში მეტად მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა ციხეს თაბორის მთაზე. ციხე ფორტიფიკაციული სისტემის ფორფოსტი იყო აღმოსავლეთის მხრიდან, საიდანაც ტრადიციულად ესხმოდა ქალაქს მტერი. ციხე „დაკიდული" იყო განჯის გზის თავზე უშუალოდ კალას სიახლოვეს. თაბორის ციხე თავისი ხანგრძლივი არსებობის განმავლობაში არაერთხელ დანგრეულა და კვლავ აღდგენილა. მის არსებობას უძველესი დროიდან „ქართლის ცხოვრება" მოწმობს. ბაგრატ მეოთხის ქალაქში შემოსვლის ამბავზე ჟამთა აღმწერელი მოგვითხრობს: „დაჯდა მეფე ბაგრატ საურავად. აღიხუნა კოშკნი კართანი თავის კაცთა, და აღიღო ციხე ქალაქისა დარიჯელი და ორნივე კოშკნი წყალყინოსანი და თაბორი, და დაადგინნა შიგან ლაშქარნი თვისნი და ერისთავნი". უკანასკნელად თაბორის ციხე დაანგრია აღა-



მაცხოვრის შობის ეკლესია ზემო ბეთლემში. თანამედროვე ხედი



სიონის ქუჩა 1890-იანი წლები

მაჰმად-ხანმა და მას შემდეგ აღარ განუახლებიათ. პორუჩიკ ჩუიკოს მოუსწრია და მისი ნანგრევები დაუტანია თბილისის 1800 წლის გეგმაზე. „ყორჩი-ყალა" დატანილია თბილისის 1802 და 1809 წლების გეგმებზე. გვიანდელზე კი უკვე აღარ ჩანს.

ციხეში ეკლესიაც მდგარა, რომელსაც პლატონ იოსელიანის მოწმობით, „ღვთის ფერისცვალების" სახელით იხსენიებდნენ. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა თვით თაბორის მთის სახელწოდების წარმოშობა. ისევე, როგორც „მთაწმინდა," ისიც დაკავშირებულია ქრისტიანულ „წმინდა" ადგილებთან. იერუსალიმში, თაბორის მთაზე მომხდარა ქრისტეს ფერისცვალება. აქედან მოდის თბილისის მთისა და ციხეში აგებული ეკლესიის სახელები. დღეს ეკლესიის კვალი წაშლილია და ისევე როგორც ციხის ნაშთები, უკვე აღარ ჩანს პლატონ იოსელიანის დროინდელ აღწერის ხანაში (1866). 1972 წელს არქეოლოგიური ძიებისას მიაკვლიეს ციხის კვალს. ამჟამად ციხის და ეკლესიის ადგილზე თანამედროვე თაბორის მონასტერი ფუნქციონირებს.

### ბეთლემი

ზემო ბეთლემის ეკლესია წარსულში ფეთხაინის ეკლესიად იყო ცნობილი. საქართველოში ქრისტიანულ სამლოცველოებს ხშირად ეგრეთ წოდებულ „წმინდა ადგილების" სახელს არქმევდნენ. ებრაულად „ბეთ" სახლს ნიშნავს, „ილი" – ღვთისას. ამგვარად „ბეთილი", „ბეთლემი" ღვთის სახლს ეწოდება. ბეით-ლეჰმი ან ბეთლეჰემი, თავდაპირველად, ქანაანელთა, მოგვიანებით კი იუდეველთა ქალაქი იყო სამხრეთ პალესტინაში და ბიბლიის მიხედვით, დავითის სამშობლოა. სახარების მიხედვით იქ იესო ქრისტე დაიბადა.



ზემო ბეთლემის ეკლესია (ფეთხაინის ეკლესია) მეცხრამეტე საუკუნეში

გადმოცემით, თბილისის ბეთლემის ეკლესიას ვახტანგ გორგასლის ზეობის ხანაში ჩაეყარა საფუძველი. ჩვენამდე მოღწეული მრავალჯერ გადაკეთებული ეკლესია თავად გივი ამილახვარს აუგია 1740 წელს. ეს ის გივი ამილახვარია, რომლის თაოსნობითაც 1742 წელს ააშენეს ქაშვეთის აგურის ახალი ეკლესია (დღევანდელის წინამორბედი). გივი ამილახვარი ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, საამილახვროს უფროსი, ზემოქართლის სადროშოს სარდალი და გორის მოურავი ყოფილა. მას არაერთი ციხე და ეკლესია აღუდგენია. ეკლესიას სომხები ფლობდნენ და ფეთხაინის ეკლესიად მოიხსენიებდნენ, თუმცა მას ქართული მრევლიც ჰყავდა. 1884 წელს ეკლესია კაპიტალურად შეაკეთეს, განაახლეს ფასადი და აღმართეს ახალი გუმბათი. საბჭოთა პერიოდში ეკლესია არ მოქმედებდა. 1994 წელს გადავიდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მფლობელობაში და მაცხოვრის შობის სახელზე ეკურთხა.

### ფეთხაინის კიბე

კიბის პროექტი, რომელიც ფეთხაინის უბანში კლდეს აჰყვება და ეკლესიასთან მთავრდება, 1850 წელს შეადგინა თბილისის საგუბერნიო არქიტექტორმა ტიმოთე ბელოიმ. პროექტში კიბეს მიუყვებოდა სვეტებზე მოწყობილი სახურავი, მაგრამ პროექტი ბოლომდე არ განხორციელებულა და ამასთან, კიბის ტრასაც ნაწილობრივ შეიცვალა.

### ჩორსუ

ასე ეწოდებოდა დახურულ სავაჭრო მოედანს, სადაც რასტაბაზრისგან განსხვავებით, სხვადასხვა დარგის ვაჭარ-ხელოსნები იყრიდნენ თავს. ჩორსუ სპარსული წარმოშობის სიტყვაა და ოთხკუთხედს ნიშნავს. სპარსეთში გზების გადაკვეთაზე ბაზარი იმართებოდა და გუმბათით იხურებოდა. ამგვარი ორი ჩორსუ თბილისშიც იყო. ისინი ზომებით განსხვავდებოდნენ. მცირე ჩორსუ, ჯონხანისა და ხარაზხანის გადაკვეთაზე (დღევანდელ ერეკლეს, სიონისა და ლესელიძის ქუჩების შესაყარზე) მდებარეობდა. მეორე, დიდი ჩორსუ კი რასტაბაზრის დასასრულს იყო, მელიქის ქარვასლის უშუალო სიახლოვეს, დაახლოებით დღევ-



ფეთხაინის ქუჩა და კიბე (ერმაკოვის ფოტო, 1890-იანი წლები)

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

**ქრისტიანობისა და დემოკრატიის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ არაერთგვაროვანი შეხედულებები არსებობს. ეს საკითხი დღეს განსაკუთრებულად აქტუალური გახდა. შესაბამისად, ამ საკითხის შესახებ, ასევე, როგორი უნდა იყოს მრევლისა და მოძღვრის ურთიერთობა, გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი).**

# რომელ თვისებას წარმოაჩენს მაცხოვარი სასულიერო პირში და რაში უნდა ეხმარებოდეს მრევლი საკუთარ მოძღვარს



**რაც უფრო წარჩინებული ვართ ქრისტეში და საერო საქმეში, მით უფრო მეტად მოგვეთხოვება ხალხის მსახურება და არა ის, რომ ხალხი გვემსახურებოდეს ჩვენ**

**– მამაო, როგორია ქრისტიანობისა და დემოკრატიის ურთიერთდამოკიდებულება, როგორ ვლინდება დემოკრატია კონკრეტულად ეკლესიაში?**

– ზოგადად, შემიძლია, ვთქვა, რომ დემოკრატია, ეს არის თანასწორობა, სამართლიანობა და ეს საკითხი, ანუ თანასწორობის იდეა, მაცხოვარმა და მისმა მოციქულებმა განსაკუთრებულ სიმაღლეზე აიყვანეს. ამ მხრივ, მეტად საყურადღებოა თუნდაც ის ფაქტი, რომ ისინი მდაბიოთა ფენიდან იყვნენ. ამავე დროს, მაცხოვარმა არ ინება, რომ მისი მოწაფეებიდან რომელიმეს სხვებზე მაღლა დაეყენებინა თავი. „თქვენ იცით, რომ ხალხთა მთავრებად მიჩნეულნი მბრძანებლობენ მათზე და დიდებულნი ძალადობით განაგებენ მათ. ხოლო თქვენ შორის ნუ იქნება ასე“; „უდიდესი თქვენ შორის იყოს როგორც უმცირესი და, წინამძღვარი – როგორც მსახური“; „თქვენ ყველანი ძმები ხართ,“ – ასე მიმართავს მაცხოვარი თავის მოწაფეებს. თუკი საბერძნეთში, რომელსაც კლასიკური დემოკრატიის აკვნად მიიჩნევდნენ, მონები მოწაფეებად არ მიიჩნეოდნენ და უუფლებოები იყვნენ, ქრისტიანობამ ღვთის წინაშე საზოგადოების ყველა ფენა, ყველა ერის თანასწორობა დაადგინა. მართალია, მას მონობის გაუქმებისკენ არ მოუწოდებია, მაგრამ, ფაქტობრივად, მონობას რელიგიურ-ზნეობრივი საფუძველი გამოაცალა.

საქართველოს ეკლესიის უმაღლეს ორგანოს ამჟამად ეპისკოპოსთა საბჭო – წმიდა სინოდი წარმოადგენს, მაგრამ, ისტორიულად, საერთო კრებაში, როგორც უმაღლეს ორგანოში, მონაწილეობდნენ საპატრიარქოს მთელი მორწმუნე მოსახლეობის წარმომადგენლები – როგორც სასულიერო, ასევე საერო პირები, მათ შორის ქალებიც (მონაზვნები). ასე რომ, მართლმადიდებელ ეკლესიაში, ისტორიულად, დემოკრატიული, წარმომადგენლობითი და არჩევითი პრინციპები მოქმედებდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მინისტრი, გამგებელი, მმართველი და პრეზიდენტი იმისთვის არიან დადგენილები, რომ ჩვენ გვემსახურონ. როდესაც პრეზიდენტს ვირჩევთ, ის უნდა გვემსახურებოდეს ჩვენ და არა ჩვენ – მას. თუ ასე იქნება, ყველაფერი მოწესრიგდება. დღეს იმიტომ ხდება ამდენი არეულობა, უკმაყოფილება, რომ ადამიანები ვერ ხედავენ ზემდგომის ქვემდგომისადმი სიყვარულს, პატივისცემას. სანამ ეს არ მოხდება, მანამდე ქვეყანა არ დაწყნარდება. რაც უფრო წარჩინებული ვართ ქრისტეში და საერო საქმეში, მით უფრო მეტად მოგვეთხოვება ხალხის მსახურება და არა ის, რომ ხალხი გვემსახურებოდეს ჩვენ. ასევეა საერო მმართველობაშიც. „ეპისკოპოსი“ ნიშნავს ზედამხედველს, მეთვალყურეს. როდესაც ის ეკლესიაში მობრძანდება, მას უფენენ ნოხს, რომელზეც გამოსახულია ქალაქი და არწივი, რომელიც დაჰყურებს ქალაქს. ასე უნდა დაჰყურებდეს და ზრუნავდეს ეპისკოპოსი იმ იერარქიაზე, რომელიც მას ჩააბარეს. საერო ადამიანი იერარქიას იგებს მონური მორჩილებით, მაგრამ ყველამ უნდა გავიგოთ, რომ ზემდგომი ქვემდგომისთვის დადგენილია სიყვარულისთვის, მსახურებისთვის, მოფერებისთვის...

**– როგორც ცნობილია, მართლმადიდებლობა ყველაზე დიდ პატივს ადამიანის თავისუფალ ნებას, მის არჩევანს სცემს.**

– ადამიანის პიროვნული თავისუფლების დაფასება და პატივისცემა მართლმადიდებლობის არსია. მართლმადიდებელ ეკლესიაში პირველივე საუკუნიდან დაინერგა დემოკრატიის პრინციპები, რომლებიც მსოფლიოში განსაკუთრებით პოპულარული მხოლოდ უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში გახდა. უფრო სწორად, მართლმადიდებლობამ შეინარჩუნა ის დემოკრატიული სულისკვეთება, რაც ქრისტიანობისთვის იყო დამახასიათებელი. ამას ვერ ვიტყვით, მაგალითად, კათოლიციზმის შესახებ. როგორც ცნობილია, კათოლიციზმი ავტოკეფალიის პრინციპს არ

## შეიძლება, მოძღვარი იყოს განათლებული, კარგი მქადაგებელი, მლოცველი, მაგრამ, არ იყოს კეთილი, არ ესმოდეს სიკეთის არსი

აღიარებს. პაპი მთელი ეკლესიის ერთპიროვნული მმართველი, უმაღლესი კანონმდებელი და მოსამართლეა, რასაც მისი შეუმცდარობის დოგმატიც ემატება.

**– არ ხდებოდა მართლმადიდებელ ეკლესიაში დემოკრატიის სამართლიანობის პრინციპებიდან გადახვევა?**

– რა თქმა უნდა, ის, რაც ვთქვი, არ ნიშნავს იმას, რომ მართლმადიდებლურ ეკლესიაში დემოკრატიის სამართლიანი პრინციპებიდან გადახვევა არ ხდებოდა ან არ ხდება. მაგრამ, ცალკეული სასულიერო პირების დანაშაული არ შეიძლება მთლიანად მართლმადიდებელ ეკლესიასა და ქრისტეს მოძღვრებას მივაწეროთ.

**– თუ აქვს მართლმადიდებლური ეკლესიისთვის მნიშვნელობა სახელმწიფოს ფორმას?**

– ნებისმიერი სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმა ექნება მას, ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვისთვის არის მოწოდებული. ამიტომაც, მართლმადიდებლური მოძღვრებისთვის სახელმწიფო ფორმას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ის მხარს უჭერს სახელმწიფოს, სახელმწიფოებრივ წესრიგს, რომელსაც შუა საუკუნეებში, ძირითადად, სამეფო ხელისუფლება უზრუნველყოფდა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, მისი სასულიერო თუ საერო წარმომადგენლები, მუდამ ცდილობდნენ, ეკლესიაში დემოკრატიული პრინციპები შეენარჩუნებინათ და ისინი სახელმწიფოშიც განემტკიცებინათ. მაგალითად, წმიდა გრიგოლ ხანძთელი თავის მონასტერში ყველას იღებდა წოდების მიუხედავად: „სასულიერო ფენაში, რომელიც მრავლად შედგებოდა მამა გრიგოლის მოწაფეებისგან და სახელმწიფოში დიდი გავლენით სარგებლობდა, ყველა წოდების წარმომადგენლები იყვნენ. ხელისუფლებასთან ურთიერთობისას გრიგოლ ხანძთელი გლახაკთა მიმართ მოწყალებისა და ყოვლისა ერის სამართლით განკითხვაზე ამახვილებდა ყურადღებას“. იგივე შეიძლება ითქვას გიორგი მთაწმინდელზე: „ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ გიორგი მთაწმინდელი ქართულ ეკლესიაში დემოკრატიული მიმართულების წარმომადგენელი იყო“. მრავალი ქართველი მეცნიერი დემოკრატიული იდეების მატარებლად მიიჩნევს შოთა რუსთაველსაც. ასევე, საყოველთაოდ არის ცნობილი წმიდა ილია მართლის დემოკრატიული იდეები – იგი ძმობის, ერთობის, თავისუფლების აქტიური მქადაგებელი იყო, რაც მის ცნობიერებაში მართლმადიდებლურ რწმენასთან განუყოფელია. ასე რომ, დემოკრატია არათუ უცხო და მიუღებელია ქრისტიანობისთვის, არამედ, თავისი არსით, ქრისტიანობა სწორედ დემოკრატიულია და პირიქით. მაგრამ, უმაღლესი ზნეობის, პატიოსანი მოქალაქეობის გარეშე ამ იდეალების რეალიზაცია, რასაც დემოკრატია გააჩნია, შეუძლებელია. ზნეობის სადარაჯოზე კი, ჩვენს შემთხვევაში, ქრისტიანობა დგას. „დაემორჩილეთ ყოველ ადამიანურ დადგენილებას უფლის გამო, გინდ მეფეს, როგორც უმაღლეს ხელისუფლებას, გინდ გამგებელთ, როგორც მის მოვლინებულთ ბოროტმოქმედთა დასასჯელად და კეთილის მოქმედთა სადიდებლად, რადგან, ასეთია ნება ღვთისა, რათა კეთილის ქმნით დაადუმოთ უგუნურ ადამიანთა უმეცრება. იცხოვრეთ, როგორც თავისუფლებმა, ოღონდ, ბოროტების საფასურად თავისუფლებას ნუ გამოიყენებთ..“ (პეტრე, 2,23..17).

**– მამაო, დღეს ხშირად საუბრობენ მოძღვრისა და მრევლის ურთიერთობაზე. როგორი უნდა იყოს ეს ურთიერთობა?**

– უშუალო, მეგობრული, თბილი. მრევლი მთავარი საზრუნავია მოძღვრისა. როგორიც არის მოძღვარი, ისეთია მისი მრევლი. მაცხოვარი გარკვევით ბრძანებს: „ისწავლეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა“. მაცხოვრისგან უნდა ვისწავლოთ სიმშვიდე, სიმდაბლე, სიყვარული. მან ხომ მაწაფეებს მეგობრები უწოდა და სიმდაბლით ფეხები დაბანა! ყველაზე წინ უფალი მოძღვრის ქცევაში სიკეთეს წარმოაჩენს. შეიძლება, მოძღვარი იყოს განათლებული, კარგი მქადაგებელი, მლოცველი, მაგრამ, არ იყოს კეთილი, არ ესმოდეს სიკეთის არსი. არადა, მაცხოვარი მოძღვრისგან, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს, რომ იყოს სიკეთის ნიმუში, რაც მრევლისთვის სამაგალითო და მისაბაძი გახდება. შესანიშნავად ბრძანებდა ნოდარ დუმბაძე: სული იმდენად მძიმეა, რომ ერთ ადამიანს უჭირს მისი ტარებაო. მოძღვრისა და სულიერი შვილის ურთიერთობა ამ ტვირთის შემსუბუქებაა და, არ დაგავიწყდეთ, რომ ზოგჯერ მრევლიც ეხმარება მოძღვარს სულიერი და ხორციელი ტვირთის შემსუბუქებაში.

**ნათია უტიაშვილი**

# რას ნიშნავს მართლმადიდებლობა

**ჭეშმარიტი სარწმუნოება**

ჩვენს სარწმუნოებას „მართლმადიდებლური“ ჰქვია. ეს ნიშნავს ღვთის მართლად, სწორად დიდებას. მტრებიც კი მართლმადიდებლებს გვიწოდებენ, ამით ისინი ეთანხმებიან იმ აზრს, რომ ჩვენ ღმერთს მართლად, სწორად ვადიდებთ, სწორად სარწმუნოებაზე ვდგავართ. ამ სიმართლეს სიფრთხილით ვიცავთ უცხო გავლენისაგან, მასთან თუნდაც წვეთი ტყუილის შერევისაგან. სარწმუნოების მტკიცედ დაცვა წინაპრებმა დაგვიბარეს, მათ კი იცოდნენ, რას ნიშნავს ღვთისადმი მადლიერება, რადგანაც თვითონ იკვებებოდნენ ამ ნაყოფითა და მისდამი მოფრთხილება ჩვენც გვიანდერძეს.

... შენმა წინაპრებმა წმიდა ნათლობით მიიღეს მართლმადიდებლის სახელი, ამითვე დააჯილდოვეს მათ შენი სული... მართლმადიდებლობა მხოლოდ ეროვნული ტრადიცია კი არ არის, არამედ რაღაც უფრო მეტია.

რწმენის სიმბოლოში, რომელიც გამოხატავს ქრისტიანული რელიგიის არსს და მიღებულ იქნა როგორც ქრისტიანული სარწმუნოების დოგმატური საფუძველი I და II მსოფლიო საეკლესიო კრებებზე (325-381 წელიწადი), კერძოდ, „მრწამსის“ მეოთხე წერილში წერია: „მწამს ერთი წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“.

წმიდა პავლე მოციქული თავის წერილში ეფესელთა მიმართ ქრისტეზე – ეკლესიის შემქმნელსა და თავზე წერს: „და ყოველივე დაამორჩილა ქუეშე ფერხთა მისთა და იგი მოსცა მთავრობად ზესთა ყოველთა.

ეკლესია, რომელ-იგი არს გუამი მისი, აღსავსება იგი, რომელმან ყოველივე ყოველსა შინა აღავსო (ეფ. 22-23) და რომ „ქრისტემან შეიყუარა ეკლესიაი“ და თავი მისი მისცა მისთვის, რაითა იგი წმიდა-ყოს... რაი-თა იგი წმიდაყოს... რაი-თა იყოს წმიდა და უბიწო“ (ეფ. 5. 23-27).

**მოწმობა მართლმადიდებლობის ჭეშმარიტებისა**

მსოფლიოს სასწაულები, რომლებიც მოწმობენ მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტებას და იულიანური კალენდრის (ძველი სტილის) მართებულობას.

ჩვენს დროში ხშირად გაიგონებთ ასეთ ნათქვამს: „რატომ გგონიათ, რომ მხოლოდ მართლმადიდებლური სარწმუნოებაა ჭეშმარიტი? კათოლიკენიც ხომ ამბობენ ჩვენი სარწმუნოებაა ჭეშმარიტიო?“

ჩვენი კეთილმსახური წინაპრებისათვის ასეთი დაეჭვება, რა თქმა უნდა, სრულიად წარმოუდგენელი იყო. მათ კარგად უწყოდნენ, რომ მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება თვით უფალმა მისცა თავის მოციქულებს და ეს სარწმუნოება წმიდად, უცვლელად და შეურყეველად არის დაცული მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიაში. ადამიანთა რწმენასაც კაცობრივი ამაო შეხედულებები კი არ განამტკიცებდა, არამედ ის ნიშნები და სასწაულები, რომელთაც უფალი ყოველთვის აღასრულებდა ჩვენს ცხოვრებაში.

ეს სასწაულები დღესაც აღესრულება, ოღონდ მათ შესახებ კრინტს არავინ სძრავს – არც პრესა, არც რადიო და არც ტელევიზია. დღედაღამ ყველანაირ ახალ ამბებს იუწყებიან, გარდა ამ, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა – უფლის უდიდესი მსოფლიო სასწაულებისა.

**„საქართველო მეორედ მოსვლის წინ“**

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: ღმერთს შევპირდი, რომ დიდი რაოდენობით სანთელი დავუნთო. აქვს თუ არა მნიშვნელობა, სად შევიძენ სანთლებს, აუცილებლად ეკლესიაში უნდა ვიყიდო?**

**პასუხი:** ეკლესიაში შეძენილი სანთელი არის მორწმუნის ნებაყოფლობითი შესაწირი ტაძრისთვის. ამიტომ, უმჯობესია, სანთელი ეკლესიაში შეიძინოთ, რადგან, ღვთის ტაძარზე ზრუნვა ყოველი ქრისტიანის ვალია. შეიძლება, საკუთარი ხელითაც გააკეთოთ სანთელი. რაც შეეხება ქუჩაში შეძენილ სანთელს, მას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ყოფითი დანიშნულების სანთელს.

**კითხვა: შეიძლება თუ არა კონკრეტული ადამიანის სახელზე ნაკურთხი ხატის გასხვისება?**

**პასუხი:** ხატის კურთხევა არ ხდება ვინმეს სახელზე და ყველას აქვს შესაძლებლობა, ილოცოს მის წინაშე. ასევე, ხატის გასხვისებაც, მით უმეტეს, მართლმორწმუნე ქრისტიანზე, დანაშაულად არ ჩაგეთვლებათ.

**კითხვა: მაპატიეთ, მაგრამ ცოტა გამაღიზიანებელია, სასულიერო პირები უცხოური მანქანებით რომ დაჰქრიან; იესო ქრისტე ხომ ცხენზეც არ ჯდებოდა თავმდაბლობის გამო და ვირით დადიოდა.**

**პასუხი:** სასულიერო პირები საზოგადოებრივი ტრანსპორტით და, სულაც, ფეხითაც დადიან. დაყუდებული ბერები კი – მონასტერში ცხოვრობენ. მაგრამ, დღევანდელი ცხოვრების ტემპი მოითხოვს, რომ ადამიანი სწრაფად გადაადგილდეს და დრო რაციონალურად გამოიყენოს. ამისთვის კი საჭიროა მანქანა. რაც უფრო მეტი დრო დარჩება მღვდელს მრევლისთვის, მით უკეთესია. ამიტომ, მანქანა, თუნდაც უცხოური, შეიძლება, სასულიერო პირსაც ჰყავდეს. მანქანის ყოლა არაფერს ცვლის, მთავარია, სასულიერო პირი ღვთისგან მინიჭებულ მოვალეობებს პირნათლად ასრულებდეს.



**კითხვა: ძალიან მიყვარს ქარგვა და ბოლო დროს საეკლესიო თემით დავინტერესდი. ვქარგავ ღვთისმშობლის გამოსახულებას. მაქვს თუ არა ამის უფლება მოძღვრის კურთხევის გარეშე?**

**პასუხი:** ძალიან სასიხარულოა, რომ ღვთისმშობლის ხატის მოქარგვა გადაწყვიტეთ, ეს მის მიმართ თქვენს სიყვარულზე მეტყველებს, მაგრამ, ხატის მოქარგვის შესრულებას თავისი კანონიკა აქვს, ამიტომ, მოძღვრის ლოცვა-კურთხევა აუცილებელია.

# მამათა შეგონებანი

**ნიკოლოზ სერბი:** ადამიანთა ბედნიერება სიცილსა და მწუხარების კვნესას შორის გაიელვებს ხოლმე რაღაც იდუმალი ღიმილით, რომელი ათბობს, მაგრამ არ წვავს. ეს ღიმილი სრულებით არ ჰგავს ცინიკოსის დამცინავ, ცივ ჩაცინებას. დედის ღიმილი მოთამაშე ჩვილის საწოლთან, ანდა წმინდანის ღიმილი, რომელიც ამაქვეყნის ძლიერთ მიემართება, ამ იდუმალ ამაღლებულ ღიმილს ჰგავს.

სხვას რას შეიძლება ნიშნავდეს ეს ჩუმი სიხარული, თუ არა ბედნიერების სიხარულში და მწუხარების ტირილში თანამონაწილეობას? რაზე მიგვანიშნებს ეს ღიმილი, თუ არა იმაზე, რომ ეს მიწიერი სიხარული მალე მწუხარებით შეიცვლება, მწუხარებას კი სიხარული მოსდევს. სამწუხაროა, რომ ყველა მიწიერ ცხოველთაგან ორი ყველაზე მეტად გამოხატავს ადამიანთა დარდს – მაიმუნი და აფთარი. ეცადე, რომ შენი სიხარული მაიმუნის გრიმასებს არ ჰგავდეს, მწუხარება კი – აფთრის უაზრო იპოხონდრიას. გაიხსენე დედის ალერსიანი ღიმილი – წმიდანისა, რომელიც თავის თავში მოიცავს სიბრძნეს, წყალობას, სიყვარულსა და მარადიულობას. დიახ, მარადიულობასაც, რამეთუ სიცილი და ტირილი წარმავალია, ასეთი ღიმილი კი მარადიული.

**ნიკოდიმოს ათონელი:** დაფიქრდი, საყვარელო, იმის შესახებ, თუ რამდენი რამ გააკეთა ღმერთმა ჩვენი ცხონებისთვის. თავდაპირველად მან მოამზადა თავისი სამეფო მათთვის, ვინც მისი ნების მორჩილი იქნებოდა. ღმერთმა სიკეთე და ნეტარება მხოლოდ თავისთვის როდი დაიტოვა, არამედ იგი ჩვენთვის მოამზადა, როდესაც მოისურვა, რომ მადლით თავის შვილებად და სულიწმიდის თანაზიარად გავეხადეთ. ჩვენი ცხონებისთვის დემონების წინააღმდეგ იბრძვის ზეციური მხედრობა – ანგელოზები და მთავარანგელოზები, რომელთა მსახურება იმაში მდგომარეობს, რომ დაიცვან ადამიანები და ცხოვრებაში დაეხმარონ.

**მიტროპოლიტი ანტონი:** ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება გვასწავლის, რომ თუკი მივეცემით ჩვენს სურვილებს, ჩვენს გატაცებას, შეიძლება, ვიქცეთ არა ადამიანად, არამედ – სიმახინჯედ: ულმობელად, ლოთად, ნარკომანად, მატყუარად, მხდალად და სხვა ამის მსგავსად. მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. მეორე მხარე ისაა, რომ შენ თუ ასე ან ისე მოიქცევი, შენს გულში ამა თუ იმ სურვილებს, გრძნობებს, მისწრაფებებს შეუშვებ, თუ შენს გონებას ამა თუ იმ აზრებით შებღალავ, უკვე იმდენად დაიბინდები, რომ შენთვის შეუძლებელი იქნება, დაინახო და გაიგო სილამაზე, გულით განიცადო იგი ისე, რომ შენი გული იწვოდეს მისგან. იმიტომ, რომ მაშინ ამის ძალები აღარ მექნება, შენში აღარ იქნება ის სიმართლე, რომელიც საშუალებას მოგცემს, გადალახო საკუთარი თავი და იქცე ნამდვილ „მედ“, როგორიც შენ სიღრმისეულად ხარ და რომელიც ზედაპირზე ხშირად ძალიან არ ჰგავს საკუთარ თავს.

# რამდენი წლის ასაკში მოაწერა პირველ კონტრაქტს ხელი დევიდ ბექჰემმა და რომელი ოცნების ასრულებას ვერ ახერხებს ის

*„ჩემთვის, ადრე რომ ეთქვათ, „მანჩესტერ იუნაიტედთან" ერთად, ჯილდოებს მოიგებ, ინგლისის ნაკრების კაპიტანი გახდები, ითამაშებ ასზე მეტ მატჩს ნაკრების შემადგენლობაში, გახდები მსოფლიოს საუკეთესო კლუბების წევრიო, ალბათ, ვიტყოდი, ეს ფანტაზიაა-მეთქი, მაგრამ მე მოვახერხე ამ ოცნებების რეალიზება". მსოფლიოს ყველა დროის, ალბათ ყველაზე ტირაჟირებულმა ფეხბურთელმა, 38 წლის დევიდ ბექჰემმა კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება და ფეხბურთიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. მისი კარიერა და ცხოვრება მუდამ საზოგადოების ინტერესს იწვევდა და საინტერესო ეპიზოდებით იყო სავსე.*

* ფეხბურთის თამაში დევიდ ბექჰემმა 8 წლის ასაკში, ბავშვთა სპორტულ კლუბ „რიჯვეი როვერსში" დაიწყო. მამამისი პერიოდულად იქ ბავშვებს ავარჯიშებდა. სამი წლის შემდეგ ბექჰემი ბობი ჩარლტონის საფეხბურთო აკადემიის ტურნირის გამარჯვებული გახდა და ორკვირიანი საგზური მოიგო „ბარსელონას" აკადემიაში სტაჟირებაზე. თუმცა, იმ დროისთვის დევიდი და მისი ოჯახის წევრები „მანჩესტერ იუნაიტედის" ქომაგები იყვნენ და დევიდი მანჩესტერული კლუბის ღირსების დაცვაზე ოცნებობდა. 14 წლის ასაკში დევიდ ბექჰემმა ხელი მოაწერა კონტრაქტს „მანჩესტერ იუნაიტედის" სასკოლო აკადემიასთან.

* დევიდის ბაბუა დედის მხრიდან ებრაელი იყო და ბექჰემიც თავს ნახევრად ებრაელად მიიჩნევს. მისი თქმით, ის ბავშვობიდან ეზიარა ქრისტიანულ სარწმუნოებას და ოჯახთან ერთად რეგულარულად დადიოდა ეკლესიაში.

* პირველი გოლი პროფესიულ კარიერაში დევიდ ბექჰემმა ჩემპიონთა ლიგის მატჩში თურქულ „გალათასარაის" გაუტანა 1994 წლის ნოემბერში. პირველი გოლი პრემიერლიგაში კი 1995-1996 წლების სეზონში „ლიდს იუნაიტედის" კარში გაიტანა. 1997 წელს, გუნდიდან ერიკ კანტონას წასვლის შემდეგ, დევიდ ბექჰემმა მიიღო მაისური მეშვიდე ნომრით, რომელსაც „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" მაგიური დატვირთვა აქვს. მანამდე ამ ნომრით ჯორჯ ბესტი და ბრაიან რობსონი ასპარეზობდნენ. დევიდის „რეალში" გადასვლის შემდეგ კი, „შვიდიანი" კრიშტიანუ რონალდუ გახდა.

* ჟურნალ „ფორბსის" ვერსიით, დევიდ ბექჰემი 2011 და 2012 წლების ყველაზე მდიდარი ფეხბურთელია. ჟურნალი მას „ადამიან-ბრენდად" მოიხსენიებს საკუთარი იმიჯის წყალობით, მან 250 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. სხვადასხვა დროს ბექჰემი ისეთი ბრენდების სარეკლამო სახე იყო, როგორიცაა: „პეპსი", „ადიდასი", „ჟილეტი", „კასტროლი", „დოლჩე და გაბანა", „მარკს ენდ სპენსერი" და სხვა. ბოლო მონაცემებით, ბექჰემის კაპიტალი 231 მილიონ დოლარს აღწევს.

* „მანჩესტერ იუნაიტედში" ასპარეზობის პერიოდში დევიდ ბექჰემმა 394 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 85 გოლი გაიტანა. ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში მან 115 შეხვედრა ჩაატარა და 17 გოლი გაიტანა. მინდვრის მოთამაშეებს შორის ბექჰემს ჩატარებული მატჩების რაოდენობით რეკორდი ეკუთვნის. სრული რეკორდსმენი კი მეკარე პიტერ შილტონია, რომელსაც 125 მატჩი აქვს ანგარიშზე.

* დევიდ ბექჰემის ერთ-ერთი ოცნება იყო, რომ კარიერა 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური შეხვედრის შემდეგ დაემთავრებინა, რომელშიც 11-მეტრიანი დარტყმით გამარჯვების გოლს გაიტანდა. „რა თქმა უნდა, იმ დროისთვის უკვე 39 წლის ვიქნები, თუმცა ასაკს რა მნიშვნელობა აქვს, როდესაც საქმე ნაკრებს ეხება".



* დევიდ ბექჰემს სხეულზე 17 ტატუირება აქვს. შვილების სახელები (ბრუკლინი, კრუზი, რომეო და ჰარპერ სევენი), იესო ქრისტეს გამოსახულება ზურგზე, მეუღლის სახელი ინდურ ენაზე და ვარდები შეუღლების 10 წლის იუბილესთვის, ასევე კიდევ რამდენიმე სხვადასხვა შინაარსის ტატუ. ხელებზე ტატუირების გამო ბექჰემი გრძელმკლავიანი მაისურებით თამაშობდა.



* დევიდ ბექჰემის ორი ვაჟის – ბრუკლინისა და რომეოს ნათლია ელტონ ჯონია.

* დევიდ ბექჰემი დაავადებულია აკვიატებით, რომელიც პათოლოგიური ლტოლვით გამოიხატება სისუფთავისა და წესრიგისადმი. საგნები უნდა იყოს განლაგებული სიმეტრიულად და წყვილად. ასევე, ბექჰემს ორნიტოფობია სჭირს, მას პათოლოგიურად ეშინია ფრინველების.

* ცნობილია, რომ დევიდ ბექჰემი ყოველი მატჩის დაწყებამდე ბუცების ახალ წყვილს იცვამდა. მას არასდროს უთამაშია უკვე ნახმარი ბუცებით.

* 2003 წელს დევიდ ბექჰემი ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კავალერი გახდა. ორდენი მას პირადად დედოფალმა ელიზაბეთ მეორემ გადასცა. ცერემონიალს დევიდის დედა და ბებია-ბაბუა ესწრებოდნენ. ორდენი ფეხბურთელს გადაეცა „ბრიტანეთის ინტერესის დაცვისთვის საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე."

* 1999 წლის მარტში დევიდ ბექჰემი მამა გახდა. იმავე წლის ივლისში ის ოფიციალურად დაქორწინდა პოპულარული ბრიტანული პოპჯგუფ „სფაის გერლზის" წევრზე, ვიქტორია ადამსზე, რომელიც არაოფიციალური ვერსიით, პირველად თბილისში, 1996 წლის ნოემბერში ნახა სასტუმრო „მეტეხის" ნომერში, ტელევიზორში ჯგუფის კლიპის ჩვენებისას.

* დევიდ ბექჰემი ცნობილი ქველმოქმედია. „პარი სენ ჟერმენთან" გაფორმებული ხუთთვიანი კონტრაქტის თანახმად, მისი მთლიანი ხელფასი ერთ-ერთ პარიზულ ბავშვთა დაცვის ორგანიზაციას გადაერიცხა. გარდა ამისა, სხვადასხვა დროს მას რამდენიმე მილიონი აქვს გადარიცხული ქველმოქმედებაზე. 2003 წელს ბექჰემმა 800 ათასი დოლარი შეაგროვა საქველმოქმედო მატჩიდან და თანხა მთლიანად სიღარიბესთან ბრძოლის ასოციაციაში გადარიცხა.

* 2012 წლის 15 მაისს დევიდ ბექჰემი ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას ხუმრობის ობიექტი გახდა. პრეზიდენტმა „ლოს-ანჯელეს გელექსის" ფეხბურთელები მიიწვია თეთრ სახლში და სხვადასხვა ჯილდო გადასცა. ცერემონიალზე ობამამ აღნიშნა, რომ „გელექსის" ყველა ფეხბურთელი, ერთის გარდა, შვილად ეკუთვნის და სწორედ ის ერთია ახალგაზრდა და წარმატებული სპეციალისტი, რომელსაც საკუთარი თავი შეადარა. ასევე, ობამამ ხაზი გაუსვა იმას, რომ ბექჰემი „მაგარი ბიჭია," რადგან საკუთარი ქვედა თეთრეულის ხაზი აქვს. დევიდ ბექჰემმა პრეზიდენტს იუმორი შეუქო.

* სხვადასხვა სოციოლოგიური კვლევის თანახმად, დევიდ ბექჰემი ქალებში ვიაგრას ფუნქციას ასრულებს. ფეხბურთელის დანახვისას მანდილოსნების გულის ცემა მატულობს. ბექჰემი არაერთი გამოკითხვით ყველა დროის ერთ-ერთ სექსუალურ ფეხბურთელად მიიჩნევა.

* დევიდ ბექჰემი ინგლისის განუყოფელი ნაწილია, ისევე, როგორც სამეფო ოჯახი, „ბითლზი" და შერლოკ ჰოლმსი. დიდი ბრიტანეთის ნაციონალურმა ბანკმა ბექჰემი დიადი ბრიტანელების რიცხვში შეიყვანა და შესაძლოა, მომავალში ბექჰემის პორტრეტმა ათფუნტიანი კუპიურაც დაამშვენოს.

* დევიდ ბექჰემი პირველი მამაკაცია, რომელმაც ქალებისთვის განკუთვნილი მოდური ჟურნალის „ელეს" გარეკანი დაამშვენა. „ელეს" ბრიტანული გამოცემის რედაქტორის თქმით, დევიდ ბექჰემი, როგორც ბრიტანეთის ნაციონალური გმირი და ფეშენ-კერპი, იდეალურად უხდება ამ ჟანრის ჟურნალის გარეკანს.

* დევიდ ბექჰემი სამაგალითო მეუღლედაა მიჩნეული ბრიტანეთში. 14 წელია, ის ვიქტორიასთან ერთად ცხოვრობს და 4 შვილი ჰყავთ. დევიდი დიდ დროს უთმობს ოჯახს და ასევე, კვირაში ერთხელ თავისი ნათესავების მონახულებასაც ახერხებს. გარდა ამისა, ყველა ჭორი დევიდის შესაძლო ღალატზე, საბოლოოდ, ტყუილი გამოდგა.

* დევიდ ბექჰემი თანამედროვე ფეხბურთის ნომერ პირველი „მეტროსექსუალია". მისი ვარცხნილობა დიდი ხანია, მისაბაძად იქცა.

* ამბობენ, დევიდი ფოტოგრაფიითაა გატაცებული და ძვირად ღირებულ ფოტოტექნიკას ფლობსო.

* თავისი უკანასკნელი მატჩი პროფესიულ ფეხბურთში დევიდ ბექჰემმა „პარი სენ ჟერმენის" მაისურით ჩაატარა 2013 წლის 18 მაისს. მან კაპიტნის სამკლაურით გაიყვანა გუნდი მოედანზე და 72 წუთზე შეცვალეს. ბექჰემმა ატირებულმა დატოვა მოედანი.

## რუნი მამა გახდა

„მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი, უეინ რუნი მეორედ გახდა მამა. რუნის მეუღლემ – კოლინმა 21 მაისს იმშობიარა და ახალშობილს წყვილმა კლეი ენტონი დაარქვა. მეუღლის ფეხმძიმობის გამო უეინ რუნის „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელის რანგში გამართული ალექს ფერგიუსონის ბოლო მატჩის გამოტოვება მოუხდა. წყვილს უკვე ჰყავს სამი წლის კაი რუნი და კლეი მათი მეორე ვაჟია. ამასობაში ჯერაც უცნობია, თუ სად დაიწყებს ახალ სეზონს უეინ რუნი. მან კატეგორიულად მოითხოვა ტრანსფერზე დაყენება, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ალექს ფერგიუსონს დევიდ მოიესი ჩაანაცვლებდა. სწორედ მასთან „ევერტონში" დაიწყო უეინ რუნის კარიერა და არცთუ კარგი მოგონებები დარჩა იქიდან. რუნის სავარაუდო მყიდველთა შორის სახელდებიან: „მონაკო", „პსჟ", „ბაიერნი", „რეალი".

## ოლიმპიადის სექს-სიმბოლო პოლიტიკაში მიდის

მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი სპორტსმენი, 24 წლის ანტონია მისურა პოლიტიკაში მიდის. ხორვატი კალათბურთელი და 2012 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშების სექს-სიმბოლო ხორვატიის დემოკრატიული კავშირის პარტიის წევრი გახდა და მომავალ საპარლამენტო არჩევნებში დეპუტატის მანდატისთვის იბრძოლებს. ლამაზმანი სპორტსმენი ამჟამად ხორვატიული კლუბის, „ვიდიჩის" წევრია და თუკი მას პარლამენტში აირჩევენ, სპორტულ კარიერაზე უარის თქმა მოუწევს.



## შარაპოვა აღარ მალავს რომანს

მსოფლიოს მეორე ჩოგანს ქალებს შორის, რუს მარია შარაპოვას მოჰბეზრდა თავისი რომანის დამალვა და საჯაროდ განაცხადა, რომ 21 წლის ბულგარელ ჩოგბურთელთან, გრიგორ დიმიტროვთან რომანი აქვს. შარაპოვამ აღიარა, რომ შეყვარებულია და ჟურნალისტებს სთხოვა, ამ თემაზე მეტჯერ აღარ შეაწუხონ. პირველად შარაპოვა და დიმიტროვი მადრიდის მასტერსის ტურნირის დროს დააფიქსირეს ჟურნალისტებმა. „ეს არის ჩვენი ცხოვრება კორტების მიღმა და გვინდა, ის მარტო ჩვენი იყოს," – განუცხადა ჟურნალისტებს შარაპოვამ და ითხოვა, პაპარაცებმა მათ დევნას თავი დაანებონ.

## ჰემილტონის 150-ათასიანი ხუმრობა




ლუის ჰემილტონის ხუმრობა ჟურნალისტებზე მის გუნდს, „მერსედესს" 150 ათასი დოლარი დაუჯდა. საქმე ისაა, რომ რეპორტიორები წყლის მოტოციკლზე ამხედრებულ ჰემილტონს ულებდნენ, ავტომრბოლელმა კი გადაწყვიტა, მათ გახუმრებოდა – მოტოციკლით ისე ახლოს ჩაუარა, რომ წყლის შხეფებით გაწუწა ისინი. ჟურნალისტებს დაუზიანდათ ტექნიკა, ვიდეო და ფოტოკამერები, მობილური ტელეფონები. საკუთარი პილოტის ქმედების გამო კი „მერსედესმა" საჯაროდ ბოდიში მოუხადა ჟურნალისტებს და მიყენებული ზარალი სრულად აანაზღაურა.

## ჯექსონის დაბრუნება

ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში ყველაზე წარმატებულმა მწვრთნელმა, ლეგენდარულმა ფილ ჯექსონმა NBA-ში დაბრუნების თაობაზე ჟურნალისტებთან გააკეთა კომენტარი. ჯექსონის თქმით, მას მთავარი მწვრთნელის თანამდებობებს სთავაზობდნენ „ბრუკლინ ნეტში" და „საკრამენტო კინგსში." თუმცა, ორივე შეთანხმებაზე უარი განაცხადა. გარდა ამისა, ჯექსონის სახელს აკავშირებდნენ „ლოს-ანჯელეს კლიპერსა" და „ნიუ-იორკთანაც", თუმცა აქედანაც არაფერი გამოვიდა. შეგახსენებთ, რომ ფილ ჯექსონის მეთაურობით 1990-იან წლებში ლეგენდარულმა „ჩიკაგო ბულსმა" ზედიზედ რამდენჯერმე იზეიმა ჩემპიონობა. 2000-იან წლებში მან უკვე „ლოს-ანჯელეს ლეიკერსთან" ერთად დაიპყრო NBA-ს მწვერვალები.

## სტოიჩკოვის მუქარა

ლეგენდარულ ბულგარელ ფეხბურთელს ხრისტო სტოიჩკოვს შესაძლოა, ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია მისცენ და მწვრთნელობა დროებით აუკრძალონ. საქმე ისაა, რომ ამჟამად „ლიტექსის" მთავარი მწვრთნელი სტოიჩკოვი ღიად დაუპირისპირდა ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ბორისლავ მიხაილოვს და დაჰპირდა, რომ შეხვედრის შემთხვევაში, ფიზიკურად გაუსწორდება. „დავიჭერ და ვცემ, იმედი მაქვს, ეს მალე მოხდება," – ავრცელებს ბულგარული პრესა „გიჟმაჟი" ხრისტოს კომენტარს. ბოლო პერიოდში სტოიჩკოვი ბულგარეთის ჩემპიონატში მსაჯობის დონით არის უკმაყოფილო და მუდმივად აპროტესტებს ამ ფაქტს, მისი აზრით, მსაჯები მიკერძოებულად იქცევიან.

## სექსუალური ველომრბოლელი



ამერიკელი ველოსიპედისტი ლიზ ჰეტჩი, გარდა იმისა, რომ პროფესიონალი ველომრბოლელია, ასევე ცნობილია, როგორც გულახდილი ფოტოსესიების მოდელი. ეროტიკული ფოტოებით ლიზი ცდილობს, ქალების ველოსპორტის პოპულარიზაციას, რადგან ის ნაკლებპოპულარულია, ვიდრე კაცებისა. ლიზი 2011 წელს სერიოზულ ავარიაში მოჰყვა, თუმცა ძალების აღდგენა მოახერხა და ველოტრეკს ისეთივე შემართებით დაუბრუნდა, როგორც გადასაღებ მოედანს.

## მოურინიო „ჩელსიში" წავიდა

მადრიდის „რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა დაადასტურა ცნობა, რომ კონტრაქტი პორტუგალიელ სპეციალისტთან ყოზე მოურინიოსთან გაწყვეტილია. ამით კი გაამყარა ის ეჭვები, რაც სეუ ყოზეს ლონდონურ კლუბ „ჩელსიში" გადასვლას უკავშირდებოდა. მოურინიოს მეორედ მოსვლა „არისტოკრატების" შტაბში, რომან აბრამოვიჩის სურვილი იყო და სავარაუდოდ, მოურინიოსთან ერთად, „ჩელსიში" ახალი ერა დაიწყება. უკვე ცნობილია, რომ „რეალიდან" მოურინიო რამდენიმე ფეხბურთელის წამოყვანას ცდილობს,



მათ შორისაა ფაბიო კოენტრაუსი, რომელმაც ეშლი კოულის ადგილი უნდა დაიკავოს ფლანგზე. გარდა ამისა, „ჩელსის" კიდევ რამდენიმე ვარსკვლავს უკავშირებენ და ყველა მოუთმენლად ელოდება სატრანსფერო ფანჯრის გახსნას.

გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



### როგორ უნდა დალიოთ წამალი, რომ ორგანიზმზე სწორად იმოქმედოს

წამლის დალევა არც ისე მარტივი საქმეა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. სანამ დანიშნული პრეპარატის მიღებას გადაწყვეტთ, აუცილებლად გაეცანით მის ინსტრუქციას, რადგან ყველა წამალს თავისი უკუჩვენება და მიღების წესი აქვს.

ტკივილგამაყუჩებლებსა და არტერიული წნევის დამწევ აბებს ორგანიზმი უკეთ შეითვისებს, თუ დაამტვრევთ ან დაღეჭავთ და ისე გადაყლაპავთ; ანტიალერგიული პრეპარატები უკეთესია, ჩაწუწნოთ; ასპირინი წყალში უნდა გახსნათ; გააქტიურებული ნახშირი უნდა დაფხვნათ და ისე მიიღოთ; კაფსულის ან გრანულის ფორმის წამალი კი მთლიანად, ანუ დაუნაწევრებლად უნდა დალიოთ.

წამლის მიღების საუკეთესო საშუალებაა წყალი. ერთ გრამ წამალს ასი მილილიტრი წყალი მაინც უნდა მიაყოლოთ. წვენების, ჩაის და სხვა სითხეების წამალთან ურთიერთქმედებას, შეიძლება, გაუთვალისწინებელი ქიმიური რეაქციები მოჰყვეს.

პრეპარატებს, რომლებიც კუჭის ლორწოვან გარსს აღიზიანებს, რძე უნდა მიაყოლოთ, მაგალითად, ასპირინს. ციტრამონის მიღება რეკომენდებულია ტუტე ხსნარით, ანუ ბორჯომით. იგივე ითქმის სტრეპტოციდზეც, ოღონდ, ამ პრეპარატის მიღების პერიოდში რაციონიდან გამორიცხეთ გოგირდისა და ფოლიუმის მჟავის შემცველი პროდუქტები: კვერცხი, პარკოსნები, პომიდვრის საწებელი, ღვიძლი და ასე შემდეგ.

არავითარ შემთხვევაში არ დალიოთ რამდენიმე სახის წამალი ერთდროულად. მათი მიღების შუალედი მინიმუმ ათი წუთი მაინც უნდა იყოს.

წყლულისა და გასტრიტის საწინააღმდეგო პრეპარატები ცუდად შეიწოვება, როცა მათ ანტიბიოტიკებთან ერთად იყენებენ. არც ანტიბიოტიკები შეგერგებათ, თუ მათ კალციუმის, ალუმინისა და რკინის შემცველ პრეპარატებთან ერთად დალევთ.

### რომელი პროდუქტები არ უნდა ჭამოთ ძილის წინ

დიდი მნიშვნელობა აქვს, რას ჭამთ საუზმეზე. კარგია, თუ დილით ბრინჯის ფაფას მიირთმევთ, რადგან, ის მდიდარია სახამებლით, რომელიც ორგანიზმს ეხმარება საკვების უკეთ გადამუშავებაში. ასევე, მას აქვს თვისება, გამოიმუშაოს სეროტონინი, რომელიც აუმჯობესებს განწყობას. სეროტონინის გამომუშავების შემდეგ გამოიყოფა ძილის ჰორმონი, რასაც, ასევე, ხელს უწყობს შემდეგი პროდუქტები: ბანანი, პური, მაკარონი, ხახვი, ნიორი, თბილი რძე და ასე შემდეგ. თუ ამ პროდუქტებს ერთ ფინჯან ყავასაც მიაყოლებთ, თავს უფრო მხნედ იგრძნობთ.

ფიზიკური აქტივობა და სპორტი ენერგიის გამოცლასა და დაღლას იწვევს, მაგრამ ძილს მაინც არ მოგგვრით. დაძინებამდე სამი საათით ადრე უარი თქვით ყველანაირ ვარჯიშზე. ასევე, ეცადეთ, ყოველდღე ერთსა და იმავე დროს დაწვეთ დასაძინებლად და ძილის წინ არ იფიქროთ საქმეებზე.

საღამოს საათებში ნუ შეჭამთ შემწვარ ხორცს, სოსისსა და შებოლილ პროდუქტებს, რადგან ეს საკვები კუჭ-ნაწლავის გადატვირთვას იწვევს და ღამით მშვიდი და ნორმალური ძილის საშუალებას არ მოგცემთ. ძილის წინ ნურც შოკოლადს, ყავას, ჩაისა და ტკბილ, გაზიან სასმელს მიირთმევთ, რადგან ეს პროდუქტები კოფეინს შეიცავს, რაც ორგანიზმის აგზნებას იწვევს.

### რატომ არის საშიში უეცარი გულის წასვლა და რომელი დაავადება იწვევს მას

გულის უეცარი წასვლა ცნობიერების დაკარგვაა. მისი საფუძველი თავის ტვინის მწვავე, მაგრამ მცირე ხნით განვითარებული სისხლნაკლებობაა. ეს კი, როგორც წესი, არტერიული წნევის მნიშვნელოვანი დაქვეითებით არის განპირობებული. გულის წასვლა ვითარდება ნერვული გადაძაბვის, შიშის, გადაღლის, სისხლის დაკარგვის დროს. ასევე, გულის დაავადებების, მწვავე სისხლდენის, შიმშილის, ჩახუთულ ჰაერზე ყოფნის დროსაც. ზოგჯერ გულის წასვლა აღინიშნება ფეხზე დგომისას, ან ჰორიზონტალურიდან ვერტიკალურ მდგომარეობაში უეცარი გადასვლის დროს. ასეთ მდგომარეობაში ადამიანი ფერს კარგავს, ოფლიანობს, ვითარდება ჰიპოთერმია, ანუ სხეული ცივდება, სუნთქვა ნელდება, არტერიული წნევა ქვეითდება.

ამ დროს აუცილებელია, გულწასული ადამიანის დაწვენა. ტვინის სისხლმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია, მას ფეხები ააწევინოთ, რომ სისხლმა თავისკენ დაიწყოს სვლა. გახანგრძლივებული გულის წასვლის დროს, შესაძლოა, განვითარდეს ტვინის ინფარქტი, ამიტომ დროზე უნდა დაეხმაროთ ადამიანს.

ზოგჯერ, გულის წასვლას თან ახლავს სხვა სიმპტომებიც, მაგალითად, გულმკერდის არეში ტკივილი. ეს გულის იშემიურ დაავადებაზე მეტყველებს, გულის ფრიალი კი შესაძლოა, არითმიამ გამოიწვიოს. დიაგნოსტიკური მნიშვნელობა ენიჭება სისხლის წნევის გაზომვას. ასევე, მნიშვნელოვანია გულის წასვლისგან სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული თავბრუხვევის, კერძოდ, ჰიპოგლიკემიის, ეპილეფსიური გულყრის, ისტერიკული გულის წასვლის გარჩევა. ამ დროს არტერიული წნევა და გულისცემა ნორმის ფარგლებშია. ადამიანს არ აქვს ისეთი სიმპტომები, როგორიცაა ოფლიანობა და სიფერმკრთალე.

ხშირი გულის წასვლის დროს, აუცილებელია, ჭარბი მარილის შემცველი საკვების მიღება და ვიტამინოთერაპია.

თუ მისი გამომწვევი მიზეზი რაიმე სერიოზული პათოლოგიაა, მაგალითად, გულის მანკი, გულის იშემიური დაავადება და სხვა, მაშინ საჭიროა ამ ძირითადი დაავადებების მკურნალობა. გაფრთხილებთ, აუცილებლად მიაქციეთ ჯანმრთელობას სათანადო ყურადღება – თუ უეცრად გული წაგივიდათ, ჩაიტარეთ სათანადო გამოკვლევები.

### ცისტიტი შარდ-სასქესო ორგანოების ყველაზე გავრცელებული დაავადებაა

ცისტიტი შარდის ბუშტის ლორწოვანი გარსის ანთება შარდ-სასქესო ორგანოების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. განასხვავებენ მის სამ ფორმას: მწვავეს, რეციდიულსა და ქრონიკულს. წარმოშობის მიხედვით კი არსებობს: ტოქსიკური, ალერგიული, არაინფექციური ცისტიტი. ანთება, შესაძლოა, გამოიწვიოს: კენჭებმა, ტრავმამ, აუტოიმუნურმა დაავადებამ, შარდის ბუშტის კიბომ, რადიაციულმა პათოლოგიამ, ქიმიოთერაპიულმა მკურნალობამ, უბრალოდ, გაციებამ და ასე შემდეგ. მიზეზი კი, უმთავრესად, ინფექცია ხდება. ყველაზე ხშირად მისი გამომწვევია ნაწლავის ჩხირი, იშვიათად – სტაფილოკოკი. ცისტიტის მიზეზად შეიძლება იქცეს სასქესო ინფექციები – ქლამიდიოზი, სოკოვანი დაავადებები.

შარდის ბუშტში მოხვედრილი ინფექცია ყოველთვის არ იწვევს ანთებას. ინფიცირების დროს პროცესში ერთვება ორგანიზმის იმუნური სისტემა, როგორც თავდაცვითი მექანიზმი.

მწვავე ცისტიტის განვითარებისთვის აუცილებელია დამატებით-მაპროვოცირებელი ფაქტორები, მაგალითად: გაციება, ქირურგიული ჩარევა, სქესობრივი აქტი, ურეთრის კათეტერიზაცია. ასევე, არსებობს ფაქტორები, რომლებიც ორგანიზმს ცისტიტის მიმართ განაწყობს. ასეთებია შარდის ბუშტის ევაკუატორული ფუნქციის მოშლა, ინფექციების მიმართ ორგანიზმის გამძლეობის დაქვეითება, ავიტამინოზი, გადაღლა და ასე შემდეგ.

ცისტიტსა და ჰორმონულ ფონს შორის პირდაპირი კავშირია. ასევე, მენოპაუზისა და იმ დაავადებების დროს, რომლებიც ნივთიერებათა ცვლის დარღვევას იწვევს, ცისტიტის განვითარების რისკი მეტია. შარდის ბუშტის მწვავე ანთება მოულოდნელად იწყება და აღინიშნება შარდვის გახშირება, ტკივილი შარდვის დროს, ზოგჯერ შარდში ჩნდება სისხლის მინარევი, მწვავე ცისტიტ-

ის დროს კი იმატებს ტემპერატურა.

თუ ანთებითი პროცესი შარდის ბუშტის სფინქტერზე გადავიდა, ვითარდება შარდის შეუკავებლობა. აღინიშნება ტკივილი წელის ქვედა არეში, მუცლის ქვემოთ.

ქრონიკული ცისტიტი უფრო ხშირად ვითარდება შარდის ბუშტის, თირკმელებისა და სასქესო ორგანოების სხვა დაავადებათა ფონზე.

ცისტიტის დროს აუცილებელია სქესობრივი აქტის შეზღუდვა, იმუნოთერაპიის ჩატარება და ჰიგიენური ფაქტორების ზედმიწევნითი დაცვა. ცისტიტისკენ მიდრეკილმა ადამიანებმა კი დაავადების გამწვავების თავიდან ასაცილებლად უნდა გაითვალისწინონ შემდეგი: ერიდონ გაციებას, ყურადღება მიაქციონ ჰიგიენას, ჩაიცვან თბილად. ცისტიტის პირველი ნიშნების გამოვლენისთანავე ნუ დალევთ ანტიბიოტიკებს, რადგან ეს სიმპტომებს აქრობს, მაგრამ, ცისტიტს ვერ კურნავს.

### შოკოლადი ორგანიზმს სტრესისგან იცავს და ებრძვის კიბოს განვითარებას

შოკოლადის შემცველობაში შემავალი მაგნიუმი ებრძვის დეპრესიას, აუმჯობესებს მეხსიერებას, ორგანიზმს სტრესის მიმართ უფრო გამძლეს ხდის და იმუნიტეტზეც დადებითად აისახება. ამიტომ, ძალიან კარგია, თუ მას პროფილაქტიკისთვის სისტემატურად მიირთმევთ, ოღონდ, განსაზღვრული რაოდენობით. ვინც ყოველდღიურად დაახლოებით 25-30 გრამ სუფთა შოკოლადს ჭამს, ის არც კიბოთი და არც წყლულოვანი დაავადებით არ ავადდება – ეს ბოლო დროს ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო.

შოკოლადი ინფარქტისა და ინსულტისგანაც გვიცავს, რადგან მისი რეგულარული მოხმარება სისხლის ფირფიტების, ანუ თრომბოციტების ფუნქციის ნორმალიზებას ახდენს. მასში შემავალი ფლავონოიდების ჯგუფის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები თრომბოციტებს ერთმანეთთან შეწებების საშუალებას არ აძლევს, ხელს უშლის გულისა და ტვინის სისხლძარღვებში თრომბის წარმოქმნას. ამ მხრივ შოკოლადი ასპირინს ჰგავს, თუმცა მისგან სასიამოვნო გემოთი და უკუჩვენებების არქონით განსხვავდება. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ავადმყოფებს, რომლებსაც სისხლის გამათხელებელი პრეპარატები დაუნიშნა ექიმმა, შეუძლიათ ისინი შოკოლადით ჩაანაცვლონ. მაგრამ, ვინც ჯანმრთელია და სურს, მომავალში არ იავადმყოფოს, მისთვის შოკოლადი კარგი დამხმარეა.

შოკოლადი სისხლძარღვებს ათეროსკლეროზისგანაც იცავს. ამ მოქმედებას მეცნიერები კაკაოს მარცვლებში განსაკუთრებული ნივთიერების, კერძოდ, პროციანიდების არსებობით ხსნიან, რომლებიც ანტიმჟანგავების ჯგუფს მიეკუთვნება და ორგანიზმს არასასურველი ზემოქმედებისგან იცავს.

დღეში დაახლოებით 30-40 გრამი შოკოლადის ჭამა ისეთივე სასარგებლოა, როგორც ერთი ჭიქა წითელი ღვინო. ის ამაგრებს სისხლძარღვებს, აიძულებს გულს, იმუშაოს თანაბარი რიტმით, არეგულირებს არტერიულ წნევას. შავი შოკოლადი უფრო მდიდარია A და B ვიტამინებით, კალიუმით, ფოსფორითა და რკინით, ვიდრე ვაშლი, იოგურტი და ყველი. მწარე შოკოლადი წვავს ცხიმებს, შეიცავს კოფეინს და ცოტა ცხიმს. ის თრგუნავს მადას, ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლას და ზღუდავს თავისუფალი რადიკალების მოქმედებას.

თუ გსურთ, ჯანმრთელი კბილები შეინარჩუნოთ, მიირთვით მწარე შოკოლადი. მასში შემავალი კაკაო კბილებს თხელ დამცავ ფენად ედება და კბილზე ქვების წარმოქმნას უშლის ხელს.

შოკოლადი ეროტიკულ გრძნობებსაც აღძრავს. ამიტომ, მისი ჭამა აუცილებელია იმ ადამიანებისთვის, ვისაც სქესობრივი ცხოვრების მხრივ აქვთ პრობლემები.



გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ვარ 29 წლის. დროდადრო ყელში ბურთის შეგრძნება მაქვს და ოდნავ ყლაპვის გაძნელება, რაც რამდენიმე საათი ან რამდენიმე დღე გრძელდება. ფარისებრი ნორმაში მაქვს. სხვა რა შეიძლება, იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი:** პაციენტებს ხშირად მიაჩნიათ, რომ ყელში არსებული დისკომფორტი ფარისებრი ჯირკვლის დაავადების გამოვლინებაა. თუმცა, რეალურად, ეს ასე არ არის. სავარაუდო მიზეზები შეიძლება იყოს: საყლაპავის დაავადება (ამ მიზნით გასტროენტეროლოგს უნდა მიმართოთ), თუ ამ მხრივ პრობლემა გამოირიცხა, მაშინ საჭირო იქნება ყელ-ყურის სპეციალისტის კონსულტაცია.

**კითხვა: არის თუ არა შესაძლებელი მედიკამენტური საშუალებებით საშვილოსნოს ინფანტილიზმის ნორმალიზება?**

**პასუხი:** ინფანტილიზმის თერაპია უმეტეს შემთხვევაში წარმატებულია. უნდა მოხდეს განვითარების ჩამორჩენის პირველადი მიზეზის აღმოფხვრა. ინფანტილიზმით დაავადებულ ზრდასრულ ქალებს ენიშნებათ ჩანაცვლებითი ან მასტიმულირებელი ჰორმონოთერაპია. მოზარდ გოგონებს კი ჰორმონული თერაპია არ ენიშნებათ (საწყის ეტაპზე). წინასწარ ხდება ორგანიზმის მომზადება, რისთვისაც იყენებენ ჰორმონებისადმი მასენსიბილიზებელ პრეპარატებს.

**კითხვა: დამისვეს კოქსართროზის დიაგნოზი ორმხრივი დისპლაზიით. დისპლაზია თანდაყოლილია თუ შესაძლებელია, კოქსართროზის პარალელურად იყოს განვითარებული?**

**პასუხი:** ჩვეულებრივ, დისპლაზია თანდაყოლილი პათოლოგიაა, თუმცა შესაძლოა, განვითარდეს როგორც ბავშვობის ასაკში, ისე მოზრდილობის პერიოდშიც.

**კითხვა: შესაძლებელია თუ არა, რომ მოკლე ძვლები სიგრძეში გაიზარდოს (დაგრძელდეს), თუ მხოლოდ გრძელი ძვლები გრძელდება?**

**პასუხი:** ზოგადად, როდესაც ზრდის პროცესი მიდის, ყველა ძვალი პროპორციულად იზრდება, თუ არ არის რაიმე დარღვევა.

**კითხვა: წარსულში ჩატარებულმა ქიმიოთერაპიამ (არა სიმსივნურ დაავადებაზე), შეიძლება თუ არა, გამოიწვიოს რომელიმე დაავადება, თუნდაც სიმსივნე?**

**პასუხი:** საჭირო ჩვენებით ჩატარებული ქიმიოთერაპია სიმსივნურ წარმონაქმნებს არ იწვევს.

**კითხვა: მაქვს ოსტეოქონდროზი, დავიწყე იოგაზე სიარული. პირველი ვარჯიშის დროს ძალიან ძლიერი დატვირთვა მივიღე, ამტკივდა თავი, ხერხემალი ძალიან, დამეწყო უძილობა. თუ ეს შეგრძნება დროებითია, რა უკუჩვენება აქვს იოგას?**

**პასუხი:** აუცილებელია, მიმართოთ ორთოპედს ან რევმატოლოგს და ყველა ვარჯიშის ტიპი, რომელსაც იყენებთ, მასთან შეათანხმოთ. არსებობს ხერხემლის მდგომარეობები, რომლის დროსაც იოგათი ვარჯიში უკუნაჩვენებია.

**კითხვა: შეიძლება თუ არა, რომ საკვერცხის კისტა უმოძრაობის გამო გაჩნდეს? დღის უდიდეს ნაწილს კომპიუტერთან ჯდომაში ვატარებ სამსახურის გამო.**

**პასუხი:** საკვერცხის კისტის განვითარებაში უმოძრაობა მნიშვნელოვან ფაქტორს არ წარმოადგენს, ეს ჩვეულებრივ ჰორმონული ფონის დისბალანსის შედეგია.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

# რა იყო სახიფათო მიხეილ ჭიაურელის კინოშემოქმედებაში და ვინ ასოცირდება სტალინთან ფილმში „რაც გინახავს ველარ ნახავ“

„გიორგი სააკაძე“, „ოთარაანთ ქვრივი“, „დიადი განთიადი“, „რაც გინახავს ველარ ნახავ,“ „ფიცი“, „ბერლინის დაცემა“... დიდი ნაწილი ფილმებისა მიხეილ ჭიაურელმა საქართველოსთვის ყველაზე მძიმე პერიოდებში გადაიღო, როცა „საბჭოთა ქამარი“ ადამიანებს სულის შეხუთვამდე უჭერდა და ცხოვრების პირობები ძალიან დაბალი იყო. შესაბამისად, არ იყო ისეთი მატერიალური ბაზა, კინოტექნიკა, რომელიც გადაღებებს გააადვილებდა და ფილმს ბევრად ეფექტურ სახეს მისცემდა. სამაგიეროდ, იყვნენ რეჟისორები, ვისაც ბელადისგან დიდი დაფასება ჰქონდათ და ერთ-ერთი ასეთი გახლდათ სწორედ მიხეილ ჭიაურელი – სტალინის ცნობილი კინომითის შემქმნელი და საყვარელი თამადა.



მიხეილ ჭიაურელი

მიხეილ ჭიაურელი თბილისში 1894 წლის 25 იანვარს დაიბადა. 1912 წლს დაამთავრა თბილისის ფერწერისა და ქანდაკების სკოლა. 1915 წლიდან მუშაობდა თბილისის, ქუთაისის და ბათუმის თეატრებში როგორც მსახიობი, რეჟისორი და მხატვარი. 1921 წელს დააარსა სატირის თეატრი. 1925-1927 წლებში იყო მუშათა თეატრისა და „წითელი თეატრის“ რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. დღეს ამ არაჩვეულებრივი ფილმების რეჟისორის ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდს გაგაცნობთ, რომელიც ვფიქრობ, ძალიან დაგაინტერესებთ.

***

ვერიკო ანჯაფარიძე და მიხეილ ჭიაურელი საგარეჯოში შეხვდნენ ერთმანეთს, სადაც საფრანგეთიდან დაბრუნებულ გიორგი ჯაბადარს თეატრალური სტუდია ჰქონდა გახსნილი. იქ, მოსკოვიდან ჩამოსული ვერიკოც დადიოდა... ის შეხვედრა მრავლისმომცველი იყო. ალბათ, ასეთ წუთს ჰქვია „სამუდამო ტყვეობა“ – 24 წლის მიხეილ ჭიაურელს ვერიკოს სახელის ხსენებაზე გული აუჩქროლდა, მანამდე არ ჰყავდა ნანახი. ამ შეხვედრას თავად ჭიაურელი ასე იხსენებს: „მოდიოდა ქალი დიდი ნაბიჯებით. ეცვა აბრეშუმის გრძელი კაბა. ვერ გაიგებდი, თვალებით ვის უყურებდა, ოდნავ მოზრდილი ცხვირი, უწესრიგოდ, ფაფარივით გადმოყრილი თმა... ყველას მოგვესალმა და მე მომეჩვენა, რომ განსაკუთრებული ყურადღებით მე შემომხედა. მე მას პირველად ვხედავდი... და ვხედავდი მხოლოდ მას. ეზოში, მწვანეზე ჩამოვსხედით ყველანი. მოხდა ისე, რომ ვერიკო ჩემთან ახლოს დაჯდა. რა ბედნიერებაა! – ბედნიერებას განვიცდიდი და არ მესმოდა, რას ნიშნავდა ეს... ჯაბადარმა ახალგაზრდა მსახიობს სთხოვა, რამე წაეკითხა. ვერიკომ სასტიკი უარი განაცხადა. სთხოვდნენ ჩვენი მსახიობებიც... „ვთხოვ, იქნებ, დამიჯეროს“ – გავიფიქრე და თითქმის ჩურჩულით ვთქვი: მეც გეხვეწებით-მეთქი. მან ერთი შემომხედა და დაუყოვნებლივ დაიწყო... რატომ დაიწყო მაინცდამაინც მაშინ, როცა მე ვთხოვე? არ ვიცი... რა ახლოს იყო მისი ხელი დაბლა... ვერაფერს ვგრძნობდი... მე ტაში არ დავუკარი, დავიხარე და ხელზე ვაკოცე...“ იმ დღიდან მათ შორის დიდი გრძნობა გაჩნდა. თუმცა, გარკვეული დროის მერე, ერთმაც შექმნა ოჯახი და მეორემაც, კაციც ძალიან ცნობილი გახდა და ქალიც. ცალ-ცალკე ყოფნის მიუხედავად, მათ ვერ შეძლეს იმ „ცეცხლის“ ჩაქრობა, შორიდან რომ სწვავდა ორივეს. დიდხანს ვერ ბედავდნენ ოჯახიდან წამოსვლას... ბოლოს, განყდა იქ, სადაც მოთმინების ძაფი ყველაზე წვრილი იყო, – „დაე, ილაპარაკონ! რაც უნდათ, ის თქვან, მე შენ მიყვარხარ!“ – უთხრა კაცმა ქალს, ხელი მოჰკიდა და ნაზად, ძალიან ნაზად ეამბორა. იმ ადგილიდან, სადაც შეხვდნენ და ერთმანეთს აკოცეს, თბილისის ულამაზესი ხედი იშლებოდა. პაემნის ადგილი ჭიაურელისთვის ყველაზე წმინდა ადგილად იქცა – აქ, ფიქრის გორაზე, მათ ხომ ერთმანეთს სიყვარული შეჰფიცეს. ჰოდა, ამაზე ორგინალური რაღა უნდა მოეფიქრებინა ხელოვანს, თუ არა, სახლის აშენება?! და მართლაც, ცოტა ხანში, ფიქრის გორაზე აშენდა სახლი, სადაც ორმა დიდმა ხელოვანმა ერთად დაიდო ბინა...



მიხეილ ჭიაურელი და ვერიკო ანჯაფარიძე

მანამდე კი... მანამდე ორივეს საკმაოდ რთული ბარიერი ჰქონდათ გადასალახი. მოსკოვიდან ჩამოსულ ვერიკოს სახელოვანი შალვა ამირეჯიბი ეტრფოდა – გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატი, პოეტი და ჟურნალისტი. იგი 11 წლით უფროსი იყო ვერიკოზე. მათი ურთიერთობა გახმაურდა და ჭიაურელიც გვერდზე გადგა, ოჯახი შექმნა, – ეგებ დავივიწყოო ვერიკო, მაგრამ სიყვარული როდის ეგუება მოვალეობის ჩარჩოებს?! ის მალევე ცოლად გაჰყვა გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეს, ეროვნულ-დემოკრატს, პოეტსა და პუბლიცისტს – უკომპრომისობით განთქმულ შალვა ამირეჯიბს... ჯვარი ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანის სახლის პირდაპირ მდებარე პატარა ეკლესიაში დაიწერეს, საქორწილო სუფრაც ყიფიანების ეზოში გაიშალა, მაგრამ ჯვერისწერიდან გამოსულ ვერიკოს გული შეულონდა. მას ხომ უსაზღვროდ უყვარდა მიხეილ ჭიაურელი, რომელსაც უკვე ცოლ-შვილი ჰყავდა. ამბობენ, სიკვდილის წინ მამამ სთხოვა ქალიშვილს, გაჰყოლოდა ცოლად ამირეჯიბს. ვერიკომაც შეასრულა მისი თხოვნა, მაგრამ მათი ურთიერთობა თავიდანვე განწირული იყო – ვერიკოს გული სხვას ეკუთვნოდა. მიუხედავად განშორებისა, შალვა ამირეჯიბს ვერიკო უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უყვარდა. მას ემიგრაციაში წასულსაც აღარ შეურთავს მეორე ცოლი.

**გოგი გვახარია**: „ომის დამთავრების შემდეგ რეჟისორები დაიბნენ – აღარ იყო მტერი და არ იცოდნენ რაზე გადაეღოთ ფილმები. ვერ ხვდებოდნენ, რა უნდოდა სტალინს, ხშირად ეგონათ, რომ რაღაც მოეწონებოდა, მაგრამ ფილმებს რატომღაც კრძალავდნენ. ჩვენი თანამემამულე მიხეილ ჭიაურელი ბევრად უფრო ნიჭიერი აღმოჩნდა, ვიდრე სხვები, მან დანარჩენებზე უკეთ იგრძნო კონიუქტურა, მიხვდა, რა მოეწონებოდა ბელადს. „ბერლინის დაცემაში“ ნაჩვენებია ბელადი ბერლინში – მაშინ სტალინი ბერლინში არ ჩასულა. ეს სცენა კარგად მიიღეს, არავინ იგრძნო უხერხულობა. არადა, სოცრეალიზმის ეპოქაში თითქოს თითოეულ დეტალს აკვირდებოდნენ. როცა სტალინის გარდაცვალების შემდეგ პიროვნების კულტი დაგმეს, მიხეილ რომმა, ადამიანმა, რომელიც იღებდა ფილმებს სტალინის მონაწილეობით, ასეთი რამ გააკეთა – სტუდიაში ღამით შეიპარა, დარაჯს არაყი მისცა და თავის ყველა ფილმში სტალინის სცენები ამოჭრა. თანაც, ეს ყველაფერი ძალიან ოსტატურად გააკეთა. ამ დროს მიხეილ ჭიაურელს აუკრძალეს კინოს გადაღება და სვერდლოვსკში გადაასახლეს, სადაც გადაიღო მულტფილმი – „როგორ ასაფლავებენ თაგვები კატას“. ჭიაურელი ბოლომდე სტალინის ერთგული დარჩა – მან



მიხეილ ჭიაურელი და ვერიკო ანჯაფარიძე

სტალინის დასაფლავება გადაიღო, სადაც ცეკას ჩინოვნიკები თაგვებად გამოიყვანა, სტალინი კი კატად. უფრო მეტიც, 60-იან წლებში, როცა უკვე აღარავინ ლაპარაკობდა სტალინიზმზე, ის იღებს ყველასათვის ნაცნობ ფილმს, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, სადაც ჩნდება აკაკი ხორავას პერსონაჟი, რომელიც ქმნის ასოციაციებს სტალინთან... ქართველმა რეჟისორმა პირველად მოიპოვა საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზი – 1946 წელს ვენეციის კინოფორუმზე



ჭიაურელი ცოლ-შვილთან ერთად

„ვერცხლის ლომი" გადასცეს მიხეილ ჭიაურელს მონუმენტური კინოფრესკისთვის „ფიცი". ევროპასა და შეერთებულ შტატებში ვენეციის ფესტივალის ჟიურის ამ გადაწყვეტილებას „სკანდალი" უწოდეს, საბჭოთა კავშირში კი ლამის მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებას შეადარეს... დღეს, „ფიცის" პრემიერიდან 60 წლის შემდეგ, ჭიაურელის ფილმს ხელახლა აჩვენებენ დასავლეთის ქვეყნების კინომუზეუმებში და ყოფილ საბჭოთა კავშირშიც. მიხეილ გელოვანის მიერ განსახიერებული სტალინის დანახვაზე ვიღაცას ეცინება, ვიღაცას კი წარსულის ნოსტალგია უჩნდება... „დიადი განთიადი" ჭიაურელის პირველი ფილმი იყო, რომელშიც სტალინის პერსონაჟი გამოჩნდა. ბელადი თანამემამულის ნამუშევრით აღფრთოვანდა, კრემლში მიიწვია და დაუმეგობრდა. მერე კი ჭიაურელმა სწორედ ბელადის ლოცვა-კურთხევით გადაიღო ფილმები; „დაუვიწყარი 1919", „ფიცი", „ბერლინის დაცემა".

„ლოცვა-კურთხევა" შემთხვევით არ ვახსენეთ. რელიგიური მოტივები სტალინისადმი მიძღვნილ ჭიაურელის ყველა ფილმში წარმოჩნდება. „ფიცში", მაგალითად, არის ერთი საგულისხმო სცენა: ლენინის სიკვდილის შემდეგ სტალინი, მიხეილ გელოვანის შესრულებით, სკამზე ჩამოჯდება. მოულოდნელად, მის სახეს ძლიერი სინათლის სხივი დაეცემა. მერე სტალინი თავის საწერ მაგიდას მიუჯდება, ჩიბუხს გააბოლებს და ლენინის თავების ხატვას იწყებს. ამის შემდეგ ახალი ბელადი წითელ მოედანზე გადის და ფიცს დებს...

დიდი, ძლიერი, ქვასავით მტკიცე, „სუფთა" და განიერი – ეს ყველაფერი გამოხატავს სტალინური კლასიციზმის ესთეტიკურ არსს, რომელიც მიხეილ ჭიაურელმა, პირველადი პროფესიით მოქანდაკემ, საუკეთესოდ გაიაზრა. სოფიკო ჭიაურელის თქმით, სტალინს მოსწონდა პერსონაჟი – დიდი, ძლიერი, ქვასავით მტკიცე, რომელიც მისგან ჭიაურელმა და გელოვანმა შექმნეს...

მაგრამ, როდესაც სტალინმა უშუალოდ ნახა თავისი ორეული, მიხეილ გელოვანი, რომელიც არც გარეგნობით ჰგავდა და მეტყველებაც სხვანაირი ჰქონდა, ბელადი უკმაყოფილო დარჩა. „ბერლინის აღების" შემდეგ გელოვანს სტალინის როლებს აღარ აძლევდნენ.

**სოფიკო ჭიაურელი:** „...უთხრა, მომიყვანე ერთიო... მამამ უთხრა გელოვანს, იცი, რომ შენი ნახვა მოინდომაო? გავიდა ერთი კვირა, ის არ რეკავს. მამა ურეკავს გელოვანს და ეუბნება: მიშა, მოემზადე, მივდივართ სტალინთანო... რესტორანში წაიყვანა. ერთი-ორჯერ, სამჯერ ასეთი რაღაც გააკეთა და უცბად ზარია მართლა – ეუბნებიან, რომ სტალინი ელოდება. ურეკავს მამაჩემი, მართლა გირეკავსო... ჩაიცვა სტალინის კიტელი... და ასე მოხვდა სტალინთან. ცხოვრებაშიც არ ჰგავდა სტალინს... შევიდნენ და გამოვიდა თავისი ოთახიდან, მამას ხელი ჩამოართვა. ამას გახედა, არ ჩამოართვა ხელი და შევიდა



ჭიაურელი ქალიშვილთან – სოფიკოსთან ერთად

სასადილო ოთახში. მამამ იმწუთში იგრძნო, რომ არ მოეწონა... „ეს პიროვნება განმასახიერებს მე?" (სტილი დაცულია).

**გოგი გვახარია:** „ფიცისგან" განსხვავებით, რომელშიც ჭიაურელი 30-იანი წლების საბჭოთა იდეოლოგების მიერ შექმნილ მითებს დამორჩილდა, „ბერლინის დაცემის" სიუჟეტი თავიდან ბოლომდე ავტორის მიერ იყო გამოგონილი. სურათის ფინალში სტალინი უკვე „დაცემულ" ბერლინში ჩადის და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარიატს ესალმება. ისტორიის ასეთი ინტერპრეტაცია სახიფათო იყო, მაგრამ ბელადს ყოველთვის მოსწონდა, როცა ეკრანზე უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე ცხოვრებაში."

**სოფიკო ჭიაურელი:** „...როცა აჩვენებდა მამა ამას, უკან იჯდა სტალინი და მთელი პოლიტბიურო, მამა უყურებდა სტალინს... რომ გადმოვიდა თვითმფრინავიდან, იმ ეპიზოდში, დაინახა მამამ, რომ ხელი მიიტანა სახესთან და ცრემლი შეიშრო. მამა ბედნიერი იყო, რომ მოეწონა. მერე უთხრა... ბიჭო, მართლა უნდა ჩავსულიყავი ბერლინშიო... ისე, გორელი ბიჭი რომ იტყვის."

**გოგი გვახარია:** „გორელი ბიჭის" მიმართ ერთგულება მიხეილ ჭიაურელმა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა. სტალინის სიყვარულის გამო ხრუშჩოვმა ის სვერდლოვსკში გადაასახლა, ბელადის გარდაცვალების შემდეგ ჭიაურელის ფილმები თაროზე შემოდეს. მაგრამ, ქართველი რეჟისორი თავისას არ იშლიდა. 60-იან წლებში თბილისის მულტიპლიკაციური ფილმების სტუდიას ჩაუდგა სათავეში და გადაიღო ანიმაციური ფილმი „როგორ ასაფლავებენ თაგვები კატას"... თაგვები – ჩვეულებრივი ადამიანები, კატა კი – უზარმაზარი კატა – იოსებ სტალინი."

**სოფიკო ჭიაურელი:** „...დედაჩემს არ უყვარდა სტალინი... ბერია, სტალინი... საერთოდ არავინ უყვარდა... მამამ სტალინს უძღვნა „როგორ ასაფლავებენ თაგვები კატას". კაბინეტში სტალინის სურათები ჰქონდა... შევარდნაძე რომ დანიშნეს ცეკას მდივნად, ეს იყო 1972 წელი, მივიდა ხალხი... მამაც მივიდა... რიგი იყო მიმლოცველების... ქალმა უთხრა, ბატონო მიშა, დიდხანს ნუ შეჩერდებით, ბევრი ხალხიაო... შევიდა და ორსაათ-ნახევარი არ გამოვიდა...ის აყოლინებდა, ის არ უშვებდა... ძია მიშა, მოჰყევით, რა, სტალინზე, რა!?"

**გოგი გვახარია:** „ფიცის" პრემიერიდან 60 წელი გავიდა. არც მანამდე და არც ამის შემდეგ „არაფერი მსგავსი" კინემატოგრაფისტებს არ გა-



ჭიაურელები საახლობლო წრეში

დაუღიათ. ამიტომაცაა, რომ „ვერცხლის ლომს", რომელიც ჭიაურელს ვენეციის კინოფესტივალზე გადასცეს, ჟიურიმ სპეციალური ფორმულირება დაურთო: „კინოს ენის სრულყოფისა და ნოვატორობისთვის".

**ეკა პატარაია**

(23-ე გვერდიდან)

ანდელი სიონის ქუჩის ბოლოში. ორივე ჩორსუს კვალი ნათლად იკითხება თბილისის 1800 წლის გეგმაზე. ისევე, როგორც საერთოდ ამ ხანის ბაზრებში, თბილისის ორივე ჩორსუშიც ერთიმეორის გვერდით სრულიად სხვადასხვა სახის დუქ-



ხედი მეტეხის ციხესიმაგრეზე (1900-იანი წლები)

ან-სახელოსნოები იყო განლაგებული.

**ჯოჯოს საყდარი**

ძველად ასე უწოდებდნენ თბილისელები მეტეხის კლდეში გამოკვეთილ გამოქვაბულს.

# ვინ დააპროექტა ფეთხაინის კიბე 1850 წელს და რის გამო უწოდეს გამოქვაბულს მეტეხის კლდეში „ჯოჯოს საყდარი"

პლატონ იოსელიანის ცნობით, გამოქვაბული მეექვსე საუკუნეში საქართველოში ქრისტიანობის საქადაგოდ მოსულ 13 სირიელ მამათაგან ერთ-ერთის, ეკლესიის მიერ წმინდანად აღიარებული – დავითის დროებითი ადგილსამყოფელი ყოფილა. აქედან გადასახლებულა ის გარეჯის უბანში, სადაც მონასტერი დააარსა. მამა დავითის გარდაცვალების შემდეგ მის მოწაფეს, დოდოს გამოქვაბულში სამლოცველო – საყამნო მოუწყვია. შემდგომში თითქოს „დოდოს საყდარი" დამახინჯებულა და „ჯოჯოს საყდრად" ქცეულა. პლატონ იოსელიანისვე მოწმობით, მისი ახალგაზრდობისას, აღდგომა დღეს აქ ჯერ კიდევ დადიოდნენ მლოცველები.



„ჯოჯოს საყდარი" მეტეხის კლდეში, თანამედროვე ხედი

**უშანგი რუხაძე**

**მასალაში გამოყენებულია ფრაგმენტები წიგნიდან: „ძველთბილისური დასახელებანი", თ. კვირკველია (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1985)**

**ახლა ის პერიოდია, როცა ბევრი ფიქრობს, როგორ ააშენოს ახალი საცხოვრებელი და ჩაუტაროს ბინას სარემონტო სამუშაოები. ამას, როგორც წესი, ზაფხულის დროს ვამთხვევთ, ან – შვებულებას, როცა სამსახურის საქმეებისგან დროებით ვისვენებთ და, გვინდა, ირგვლივ ყველაფერი მოვაწესრიგოთ. როგორც პარაფსიქოლოგი, ქალბატონი ლალი ამბობს, ამ საკითხს, მეტად ფრთხილად უნდა მივუდგეთ, ყველა დეტალი გავთვალოთ და ისე ვიმოქმედოთ, რომ ამ ყოველივემ მომავალში სიამოვნება მოგვანიჭოს, წარმატებისკენ გვიბიძგოს და არა პრობლემების წინაშე დაგვაყენოს.**

# რა კავშირშია ეზოში დარგული ხეები ოჯახის გამრავლებასთან და რა საფრთხეს გვიქმნის რემონტის დროს შეტანილი არასწორი შტრიხები

**ლალი**: როდესაც ცხოვრებაში წარუმატებელი პერიოდი დგება, მხოლოდ მაშინ იწყებს ადამიანი იმაზე ფიქრს, თუ რა გააკეთა არასწორად, როგორ შეიძლება პრობლემის მოგვარება, როგორ უნდა შეიმსუბუქოს ცხოვრება. ახლა ის დროა, როცა ვფიქრობთ, მოვაწესრიგოთ სახლი, დავიწყოთ რემონტი, შევღებოთ კარ-ფანჯარა თუ კედლები, დავიწყოთ სახლის აშენება და ასე შემდეგ. ამისთვის მხოლოდ ფინანსები და დრო როდია საკმარისი. გირჩევთ, მსგავს საკითხებში პროფესიონალებიც ჩართოთ და მათ შორის პარაფსიქოლოგებიც, რომლებიც ისეთ საიდუმლოებებში გაგარკვევენ, ცხოვრება უზრუნველი გექნებათ.

**– თუმცა, დამეთანხმეთ, ადამიანების უმრავლესობა, საცხოვრებელ გარემოსა და მის რემონტს ინდივიდუალურად ირჩევს და თავად წყვეტს, როგორ გარემოში იცხოვროს. ამასთან დაკავშირებით რა საჭიროა სხვა ადამიანების აზრის გათვალისწინება?**

– გეთანხმებით, გემოვნებაზე არ დავობენ, ოღონდ მე სხვისი აზრის კი არა, სპეციალისტების, კონკრეტულად კი, ამ სფეროში მომუშავე ადამიანების აზრის გათვალისწინება ვიგულისხმე. მათი რჩევაც თქვენთვის კომპეტენტური იქნება, რომ მომავალში საცხოვრებელ გარემოში შეტანილმა არასწორმა შტრიხმა პრობლემა არ შეგიქმნათ. ეს, რასაკვირველია, აგარაკებსაც ეხება, სადაც შვებულების დროს ისვენებთ და გინდათ ძალების მოკრება. მაგალითად, არ უნდა ააშენოთ სახლი მთის კენწეროზე, არც ხეობის შესასვლელში ან გამოსასვლელში, რადგან, სხვადასხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, წარმატების ნაცვლად, საწინააღმდეგო შედეგს მიიღებთ. ასევე, არ უნდა ააშენოთ ან იყიდოთ სახლი გზაჯვარედინზე, რადგან ასეთ საცხოვრებელში წარუმატებლობის შანსი იზრდება და ადამიანებს შორის ურთიერთობები ვერ ლაგდება. კარგია, თუ სახლის ფასადი დასავლეთისკენაა მიმართული და იქ კი გზა გადის, რადგან ასეთ გარემოში ადვილია სიმშვიდის, ჰარმონიისა და ბედნიერების მოპოვება – პირად ცხოვრებას ადვილადააწყობთ და გარშემო მყოფები აგრესიისგან დაცული იქნებიან. ასევე, სახლის შესასვლელთან არ ვარგა დიდი ხეების დარგვა, რადგან ხელი ეშლება ბინაში დადებითი ენერგიის შედინებას. ისე, ხეებს თუ ეზოში სახლის ჩრდილო-დასავლეთით დარგავთ და გაახარებთ, ბევრ სიხარულს მოგანიჭებთ და ოჯახის გამრავლებაზეც დადებით გავლენას მოახდენს. ასეთი ხეების მოჭრა კატეგორიულად გეკრძალებათ, რადგან უნაყოფობას იწვევს, რასაკვირველია, თუ ის გამხმარი არ არის. რაც შეეხება ეზოს ან სახლის შემოღობვას, თუ წინა მხრიდან ღობე დაბალია, უკანა მხრიდან კი – მაღალი, ეს ბედნიერების მომტანია, წინააღმდეგ შემთხვევაში – უბედურების.

**– გამიგია, რომ სახლის ფორმასაც აქვს მნიშვნელობა. ამაზე რას გვეტყვით?**

– დიახ, აქვს. თუ სახლი ან ოთახი ტრაპეციის ფორმისაა, იქ ცხოვრებისას რთულია ფულის დაზოგვა, გამრავლება, ბარაქა და დოვლათი ხშირად ნულამდეა დაყვანილი. თუ სახლის ფორმა სამკუთხედია, ესეც



ცუდია იქ მცხოვრები ადამიანებისთვის. არ არის გამორიცხული, ისინი უკურნებელი სენით დაავადდნენ, გალოთდნენ ან, სულაც, თვითმკვლელობით დაასრულონ სიცოცხლე. ასევე, ჯობია, სახლის მისაღები და სამზარეულო კვადრატული ფორმის იყოს, საძინებელი – მართკუთხედი, ხოლო შესასვლელი – ოვალური. ბევრი მეკითხება, თუ კერძო სახლის მშენებლობას ვიწყებთ და გარშემო ბევრი სახლი დგას, ამ დროს რას უნდა მივაქციოთ ყურადღებაო. ამიტომ, ყველას თქვენი ჟურნალის ფურცლებიდან ვპასუხობ: როდესაც გადაწყვეტთ, აიშენოთ კერძო სახლი და ირგვლივ სხვა საცხოვრებელი სახლებიცაა, აუცილებლად გაითვალისწინეთ ის რჩევები, რომლებიც მომავალში თქვენს კეთილდღეობაზე აგებს პასუხს. კერძოდ, თქვენი სახლი არ უნდა იყოს ირგვლივ მდებარე სახლებზე ძალიან მაღალი. როცა სახლი ყველა მხრიდან ღიაა და იზოლირება შეუძლებელია, ადამიანები მოუსვენრად გრძნობენ თავს. ამ დროს სახლიდან გაედინება დადებითი ენერგიები და მათი ეგრეთ წოდებული „შეკავება" და ცირკულაცია საცხოვრებელში ვერ ხერხდება. ასეთი დისჰარმონია კი, უეცარი დაავადებების მიზეზი შეიძლება გახდეს.

**თუ ყურები გაგიხურდათ და გაგიწითლდათ, ესე იგი, ვიღაცას ძალიან ენატრებით და გახსენებთ**

**– ასევე, გამიგია, რომ, სადაც ორსული ქალია, იმ სახლში არ შეიძლება სარემონტო სამუშაოების ჩატარება. ეს რასთან არის კავშირში?**

– იმ სახლში, სადაც ორსული ქალია, სარემონტო სამუშაოების ჩატარება, მართლაც, კატეგორიულად იკრძალება. განსაკუთრებით საშიშია მშენებლობის დროს აგურის გამოყენება, რადგან ეს უარყოფითად იმოქმედებს მის მშობიარობასა და ბავშვის ჯანმრთელობაზე.

**– არ შემიძლია, არ გკითხოთ იმ ცრურწმენებზე, რომელსაც უნებურად ვითვალისწინებთ. მაგალითად, ბევრისგან გამიგონია, როცა სახე გიხურს, ესე იგი, შენზე ცუდად ჭორაობენ, ხოლო თუ ყურები გაგიხურდა, მაშინ დიდი ხნის უნახავი ახლობელი გახსენებსო. ამაში თუ არის სიმართლის მარცვალი?**

– *(იცინის)*. თუ სახეზე უეცრად წამოგახურათ, მაშინ დარწმუნებული იყავით, რომ თქვენზე ცუდად ჭორაობენ. მაგრამ, თუ ყურები გაგიხურდათ და გაგიწითლდათ, ესე იგი, ვიღაცას ძალიან ენატრებით და გახსენებთ. ამ დროს, ვისზეც ეჭვი გაქვთ, მათი სახელები უნდა წარმოთქვათ და დააკვირდეთ, რომელი სახელის წარმოთქმაზე გაგივლით სიწითლე თუ გახურება. თუ ასე მოხდა, ესე იგი, სწორედ ის ლაპარაკობს თქვენზე. ასევე, დააკვირდით, თუ მარცხენა ყური გაგიხურდათ, ახლო ნაცნობი ან მეგობარი გახსენებთ, ხოლო თუ მარჯვენა, მაშინ – შორეული ნათესავი. თუ ორივე ყური ერთდროულად გაგიწითლდათ ან გაგიხურდათ, არ არის გამორიცხული, ყოფილი შეყვარებული ან სასიყვარულო პარტნიორი გახსენებთ, ან ფიქრობს თქვენზე. ასე რომ, ამქვეყნად უამრავი ისეთი რამ არსებობს, რაც ადამიანის კეთილდღეობაზე, ჯანმრთელობაზე, ბედზე, იღბალსა თუ უიღბლობაზე აგებს პასუხს. ეს ყველაფერი უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს და მას ადამიანები ყოველთვის ითვალისწინებდნენ.

**ნონა დათეშიძე**

## საშიში დამოკიდებულება

ამ გრძნობაზე ძალიან ბევრი დაუწერიათ და ბევრიც უთქვამთ. უამრავი ლეგენდაც შეუთხზავთ. სიყვარული ყველა დროში „კომერციული“ და მომგებიანია. წამგებიანი ხდება მაშინ, თუკი მის შესახებ ყველაფერს ბრმად და უპრობლემოდ დაიჯერებთ.

მაგალითად, მითია ის, რომ თითოეულ ადამიანს – აბსოლუტურად ყველას, სადღაც აუცილებლად ჰყავს თავისი მეორე ნახევარი. თავის დროზე ეს მითი პლატონმა შექმნა. შეიძლება, მას აზრადაც არ ჰქონია, ათასობით ადამიანის დაღუპვა, მაგრამ ასე გამოვიდა. ეს მითი ხელს გვიშლის ბედნიერებაში. განსაკუთრებით საშიშია მგრძნობიარე, ემოციური ადამიანებისთვის. მათთვის, რომლებიც განსაკუთრებით დიდხანს რჩებიან შთაბეჭდილების ქვეშ. თქვენ სრულფასოვანი პიროვნება ხართ. სიყვარული და გვერდით მდგომი როგორ არ გჭირდებათ, მაგრამ არავის არ უნდა მიეჯაჭვოთ და ჩამოეკიდოთ.

სიყვარული მაშინ მოდის, როცა მას ყველაზე ნაკლებად ელით – არაფერიც. წვიმა კი არ არის ან მიწისძვრა (თუმცა, ზოგჯერ შედეგები მიწისძვრისებური აქვს). სიყვარულისთვის ყოველთვის მზად უნდა იყოთ. უსიყვარულოდაც შეიძლება ცხოვრება, მაგრამ მოლოდინის რეჟიმი აუცილებელია. სიყვარულს უყვარს ის, ვინც მის მისაღებად მზად არის!

შეგიყვარდათ უკვე? – ძალიან კარგია. მაგრამ, არ აქციოთ ის დოპინგად და არ გახდეთ მასზე დამოკიდებული. არამც და არამც! ეს საშიშია. მხოლოდ ჯანსაღი გრძნობა და მეტი არაფერი.

## მესაკუთრეს - არა!

სიყვარული ძალიან კარგია, მაგრამ ყველაფერი უნდა გააკეთო იმისთვის, რომ მესაკუთრის ტყვეობაში არ აღმოჩნდე. შეყვარებული, მით უმეტეს, არ არის ამისგან დაზღვეული. ვინ არის მესაკუთრე და რა არის განსაკუთრებული იმაში, რომ ის, ვინც გიყვარს, შენს საკუთრებად მიგაჩნდეს?! – მარტივად აგიხსნით: მესაკუთრეს ვერასდროს გაუწევთ წინააღმდეგობას. მას განსაკუთრებით აქვს გამძაფრებული პატივმოყვარეობა. აქედან ოჯახურ ძალადობამდე (თუნდაც ფსიქოლოგიურ ძალადობამდე) ნახევარი ნაბიჯია. როგორია ტიპური მესაკუთრის „ანამნეზი“?

* ის მუდმივად ითხოვს მაქსიმალურ ყურადღებას. მისმა გვერდით მყოფმა ყოველთვის ის უნდა აკეთოს, რასაც თავად უბრძანებს;

* ნებისმიერ თემაზე და საკითხში მწვავე შენიშვნებს იძლევა. სამოსისა და მაკიაჟის ჩათვლით, ჭკუას ყველაფერზე გასწავლით;

* ვერ იტანს, როცა პარტნიორი თუნდაც უმნიშვნელო ინიციატივას იჩენს;

* დაწვრილებით და გამომცდელის ხმით გამოგკითხავთ მთელი დღის ამბებს, რომ არაფერი გამოეპაროს;

* დარწმუნებულია, რომ ყველა და ყველაფერი მისი წინააღმდეგია; რომ არავის ნდობა არ შეიძლება, ყველაზე საყვარელი ადამიანისაც კი;

* აუცილებლად მოინდომებს, გმართოთ – თანაც რკინის ხელით.

## საქმიანი მიდგომა

მოგწონთ საქმიანი მამაკაცები? – თქვენ გამონაკლისი არ ხართ. კონკურენცია სერიოზულია. ამიტომ, ჩვეულებრივი კეკლუცობით ფონს ვერ გახვალთ. ამ შემთხვევაში „საქმის“ განსაკუთრებული ცოდნაა საჭირო. ჯერ ერთი, საქმიანი მამაკაციც ჩვეულებრივი მამაკაცია, უბრალოდ, მას დანარჩენებისგან ის განასხვავებს, რომ დრო ცოტა აქვს. აუცილებელი არ არის, ჭკუა და ინტელექტი „აფრქვიოთ“. ამით მას ვერ „წამოაგებთ“. ენდეთ შინაგან აზარტს. ითამაშეთ იმ წესებით, რაც ყველაზე კარგად გამოგდით. თუ ამის საჭიროებას ხედავთ, შეიძლება, გაცნობის ინიციატივაც საკუთარ ხელში აიღოთ. გაიგეთ მისი ინტერესების შესახებ და მეტი შეიტყვეთ ამ ყველაფერზე, რათა საჭირო დროს გამოიყენოთ. მამაკაცებს მოსწონთ, როცა უსმენენ. მით უმეტეს, მოსწონთ, როცა მათი საქმიანობის შესახებ უსმენენ. შეიძლება, დიდად არც გაინტერესებდეთ, მაგრამ არ უნდა შეგემჩნეთ. ბოლოს და ბოლოს, თუ დიადი მიზნისკენ მიდიხართ, თითოეული ნაბიჯი გამართლებული იქნება. მთავარია, ამ ამბავს საქმიანად მიუდგეთ.

ბოლოს და ბოლოს, სპორტული ინტერესიც ძალიან წაადგება თქვენს სამომავლო ღვაწლს. თქვენ ხომ ბედნიერებისთვის იბრძვით?!

## „აწონე“ რისკები

შეიძლება ყველაფერს შეეგუო, ითამაშო მგზნებარე შეყვარებულის როლი... ყოველდღე სკანდალი მოუწყო პარტნიორს და მერე ხმაურიანი შერიგებები გქონდეს... შეიძლება, ყველაფერი შეიძლება... მაგრამ, რაღაც გარკვეულ დრომდე. სიტუაცია აუცილებლად გამწვავდება... ერთ დღესაც არ გააკეთებ იმას, რასაც შენგან მოითხოვს მოვალეობის განცდა ან სიყვარული. დადგება დრო, როცა მიხვდები, რომ სიყვარული კარგია, მაგრამ საკუთარი თავი არ უნდა დაგავიწყდეს. შენ თუ არ იზრუნე მასზე, სხვა ამისთვის არ შეწუხდება. აუცილებელია, „აწონო“ ის რისკები, რომელიც განწირული ურთიერთობის ხელოვნურად გაგრძელებას მოჰყვება. თუ „გადაწონის“ გაქცევა, მაინც უნდა გაიქცე, თანაც უკანმოუხედავად.

* გამოიცვალეთ ტელეფონის ნომერი. დაბლოკეთ არასასურველი სატელეფონო ზარები და მესიჯები;

* გაწყვიტეთ კონტაქტები, რომლებიც მასთან შეხვედრის ალბათობას გაზრდის;

* ნუ აჰყვებით წუთიერ სისუსტეებს. უკან ნუ მოიხედავთ და თავს სინანულით ნუ გაიწამებთ;

* პატივი ეცით საკუთარ გადაწყვეტილებებს. თუ გადაწყვიტეთ, წახვიდეთ და ყველაფერი სუფთა ფურცლიდან დაიწყოთ, ასეც მოიქეცით.

## ვერ გაიგო...

ვის უჭირს ნათქვამის გაგება და მოვლენების ადეკვატურად აღქმა? – ძირითადად, მამაკაცებს. ქალის საქციელის ზოგიერთი ნიუანსი, ზოგჯერ ძლიერი სქესისთვის საშინლად დამაბნეველია. ისინი გულწრფელი გაოცებით კითხულობენ:

1. რატომ მიაჩნიათ ქალებს, რომ ყოველთვის მართლები არიან?

2. რატომ ცდილობენ ქალები, არაფრით არ აღიარონ საკუთარი შეცდომები, როცა ხმამაღლა იწყებენ ლაპარაკს მამაკაცების შეცდომებზე?

3. რატომ იმახინჯებენ თავს ქალები სპეციალურად, სულელური მოდის გავლენითა და უგემოვნობის „წყალობით“?

4. რატომ ცდილობენ ქალები, ხშირად დაუჯერონ დაქალებს და არასოდეს – ქმარს?

***P. S. ქალბატონებისთვის იქნებ ღიმილის მომგვრელიც იყოს ეს შეკითხვები და ისიც, რომ მამაკაცები ამ ყველაფერს პრობლემად აღიქვამენ. მაგრამ, იქნებ მაინც გეფიქრათ პასუხებზე. ვინ იცის, შეიძლება, თქვენმა საყვარელმა და ერთადერთმა სწორედ მათი მოსმენის მერე თქვას, რომ განსაკუთრებული ქალი არგუნა ბედმა.***



**გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ**

# თურქულ ტელესერიალ „ეზელის" ვარსკვლავების ცხოვრების საინტერესო დეტალები

*თანამედროვე თურქული ლიტერატურის პარალელურად, მსოფლიოში ნამდვილი ბუმი დაიწყო თურქულ ტელესერიალებზე, მათ შორის, საქართველოშიც, სადაც თურქული „საპნის ოპერები" მაყურებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ერთ-ერთი ასეთი სერიალია „ეზელი". „ეზელის" სიუჟეტი ალექსანდრე დიუმას უკვდავი რომანის, „გრაფი მონტე-კრისტოს" გათანამედროვებული ვერსიაა. მოვლენები კვიპროსის თურქულ ნაწილში, თანამედროვე თურქეთში ვითარდება, სადაც მთავარი გმირი ახლობელი ადამიანებისგან მიყენებული ტკივილის მოსაშუშებლად და შურის საძიებლად იბრძვის. „ეზელი" არატიპური მრავალსერიანი ფილმია და უახლესი კინოტექნოლოგიებითაა შექმნილი. „ეზელი" თურქული კინოს ნამდვილი შედევრია, სადაც საინტერესოდ არის წარმოჩენილი თანამედროვე და ძველი თურქული ტრადიციები, საზოგადოების სახეები და ცხოვრების წესი. ფილმის მთავარი როლის შემსრულებლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, უაღრესად პოპულარულები გახდნენ და სწორედ მათ შესახებ შეიტყობთ დღევანდელი ნომრიდან.*

### კენან იმირზალიოღლუ

თურქული კინოს ვარსკვლავი კენან იმირზალიოღლუ სერიალის მთავარი გმირია – ომერი, ახალგაზრდა, რომელსაც შეყვარებული ჰყავს და აპირებს ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, იქორწინოს. თუმცა, მოვლენები ტრაგიკულად ვითარდება. ომერს მკვლელობის გამო აპატიმრებენ, მოგვიანებით კი, ცნობილი ხდება, რომ მის წინააღმდეგ ნამდვილი შეთქმულება განხორციელდა მეგობარი გოგოსა და საუკეთესო მეგობრების მონაწილეობით. ომერი ციხეში, თანასაკნელის ფსიქოლოგიური გავლენის შემდეგ საკუთარ თავში ამარცხებს ადამიანს, რომელიც დაპატიმრებამდე სიცოცხლით ხარობდა. ამიერიდან ის შურისძიების გზაზე დამდგარი სასტიკი და დაუნდობელი ადამიანია.



კენან იმირზალიოღლუ ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თურქი მსახიობია. ის 1974 წლის 18 ივნისს დაიბადა ანკარასთან ახლოს მდებარე სოფელ უჩემში. მისი მშობლები უბრალო გლეხები იყვნენ – მუსტაფა იმირზალიოღლუ და ილდიზ ჰანიმი. კენანი უმცროსი შვილია ოჯახში. ბაბუამისი – მირ მუსტაფა ბეი ცნობილი რეგიონალური ლიდერი და ათათურქის სახლში მიღებული პირი გახლდათ. კენანს დამთავრებული აქვს სტამბულის ტექნიკური უნივერსიტეტი მათემატიკის განხრით, პარალელურად, სწავლის საფასურის გადასახადი რომ დაეფარა, ის სამოდელო სფეროში ჩაერთო და 1995 წლიდან მოდელად დაიწყო მუშაობა. შესანიშნავი გარეგნული მონაცემების მქონე კენანი (სიმაღლე 190 სანტიმეტრი) მალევე გახდა პოპულარული თურქეთში. ის უამრავ რეკლამაში გადაიღეს და საუკეთესო თურქი მოდელი მამაკაცის სტატუსი მიანიჭეს. 1998 წელს კენანი სამსახიობო კურსებზე ჩაეწერა და 1999 წელს უკვე მისი დებიუტი შედგა სერიალ „ველურ გულში". სერიალს კიდევ რამდენიმე როლი მოჰყვა სხვადასხვა ჟანრის მხატვრულ და სატელევიზიო ფილმში. თუმცა, ნამდვილი აღიარება კენანს სერიალმა „ეზელმა" მოუტანა. მაყურებელთა სიყვარულთან ერთად, კენანი სერიალში შესრულებული როლისთვის თურქეთის საუკეთესო მსახიობად დასახელდა. კენანის უკანასკნელი როლებიდან აღსანიშნავია 2012 წელს გადაღებული ტელესერიალი „გრძელი ისტორია". ამ ფილმის გადაღებების დასრულების შემდეგ კენან იმირზალიოღლუ თურქეთის ყველაზე მაღალანაზღაურებად მსახიობად დასახელდა. მისი საშუალო შემოსავალი წელიწადში დაახლოებით 3 მილიონი ევროა. აქტიური სამსახიობო კარიერის პარალელურად, ნაკლებად არის ცნობილი კენან იმირზალიოღლუს პირადი ცხოვრების შესახებ. მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ მას შვიდწლიანი რომანი ჰქონდა მსახიობ ზეინებ ბეიშერლერთან.

### ჯანსუ დერე

ფილმში ომერის მეგობარი გოგონას – ეიშანის როლს მშვენიერი ჯანსუ დერე ასრულებს. ჯანსუ დერე 1980 წლის 14 ოქტომბერს დაიბადა ანკარაში. მოგვიანებით ოჯახი იზმირში გადავიდა საცხოვრებლად. იზმირის სკოლაში სწავლის დროს ჯანსუ ბევრს კითხულობდა, განსაკუთრებით ისტორიულ წიგნებს. სკოლის დამთავრების შემდეგ ჯანსუმ არქეოლოგობა გადაწყვიტა და სწავლის გასაგრძელებლად სტამბულში გაემგზავრა. თურქეთის უდიდეს ქალაქში ჩასული ჯანსუ მალევე გახდა პოპულარული უნივერსიტეტში და „მის უნივერსიტეტის" ტიტულიც მოიპოვა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ჯანსუ მონაწილეობს კონკურსში „მის თურქეთი" და მიუხედავად იმისა, რომ პირველი ადგილი სხვას ხვდა წილად, ჯანსუ მაინც არ დარჩა შეუმჩნეველი, მას ევროპის სხვადასხვა სამოდელო სააგენტოები იწვევენ სამუშაოდ. 2002 წელს ჯანსუს დებიუტი შედგა კინოში. მან რამდენიმე ტელესერიალში მიიღო მონაწილეობა და მალევე მოიპოვა პოპულარობა. ტელესერიალ „სილას" ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ, სადაც ჯანსუმ ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა, ლამაზმანი თურქეთის საუკეთესო მსახიობ ქალად და თურქული კინოს სექს-სიმბოლოდ დაასახელეს. 2009 წელს ეკრანებზე გამოვიდა ტელესერიალი „მწარე სიყვარული", შემდგომ კი დაიწყო „ეზელის" გადაღებები, რომლის გამოსვლამ კიდევ უფრო გაამყარა ჯანსუს ვარსკვლავური სტატუსი. 2011 წელს ჯანსუ დერემ მონაწილეობა მიიღო პოპულარული თურქული ისტორიულ-ეპიკური სერიალის, „დიადი საუკუნის" მესამე სეზონში, სადაც სულთან სულეიმანის საყვარელი ქალი განასახიერა. 2012 წელს ჯანსუ დერემ კიდევ ორ ფილმში ითამაშა. ეს იყო: ტელესერიალი „ბეხზატი: მე დავმარხე შენი გული" და მხატვრული ფილმი „ხელწერა". გადაღებებისგან თავისუფალ დროს ჯანსუ დერეს უყვარს მოგზაურობა. ის ასევე, გატაცებულია ფოტოგრაფიით და პროფესიონალურ ფოტოებს იღებს. ჯანსუს არ უყვარს პირად თემებზე საუბარი და ინტერვიუებსაც იშვიათად იძლევა. ცნობილია, რომ კენან იმირზალიოღლუს მსგავსად, ისიც ჯერ არ არის დაქორწინებული.



### ნიურჰენ ოზინენი

სელმა გიუნერის როლის შემსრულებელი – ნიურჰენ ოზინენი 1960 წლის 26 იანვარს თურქეთის დედაქალაქ ანკარაში დაიბადა. ნიურჰენი სკოლის დამთავრების შემდეგ, ტექნიკური განხრით აპირებდა სწავლის გაგრძელებას. თუმცა, მსახიობობით დაინტერესდა და ანკარის ხელოვნების თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარა. 1978 წელს ნიურჰენის სამსახიობო კარიერა დაიწყო, რომელიც დღემდე გრძელდება. ნიურჰენ ოზინენი პოპულარული მსახიობია თურქეთში, რომელსაც მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ცნობილ ტელესერიალში: „გატეხილი გულები", „ექიმები", „ადანალი" და სხვა. უკანასკნელი სერიალი, რომელშიც ნიურჰენ ოზინენმა მიიღო მონაწილეობა, ცნობილი ამერიკული ტელესერიალის „სასოწარკვეთილი დიასახლისების" თურქული ვერსიაა.



### იგიტ ოშენერი

ჯენგიზის როლის შემსრულებელი იგიტ ოშენერი 1972 წლის 6 აპრილს დაიბადა იზმირში. 1996 წელს მან სტამბულის ტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრა ელექტროკომუნიკაციების ინჟინრის სპეციალობით. 1997-1999 წლებში ის უნივერსიტეტში მუშაობდა მასწავლებლად. სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად, 1995 წლიდან იგიტი სამოყვარულო თეატრის სცენაზე თამაშობდა, ძირითადად, ინგლისელი დრამატურგის, ჰაროლდ პინტერის პიესებში. თეატრთან ერთად ის ბევრს მოგზაურობდა ევროპაში, მათ შორის საბერძნეთში, მაკედონიასა და ბულგარეთში. ტელევიზიაში იგიტი 2000 წელს გამოჩნდა და მაყურებლებს თავი შეაყვარა „თურქსელის" სარეკლამო რგოლებში შესრულებული როლებით. მისი ვარსკვლავური როლია ტელესერიალ „ეზელში" შესრულებული უარყოფითი პერსონაჟი. იგიტი მრავალმხრივი მსახიობია და უყვარს სხვადასხვა ჟანრის ფილმებში თამაში, იქნება ეს თრილერი, დრამა, კომედია თუ მძაფრსიუჟეტიანი ფილმი. მისი ბოლო როლებიდან აღნიშვნის ღირსია: „დასასრული", „უიღბლოთა კლუბი", „სიყვარულს უყვარს მოულოდნელობა" და „მე ვხედავ მზეს".



### ბურჩინ ტერზიოღლუ

აზადის როლის შემსრულებელი ბურჩინ ტერზიოღლუ, გარდა იმისა, რომ პოპულარული თურქი მსახიობია, ის ასევე, მეგაპოპულარული მსახიობის, ტელესერიალ „სიყვარული და სასჯელის" ვარსკვლავის, სავაშ ბალდარის როლის შემსრულებლის, მურატ ილდირიმის მეუღლეა. ბურჩინი 1980 წლის 9 მარტს დაიბადა. ბურჩინი და მურატი 2008 წლიდან ერთად ცხოვრობენ. ბურჩინის ცნობილი ფილმებიდან აღნიშვნის ღირსია ტელესერიალები: „მერჰამეტი", „ქარიშხალი".



**უშანგი რუხაძე**

# რატომ ცდილობდა სტალინი ომის დაწყების თარიღის საიდუმლოდ შენახვას



დღემდე დამაჯერებელი პასუხი არ არის გაცემული კითხვაზე: იცოდა თუ არა იოსებ სტალინმა, რომ ნაცისტური გერმანია, 1941 წლის 22 ივნისს, თავს დაესხმოდა საბჭოთა კავშირს. ერთი აზრი არ არსებობს იმის თაობაზეც, ემზადებოდა თუ არა სტალინი გერმანიასთან ომისთვის. ამ თემაზე ვიმსჯელებთ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს ვახტანგ გურულის მასალებზე დაყრდნობით. ისტორიკოსები და პოლიტიკოსები ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას ორ ჯგუფად იყოფიან. ორივე მხარეს თავისი არგუმენტები აქვს. თუმცა, როგორც ცნობილია, ჭეშმარიტება მხოლოდ ერთია. ამ ჭეშმარიტების პოვნა კი ძალზე გაძნელდა. ამის მიზეზი შემდეგია, – იოსებ სტალინის გარდაცვალებამდე (1953) ზემოხსენებული კითხვები ცხადია, არც დაისმებოდა. კითხვებზე ობიექტური პასუხის ძიება სწორედ სტალინის გარდაცვალების შემდეგ უნდა დაწყებულიყო. ამ პროცესს ხელი შეუშალა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში ავანტიურისტი ნიკიტა ხრუშჩოვის მოსვლამ. ხრუშჩოვი არც დაინტერესებულა საკითხის ობიექტური შესწავლით და პოლიტიკური მოსაზრებებით 1941 წლის ყველა წარუმატებლობა სტალინს გადააბრალა. ამ დროს თავი იჩინა რუსი ინტელიგენციისა და რუსი სამხედროების (გენერლების, მარშლების) ორგანულმა ზიზღმა სტალინისადმი. პოლიტიკოსებმა და სამხედროებმა კარგად აუღეს ალღო შექმნილ ვითარებას და კარიერისტული მოსაზრებებით ჩაებნენ ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ დაწყებულ ცილისმწამებლურ კამპანიაში. სტალინისადმი წაყენებული ბრალდებები უმეტესწილად დაუსაბუთებელია და სიმართლეს არ შეეფერება.

დავიწყოთ იმით, რომ სტალინმა საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის ზუსტი დრო იცოდა. საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვა ამ თვალსაზრისით წარმატებით მუშაობდა. საბჭოთა საგარეო დაზვერვის მუშაობა კიდევ უფრო აქტიური გახდა ლავრენტი ბერიას საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად (მინისტრად) დანიშვნის შემდეგ (1938). ლავრენტი ბერია სწორად მიხვდა, რომ საგარეო დაზვერვის მუშაობის ის პრინციპები, რომელიც მეოცე საუკუნის 20-იან წლებსა და 30-იანი წლების შუა ხანებისთვის მოქმედებდა, ველარ შეესაბამებოდა არსებულ ვითარებას. ბერიას ინიციატივით, მოხდა საგარეო დაზვერვის რეორგანიზაცია, მთლიანად შეიცვალა საბჭოთა რეზიდენტურები მთელ მსოფლიოში და უპირველესად, ევროპის ქვეყნებში. შედეგმაც არ დააყოვნა. უკვე 1941 წლის გაზაფხულზე საგარეო დაზვერვას რამდენიმე წყაროდან ჰქონდა ინფორმაცია, საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის ზუსტი დროის თაობაზე. ეს ინფორმაციები მოპოვებული იყო როგორც გერმანიაში, ისე სხვა ქვეყნებში (მაგალითად იაპონიასა და თურქეთში). სხვა საკითხია ის, რომ საგარეო დაზვერვის მიერ მოპოვებული ინფორმაცია ომის დაწყების დროის შესახებ, ვიწრო წრემ, სტალინისა და ბერიას გარდა, კიდევ სულ რამდენიმე კაცმა იცოდა. ამ ინფორმაციის განხილვა უმაღლეს პოლიტიკურ და სამხედრო წრეებშიც კი არ ხდებოდა. ის საიდუმლოდ უნდა ყოფილიყო დაცული. არ შეიძლებოდა ინფორმაციის გადაცემა საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვარზე განლაგებული ფრონტისა და არმიის სარდლობისთვის. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ გერმანიის დაზვერვას არ უნდა შეეტყო, ომის დაწყების ზუსტი თარიღი სტალინისთვის ცნობილი რომ იყო. სტალინმა მიზანს მიაღწია: გერმანელებს ეჭვიც არ ეპარებოდათ იმაში, რომ ომის დაწყების თარიღი საიდუმლოდ იყო დაცული. აი, ამიტომ იყო, რომ საგარეო დაზვერვის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ომის დაწყების შესახებ სასტიკად იყო გასაიდუმლოებული. ინფორმაცია ომის დაწყების ზუსტი დროის შესახებ საბჭოთა კავშირის დასავლეთის საზღვარზე განლაგებულმა ფრონტის სარდლობამ ომის დაწყებამდე სულ რამდენიმე საათით ადრე მიიღო. ეს ინფორმაცია კიდეც რომ მოხვედრილიყო გერმანიის დაზვერვის ხელში, ნაცისტური გერმანიის უზარმაზარი სამხედრო მანქანა უკვე ამოქმედებული იყო და მისი შეჩერება აღარ შეიძლებოდა. ინფორმაცია ომის ზუსტი თარიღის შესახებ იმიტომაც იყო სასტიკად გასაიდუმლოებული, რომ მისი გავრცელება საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვართან მცხოვრები მოსახლეობის პანიკას გამოიწვევდა. მილიონობით ადამიანი მასიურად მიატოვებდა საცხოვრებელ ადგილებს, რაც მოშლიდა ტრანსპორტის მუშაობას, ეს კი ხელს შეუშლიდა გერმანელების წინააღმდეგ საბჭოთა არმიის მოქმედებას. ამრიგად, სტალინის მეორე მიზანი ის იყო, რომ მოსახლეობას არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეტყო საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის ზუსტი თარიღი. სტალინმა ამ მიზანსაც მიაღწია. ასე რომ, დღეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს ისტორიული ჭეშმარიტება: იოსებ სტალინმა საბჭოთა კავშირზე გერმანიის ზუსტი თავდასხმის თარიღი იცოდა, მაგრამ თავი ისე ეჭირა, რომ თითქოს არაფრის საქმის კურსში არ იყო. სტალინის ასეთმა მიდგომამ დააბნია როგორც გერმანიის საგარეო და სამხედრო დაზვერვა, ისე ჰიტლერი და მისი გენერალიტეტი.

ურწმუნოთათვის შეიძლება, დავსვათ ასეთი კითხვა: ნუთუ დღეს კიდევ სჯერა ვინმეს, რომ საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვრებთან 200-მდე გერმანულმა დივიზიამ, რამდენიმე ათასმა ტანკმა, უზარმაზარი რაოდენობით სატრანსპორტო საშუალებამ (მსუბუქი და მძიმეწონიანი მანქანები) ისე მოიყარა თავი, რამდენიმე ათასი გერმანული თვითმფრინავი დასავლეთის აეროდრომებიდან საბჭოთა კავშირის საზღვართან განლაგებულ საველე აეროდრომებზე ისე გადმოიყვანეს,

> **დაუსაბუთებელია იოსებ სტალინისადმი წაყენებული ბრალდება იმის თაობაზე, რომ თითქოს ის სათანადო ყურადღებას არ უთმობდა გერმანიასთან ომისთვის მზადებას**

რომ ამის შესახებ საბჭოთა საგარეო დაზვერვამ ინფორმაცია ვერ მოიპოვა. ეს, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, – სასაცილოა.

ცხადია, სტალინს ჰქონდა გარკვეული ეჭვები საბჭოთა საგარეო დაზვერვის მიერ მოპოვებული ომის დაწყების ზუსტი თარიღის თაობაზე და ეს ბუნებრივია. არ იყო გამორიცხული, რომ საგარეო დაზვერვის რომელიმე რეზიდენტურას, გერმანიის დაზვერვამ რაღაც გზებით, ომის დაწყების თარიღის შესახებ ცრუ ინფორმაცია მიუგდო. ისიც არ იყო გამორიცხული, რომ იგივეს მოიმოქმედებდა ინგლისის დაზვერვა. ცხადია, მოწინააღმდეგის დაზვერვის მიერ მოგდებულ ინფორმაციაზე პოლიტიკის აგება დამღუპველი იქნებოდა. ამიტომაა, რომ სტალინი ითხოვდა ინფორმაციის მრავალგზის გადამოწმებას. თანაც, უმეტეს შემთხვევაში, ძალზე ორიგინალური მეთოდით. მაგალითად, როდესაც სტალინმა შეიტყო, რომ გერმანელები საბჭოთა კავშირს 1941 წლის ივნისში დაესხმოდნენ თავს, საგარეო დაზვერვამ მიიღო სრულიად მოულოდნელი დავალება: საბჭოთა დაზვერვას უნდა შეემოწმებინა, რომ გერმანიის ფაბრიკები სამხედრო უწყების დავალებით ამზადებდნენ თუ არა დიდი რაოდენობით ზამთრის ტანსაცმელს, რომლის გარეშეც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გერმანია ომს ვერ შეძლებდა. ომის დაწყებამდე სტალინს უკვე ჰქონდა ინფორმაცია, რომ გერმანიის ფაბრიკები არმიისთვის ზამთრის ტანსაცმლის დამზადებას არ აწარმოებდნენ. სტალინი დაეჭვდა. ცხადია, იმხანად მას არ შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ჰიტლერი „ბარბაროსას“ გეგმის მიხედვით, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დამთავრებას 6-8 კვირაში გეგმავდა და ამდენად, მისი ვარაუდით, თბილი ტანსაცმელი გერმანიის ჯარებს არ უნდა დასჭირვებოდა. ცნობილია, რომ ჰიტლერი მწარედ მოტყუვდა.

დაუსაბუთებელია იოსებ სტალინისადმი წაყენებული ბრალდება იმის თაობაზე, რომ თითქოს ის სათანადო ყურადღებას არ უთმობდა გერმანიასთან ომისთვის მზადებას. ომის წინა წლების საბჭოთა კავშირის ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი სამხედრო შეკვეთებს ხმარდებოდა. მთელი დატვირთვით მუშაობდნენ სამხედრო ქარხნები. სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში მუშავდებოდა ახალი პროექტები. დიდი ყურადღება ექცეოდა სურსათის, სამხედრო შეიარაღებისა და აღჭურვილობის რეზერვების შექმნას. ყოველივე ეს, რადგან ქვეყნის თავდაცვასთან იყო დაკავშირებული, სასტიკად იყო გასაიდუმლოებული და ამ საკითხებზე ღიად და საჯაროდ ცხადია, ვერავინ ისაუბრებდა. წარმოუდგენელია, რომ ვინმეს მაშინ გაემჟღავნებინა ინფორმაცია, თუ ყოველწლიურად რამდენი თვითმფრინავი, ან ტანკი მზადდებოდა საბჭოთა კავშირში. შეიძლება ამითაც იყო განპირობებული, რომ იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ომისთვის მზადება სათანადოდ არ მიმდინარეობდა. როგორც აღვნიშნეთ, სინამდვილეში ეს ასე არ იყო. ამის დასადასტურებლად მოვიტანთ ერთ მრავლისმეტყველ მაგალითს: 1941 წლის მაისში, ესე იგი, საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმამდე ერთი თვით ადრე, დასრულდა საბჭოთა არმიის შეიარაღებისა და საბრძოლო საჭურვლის ზუსტი აღრიცხვა. სტალინმა ზუსტად იცოდა, რამდენი ვაზნა, შაშხანა, ავტომატი, ქვემეხი, ტანკი და თვითმფრინავი იყო ქვეყანაში. ზუსტად იცოდა ისიც, სპეციალურ საწყობებში რა რაოდენობით იყო დაცული შესახვევი მასალა (ბამბა და მარლა), ასევე იოდი და სპირტი. თუ ომისთვის მზადება არ მიმდინარეობდა, მაშინ ზემოხსენებული ინფორმაცია რატომ მაინცდამაინც ერთი თვით ადრე (1941 წლის მაისში) დაიდო სტალინის მაგიდაზე. ცხადია, ასეთ უზარმაზარ სამუშაოს ერთ და ორ კვირაში ვერ დაასრულებდნენ. ბრძანება შემოწმების თაობაზე 2-3 თვით ადრე მაინც უნდა ყოფილიყო გაცემული. 1940 წლის ბოლოსა და 1941 წლის დამდეგს სტალინის მაგიდაზე აღმოჩნდა, ასევე, ინფორმაცია გერმანიის სატანკო მრეწველობის თაობაზე. სპეციალისტებთან საუბარში სტალინს უთქვამს, რომ გერმანიის ტანკები, მართალია, კარგი მანქანებია, მაგრამ მათი სისუსტეა ის, რომ კორპუსი მოქლონებითაა შეკრული. ჩვენი ტანკების კორპუსი კი ელექტროშედუღებითაა შეკრული. პირდაპირი დამიზნებით ყუმბარის მოხვედრას მოქლონი ვერ გაუძლებს და გერმანული ტანკების კორპუსი დაიშლება. ელექტროშედუღებით შეკრული ტანკის კორპუსი კი გაცილებით მდგრადი იქნებაო. როგორც ვხედავთ, სტალინი დიდი ყურადღებით ადარებდა ერთმანეთს გერმანულ და საბჭოთა ტანკებს და ცხადია, იმიტომ, რომ ომისთვის ემზადებოდა.

ყოველივე შეიძლება, დავასრულოთ სტალინის სიტყვებით: „მე ვიცოდი რომ ომი დაიწყებოდა, მაგრამ ვფიქრობდი, მომეგო დაახლოებით ექვსი თვე”. სტალინს თავის მართლება არ უყვარდა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ მისი სიტყვები ჭეშმარიტებას შეესაბამება.

**მოამზადა**
**ანრი შავლაძემ**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

# რა თავისებურებით გამოირჩევა კვირის თითოეული დღე

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

კვირის თითოეულ დღეს საკუთარი ენერგია გააჩნია. ასევე, ასტროლოგიურად, შვიდივე დღე ინდივიდუალური ხასიათით გამოირჩევა. ასე რომ, თუ გეცოდინებათ, როგორი „ხასიათი“ აქვს ამა თუ იმ დღეს, არ გაგიჭირდებათ მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა და გადაწყვეტილებების თამამად მიღება. მაგალითად:

ორშაბათი ბრძნული ხასიათით გამოირჩევა. ამ დღეს ჭეშმარიტების ვერდანახვა და ვერშეცნობა ყველაზე ადვილია. შესაძლოა, სწორედ ორშაბათს გაიცნოთ ისეთი ადამიანები ან საქმიანი პარტნიორები, რომლებიც პირში გიღიმიან, ზურგს უკან კი სამარეს გითხრიან. ფრთხილად განვლეთ ეს დღე. ეცადეთ, არ გაგიტყდეთ ჭურჭელი – ეს ცუდის მანიშნებელია.

სამშაბათი სურვილების ასრულების დღეა. თუ გართობა ან სიყვარულით ტკბობა გსურთ, ეს დღე იდეალურია. კარგია საყიდლებზე წასვლა და სიურპრიზების მოწყობა. თუ ადამიანი გიყვართ, სწორედ ამ დღეს გამოუტყდით მას გრძნობაში და ის გულგრილი ნამდვილად არ დარჩება თქვენ მიმართ.

ოთხშაბათი ახალი ამბებისა და ჭორების დღეა და სავსეა მოულოდნელობებით. თუ ამ დღეს გადაწყვიტეთ ოჯახის შექმნა, ასტროლოგიური თვალსაზრისით, რჩეულთან სტაბილური თანაცხოვრება გარანტირებული გექნებათ. თუ დააპირებთ, საყვარელ ადამიანს გული გადაუხსნათ, საიდუმლო გაუმხილოთ და პატიება სთხოვოთ, ესეც სწორედ ოთხშაბათს დაამთხვიეთ.

ხუთშაბათი ძალიან სასიკეთოა სასიყვარულო-რომანტიკული ურთიერთობებისთვის. თუ ამ დღეს რამე დაკარგეთ, არ ინერვიულოთ და არ ინაღვლოთ – ეს კარგის ნიშანია, რადგან, ყველაფერი ცუდი მას გაჰყვება. ამ დღეს დანიშნული პაემნით თავად დარჩებით კმაყოფილი. ხოლო, თუ ხუთშაბათ დღეს სიყვარულში გამოუტყდით საპირისპირო სქესს, სამომავლოდ ისიც ამავე გრძნობით გიპასუხებენ.

პარასკევი მშვიდობის, სიმყუდროვისა და ბედნიერების დღედ მოიაზრება. ამ დღეს დაწყებული ურთიერთობა, ჩვეულებრივ, ხანგრძლივ კავშირსა და ბევრ ბედნიერ წუთს გპირდებათ ცხოვრებაში რჩეულთან ერთად. ამ დღეს დაოჯახება იღბლიანია.

შაბათი სწრაფი გადაწყვეტილებების დღეა. თუმცა, ასევე, დიდია შეცდომების დაშვების ალბათობა. ვინც მშვიდად და მიზანმიმართულად მოქმედებს, შაბათი მისი დღეა. არ ვარგა ამ დღეს ნაგვის გადაყრა და ჭურჭლის გატეხა – ეს საყვარელ ადამიანთან ჩხუბის მიზეზი გახდება.

კვირა სიურპრიზების დღეა, თუმცა, სიყვარულისა და ღალატის დღედაც მიიჩნევა. იყავით ფრთხილად, დაკვირვებით და სალი გონებით აკონტროლეთ ირგვლივ მიმდინარე პროცესები. არ არის გამორიცხული, გარშემო მყოფების მხრიდან აგრესია სწორედ კვირას წამოვიდეს და ამისთვის მზად უნდა იყოთ.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა**: **დავიბადე 1972 წლის 20 ივლისს, დილის საათებში. რა არის ჩემი კარმულ-კოსმიური მისია დედამიწაზე?**

**პასუხი**: თქვენი კოსმიური მისია დედამიწაზე არის ის, რომ იყოთ მეტად აქტიური, ინიციატივიანი, შეძლოთ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება. საჭიროა ლიდერულ-ორგანიზატორული თვისებების გამოვლენა. დაეყრდენით ცოდნის ბაზას, კეთილშობილებას, კომუნიკაბელურობას, ოპტიმიზმს. იყავით, ასევე, ორგანიზებული, შეუპოვარი, მიზანსწრაფული, მომთმენი და ფულის ყაირათიანი მხარჯველი. გამოიჩინეთ მეტი სიფრთხილე, წინდახედულება, ერთგულება და გარშემოც ასეთი ადამიანები შემოიკრიბეთ. დაასტაბილურეთ თქვენი ცხოვრება, იქნება ეს ოჯახში, სამსახურში, სანათესაოსა თუ სამეგობრო წრეში. ესაა თქვენი კოსმიური მისია და წარმატებების მომტანი ფაქტორები ცხოვრებაში.

**კითხვა**: **დავიბადე 1979 წლის 16 იანვარს. მინდა უცხოეთში წასვლა. ასტროლოგიურად რომელი ქვეყნებია ჩემთვის მეტად მისაღები და წარმატების მომტანი?**

**პასუხი**: უცხოეთი თქვენი კარმული მისია არ არის, თუმცა, ის არც ცუდია. ქვეყნებიდან კი უმჯობესია: ინგლისის აღმოსავლეთი მხარე, ბელგია, კანადა, ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთი მხარე; კუნძული სარდინია, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები; უელსი, ნორვეგია, იტალია, არგენტინა, ბირმა, ჩინეთის ჩრდილოეთი ნაწილი, ეგვიპტე, ტიბეტი, სან-მარინო, ესპანეთის კატალონიის მხარე, მონაკო, ლატვია, ჰავაის კუნძულები, გვატემალა, ავსტრია.

**კითხვა**: **დავიბადე 1985 წლის 17 აპრილს, დაახლოებით, საღამოს 10 საათზე. რომელი პროფესიაა ჩემთვის წარმატების მომტანი?**

**პასუხი**: პროფესიებიდან თქვენთვის მისაღები და წარმატების მომტანია: პოლიტიკის ფართო სპექტრი, პროფესიონალური დიპლომატია საელჩოებისა და საკონსულოების დონეზე, ტურისტული ორგანიზაციების ბიზნესი ან შემოქმედება, პედაგოგიკა, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საქველმოქმედო ინდუსტრია, ავიაციის ბიზნესი, ქორეოგრაფია, იურისპრუდენცია.

**კითხვა**: **დავიბადე 1983 წლის 11 იანვარს, შუადღეს. გთხოვთ, მითხრათ, რა არის ჩემი კარმული მისია დედამიწაზე?**

**პასუხი**: თქვენი კოსმიურ-კარმული მისიაა, მეტად წარმოაჩინოთ თქვენს ხასიათში დადებითი თვისებები: იყავით ორგანიზებული, დისციპლინირებული, შეუპოვარი, მიზანსწრაფული, შრომისუნარიანი, ნებისყოფიანი, პრაქტიკული, ფულის ყაირათიანი მხარჯველი. ასევე, იმოქმედეთ პრინციპით: „ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი.” იყავით ფრთხილი, წინდახედული, ერთგული და გარშემოც ასეთი ერთგული ადამიანები შემოიკრიბეთ. ეცადეთ, მაქსიმალურად დაასტაბილუროთ თქვენი ცხოვრება. ყოველივე ეს წარმატებებშიც შეგიწყობთ ხელს და კარმულ მისიასაც შეასრულებთ.

**კითხვა**: **დავიბადე 1969 წლის 15 აპრილს, დილის საათებში. არის თუ არა ჩემთვის უცხოეთი სასურველი და რომელ ქვეყანაში მელის წარმატებები უფრო მეტად?**

**პასუხი**: უცხოეთი თქვენთვის საშუალოა. თქვენი კოსმიური მისია სამშობლოს უკავშირდება. ამიტომ, თქვენთვის ძირითადად წარმატების მომტანი სწორედ სამშობლოა, თუმცა, უცხოეთთან რაღაც პერიოდით კონტაქტი ცუდი ნამდვილად არ არის. უმჯობესია, იქ მიღებული ცოდნა და გამოცდილება სამშობლოს მოახმაროთ და აქ გამოიყენოთ. უცხოეთიდან თქვენთვის სასურველია: ინგლისი, დანია, ავსტრია, შვედეთი, ყაზახეთი, ლაოსი, სინგაპური, მალაიზია, ჩინეთის აღმოსავლეთი ნაწილი; ამერიკის შეერთებული შტატებიდან – დასავლეთი ნაწილი; აფრიკის ქვეყნების ჩრდილო-დასავლეთი მხარე, ჰოლანდია, პარაგვაი, შოტლანდია, თურქეთი, ახალი ზელანდია, ინდოეთი, ნეპალი და უზბეკეთი. თუ უცხოეთში აპირებთ წასვლას, გირჩევთ, სწორედ ეს ქვეყნები წამოწიოთ წინა პლანზე.

**კითხვა**: **დავიბადე 1996 წლის 17 აგვისტოს, ღამის საათებში. უცხოეთის რომელ ქვეყნებში მირჩევთ ბედის მოსინჯვას?**

**პასუხი**: თქვენთვის კარგი და მისაღებია: ირლანდია, უკრაინა, კვიპროსი, პოლონეთი, შვეიცარიის აღმოსავლეთი მხარე, ბელგია, მოლდოვა, არგენტინა, ესპანეთი, ფინეთი, ლატვია, ისრაელი, კუნძული შრი-ლანკა, მაროკო, ნორვეგია, სირიის ჩრდილოეთი ნაწილი, მექსიკა, კუბა და ინდოეთი.

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17.**
**ტელ.: 272-68-68**

6 ივნისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„პირველი სიყვარული"** - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: ლევან ბერიკაშვილი, ზვიად პაპუაშვილი, ქეთი ხიტირი; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

7 ივნისი, **პარასკევი** 19.45 - **„ფსიქოზი 4:48"** - (ბილეთის ფასი - 8 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი კიტა როყვა. მონაწილეობს: ბესო ზანგური; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

8 ივნისი, **შაბათი** 19.00 - **„სტუმარი"**. (ბილეთის ფასი - 6 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი გოშა გორგოშიძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, გოგა ბარბაქაძე, ბაჩი ლეჟავა, მანანა აბრამიშვილი. დრამა. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

9 ივნისი, **კვირა** 19.45 - **„ყველაფერი სიყვარულით იწყება"** - (ბილეთის ფასი - 35, 45, 55, 60, 75 ლარი), (დიდი სცენა), მაქსიმ ავერინის მონოსპექტაკლი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი.*

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66.**

4 ივნისი, **სამშაბათი** 20.00 - **„ჰაჯი-მურატი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ბლარი), რეჟისორი გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: გივი ჩუგუაშვილი, პაატა ინაური, რატი გოგუაძე, გიორგი შავგულიძე, გაგა შიშინაშვილი, ზაზა იაქაშვილი, თემურ კილაძე; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

4 ივნისი, **სამშაბათი** 20.00 - **„სევილიელი დალაქი". თოჯინების საოპერო თეატრი „აწკალა".** (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: მალხაზ გაბუნია, ზაალ კაკაბაძე, თეონა მაღალაშვილი, ელენე ფირცხალავა, გიორგი მებაღიშვილი, მარიამ ავალიშვილი; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

5 ივნისი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ქალები"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ზაუტაშვილი, ნინო დუმბაძე, ქეთი ჩხეიძე, ქეთი გეგეშიძე, ირმა ბერიანიძე, ეკა მჟავანაძე, ზაზა გოგუაძე, თემო კილაძე; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

5 ივნისი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„შერეული ემოციები"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: დუტა სხირტლაძე, ქეთი ცხაკაია; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

6 ივნისი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„გუშინდელნი"** - (თეატრი სხვენში) - სოხუმის დრამატული თეატრის სპექტაკლი - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი გოჩა კაპანაძე. მონაწილეობენ: ნუგზარ ჩიქოვანი, ლორინა პაპუაშვილი-ელერდაშვილი, ქეთი ჩაჩუა, ვანო დუგლაძე, ჯიბო კვანტრიშვილი, პაატა კიკვაძე, მერაბ ბრეკაშვილი, ჯულიეტა პაკელიანი, თეონა გურამიშვილი, ნუგზარ წერედიანი. *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

7 ივნისი, **პარასკევი** 20.00 - **„ქაქუცა ჩოლოყაშვილი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნიკა კუჭავა, ლელა მეზურიშვილი, იოსებ გოგიჩაიშვილი, გია ბურჯანაძე, ზურა ბერიკაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, ზაზა იაქაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ბექა გოდერძიშვილი, ონისე ონიანი, ლეო ანთაძე. *ხანგრძლივობა: 3სთ.*

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21.**

4 ივნისი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;*

5 ივნისი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„რკინის ბიჭები"** - (ბილეთის ფასი - 6, 10 ლარი), რეჟისორი კოტე აბაშიძე. მონაწილეობენ: გიორგი აბესალაშვილი, ვანო იანტბელიძე, სოფო გურგენიძე; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

6 ივნისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ჩემი საუკეთესო მეგობარი"** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი), რეჟისორი ვანო ხუციშვილი. მონაწილეობენ: ნუცა სულაბერიძე, შაკო მირიანაშვილი, ილია ქორქაშვილი; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

7 ივნისი, **პარასკევი** 19.00 - **„სათამაშო პისტოლეტი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 12 ლარი), რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი. მონაწილეობენ: ანი ალადაშვილი, გიორგი აბაშიძე; *ხანგრძლივობა: 1სთ. 20წთ.;*

8 ივნისი, **შაბათი** 19.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*

9 ივნისი, **კვირა** 19.00 - **„კავკასიური ცარცის წრე"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, მარიშა კიტია, აპოლონ კუბლაშვილი, თიკო კორძაძე, მარიამ ჯოლოგუა, გიორგი ჯიქია, თამუნა ნიკოლაძე, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. *ხანგრძლივობა: 4სთ.*

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8.**
**ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

6 ივნისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ტაქსისტი გივის სასიყვარულო ისტორია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი მალხაზ ასლამაზაშვილი. მონაწილეობენ: ბაჩო ქაჯაია, გვანცა კანდელაკი, თამთა პატაშური, ანდრო სარიშვილი, გიორგი ქსოვრელი, კახა ჯოხაძე, ზურაბ იაშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

7 ივნისი, **პარასკევი** 19.00 - **„მაგიის საოცრებანი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), მონაწილეობენ: გოგა თავაძე. როლებში: ზურა ავსაჯანიშვილი, აკაკი ხიდაშელი, ანა მატუაშვილი, კახა ჯოხაძე. *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

8 ივნისი, **შაბათი** 19.00 - **„ჭურში"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), სცენური ვერსიის ავტორი და რეჟისორი - ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: ვახტანგ ადეიშვილი, ვაკო მანძულაშვილი, ანა მატუაშვილი, კოტე მჟავია, ვალერი ტორონჯაძე, ლექსო ტურიაშვილი, ვასო შიხაშვილი, ბექნუ ქაფიანიძე, ჯაბა ჯაფარიძე. *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

9 ივნისი, **კვირა** 19.00 - **„ვაჟა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: გია ჯაფარიძე, ანა მატუაშვილი, გვანცა კანდელაკი, ხატია მელქაძე, ჯაბა ჯაფარიძე, ბექნუ ქაფიანიძე, ზურაბ იაშვილი, ზურაბ ავსაჯანიშვილი, ვაჟა ციცილოშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი.*

## საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №37. ტელ.: 99-63-14.**

4 ივნისი, **სამშაბათი** 19.00 - **„ტერენტი გრანელი - მთვარისკენ ნასროლი მიხაკი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ამირან შალიკაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ.;*

7 ივნისი, **პარასკევი** 19.00 - **„შექსპირის სონეტები"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი ამირან შალიკაშვილი. *ხანგრძლივობა: 50 წუთი.*

## თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი
**დ. აღმაშენებლის გამზირი №99/1.**
**ტელ.: 295-78-74, 295-39-27.**

6-7 ივნისი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 19.00 - **„სიცოცხლის ხე"** - მცირე დარბაზი - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი კოტე მირიანაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

8 ივნისი, **შაბათი** 15.00 - **„სიცოცხლის ხე"** - მცირე დარბაზი - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი კოტე მირიანაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

8 ივნისი, **შაბათი** 19.00 - **„ირინეს ბედნიერება"** - მცირე დარბაზი - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

9 ივნისი, **კვირა** 15.00 - **„მზის სხივი"** - მცირე დარბაზი - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი. *ხანგრძლივობა: 45 წუთი;*

9 ივნისი, **კვირა** 19.00 - **„კუკარაჩა"** - დიდი დარბაზი - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი შალვა გაწერელია. *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი.*

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი:
www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

## ორშაბათი 3 ივნისი

07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.50 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 ტ/სერ **"ჭორიკანა"** 17.00 "გურმანია" 18.00 დ/ფ **"100 უდიდესი აღმოჩენა"** 19.05 ტ/სერ **"სიყვარული და შურისძიება"** 21.00 "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 22.00 ტ/სერ **"ნიკოლა ლე ფლოკი"** 23.00 მხ/ფ **"ბეტმენი – დასაწყისი"** 01.00 "დღეს ორის ნახევარზე".

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"დაუვიწყარი"** 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ფულთან თამაში (გ/ჩ) 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"მაგნატები"**. 19.05 მთავარი ფაქტორი 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 მთავარი ფაქტორი (პ/ე) (გაგრძელება) 23.00 კრიმ. სერ. **"უკანასკნელი ნათლია"** 1 სერ. 00.00 ქრონიკა (15 წთ) 00.15 მხ/ფ **"დაუსრულებელი სიცოცხლე"** (ჯ.ლოპესი).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 ყველაზე ჭკვიანი 17.00 სერ. **"ვნების უფსკრული"** 18.45 სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** 20.05 სერ **"ერთგულების ძალა"** 22.00 "საქართველოს ვარსკვლავი" 00.00 მოგზაურობა 00.30 შიშის ფაქტორი 01.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი. კლიპები.

7.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00 ახალი ამბები 11.00, 14.30, 17.00, 22.20, 0.30 მაგთიფანი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50, 23.00, 3.30 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 "პრესკლუბი" 16.30 "ღია კარის დღე" (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 19.00 **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30, 5.30 "ყოველდღიური ამბები".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.20 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.45 მხ/ფ **"მაისის თოვლი"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.05 მხ/ფ **"სამანიშვილის დედინაცვალი"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 სპექტაკლი - **"პეპო"** 17.45 ეთნოგრაფია 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ **"სინემა"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 სღვთისმეტყველო საუბრები 22.25 საუბრები ლიტერატურაზე 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "შორ ვართ" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 დოკ/ფ "ჰაჯი მურატი-ფილმი,რომელიც არ დაიდგა".

## სამშაბათი 4 ივნისი

07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.30 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 ტ/სერ **"ჭორიკანა"** 17.00 "ჩვენი ეზო" 18.00 დ/ფ "მკვლელი ვეშაპები" 19.05 ტ/სერ **"სიყვარული და შურისძიება"** 21.00 "აქცენტები" 22.00 ტ/სერ **"ნიკოლა ლე ფლოკი"** 23.00 მხ/ფ **"ნახვამდის პოლუქს"** 01.00 "დღეს ორის ნახევარზე".

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"დაუვიწყარი"** 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 კონცერტი: "ორერა" 2 ნაწილი (გ/ჩ) 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"მაგნატები"** 18.50 სერ. **"აკრძალული სიყვარული"** 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 კრიმ. სერ. **"უკანასკნელი ნათლია"** 2 სერ. 23.00 მხ/ფ **"მატჩ პოინტი"** (ჯ.რ. მაიერსი) 01.35 მხ/ფ **"სიკვდილის შემდეგ"** (ჟ.კ. ვან დამი) (ტიტ.).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. **"ვნების უფსკრული"** 18.45 სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** 20.05 სერ. **"ერთგულების ძალა"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია. 23.30 სერ. **"გრიმი"** 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი.

7.00, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები 11.00, 14.30, 17.30, 22.20, 0.30 მაგთიფანი 11.30 ამბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50, 23.00, 3.30 თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი" 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 "პრეს-პრესი" (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 19.00 **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30, 5.30 "ყოველდღიური ამბები".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 სპექტაკლი - **"პეპო"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ქრისტიანული სწავლება 10.50 საუბრები ლიტერატურაზე 10.20 სღვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ **"სინემა"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 16.00 კონცერტი - ელისო ვირსალაძე და ნატალია გუტმანი 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ჩვენი ბიბლიოთეკა 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჩვენი ფონდი 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.45 კარაბადინი 02.10 ირაო.

გაგრძელება 43-ე გვერდზე

## კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი"**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**3 – 9 ივნისი**

*დარბაზი 1*

11.25, 13.40, 15.50, 18.05, 20.20, 22.35 - **„ჰენგოვერი III"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 2*

14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.15 - **„ნაწილები"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00 - **„სტარ ტრეკი: სიბნელეში"** 3D, *ხანგრძლივობა 2სთ. 15 წუთი;*

14.30, 17.15 - **„რკინის კაცი 3"** 3D, *ხანგრძლივობა 2სთ. 10 წუთი;*

19.55, 22.30 - **„ფორსაჟი 6"**, *ხანგრძლივობა 2სთ. 10 წუთი;*

*დარბაზი 4*

11.50 - **„კრუდსების ოჯახი"** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წუთი;*

13.55, 16.50, 19.45, 22.30 - **„დიდი გეთსბი"** 3D, *ხანგრძლივობა 2სთ. 25 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.30, 17.00, 19.45, 22.30 - **„ფორსაჟი 6"**, *ხანგრძლივობა 2სთ. 10 წუთი.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი"**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

12.15, 14.45, 17.30, 19.45, 22.30 - **„ჰენგოვერი III"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 40 წუთი;*

*მცირე დარბაზი*

12.00, 14.30, 17.00, 22.30 - **„ფორსაჟი 6"**, *ხანგრძლივობა 2სთ. 10 წუთი;*

19.30 - **„დიდი გეთსბი"** 3D, *ხანგრძლივობა 2სთ. 25 წუთი.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „საქართველო"**
**გურამიშვილის გამზ. 2/9,**
**ტელ.: 230-80-80; 269-66-47.**

12.00 - **„მონსტრი პარიზში"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წუთი;*

14.00, 16.00 - **„რომის გლადიატორები"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წუთი;*

18.00, 20.00, 22.00 - **„ნაწილები"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30 წუთი.*

(ბილეთის ფასი: 4 - 7 ლარი).

# ქათმის ფილე შვედურად









**საჭირო ინგრედიენტები:** 300 გრამი ქათმის ფილე, 150 გრამი ბრინჯის ლაფშა, 200 გრამი მწვანე ლობიო, 1 ცალი წითელი, ბულგარული წიწაკა, მწვანე ხახვი და კამა – გემოვნებით, 2 სადილის კოვზი სოიის სოუსი, 2 სადილის კოვზი ზეითუნის (ან სიმინდის) ზეთი, 2 კბილი ნიორი, 1/2 ჩაის კოვზი გახეხილი კოჭა, 2 სადილის კოვზი წყალი, ცოტა მწარე წიწაკა, მარილი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ქათმის ფილე დაჭერით მომცრო ზომის კუბიკებად. ზეთით, ნივრითა და 1 სადილის კოვზი სოიის სოუსით მოამზადეთ მარინადი, ჩააწყვეთ მასში ქათმის ნაჭრები და მოათავსეთ მაცივარში 30 წუთის განმავლობაში. ბრინჯის ლაფშას დაასხით მდუღარე წყალი და გააჩერეთ 15 წუთი. გადაწურეთ და გადაავლეთ ცივი წყალი.

ფილე ამოიღეთ მარინადიდან და შებრაწეთ ცხელ ტაფაზე ზეთში ათი წუთის განმავლობაში ყველა მხრიდან. დაუმატეთ დაჭრილი ხახვი, ლობიო, ბულგარული წიწაკა, მწარე წიწაკა, კამა, წყალი და შუშეთ 5-7 წუთი. სულ ბოლოს დაუმატეთ გახეხილი კოჭა, სოიის სოუსი და მარილი. მზა კერძი მოაყარეთ ბრინჯის ლაფშას და კარგად ამოურიეთ. ძალიან მოგეწონებათ.

# ბერძნული წვნიანი





**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი საქონლის ხორცის ფარში, 2/3 ჭიქა ბრინჯი. 2 თავი ხახვი (1 თავი – ფარშში, 1 თავი – სოუსში), 1 ცალი სტაფილო, 3 ცალი კვერცხი (1 ცალი – ფარშში, 2 ცალი – სოუსში), 1,5 ლიტრი წყალი, 1 სადილის კოვზი ფქვილი, 1 პატარა კონა ოხრახუში, ცოტა ზეითუნის ან სიმინდის ზეთი, მარილი, შავი პილპილი, 1 ცალი ლიმონი.

**მომზადების წესი:** ფარში მოათავსეთ თასში, შეურიეთ ბრინჯი, წვრილად დაკეპილი ხახვი, ერთი კვერცხი, მარილი, პილპილი, წვრილად დაჭრილი მწვანილი და 1 კოვზი წყალი. კარგად აზილეთ და გააკეთეთ პატარა გუნდები, დაახლოებით კაკლის ზომის. ზეთში მოშუშეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, დაუმატეთ რგოლებად დაჭრილი სტაფილო და ერთად მოშუშეთ. დაასხით ცხელი წყალი. ჩააწყვეთ მასში ფარშის ბურთულები და ადუღეთ 30 წუთი.

ამასობაში მოამზადეთ სოუსი: ჯერ კარგად ათქვიფეთ კვერცხის ცილა, მერე – კვერცხის გული, რომელშიც უნდა ჩაუმატოთ ლიმონის წვენი და შეურიოთ ათქვეფილი ცილა, თან თქვეფა განაგრძეთ. დაუმატეთ ცოტა ფქვილი. ათქვიფეთ – ფქვილი კარგად უნდა გაიხსნას. მხოლოდ ამის მერე შეურიეთ ეს სოუსი სუპს ნელ-ნელა და გამუდმებული მორევით. შეგიძლიათ, წინასწარ შეათბოთ სოუსი, რომ უკეთ გაიხსნას წვნიანში. წამოადუღეთ ძალიან დაბალ ცეცხლზე. ორ წუთში მზად იქნება.

# მსუბუქი სალათა















**საჭირო ინგრედიენტები:** 150 გრამი მწვანე სალათა, 2 ცალი კიტრი, 4-5 ცალი მომცრო ზომის პომიდორი, 2-3 კბილი ნიორი, 1 თავი ხახვი, 1 ცალი ბულგარული წიწაკა, 4 ნაჭერი პური, 60 მილილიტრი ზეითუნის ზეთი. მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით, 1 კონა კამა, 1 კონა ოხრახუში.

**მომზადების წესი:** სალათის ფურცლებს რომ გარეცხავთ, შეაშრეთ და ხელით დაფლითეთ. ხახვი, პომიდორი და კიტრი დაჭერით რგოლებად, კამა და ოხრახუში – წვრილად. ბულგარული – წვრილ ჩხირებად. პური კი – 1,5X1,5 ზომის კუბიკებად. ტაფაზე დაასხით ცოტა ზეთი და მოხრაკეთ მასში წვრილად დაჭრილი ნიორი, ჩაუმატეთ სალათას. იმავე ზეთში შებრაწეთ პურის ნაჭრები. სალათას პილპილიც მოაყარეთ, შეურიეთ დაჭრილი მწვანილი და ბოსტნეული, ცოტა მარილი და აურიეთ კარგად. ზემოდან მოასხით დარჩენილი ზეთი და მოაყარეთ შემწვარი პურის კუბიკები.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# ქათმის წვნიანი

**საჭირო ინგრედიენტები:** 3 ლიტრი წყალი, 4 ცალი კარტოფილი, 1 თავი ხახვი, 1 ცალი სტაფილო, 1 კონა კამა, 400 გრამი ქათმის ფილე, 1 ცალი დაფნის ფოთოლი, მწიკვი შავი პილპილი, მარილი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხორცს დაასხით წყალი და დადგით მოსახარშად. მოხადეთ ქაფი. როდესაც ხორცი მოიხარშება, ქვაბიდან ამოიღეთ. ბულიონში ჩაამატეთ გაფცქვნილი ხახვი, დაჭრილი სტაფილო, კარტოფილი და დადგით ცეცხლზე. როდესაც ბოსტნეული მოიხარშება, დაუმატეთ მარილი, პილპილი, დაფნის ფოთოლი, დაჭრილი ქათმის ხორცი და 2 წუთი ადუღეთ. ბოლოს დააყარეთ დაჭრილი კამა და გადმოდგით ცეცხლიდან.



# ღორის ხორცი ბალზამიკოთი

**საჭირო ინგრედიენტებია:** 1 ნაჭერი ღორის ხორცის ფილე, 0,5 ჭიქა მუქი ბალზამიკო, 1 ჩაის კოვზი შაქარი, 1 სუფრის კოვზი მდოგვი, 100 მილილიტრი წყალი, 300 მილილიტრი ქათმის ბულიონი, 50-100 მილილიტრი ნაღები, ცოტა როზმარინი, მარილი და წიწაკა – გემოვნებით, ზეთი მოსაშუშად.



**მომზადების წესი:** ხორცი დაჭერით 2-3 სანტიმეტრის სისქის ნაჭრებად, ზემოდან დასერეთ და გაცხელებულ ზეთში დაახლოებით 3-4 წუთის განმავლობაში შებრაწეთ. შეინახეთ თბილად. მდოგვში აურიეთ შაქარი და მოშუშეთ 1 წუთის განმავლობაში, დაასხით ბალზამიკოში არეული წყალი და დაუწიეთ ცეცხლს. დაასხით ქათმის ბულიონი, ჩაუმატეთ როზმარინი და ნახევრამდე დაადუღეთ. დაუმატეთ ნაღები, მარილი და წიწაკა. წამოადუღეთ. სოუსში ჩააწყვეთ ხორცის ნაჭრები და მიიყვანეთ ადუღებამდე. გარნირად შეგიძლიათ, მოამზადოთ მოხარშული კარტოფილი ან გოგრა.

# ხორცი ალუბლის სოუსით

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი ღორის ან საქონლის ხორცი, 1 ჩაის კოვზი ძირა, 2 ჩაის კოვზი ტკბილი მდოგვი, დაფხვნილი თეთრი პურის გული საფანელად, მარილი და წიწაკა გემოვნებით. სოუსისთვის: 1 ჩაის კოვზი კარაქი, 40 გრამი წითელი ხახვი, 60 მილილიტრი მშრალი წითელი ღვინო, 60 მილილიტრი ქათმის ბულიონი, 100 გრამი უკურკო ალუბალი, 0,5 ლიმონის ცედრა, 0,5 ჩაის კოვზი შაქარი, 1 ჩაის კოვზი ბალზამიკო, 0,5 ჩაის კოვზი დაჭრილი ბეგქონდარა, მარილი და პილპილი გემოვნებით.



**მომზადების წესი:** ხორცი ნაწილობრივ შეწვით, წაუსვით მდოგვი, ამოავლეთ დაფხვნილი პურის გულის, მარილის, წიწაკისა და ძირას ნარევში, შემდეგ შეწვით გრილზე ან ღუმელში. ხახვი მოშუშეთ ცხიმში, დაასხით ღვინო და 2-3 წუთი დაბალ ცეცხლზე ადუღეთ. დაუმატეთ ქათმის ბულიონი, ლიმონის ცედრა, ალუბალი, შაქარი, ბალზამიკო და 3 წუთი ხარშეთ ძლიერ ცეცხლზე. როდესაც შესქელდება, ამოიღეთ ლიმონის ცედრა, დაუმატეთ ბეგქონდარა მარილი და პილპილი. მიირთვით ხორცთან ერთად.

38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 5 ივნისი

**07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** ტ/სერ **"ჭორიკანა"** **17.00** "აღმოაჩინე საქართველო" **17.30** "AQUA – GEORGIA" **18.00** დ/ფ "პლანეტა დედამიწის სიღრმეში" **19.05** ტ/სერ **"სიყვარული და შურისძიება"** **21.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **22.10** **ფეხბურთი**. საერთაშორისო ამხანაგური მატჩი: დანია – საქართველო **00.10** მხ/ფ **"მკვლელი ნინძა"** (ტიტ.) **02.00** "დღეს ორის ნახევარზე".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"მაგნატები"** **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ფულთან თამაში **23.00** კრიმ. სერ. **"უკანასკნელი ნათლია"** **3** სერ. **00.15** მხ/ფ **"გრინსტრიტელი ხულიგნები"** (კ.ფორლანი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** იღბლიანი ბორბალი. **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ **"ერთგულების ძალა"** **22.00** ნანუკას შოუ. **23.30** სერ. **"გრიმი"** **00.30** კინოაფიშა. **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 1.00, 4.30, 6.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00** ახალი ამბები **11.00** მაგთიფანი (გამ) **11.30** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.) **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** კვირის აბები (გამ.) **17.00** ჩემი ქორწილი (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 1.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00** **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **21.30, 2.30** მაგთიფანი კონცერტი **23.30, 5.00** თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.25** დოკ/ფ "ჰაჯი მურატი-ფილმი,რომელიც არ დაიდგა" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ჩვენი ფონდი **11.00** ქრისტიანული ხელოვნება **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები **13.20** ქრისტიანული სწავლება **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.20** ჩვენი ბიბლიოთეკა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.50** ჩვენი ბიბლიოთეკა **16.20** დოკ/ფ "ადილა" **16.55** კვირიაკე **18.05** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"მუუდრო სავანე"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მხ/ფ **"ქრისტინე"** **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ანა და მეფე"** I სერ. **02.30** სიახლენი.

## ხუთშაბათი 6 ივნისი

**07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ **"ჭორიკანა"** **17.00** "ჩვენი ფერმა" **17.30** "საფარი" **18.00** დ/ფ "სიცოცხლე" **19.05** ტ/სერ **"სიყვარული და შურისძიება"** **21.00** "საჯარო პოლიტიკა" **22.00** ტ/სერ **"ნიკოლა ლე ფლოკი"** **23.00** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" **00.00** მხ/ფ **"ჩრდილოეთის ქვეყანა"** (შ.ტერონი) **02.00** "დღეს ორის ნახევარზე"

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** კაცების შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"მაგნატები"** **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **23.00** კრიმ. სერ. **"უკანასკნელი ნათლია"** 4 სერ. **23.00** მხ/ფ **"კივილი 4"** (კ.კოქსი) **01.20** მხ/ფ **"მფრინავი ხანჯლების სახლი"** (ე.ლაუ)

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** კომედი შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ **"ერთგულების ძალა"** **22.00** პროფილი **23.30** ტოპ გოგო **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი

**7.00, 3.00, 5.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00, 1.00** ახალი ამბები **11.00** კვირის აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.50** თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები" (გამ.) **14.30, 22.20, 0.30** მაგთიფანი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** მაგთიფანი კონცერტი (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 2.00, 6.00** თოქ-შოუ "სუბ. აზრი" **19.00** **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" **23.00, 3.30** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი"

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.20** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.45** მხ/ფ **"ანა და მეფე"** I სერ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30, 21.05** ლექსით ქებათა ქება **10.35** მხ/ფ **"ქრისტინე"** **11.00** ირაო **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"მუუდრო სავანე"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** მხ/ფ **"არსენას ლექსი"** **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ყველაზე სწრაფები მსოფლიოში"** **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების სალონი **22.25** სახარება-ოთხთავის წმ.გიორგი მთაწმინდელისეული რედაქციის შესახებ (ე.ჭელიძე) **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ/ფ **"ჰოზოი"** **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ანა და მეფე"** II სერ.

## პარასკევი 7 ივნისი

**07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ **"ჭორიკანა"** **17.00** "საუკუნის პორტრეტები" **17.30** "ეთნოგრაფიული ჩანახატები" **18.00** დ/ფ "ეგვიპტიდან" **19.05** ტ/სერ **"სიყვარული და შურისძიება"** **21.00** "აქცენტები" **22.00** ტ/სერ **"ნიკოლა ლე ფლოკი"** **23.00** "წითელი ზონა" **00.00** მხ/ფ **"სიყვარულის ახსნა"** (ტიტ.) **02.00** "დღეს ორის ნახევარზე"

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) **17.50** სერ. **"მაგნატები"** **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) **00.15** მხ/ფ **"კარგ კომპანიაში"** (ს.იოჰანსონი)

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ეკი ვოკი (გ/ჩ) **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ **"ერთგულების ძალა"** **20.50** ეროვნული ლატარეა

**7.00, 1.00, 3.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00,**

**9.15** მაღვიძარა **9.00** ახალი ამბები **11.00, 14.30, 17.00, 22.20, 0.30** მაგთიფანი **11.30** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.50, 23.00, 3.30** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი" **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** პრესკლუბი **16.30** "მონიტორის/ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 2.00, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი" 21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30, 5.30** "ყოველდღიური აბები"

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.20** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.45** მხ/ფ **"ანა და მეფე"** II სერ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** სახარება-ოთხთავის წმ.გიორგი მთაწმინდელ-ისეული რედაქციის შესახებ (ე.ჭელიძე) **10.55** მოკ/ფ **"ჰობოი"** **11.25** ნიამორი **11.45** ქრისტიანული სწავლება **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"ყველაზე სწრაფები მსოფლიოში"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვ-ნებაზე **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დეკორატიული ფლორა **15.45** დოკ/ფ "ველური ბუნება" **16.10** საუბრები ლიტერატურაზე **16.40** კონცერტი - ედიშერ სავიცკი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.35** ფოტოგალერეა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ხევსურული ბალადა"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ლექსით ქებათა ქება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ქრისტიანული ხელოვნება **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ჯგრაგ" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე **02.00** ჩვენი ბიბლიოთეკა

## შაბათი 8 ივნისი

**08.00** საბ. მხ/ფ**"ნილზის შვილი"** **10.00** საბ. ან/სერ **"ზინგზილები"** **11.00** "პეპე და მეგობრები" **12.00, 16.00, 20.00, 03.30** "მოამბე" **12.30** კლასიკური მუსიკის კონცერტი: "გაზაფხუ-ლი ვენაში – **2013**" (ახალი) **15.00** დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები" **16.30** ქართ. ტ/ფ **"ლუარსაბ თათქარიძე"** **18.00** "ეტალონი" **19.00** "**10**|**10**" **20.30** "ახალი ქართული კინო" **21.00** დ/ფ "კავკასიის შორეული ხეობები" **22.00** მხ/ფ **"შერლოკ ჰოლ-მსი"** (ჯ.ლოუ) **00.10** მხ/ფ **"მარტოხელა გმირი"** (ბ.უილისი)

**08.00** ან/ფ "მონსტრები და მეკობრეები" **09.00** მხ/ფ **"ყჩაღები"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ან/ფ "სპანჯბობი" **1** სერ. **12.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში"** **13.00** სერ. **"რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი"** **4** სერ. **14.20** იმედიატორი (გ/ჩ) **15.50** დოკ/ფ "ჩემი ზაფხული თეირანში" (გ/ჩ) **17.50** სერ **"მაგნატები"** **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვა-რული"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** კაცების შოუ **00.00** მხ/ფ **"გრიუგეში ჩარჩენილი"** (რ.ფაინსი) **01.55** მხ/ფ **"ბრილიანტის ამბავი"** (კ.ევანსი) (ტიტ.)

**08.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** MTV ROOM RAIDERS **09.00** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.30** შერეკილები **10.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **13.30** ქართ. მხ/ფ **16.30** "ნანუკას შოუ" - (გ/ჩ) **19.00** ყველაზე ჭკვიანი. **20.05** სერ. **"ერთგულების ძალა"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.00** რა? სად? როდის? **00.00** კინოაფიშა. **00.30** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **01.00** "Latin Angels" **01.30** სერ. **"გრიმი"** **02.00** მხ/ფ

**7.00, 0.00, 2.00, 3.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.45** მულტფილმი **8.15** მაღვიძარა (კოლაჟი) **9.45, 18.45, 23.00, 3.30** მაგთიფანი **10.30** აბები (გამ.) **11.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.30 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **15.30 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **21.45, 0.30, 4.30** თოქ-შოუ "პრესპრესი" **1.30, 5.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) **2.30** "ღია კარის დღე" (გამ.) **6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.)

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "ყველაზე, ყველაზე" **07.35** მოგზაურობა სამშობ-ლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 18.05, 21.20** ერთსულოვ-ნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"ხევსურული ბალადა"** **13.35** ჩვენი ბიბლიოთეკა **14.05** ქრისტიანული სწავლება **14.15** დოკ/ფ "ჯგრაგ" **14.50** მართლ-მადიდებლური კატეხიზმო **15.10** ოპერა -**"მფრინავი ჰოლანდი-ელი"** **17.25** დოკ/ფ "ველური ბუნება" **18.10** ქრისტიანული ხელოვნება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყე-ნებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** ერთსულოვ-ნების სალონი **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.30** კარაბადინი **22.25** პორტრეტი "ერთსულოვ-ნების" გალერეიდან **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **22.15** სიმღერის კვალდაკვალ **00.35** მხ/ფ **"ოქროს ტბასთან"** **02.00** დოკ/ფ "ორშაბათ საღამოს"

## კვირა 9 ივნისი

**08.00** დ/ფ "ჯინსი-პლანეტა ლურჯ ფერებში" **09.00** საბ. ან/სერი **"ზინგზილები"** **10.00** "ეტალონი" **11.00** "პეპე და მეგობრები" **12.00, 16.00** "მოამბე" **12.30** "სპექტაკლის დრო" – სატელევიზიო თეატრის სპექტაკლი: "ხიდი" **15.00** დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები" **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00** კონცერტი: "მე ხომ ლოცვად მინდა..." პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი **19.00** მხ/ფ **"უდიპლომო სასიძო"** **20.30** "უცნობი მუსიკა" **21.00** კონცერტი **22.00** მხ/ფ **"მზის ჩასვლის შემდეგ"** (პ.ბროსნანი) **00.00** მხ/ფ **"უპირობო სიყვარული"** (რ.ევერეტი).

**08.00** ან/ფ "მონსტრები და მეკობრეები" **09.00** ქ.მხ/ფ **"მე ბებია" ილიკო და ილარიონი"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში"** **13.00** სერ. **"რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი"** **5** სერ. **14.20** მხ/ფ **"სონიდორი"** **17.40** იმედის გმირები **17.50** სერ. **"სახიფათო კავშირი"** **2** სერ. **21.00** ღამის შოუ **22.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** რომ გადახვალ" გააჩერე **00.00** იმედიატორი **01.30** დოკ/ფ "ჩვენ ლეგიონი ვართ".

**08.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** MTV ROOM RAIDERS **09.00** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.30** შიშის ფაქტორი **10.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **12.00, 15.00, 18.00, 04.00** კურიერი **12.30** დოკ/ფ (ფრაგმენტი) **13.00** "საქართველოს ვარსკვლავი". **16.30** პროფილი (გ/ჩ) **19.00** ეკი ვოკი **20.00** იღბლიანი ბორბალი **21.00** P.S. **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.00** კომედი შოუ **00.00** კარდაშიანების ოჯახი **01.00** ტოპ გოგო (გ/ჩ) **01.30** სერ. **"გრიმი"** **02.00** მხ/ფ.

**7.00, 23.30, 4.00, 6.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **9.30, 18.45, 3.30** ღია კარის დღე **10.00, 22.30, 0.00, 2.30, 5.30** მაგთიფანი **11.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.30 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **15.30 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება **20.00, 4.30** ჩემი ქორწილი **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **21.45, 1.30** კვირის აბები.

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.10** სახარება **08.20** გამოყენებითი ხელოვნება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთი-ადი" (კოლაჟი) **10.05, 21.30** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 22.55, 00.05** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.40** ჩვენი ტრაპეზი **10.50** სიმღერის კვალდაკვალ **11.30** ქართული ალბომი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"მეტიჩარა"** **13.25** ქრისტიანული ხელოვნება **14.00** დოკ/ფ "ორშაბათ საღამოს" **14.30** კარაბადინი **15.05, 18.05, 21.05, 00.10** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსუ-ლოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** სალვთისმეტყველო საუბრები **18.30** დროის ჩანაწერები **19.35** მხ/ფ **"იყო შაშვი მგალობელი"** **21.35** ლექსით ქებათა ქება **21.45** კვირიაკე **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **23.40** დრო და ადამიანები **00.30** მხ/ფ **"გზა"**.

## ვერძი

ადვილად შეძლებთ წარმატების მიღწევას. კარგი განწყობა დაგეხმარებათ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში. კარგია მოგზაურობა და ახალი კავშირები. გაგიადვილდებათ ინფორმაციის გადამუშავება.

## კურო

არსებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად ჯობია, არაფერი შეცვალოთ. ეს დრო კარგია ძველი სასიყვარულო კავშირების გაწყვეტისა და ახალი რომანტიკული ურთიერთობის დასაწყებად. კარგია მოგზაურობა, გონების დასვენება ბუნებაში და სიტუაციის გამოცვლა.

## ტყუპები

ფინანსურ საკითხებში ბედი გაგიღიმებთ. იმოქმედეთ დამოუკიდებლად. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიული და საინტერესო იქნება. ოჯახურ ურთიერთობებზე კი დადებითად იმოქმედებს ერთობლივი დასვენება ან მოგზაურობა.

## კირჩხიბი

თავი შეიკავეთ ფიზიკური სამუშაოსგან. პერიოდულად დაისვენეთ და მიხედეთ ოჯახურ საქმეებს. კარგია იურიდიული საქმიანობა. ასევე, გაგიადვილდებათ ფინანსური საკითხების მოგვარება. მოსალოდნელია საყვარელ ადამიანთან სიტუაციის დაძაბვა.

## ლომი

კარგია გამოცდების ჩაბარება. დააბანდეთ ფული რამე საქმეში. საყვარელ ადამიანთან ერიდეთ თვალთმაქცობასა და ტყუილს. დასვენების მიზნით კარგია წყლის პროცედურების ჩატარება. საქმეში დაიხმარეთ მეგობრები.

## ქალწული

ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. დროა, მოდუნდეთ და დაისვენოთ დამღლელი სამუშაოსგან. ადრე დაშვებული შეცდომები შეიძლება საყვარელ ადამიანთან განშორების მიზეზი გახდეს. ნუ იქნებით დაუდევარი და აკონტროლეთ სიტუაცია.

## სასწორი

ფინანსური საკითხების მოგვარებისას შეინარჩუნეთ სიმშვიდე. ოჯახის წევრები დაგეხმარებიან სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. გაიზრდება თაყვანისმცემლების რაოდენობა.

## მორიელი

გაიზრდება შემოსავალი. კრედიტების აღებისგან ან ფულის სესხებისგან  კი თავი შეიკავეთ. არ გირჩევთ, ასევე, მოგზაურობას, თუმცა კარგია დროდადრო ქალაქგარეთ გასეირნება. საყვარელ ადამიანთან იყავით მშვიდი და ნუ მიიღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს.

## მშვილდოსანი

თავდაჯერებულობა მიზნის მიღწევაში, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და კოლეგებთან ავტორიტეტის ამაღლებაში დაგეხმარებათ. ოჯახის წევრები გვერდში დაგიდგებიან. სასიყვარულო პარტნიორი კი მოგხიბლავთ თავისი მოქმედებებით.

## თხის რქა

ნუ დახარჯავთ ფულს უყაირათოდ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას და არ გადაიღალოთ. კარგია სასიყვარულო ურთიერთობის დაწყება. ნუ გამოიყენებთ ახალ ინფორმაციას გადაუმოწმებლად. მოგზაურობა კი დროებით გადადეთ.

## მერწყული

საქმეში ადვილად მიაღწევთ წარმატებებს. დამოუკიდებლად მოქმედება სიამოვნებას მოგანიჭებთ, თუმცა, მოგიწევთ ბევრ ხალხთან ურთიერთობა. სასიყვარულო კავშირი კი განწყობას აგიმაღლებთ და სასიცოცხლო ინტერესს შეგმატებთ.

## თევზები

თუ დამოუკიდებლად იმოქმედებთ, შესაძლოა, ფინანსური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. ნუ მიიღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს და აკონტროლეთ სიტყვები. შესაძლოა, სასიყვარულო პარტნიორის მიმართ გულცივი გახდეთ, თუმცა, ეს დროებითია.

**ახალმთვარეობა – 8 ივნისი, 15 სთ: 55 წთ.**

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი

კარგად გაერკვიეთ სიტუაციებში, რადგან დიდია ღალატის ალბათობა. ნუ აჰყვებით ჭორებს, ინტრიგებს, ემოციასა და სენტიმენტალიზმს. მოიმატებს ინტუიცია. ატარეთ წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, ძოწი, წითელი იასპი ან სარდიონი. მიაქციეთ ყურადღება სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, ფინანსურ ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებას, თმის შეჭრას. კარგია მოგზაურობა. სუსტდება თავი, გრძნობათა ორგანოები, ცხვირი, ყურები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, ტყუპებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### სამშაბათი

მეტად მოუსმინეთ სხვებს. იმუშავეთ დამოუკიდებლად. აკონტროლეთ სიამაყე და პატივმოყვარეობა. ატარეთ წითელი, ყვითელი, ლურჯი, ცისფერი, ნარინჯისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, ფირუზი ან აქატი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, ფინანსურ ოპერაციებს, წესების დარღვევას. კარგია მოგზაურობა, ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობა. სუსტდება თავი, თვალები, ცხვირი, სისხლძარღვები.

***პოზიტიური დღეა: მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის.***

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღეა

მეტი კონტაქტი იქონიეთ ბუნებასთან. კარგია ახალი ნაცნობობა და ახალი ურთიერთობები. ნუ აჰყვებით პროვოკაციებს. მაღალია კონფლიქტების ალბათობა. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, ცისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ზურმუხტი, მარგალიტი ან ამეთვისტო. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, გართობა, ვაჭრობა, მოგზაურობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### ხუთშაბათი

კარგია ფინანსური საკითხების გადაწყვეტა, ხელოვნებასთან კონტაქტი, მცენარეების დარგვა. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, ბეჟი, ლურჯი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, მწვანე იასპი, ზურმუხტი ან ონიქსი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სარისკო მოქმედებებს. კარგია სასიყვარულო კავშირები, ახალი ნაცნობობა, გართობა. სუსტდება ყელი, ფარისებრი ჯირკვალი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღეა

მოიმატებს ილუზიების ალბათობა. მოერიდეთ მოგზაურობას, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას. ატარეთ ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, ყვითელი, კრემისფერი, ცისფერი, იასამნისფერი, ვერცხლისფრი ან ოქროსფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, სარდიონი, ჟადეიტი, აკვამარინი ან იასპი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღეა

დღეს ახალმთვარეობაა – სასიკეთო ენერგიების ნაკლებობა, რაც მეტად განაპირობებს კონფლიქტებს, აგრესიას, ტრავმებს, ინტრიგებს, ცდუნებებს, ჯანმრთელობის გაუარესების ალბათობას. იყავით ფრთხილი და წინდახედული. ატარეთ ნარინჯისფერი, ყვითელი, იასამნისფერი, ვერცხლისფერი, ოქროსფერი ან ბეჟი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, ქარვა, ნეფრიტი, საფირონი ან ცირკონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას. კარგია სამეცნიერო კვლევა, ხელოვნებასთან კონტაქტი. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, ხელები, მხრები.

### კვირა
### გეომაგნიტური დღეა

მოერიდეთ უცხოელებთან კონტაქტს. იყავით მეტად ყურადღებიანი. მოერიდეთ კონფლიქტებს. მეტად დაისვენეთ. ატარეთ იასამნისფერი, ნაცრისფერი, მწვანე, ვერცხლისფერი, ოქროსფერი ან კრემისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, ზურმუხტი, ცირკონი, სარდიონი ან ლაზურიტი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. მოერიდეთ სასიყვარულო შეხვედრებს, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას. კარგია სწავლა. სუსტდება ბრონქები, ფილტვები, მხრები, ხელები, კუჭი, მკერდი.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ვარდიძე-ჩილინგარაშვილი

**ვარდიძე** მესხური გვარია. ფუძედ გამოყენებულია საკუთარ სახელად ქცეული სიტყვა ვარდი. ამავე ძირისაა გვარები: **ვარდაია, ვარდანია, ვარდანაშვილი, ვარდასანიძე, ვარდუაშვილი, ვარდოსანიძე, ვარდოსანი, ვარდიძე** და **ვარდისძე**.

„**ვარდისძე** გოგიმ, ქურციკ ფიცხელაძესთან ერთად აჭდილას წმიდა გიორგის რუს გამოსაღებად შესწირა 50 თეთრი და გააჩინა აღაპი" (მეთხუთმეტე საუკუნე).

**ვარდიძეთა** ერთმა ნაწილმა კათოლიკობა მიიღო და გვარი თურქული ფუძით – ჩილინგარ (რაც ზეინკალს ნიშნავს), **ჩილინგარაშვილად** შეიცვალა.

საქართველოში 267 **ვარდიძე** ცხოვრობს: თბილისში – 79, ადიგენში – 52, ახალციხეში – 36. არიან სხვაგანაც.

621 **ჩილინგარაშვილი**: ადიგენში – 501, თბილისში – 44, ქუთაისში – 16. არიან სხვაგანაც.

### სინატაშვილი

გვარი **სინატაშვილი** იმერეთში, კერძოდ, სოფელ რიონში წარმოშობილი გვარ-სახელია. სინა ქართულ ისტორიაში მრავალი მნიშვნელობით გვხვდება. პავლე ინგოროყვას ის მამაკაცის სახელად აქვს მოხსენიებული. ფუძით ნაწარმოებია შემდეგი გვარები: **სვინატაშვილი, სინატაძე.**

გვარი ადრეულ საბუთებში **სვინატაშვილად** გვხვდება. სვინა, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, შვილის მომნათვლელს ნიშნავს. ამ გვარის წარმომადგენლები ხშირად მოიხსენიებიან მეფის მეჯვარეებად და შვილის მომნათვლელებად.

გვარი **სვინატაშვილი – სინატაშვილი**, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანები, ხშირად გვხვდება მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეების იმერეთის ეპარქიის საეკლესიო-მეტრიკულ დავთრებშიც.

საქართველოში 456 **სინატაშვილი** ცხოვრობს: ქუთაისში – 266, წყალტუბოში – 154, თბილისში – 36.

### ფუტკარაძე

უძველესი გვარია. ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებით, ამ გვარს სათავე დაუდო ვინმე ფუტკარამ. ჩვენი აზრით, ეს არასწორი მოსაზრებაა, რადგან, გვარის წინარე ფორმაა **მეფუტკრისძე**, რაც მიგვანიშნებს, რომ **ფუტკარაძე** ხელობა-საქმიანობიდან გამომდინარე გვარ-სახელია და ამ გვარის წარმომადგენლები ფუტკრის მოვლა-მოშენებას მისდევდნენ.

გვარი **ფუტკარაძე** მოიხსენიება მეთორმეტე-მეთოთხმეტე საუკუნეების გვარების ნუსხაში.

**ფუტკარაძეების** ძირითადი საცხოვრისია აჭარა, თუმცა, ამ გვარის წარმომადგენლები, ასევე, ცხოვრობენ იმერეთში, სამეგრელოსა და თბილისში.

სამეგრელოში **ფუტკარაძეები** აჭარიდან გადავიდნენ. ბევრმა გვარი შეინარჩუნა, ნაწილი კი **ფუტკარაიად** ჩაეწერა.

იმერეთში **ფუტკარაძეები** ცხოვრობენ: საქარაში, ინაშაურში, სიმონეთში, ტყემლოვანში, ჩუნეთში, ჩხარში, ცხრაწყაროსა და ჯიხაიშში.

საქართველოში 7 003 **ფუტკარაძე** ცხოვრობს: შუახევში – 1 824, ხელვაჩაურში – 1 108, ბათუმში – 664. არიან სხვაგანაც.

### კიკიანი

მხარეთმცოდნე პეტრე ჭაბუკიანმა 1939 წელს ბაგრატის ტაძარზე აღმოაჩინა წარწერა, რომლის ავტორიც უცნობია. წარწერა 1740 წლითაა დათარიღებული და მასში მოხსენიებულია ჰასან აღა **კიკიანი**, რომელსაც ქუთაისის ციხემდე წყალი გამოუყვანია, რისთვისაც ის შეუქიათ და დაულოცავთ.

**კიკიანი** ქართული გვარია. ეს ჰასან აღა, უნდა ვიფიქროთ, რომ თათრებს გადაუბირებიათ და მას ისლამის რჯული მიუღია. დასავლეთ საქართველოს საბუთებში იგი ხშირად ჩანს როგორც საზოგადოებაში გავლენიანი და მაღალი თანამდებობის პირი, ამასთან, მატერიალურად შეძლებულიც. ქუთაისის მუზეუმის ერთი საბუთის მიხედვით დასტურდება, რომ ამ **კიკიანის** ქრისტიანული სახელი იყო სიმონი, ხოლო ჰასანი თურქებს შეურქმევიათ.




აკადემიკოსი სერგი ჯიქია სიმონ **კიკიანის** შთამომავლობაზე არსებულ ცნობებსაც განიხილავს: წერილობითი საბუთებით მტკიცდება, რომ ქუთაისის ციხის აღების (1770 წელი) შემდეგ, გენერალმა ტოტლებენმა რუსეთის იმპერატორ ეკატერინე მეორეს გაუგზავნა ტყვედ აყვანილი ჰასან **კიკიანის** შვილიშვილი. ეს ტყვე გვარ-სახელად ქუთაისოვს ატარებდა. ეკატერინე მეორემ ის აჩუქა თავის შვილს, პავლეს, რომელსაც ყმაწვილი ძალიან მოეწონა, აღზარდა, მონათლა და სახელად ივანე უწოდა.

უკანასკნელი **კიკიანები** მოხსენიებულნი არიან იმერეთის მეფის, სოლომონ მეორის 1808 წლის ერთ საბუთში. სოლომონ მეორე ადასტურებს, რომ ერთი **კიკიანი**, ქუთაისის ციხის აღებამდე, ქუთაისის ყადი ყოფილა და, რომ **კიკიანები** იმერეთის მკვიდრნი იყვნენ და აზნაურის ტიტულს ატარებდნენ. ამ ყადის შვილიშვილების ქუთაისოვებად მოხსენიება უნდა აიხსნას იმ დროს რუსეთში გრაფ ქუთაისოვის გვარის გამოგონებით. როგორც ცნობილია, გრაფ ქუთაისოვის გვარის დამწყები იყო ქუთაისის ციხის აღების დროს, 1770 წელს ტყვედ აყვანილი და რუსეთში იმპერატორ ეკატერინე მეორის კარზე საჩუქრად გაგზავნილი მაჰმადიანი ყმაწვილი. როგორც ირკვევა, ეს ყმაწვილი გვარად **კიკიანი** ყოფილა.

ამრიგად, სერგი ჯიქიამ დაადგინა, რომ გვარ-სახელი ქუთაისოვი ქუთათურ **კიკიანს** გულისხმობს.

მეფე სოლომონ მეორის მიერ 1808 წელს გაცემული საბუთი მოწმობს, რომ იმერეთში **კიკიანებს** აზნაურის წოდება ჰქონდათ. მეციხოვნე **კიკიანი** მოხსენიებულია რევაზ ჯაფარიძის რომანში „მძიმე ჯვარი".

მიხეილ ალავიძე აღნიშნავს, რომ მან მოიპოვა ცნობები სვანური წარმოშობის გვარზე – **კიკიანი**. ისინი სახლობენ დაბა ჩხოროწყუში. ქვედა ჩხოროწყუს ერთ უბანს კი **საკიკიანო** ჰქვია.

გვარი **კიკიანი** უკავშირდება ადამიანის კოლხურ საკუთარ სახელს – კიკი.

**კიკიანი** მომდინარეობს ადამიანის საკუთარი სახელიდან – გრიგოლი, რომლის ერთ-ერთი კნინობითი ფორმაა გიგა. გ და ქ თანხმოვნებს უფრო მჟღერი კ ჩაენაცვლა. ამ გზით მივიღეთ კიკა და გვარები: **კიკიანი, კიკაძე, კიკოშვილი, კიკავა, კიკაური.**

საქართველოში 98 **კიკიანი** ცხოვრობს: თბილისში – 35, ზუგდიდში – 21, მარტვილში – 13. არიან სხვაგანაც.

### რევიშვილი

გვარი მომდინარეობს საკუთარი სახელიდან – **რევი**. ამ სახელით ისტორიაში არაერთი პირია ცნობილი, მაგალითად, **რევი** მართალი, **რევი** მარინის ძე და სხვა.

ცნობილი ისტორიული პირი იყო მწიგნობარი ქუმსი **რევიშვილი.**

აზნაურები ბეჟან და ზაალ **რევიშვილები**, 1721 წლის აღწერით, როსტომ და გუგუნა ნამანგლევიშვილების მემამულეებად მოიხსენიებიან. ცხოვრობდნენ და ყმები ჰყავდათ სოფელ სკვირეთში. იქვეა მოხსენიებული მებატონე-მემამულე გიორგი **რევიშვილი**. აზნაური სეხნია **რევიშვილი**, ამავე წლის აღწერით, არის საამ და ედიშერ ბარათაშვილების მემამულე, ცხოვრობს და ყმები ჰყავს ქციაში. იმავე აზნაურებს ყმები ჰყოლიათ სოფელ თაფანსა და წვერში. სოფელ სკვირეთში, ასევე, მემამულეები იყვნენ და ყმებიც ჰყავდათ გიორგი და სვიმონ **რევიშვილებს.**

თავადი იესე ბარათაშვილი კეთილად მოიხსენიებს აზნაურიშვილ **რევიშვილებს**. ის წერს: „მეექვსე წელს ქალაქს ჩამომიყვანეს. წვერის ციხეში გამგზავნეს და მუნ ვიზრდებოდი გლეხებთან. ერთი აზნაურიშვილი იდგა, **რევისშვილი**, იმათთან მიმიყვანდნენ, მათამაშებდნენ და დიდი პატივი მქონდა აზნაურთაგან"...

საქართველოში 1 180 **რევიშვილი** ცხოვრობს: ქუთაისში – 595, თბილისში – 177, სამტრედიაში – 148. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# გვინეტ პელტროუს დიეტა

ეს მეგავარსკვლავი დღეს დაწვრილებით აგიხსნით თავისი დიეტის ყოველ საფეხურს და გასწავლით, როგორ გახდეთ მასავით მოხდენილი. ამისთვის კი უნდა დაიცვათ შემდეგი წესები:



* გამოიყენოთ მხოლოდ ზოგიერთი კვების პროდუქტი.

* მოამზადოთ სწორად.

* დაიცვათ საკვების მიღების რეჟიმი.

* მოერიდოთ ყველა ქიმიურ, ჰორმონულ და გენმოდიფიცირებულ პროდუქტს.

* მიიღოთ მხოლოდ ადგილობრივი წარმოების პროდუქტები.

### პროდუქტების თანაფარდობა:

მარცვლეული და ბურღულეული – უნდა შეადგენდეს დღის განმავლობაში მიღებული საკვების 50-60 პროცენტს.

ბოსტნეული (უმი და მოშუშული) – 20 პროცენტს.

პარკოსნები და ზღვის წყალმცენარეები (ერთად ან ცალ-ცალკე) – 7 პროცენტს.

ცოცხალი ხილი, ჩირი, მზესუმზირა, თხილი, ნიგოზი, მწნილეული – 10 პროცენტს.

ხორცეული, თევზეული და ზღვის სხვა პროდუქტები – მიდიები, კრევეტები და ასე შემდეგ – 5 პროცენტს.

იდეალური პროდუქტებია: წიწიბურა, რუხი ბრინჯი, ხორბალი, სიმინდი, ქერი, რომლებიც, შეგიძლიათ, მიიღოთ ნებისმიერი სახით: შემწვარი, მოხარშული, მოშუშული, გამომცხვარი. ასევე, იდეალური პროდუქტია პრაქტიკულად ყველა ბოსტნეული, ოღონდ, არა დაკონსერვებული.

### სეზონური მზადყოფნა, ანუ, წლის რომელ დროს რა უნდა მივირთვათ

გაზაფხული: ხორბალი, გაღივებული მარცვლეული, ბოსტნეული – ორთქლზე მომზადებული, მოხარშული და მერე მსუბუქად შემწვარი, თავდახურულ ჭურჭელში მოშუშული, მინიმალური რაოდენობის მარილით.

ზაფხული: ადრეული ყაბაყი, ხილი, კენკრა, მწვანე სალათები, ცოცხალი ბოსტნეული – გამომცხვარი, მოხარშული, მოწალული, მინიმალური რაოდენობის მარილით.

შემოდგომა: შემოდგომის ყაბაყი, სტაფილო, თალგამი, ცოცხალი ბოსტნეული, კენკრა – თავდახურულ ჭურჭელში მოშუშული + ცოცხალი მწვანილი.

ზამთარი: გაღივებული მარცვლეული, ზამთრის ყაბაყი, ხახვი, სტაფილო, ჭარხალი, ბოლოკი – მცენარეულ ზეთში მსუბუქად შემწვარი, მოშუშული. ოდნავ მეტი მარილით, ვიდრე წინა შემთხვევაში.

### კვების წესები

გვინეტ პელტროუ ხაზგასმით აღნიშნავს (რაც ჩვენც არაერთხელ გვითქვამს), რომ ყოველი ლუკმა უნდა იყოს მცირე ზომის და დაიღეჭოს მინიმუმ 50-ჯერ; უნდა დალიოთ რაც შეიძლება ბევრი წყალი (2-დან 3 ლიტრამდე) და მწვანე ჩაი. საკაზმიდან და სანელებლებიდან დასაშვებია: ზღვის საკვები მარილი, მწვანილი (ძირითადად – მწვანე ხახვი და ოხრახუში), ნატურალური მდოგვი, პირშუშხა („ხრენი“), სოიის სოუსი, არარაფინირებული ზეთი.

გსურთ, გახდეთ გვინეტ პელტროუსავით მოქნილი და მოხდენილი? მაშინ, ნუ დაიზარებთ მისი დიეტის დაცვას.

# თუ გინდა, რომ ჯანმრთელი იყო

თურმე, გვინეტ პელტროუ არა მარტო გარეგნობაზე, არამედ ჯანმრთელობაზეც გულდაგულ ზრუნავს, თან, საკმაოდ შედეგიანადაც და თავის მოვლის საკუთარ წესებსაც გულახდილად უმხელს ქალბატონებს. მისი აზრით, მთავარია:

ა) გაითვალისწინოთ თქვენი ცხოვრების წესი, დღის რეჟიმი და ამის მიხედვით ჩართოთ სხვადასხვა სახის ყოველდღიური ვარჯიში: დილის და საღამოს მოციონი, ველოსიპედით სეირნობა, იოგა, ცურვა; ამასთან, აუცილებელია, იზრუნოთ იმაზეც, რომ, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მიიღოთ დადებითი ემოციები – ზოგისთვის ეს საინტერესო წიგნი შეიძლება იყოს, ზოგისთვის – სასიამოვნო მუსიკის მოსმენა, მეგობრების (ან მეგობრებთან) ვიზიტი ან მათთან ერთად პიკნიკის მოწყობა – მოკლედ, არჩევანი დიდია;

ბ) აუცილებლად უნდა გამორიცხოთ ალკოჰოლი და სიგარეტი. ათასში ერთხელ, გარკვეულ სიტუაციებში, შეიძლება, ერთმა ჭიქა ალკოჰოლმა და ერთმა ღერმა სიგარეტმა დიდი ზიანი არ მოგაყენოთ, მაგრამ, ჯობია, საერთოდ დაივიწყოთ მათი არსებობის შესახებ.

გ) უმთავრესი წესი – მიკრობიოტიკა. ის არაფერს გიკრძალავთ, მხოლოდ გარკვეულ რეკომენდაციებს გაწვდით. ამის მიზეზი ისაა, რომ ყოველი ადამიანი ინდივიდუალურია და კვების კორექტირების დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია: მისი ორგანიზმის თავისებურებანი, სქესი, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ხასიათიც კი. ნებისმიერი დიეტა უნდა იყოს გონიერი და ბალანსირებული, რაშიც აუცილებელია დიეტოლოგის კონსულტაცია.

დ) მიკრობიოტიკა არ არის მონოდიეტა, რაც ასე მოდაში შემოვიდა ბოლო წლების განმავლობაში, ეს არის გონივრული შეზღუდვების სისტემა, რისი წყალობითაც მიიღებთ სასურველ შედეგს – კარგ ჯანმრთელობას, სასურველ წონასა და მაღალ ენერგოპოტენციალს მინიმალური დანახარჯებით.



ე) აქციეთ ღიმილი თქვენი იმიჯის საფირმო ნიშნად, მაგრამ, ეს საკმარისი არ არის, სიცილი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. იცინეთ ხმამაღლა (თუ, რა თქმა უნდა, შესაფერის ადგილას იმყოფებით), გულიანად და ხშირად – ეს ძალიან დაგეხმარებათ არა მარტო იმაში, რომ მთელი დღის განმავლობაში გაგყვეთ კარგი განწყობა, არამედ, ააქტიურებს ორგანიზმში მიმდინარე ქიმიურ პროცესებს, რაც, ზოგადად, ხელს უწყობს უჯრედების გაჯანსაღებას.

ცნობისთვის: 3 წუთი სიცილი=15-წუთიან ფიზიკურ ვარჯიშს.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: გავიგე, რომ ხელში ლითონის ბურთულების „თამაში“ (გადაგორება) სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის და ხელს უწყობს გახდომას. მართალია თუ არა ეს?**

**პასუხი:** ლითონის ბურთულების ხელში „თამაში“ (გადაგორება) აწესრიგებს სისხლის მიმოქცევას, წნევას; იცავს ხელის სახსრებს მარილების დაგროვებისგან. გარდა ამისა, ამცირებს მადას, რაც, უფრო ფსიქოლოგიური მომენტია: ბურთულებით „თამაშის“ დროს ყურადღების კონცენტრირება ხდება ამ პროცესზე და ტვინს „ავიწყდება“ ჭამაზე ფიქრი:

**კითხვა: მაინტერესებს, კოსმეტოლოგიური თვალსაზრისით, რით არის სასარგებლო ქოქოსის ზეთი და როგორ შეიძლება მისი გამოყენება?**

**პასუხი:** ქოქოსის ზეთი კვებავს, ატენიანებს და არბილებს სახის (დეკოლტეს, ხელების) კანს, აღადგენს მის ელასტიკურობას და აქრობს ნაადრევ წვრილ ნაოჭებს. ქოქოსის ზეთი შეგიძლიათ, პირდაპირ წაისვათ გაწმენდილ კანზე.

**კითხვა: ვიცი, რომ არსებობს სპეციალური კოქტეილები, რომლებიც მდიდარია ვიტამინებითა და მიკროელემენტებით; ხანგრძლივად იწვევს დანაყრების შეგრძნებას და, შესაბამისად, ამცირებს მადას. თუ შეიძლება, მასწავლეთ ერთ-ერთი ასეთი კოქტეილის მომზადება.**

**პასუხი:** 100 მილილიტრი ანანასის წვენი და 50 მილილიტრი ქოქოსის რძე ათქვიფეთ ბლენდერში. ჩაამატეთ 1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი, 1 ჩაის კოვზი ახალგამოწურული პიტნის წვენი, ჩააგდეთ ყინულის კუბიკი და დალიეთ პაუზებით, ძალიან პატარა ყლუპებით.

**კითხვა: რა არის კლიპერი?**

**პასუხი:** კლიპერი იგივეა, რაც „მკვნეტელა“ („კუსაჩკა“), რომელიც, მისი ფორმიდან გამომდინარე, გამოიყენება პედიკიურისა და მანიკიურის დროს ფრჩხილების მოსაჭრელად.

**კითხვა: ზაფხულში ფეხი ძალიან მიოფლიანდება, ქუსლები კი განსაკუთრებით მიუხეშდება და ხანდახან მისკდება კიდეც. როგორ მოვუარო, რომ ეს არ მოხდეს?**



**პასუხი:** საშუალოდ ცხელ წყალში ჩააწვეთეთ 2-2 წვეთი ფიჭვის, ევკალიპტისა და სალბის ეთერზეთები. ასეთი ნაზავი არბილებს ტერფების კანს, ამცირებს ოფლიანობას და აქრობს უსიამოვნო სუნს. თუ პედიკიურს ძილის წინ გაიკეთებთ, წყალში ჩაამატეთ ლავანდის ზეთი, რაც კანს დაამშვიდებს.

ტერფებიდან კოჟრებისა და მკვდარი კანის მოსაშორებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ სპეციალური ჯაგრისი, რომელსაც მეორე მხარეს პემზის ქვა აქვს მიმაგრებული. თუ მგრძნობიარე კანი გაქვთ, უმჯობესია, გამოიყენოთ ბუნებრივი პემზა – ის ფაქიზად და უმტკივნეულოდ მოაშორებს ტერფებს გარქოვანებულ კანს. ამ პროცედურის შემდეგ გადაივლეთ სოდიანი წყალი და შემშრალებისთანავე შეიზილეთ გლიცერინი, რომელშიც წინასწარ რამდენიმე წვეთი ლიმონი უნდა გაახავოთ. პემზის ყოველდღიური გამოყენება საჭირო არ არის. კარგია, თუ საღამოობით ზღვის მარილის აბაზანას გაიკეთებთ და ყოველი აბაზანის შემდეგ შეიზელთ გლიცერინს ან სპეციალურ კრემს ქუსლებისთვის.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# რა სქემით გამოააშკარავა ქართველმა კაპიტანმა „მაქციების“ სისხლიანი ბანდა ლენინგრადში

ინკასაციის მანქანამ ენგელსის ქუჩა გადაკვეთა, შემდეგ პატარა სკვერი ჩამოიტოვა უკან და მწვანე ბულვარისკენ აიღო გეზი. მოსახვევამდე ოციოდე მეტრი იყო დარჩენილი, რომ უეცრად გაზონებთან მდგომი „რაფის“ (მიკროავტობუსი) საბარგული გაიღო, იქიდან კი ნაღმმტყორცნმა გაისროლა და ინკასაციის ჯავშნიანი მანქანა მარცხენა გვერდზე ამოატრიალა.

– სწრაფად, ძმებო, სულ რაღაც ორმოცდახუთი წამი გვაქვს, – იღრიალა მხარბეჭიანმა მამაკაცმა და პირველი გაიქრა ამობრუნებული მანქანისკენ. მას კიდევ სამი მამაკაცი დაედევნა, ხოლო მეოთხე „რაფთან“ დარჩა და ავტომატი მოიმარჯვა.

დაწინაურებულმა მძარცველებმა ჯერ გადაბრუნებული მანქანის კარი ააფეთქეს „ლიმონკით“ (ხელყუმბარა) შემდეგ შიგ შეძვრნენ და იქიდან რვა ცალი ფულით სავსე ტომარა გამოათრიეს.

**შემთხვევის ადგილზე მისულ მილიციას ინკასაციის მანქანის დამწვარი ნაწილები და 4 დანაწევრებული ცხედარი დახვდა**

ერთ-ერთმა მძარცველმა დაზღვევაზე მდგომ მეგობარს ხელით ანიშნა რაღაც და ხუთიოდე წამში „რაფი“ უკუსვლით მივიდა აფეთქებულ და გაძარცვულ მანქანასთან. მძარცველებმა ფულით სავსე ტომრები „რაფში“ შეყარეს. შემდეგ თავადაც ჩასხდნენ და სწრაფად მოშორდნენ დანაშაულის ადგილს. სამიოდე წუთის შემდეგ ჯავშნიანი მანქანის ბენზინის ავზი აფეთქდა და მანქანა რამდენიმე ნაწილად დაიშალა. როდესაც შემთხვევის ადგილზე მილიცია მივიდა, მანქანის ნაწილებთან ერთად მათ ოთხი ინკასატორის დაფლეთილი სხეულებიც დახვდათ. ეს თავდასხმა ლენინგრადში, 1971 წლის 14 მაისს მოხდა და მძარცველებმა 6 მილიონ 400 ათასი მანეთი გაიტაცეს.



### „მაქციები“

ამ უმსხვილესი ძარცვის საქმეს, ცნობილი ლენინგრადელი გამომძიებელი სერგეი გელაშვილი იძიებდა. კაპიტანი გელაშვილი ნახევრად ქართველი იყო, დედა რუსი ჰყავდა, მაგრამ ბრწყინვალედ ფლობდა ქართულ ენას.

მწვანე ბულვარზე განხორციელებული ძარცვიდან ორი კვირის შემდეგ, იგივე განმეორდა გმირების ქუჩაზეც, ხოლო კიდევ ორი კვირის შემდეგ ჩკალოვის ქუჩაზე მოძრავ მანქანას დაესხნენ თავს. ბოლო ორი დანაშაულის შემდეგ კიდევ ცხრა ინკასატორი დაიღუპა, სახელმწიფომ კი 11 მილიონი მანეთით იზარალა.

– ბოლო ორი თვის განმავლობაში 3 თავხედური ძარცვა, 13 გვამი და 17 მილიონ 400 ათასი მანეთის ზარალი ბევრზე ბევრია, – უსაყვედურა გელაშვილს პოლკოვნიკმა ვორონინმა, რომელიც იმ პერიოდში ქალაქის სამძებროს ხელმძღვანელობდა. გელაშვილს თავის მართლება არ უცდია და უხმოდ გამოვიდა უფროსის კაბინეტიდან.

– ტოლიკ, ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში, მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით მომხდარი მსგავსი ძარცვების ფაქტები მომიძებნე და ხვალ დილით მაგიდაზე დამახვედრე! – უბრძანა გელაშვილმა ტოლიკ სომოვს, რომელიც კაპიტნის ასისტენტად მუშაობდა.

სომოვმა ბრწყინვალედ შეასრულა ბრძანება. მეორე დილით მან კაპიტნის მაგიდაზე ორმოცდაერთი მსგავსი საქმეებით სავსე საქაღალდე დაახვედრა. კაპიტანმა მათ გაცნობას 24 საათი მოანდომა, შემდეგ კვლავ სომოვი გამოიძახა და უთხრა:

– ობრაზცოვთან მიხვალ და გრომოვის, ვასილიევისა და გასანოვის სპეცდოსიეებს გამოართმევ.

ობრაზცოვი, ლენინგრადის ცნობილი ციხის, „კრესტების“ სპეცნაწილის უფროსი იყო და ყველა საქმე მასთან ინახებოდა. გრომოვი, ვასილიევი და გასანოვი ცნობილი ბანდიტები იყვნენ, „კრესტებში“ ისხდნენ და სპეციალური კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ. გელაშვილს ერთი გეგმა უტრიალებდა თავში და ცნობილი ბანდიტების დოსიეების შესწავლა ამიტომ სჭირდებოდა.

– გრომოვი და გასანოვი პირწავარდნილი არამზადები არიან, მაგრამ ვასილიევთან მუშაობა შეიძლება, ამხანაგო პოლკოვნიკო, – მოახსენა გელაშვილმა იური ვორონინს.

– საიდან მოიტანე? – გაეცინა პოლკოვნიკს, – ვასილიევი გასანოვს და გრომოვს ათი ერთად შეჭამს. შენ კი ამბობ, მასთან მუშაობა შეიძლებაო.

– მე მაინც ასე ვფიქრობ.

– ერთი არგუმენტი მაინც მითხარი, რომ მართალი ხარ და ნებას დაგრთავ.

– იური მიხაილოვიჩ, აი, ამ სპეცდოსიეში წერია, რომ რეციდივისტი ვასილიევის შეპყრობა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ მოხერხდა, რომ, როდესაც ის შემნახველი სალაროდან კბილებამდე შეიარაღებული 800 ათასი მანეთით ხელში გამორბოდა, თურმე პატარა გოგონას დაეჯახა და წააქცია. ვასილიევი გაჩერდა, შემდეგ გოგონასკენ დაიხარა და მისი მოსულიერება სცადა. წარმოგიდგენიათ? მოსულიერება! სწორედ იმ დროს წამოადგნენ თავს მათ ჩვენი ოპერები და შეიპყრეს. ღვთის მადლით, გოგონას ძალიან მსუბუქად დაუზიანდა მარცხენა ხელი.

– ამით რისი თქმა გინდა?

– იმის, ამხანაგო პოლკოვნიკო, რომ მასთან მუშაობის ნება დამრთეთ და გადმოვიბირებ.

– შენ ამბობ, რომ რეციდივისტ ვასილიევს მილიციისთვის ამუშავებ? ეს არსად გაიმეორო, თორემ მასხრად აგიგდებენ, ვასილიევი კი საკუთარი ხელით დაგახრჩობს, ასეთი რამ რომ შესთავაზო.

ამასობაში, პოლკოვნიკის თანაშემწე შემოვიდა და პოლკოვნიკს აცნობა, რომ მძარცველებმა მოსკოვის შოსეზე ინკასაციის მანქანა გაძარცვეს და 5 მილიონი მანეთი გაიტაცეს.

– მაქციები... – თქვა პოლკოვნიკმა იური ვორონინმა, თავი გააქნია და გელაშვილს მიუბრუნდა, – მიდი, კაპიტანო, იმოქმედე, ვნახოთ ერთი, როგორ მოახერხებ ვასილიევის გადმობირებას.

– გმადლობთ, იური მიხაილოვიჩ, – უთხრა გელაშვილმა და კაბინეტიდან გავიდა.

### გაქცევა

კაპიტანსა და პოლკოვნიკს შორის შემდგარი საუბრიდან ერთი თვის შემდეგ „კრესტებიდან“ სამი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი – პავლე გრომოვი, საფიკ გასანოვი და სტეპან ვასილიევი გაიქცა. მათ ციხის საკანალიზაციო მილში მოახერხეს ჩაძრომა და იქიდან გავიდნენ სამშვიდობოზე.

– რა ვქნათ, სტიოპა, საით წავიდეთ? – ჰკითხეს მეგობრებმა ვასილიევს.

– აქ მე ერთი ადგილი მეგულება და იქ, – უპასუხა მათ ვასილიევმა და კუნძულზე მდებარე ერთ-ერთ სახლში მიიყვანა.

მეგობრები მხოლოდ სამ დღეს გაჩერდნენ ბინაში და შემდეგ „ჩორნაია მალინაზე“ გადავიდნენ, სადაც ლენინგრადის ბოროტმოქმედთა ბომონდი იკრიბებოდა.

ცნობილი მძარცველების გაქცევის ამბავი უმალვე მოედო მთელ ქალაქს.

ერთხელ ვორონინმა გელაშვილი დაიბარა და ჰკითხა:

– რას შვრები, მოქმედებს თუ არა შენ მიერ შემუშავებული გეგმა და რა შედეგები მოაქვს?

– შედეგები ჯერჯერობით არ მოაქვს, მაგრამ მოქმედებით მოქმედებს.

– აბა, შენ იცი, იცოდე, თუ ჩაფლავდი, სამსახურს დაემშვიდობები.

– დარდი ნუ გაქვთ, ამხანაგო პოლკოვნიკო, – გაეცინა გელაშვილს, – „ობობა“ მატყობინებს, რომ „მაქციები“ სულ მალე გაებმებიან მის ქსელში.

### ახალი „მაქციები“

„მაქციების“ მიერ ჩადენილი ძარცვიდან სამი თვის შემდეგ, ლენინგრადში მძარცველთა ახალი ბანდა გამოჩნდა. ისინი თითქმის იმავე მეთოდით მოქმედებდნენ, მაგრამ გაცილებით მეტ სისასტიკეს იჩენდნენ. მათ მიერ ხუთი ძარცვის დროს დახოცილთა რიცხვმა ოცდაათს გადააჭარბა. ლენინგრადში მათ შესახებ ლეგენდები დადიოდა და ხალხს ძველი „მაქციები“ მყისვე გადაავიწყდა.

– ნეტავ, ვინ გვიწევს კონკურენციას? – თავი გააქნია მხარბექიანმა ახალგაზრდამ, რომელიც სავარძელში იჯდა.

– ალბათ, ვასილიევის ბანდა, – უპასუხა მას ქერათმიანმა ქალიშვილმა, – ისინი სამი თვის წინ გაიქცნენ და გადაგვიჯოკრეს.

– სასწრაფოდ მინდა, მომიძებნო ვასილიევი და აქ მომიყვანო მოსალაპარაკებლად.

– თუ გვიკადრა, კი, – ირონიულად ჩაეცინა ქალიშვილს.

– არ გვიკადრებს და თავს წავაცლი! – კბილებში გამოსცრა მხარბექიანმა.

## 15 მილიონი მანეთის გატაცებისა და 13 ადამიანის მკვლელობისთვის ბენდელიანი და მისი ბანდის წევრები „კრესტებში“ დახვრიტეს

– მერე, ქურდებს რა პასუხს აძლევ?

– ქურდებს არ ვიცნობ. მე თვითონ ვარ ქურდიც, ყაჩაღიც და მოსამართლეც. ახლა კი საქმეს მიხედე. წადი და ვასილიევი მომიძებნე.

### გრანდიოზული აფერა

როგორც მხარბექიანი ვარაუდობდა, ვასილიევი და მისი ძმაკაცები „ჩორნაია მალინაზე“ იყვნენ „ფსკერზე დაწოლილები“. ისინი ქერათმიანმა რიტა მარკოვამ მოძებნა და მხარბექიანთან მიიყვანა, თან უთხრა:

– ჩაიბარე, გმირი მოგიყვანე.

– იარაღი არ დამანახვო. ჯობია, მოვილაპარაკოთ, უთხრა ვასილიევს მხარბექიანმა.

– ვინ ხარ და რაზე გინდა ჩემთან ლაპარაკი?

– სანამ თქვენ გაიქცეოდით, ლენინგრადელი ინკასატორები ჩემი შიშით ცახცახებდნენ.

– მაშ, შენ ხოცავდი ინკასატორებს?

– შენ და შენი ბანდიტები ხომ, რას ამბობ, ქველმოქმედებას ეწევით, – ირონიულად მიუგო ვასილიევს ახალგაზრდამ.

– მაინც, რა გინდა?

– გავერთიანდეთ და ჩვენს ხელში იქნება არა მარტო ლენინგრადი, არამედ მთელი საბჭოთა კავშირი, – შესთავაზა მხარბექიანმა ვასილიევს, რაზეც ეს უკანასკნელი დაეთანხმა. მათ მოილაპარაკეს, რომ ორი კვირის შემდეგ ერთობლივ ოპერაციას ჩაატარებდნენ და იმ ინკასაციის მანქანას დაესხმებოდნენ თავს, რომელსაც კიროვის სახელობის ქარხნის მუშებისთვის 23 მილიონი მანეთი მიჰქონდა.

მართლაც, დანიშნულ დღეს, უზარმაზარი დაჯავშნილი მანქანა პულკოვოს შოსეზე გამოსრიალდა. მხარბექიანის კბილებამდე შეიარაღებული მეომრები მოსახვევთან იყვნენ ჩასაფრებულები და დაჯავშნილი მანქანის გამოჩენას მოუთმენლად ელოდნენ

– ერთი, ორი, სამი! – ნაღმმტყორცნებიდან სამი ნაღმი გამოვარდა და სამივე ერთდროულად მოხვდა მანქანას, რომელიც ჯერ გადაყირავდა, შემდეგ ასფალტზე გასრიალდა და უზარმაზარ თხრილში ჩავარდა.

– აბა, ცოცხლად, 90 წამი გვაქვს! – ბრძანა მხარბექიანმა.

მძარცველები დაჯავშნილ მანქანას მიუახლოვდნენ. ჩვეული გასროლებით მოანგრიეს საკეტი და საბარგული გამოაღეს. ამ დროს გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: „ომონის“ სპეცმებრძოლებმა მხარბექიანს და მის ბანდიტებს ისრიანი ტყვიები ესროლეს და იქვე გათიშულები დაყარეს. ნაძვებთან ჩასაფრებულმა ვასილიევმა კი თავისი მეგობრები, გასანოვი და გრომოვი გაანეიტრალა... რვა დაკავებული ბადრაგის მანქანაში ჩასვეს და ქალაქის მილიციის სამმართველოში წაიყვანეს.

გასანოვი და გრომოვი საკუთარ თვალებს არ უჯერებდნენ, მხარბექიანი კი ნერვიულად იქნევდა თავს და იმეორებდა: „როგორ ვერ მივხვდი, რომ მთელი ეს ხოცვა-ჟლეტა აფერა იყო...“

მილიციის სამმართველოში მიყვანილ მძარცველებს გელაშვილი შეეგება და მხარბექიანს უთხრა:

– აბა, რა გეგონა ბენდელიანო? არ იცოდი, რომ ადრე თუ გვიან ჩავარდებოდი?

– ეგ ნაბოზარი რომ არა, ფეხებსაც ვერ მომჭამდით! – მხარბექიანმა ვასილიევისკენ გაიშვირა ხელი.

– შეცდი. შენთან „ობობა“ გვყავდა ჩანერგილი.

– ვინ „ობობა“?

– რიტა – შენი ქერათმიანი ანგელოზი.

ბენდელიანმა რიტას მოხელთება სცადა, მაგრამ ოპერებმა ის სკამს მიაჯაჭვეს.

– ის მაინც გვითხარი, უფროსო, – თვალები გადმოკარკლა გასანოვმა, – სტიოპას დაკერვა როგორ შეძელით.

– სტიოპა მისმა 4 წლის ქალიშვილმა დაკერა. მან თვითონაც არ იცოდა, რომ შვილი ჰყავდა. მე მას ცოლ-შვილი მივუყვანე და თქვენი ჩაბარების სანაცვლოდ თავისუფლებას შევპირდი...

სოსო ბენდელიანი და მისი ბანდის წევრები, „კრესტებში“ დახვრიტეს. რიტა მარკოვა, მეტსახელად „ობობა“, მილიციის პოლკოვნიკი გახდა და ამჟამად პენსიაზეა. სტეპან ვასილიევს კი გარეგნობა შეუცვალეს და ცოლ-შვილთან ერთად ერთ-ერთ საბჭოთა რესპუბლიკაში დაასახლეს. გელაშვილი 2001 წელს გარდაიცვალა...

**ნიკა ლაშაური**

## რა მოხდა ამ დღეს

### 3 ივნისი

1846 – ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებმა მექსიკელებს წაართვეს ქალაქი იერბა-ბუენა, რომელსაც სან-ფრანცისკო უწოდეს.

1875 – ალექსანდრ ბელმა და თომას უოტსონმა გამოიგონეს ტელეფონი.

1944 – საბჭოთა კავშირში ბოლო დრომდე ყველამ იცოდა, რომ ფაშისტებმა ამ დღეს გადაწვეს და დედაბუდიანად ამოწყვიტეს სოფელი პირჩიუნიაი (ლიტვა). გაირკვა, რომ სინამდვილეში ეს საბჭოთა ნაწილებმა გააკეთეს.

1950 – ფრანგმა ალპინისტმა, მორის ჰერცოგმა პირველმა დალაშქრა ყველაზე სახიფათოდ ცნობილი რვაათასიანი ანაპურნა (ჰიმალაი).

1992 – მსოფლიო პუბლიკამ პირველად იხილა ბილ კლინტონი საქსოფონისტის ამპლუაში.

### 4 ივნისი

1784 – ლიონელი მარი ტიბლი გახდა პირველი ქალი, რომელიც საჰაერო ბურთით აფრინდა.

1800 – დასრულდა თეთრი სახლის მშენებლობა ვაშინგტონში.

1896 – ფორდის პირველი ავტომობილის გამოცდა გადაიდო ერთი საათით იმიტომ, რომ ავტომობილი უფრო განიერი აღმოჩნდა, ვიდრე საამქროს კარი, სადაც ის დაამზადეს.

1972 – ამერიკის შეერთებულ შტატებში დააპატიმრეს ცნობილი აქტივისტი ანჯელა დევისი. მას ბრალად ედებოდა თეთრი მამაკაცის მკვლელობაში თანამონაწილეობა.

1989 – პეკინში, ტიანანმენის მოედანზე, სასტიკად იქნა დარბეული სტუდენტთა დემონსტრაცია. დაიღუპა 500-მდე ადამიანი.

### 5 ივნისი

1661 – ისააკ ნიუტონი სტუდენტი გახდა.

1934 – მოსკოვში დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს გადარჩენილი ჩელუსკინელები.

1977 – გასაყიდად გამოიტანეს პირველი პერსონალური კომპიუტერი – APPLE-2.

1981 – სან-ფრანცისკოს ჯანმრთელობის დაცვის ცენტრმა ოფიციალურად განაცხადა ახალი უცნაური დაავადების აღმოჩენის შესახებ. მომავალში ამ დაავადებას „შიდსი“ უწოდეს.

### 6 ივნისი

1523 – შვედეთში გლეხთა აჯანყების ხელმძღვანელი გუსტავ ერიქსონი აირჩიეს შვედეთის მეფედ, გუსტავ პირველის სახელით, რომელმაც სათავე დაუდო ვაზას დინასტიას (150 წლის განმავლობაში).

### 7 ივნისი

1099 – პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეებმა ალყა შემოარტყეს იერუსალიმს.

1692 – გამანადგურებელმა მიწისძვრამ და ცუნამიმ მიწასთან გაასწორა ქალაქი-ნავსადგური პორტ-როიალი – მეკობრეთა ბუდე კარიბის ზღვაში.

1905 – ნორვეგიის გამოყოფა შვედეთისგან.

1929 – შეიქმნა ვატიკანის სახელმწიფო.

### 8 ივნისი

1824 – კვებეკელმა ნოა კაშინგმა დააპატენტა სარეცხი მანქანა.

1869 – აივზ მაკგაფინმა (ჩიკაგო) დააპატენტა მტვერსასრუტი.

### 9 ივნისი

68 – თავი მოიკლა რომის იმპერატორმა ნერონმა.

1815 – მუშაობა დაამთავრა ვენის კონგრესმა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ევროპის ყველა სახელმწიფო, თურქეთის გარდა. რუსეთს მიეკუთვნა პოლონეთი, შეიქმნა ნიდერლანდების სამეფო და შვეიცარიის კონფედერაცია.

1920 – დაიწყო სომხეთ-თურქეთის ომი, რომლის შედეგადაც სომხეთი თურქეთის სატელიტი ქვეყანა გახდა.

1931 – მოსკოვსა და ლენინგრადს შორის მოძრაობა დაიწყო მატარებელმა, სახელწოდებით – „წითელი ისარი“.

1959 – წყალში ჩაუშვეს პირველი წყალქვეშა ნავი „ჯორჯ ვაშინგტონი“, ბორტზე ბალისტიკური რაკეტებით.

# რას „უხურებს" ქართველ სტიუარდესებს ონისე ონიანი კვირაში ორჯერ და რატომ არ უნდა მას მარჯანიშვილის თეატრის წინ ვარსკვლავის გახსნა

*მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები, ახლახან დაბრუნდნენ დიდი ბრიტანეთიდან. მათ „გლობუსის" თეატრში შექსპირი ითამაშეს და ისე მოხიბლეს მაყურებელი, თავადაც გაოცებულები დარჩნენ. როგორც მსახიობი ონისე ონიანი ამბობს, შექსპირის ქვეყანაში ფურორი მოახდინეს და მაყურებელი, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენაზე მეტყველებდნენ, სცენიდან მოაჯადოვეს. ახლა, დასი კვლავ გასტროლისთვის ემზადება და გერმანელი მაყურებლის წინაშე, სულ მალე წარდგება. რაც შეეხება ონისე ონიანს, მას, გარდა თეატრისა, კვირაში ორჯერ აეროპორტშიც უწევს მისვლა. თუ რას აკეთებს ის იქ და რატომ ემორჩილებიან უსიტყვოდ სტიუარდესა გოგონები, ამაზე თავად მოგიყვებათ.*


„ჩამშვები" არ ვარ, თორემ, ხომ იყო ღირსი ზურა ბერიკაშვილი „ჩამეშვა"

**– ონისე, ამ ბოლო დროს, ხშირად გხედავენ აეროპორტში. დავიჯერო, კვირაში რამდენჯერმე გიწევს ფრენა?**

– არა, რას ამბობთ, კვირაში რამდენჯერმე რომ მომიწიოს ჰაერში ყოფნა, ხომ გადავირიე კაცი. უბრალოდ, ახალი სამსახური გამომიჩნდა აეროპორტში და კვირაში ორჯერ მიწევს იქ მისვლა. მომსახურე პერსონალს მეტყველების გაკვეთილებს ვუტარებ. ეს ტრენინგები მათთვის აუცილებელია, რათა გარკვევით და თანაც სწრაფად მოახერხონ ინფორმაციის გამოცხადება მგზავრებისთვის. ვიდრე, ახალ სამსახურს გავამხელდი, ყველა მეკითხებოდა, აეროპორტში გხედავთ საქმიანი ნაბიჯებით რომ დადიხარ და რა გინდა იქ, კვირაში ორჯეროო. სერიოზული გამომეტყველებით ვპასუხობდი, ბორტგამცილებლად დავიწყე მუშაობა-მეთქი *(იცინის).* მათი სახეები უნდა გენახათ. ჩემდა გასაკვირად, ზოგმა მართლა დაიჯერა.

**– ესე იგი, ქართველ სტიუარდესებს სწორად მეტყველებას ასწავლი?**

– არა მარტო მათ, და ძალიან კარგი მოსწავლეები არიან, მონდომებულები. ხშირად მეკითხებიან, რა საჭიროა სამეტყველო აპარატის გახურებაო. მე კიდევ ვუხსნი და ამაზე ეცინებათ. ერთი ვარჯიში გვაქვს, რომელიც პირის აპარატს ავითარებს და ვაშლის ღეჭვით ხდება. ესეც, ძალიან სახალისოა მათთვის. მათ უწევთ რუსულ, ქართულ და ინგლისურ ენებზე საუბარი. სხვადასხვა ენაზე მეტყველება კი პირის აპარატის მანერას ურევს და ამიტომაც არის ეს გაკვეთილები მათთვის აუცილებელი.

**– გასტროლებზე ხშირად გიწევს ყოფნა და შესაბამისად, თვითმფრინავით მგზავრობა. ფრენის შიშის დასაძლევად ზოგი აბებს სვამს, ზოგიც ალკოჰოლის გარკვეულ დოზას იღებს. შენთან როგორ არის ამ მხრივ საქმე?**

– დიახ, ფრენის შიშის დასაძლევად, ზოგი აბებს სვამს, ზოგი – ალკოჰოლს. ძირითადად, ვისკის „ჩარტყმა" მოსულა თვითმფრინავში *(იცინის).* სალონში, სტიუარდესას საკვებთან ერთად, შეგიძლია, მოსთხოვო სასმლის გარკვეული დოზა, მაგრამ ეს ეყოფა ქართველ კაცს? ჰოდა, ხშირად, იმ რაოდენობის ვისკი ისმება ხოლმე, ვინ დათვლის *(იცინის).* ერთხელ, გასტროლებზე მივდიოდით. ზურა ბერიკაშვილმა წამოიღო სასმელი და სანამ თვითმფრინავი აფრინდა, ყველა „წაქცეული" მთვრალები იყვნენ. მე ბევრი არ დამილევია, მაგრამ ბედი არ გინდა? მეცა, ბორტგამცილებელი გოგონა და გაბრაზებული ტონით მითხრა: გინდა თუ არა, შენ ამოიტანე ვისკიო. ჩამშვები არ ვარ, თორემ, ხომ იყო ღირსი ზურა „ჩამეშვა" *(იცინის).*

**– ონისე, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები დიდ ბრიტანეთში, „გლობუსის" თეატრში იყავით მიწვეულები. როგორც თეატრის კრიტიკოსები ამბობენ, ნამდვილი „გადატრიალება" მოახდინეთ შექსპირის ქვეყანაში.**

– დიახ, ძალიან წარმატებული გასტროლები გვქონდა დიდ ბრიტანეთში. დარბაზში ათას ხუთასი კაცი ეტევა და ყველა ბილეთი გაყიდული იყო. ყველაზე მაგარი მაყურებელი აღმოჩნდა ინგლისელი ხალხი და უნდა გენახათ, ორსაათნახევარი, როგორ გვადევნებდნენ თვალ-ყურს სცენაზე. ზოგი ფეხზე იდგა. შექსპირი მათ ზეპირად იციან, ბავშვობიდან ასწავლიან და სკოლაშიც გადიან ამ მასალას. ყველა ნაწარმოები და გმირის ისტორია ზეპირად იციან. ჩვენ ქართულ ენაზე ვთამაშობდით, მართალია, სინქრონში მიდიოდა ტიტრები, მაგრამ მათ ზუსტად ესმოდათ, რასაც ვამბობდით, ტიტრებს არც კითხულობდნენ. მაყურებლისგან ისეთი მუხტი მოდიოდა, სცენაზეც იგრძნობოდა.

**– დიდ ბრიტანეთში ვარსკვლავად აღიარებული, ქართველი მომღერალი, ქეთი მელუაც ესწრებოდა თქვენს სპექტაკლს. ის თუ გაიცანით?**

– მესამე სპექტაკლზე მოვიდა. საოცრად თბილი და საყვარელი გოგოა. სპექტაკლი რომ დასრულდა, გვითხრეს, ქეთი მელუა ესწრებოდა სპექტაკლს მშობლებთან და მეუღლესთან ერთად და თქვენთან სურს შეხვედრაო. ძალიან გაგვიხარდა. ისე უყვართ ქეთი იქ, ისე აფასებენ და ისეთ პატივს სცემენ, ვერ გეტყვით. ბოლოს და ბოლოს, დედოფლის ფავორიტი მომღერალია. მოკლედ, გავიცანით ახლოს, სურათები გადავიღეთ, გაგვაცნო დედა, მამა და მეუღლე. სხვათა შორის, ქეთის შემდეგ, სპექტაკლს დაესწრო ცნობილი ოსკაროსანი მსახიობი ალან რიკმანი. მეორე იარუსზე იჯდა. მსახიობებმა მაყურებლებს შორის ასეთი მსახიობი და ვარსკვლავი რომ შევამჩნიეთ, ერთმანეთს ვეჩურჩულებოდით: ნახე, ნახე, ვინ არის მოსულიო. მერე ვხუმრობდი, თბილისში რომ ჩავალ, ვიტყვი, ოსკაროსანმა ალან რიკმანმა ფოტოს გადაღება მთხოვა, მაგრამ ისე ვიყავი დაღლილი, უარი ვუთხარი-მეთქი *(იცინის).* ძალიან საინტერესო გასტროლი გვქონდა. ექვსი სპექტაკლი მივეცით ათ დღეში. ხმამაღლა ვიტყვი, დიდ ბრიტანეთში ფურორი მოვახდინეთ. „გლობუსის" სამხატვრო ხელმძღვანელმა, დომინიკ დრომგულიმ, კარიდან რომ გამოვდიოდით, მოგვაძახა: „ფოქიუ". გაოცებულები მივუტრიალდით, ეს რა გვაკადრა ქართველებს ამ პატიოსანმა კაცმაო. გაეცინა და დააყოლა: თქვენ მე ჩემი შექსპირი წამართვით, უკეთ იცით ქართველებმა შექსპირის თამაშიო. ეს მისი გულწრფელი ნათქვამი და ჩვენთვის სასიამოვნო ფრაზა იყო. ერთი სიტყვით, დიდი ემოციით დავბრუნდით. მაგრამ, აქ სამწუხარო ამბავი დაგვხვდა, ბატონი ოთარ მეღვინეთუხუცესი უკვე დასაფლავებული იყო. იცით, რა გამახსენდა? ქალბატონი მედეა კუჭუხიძე დგამდა ჩინურ პიესას. მე ვთამაშობდი ბერის როლს. ვერაფრით გავითავისე, გამიჭირდა „გახსნა", ბერის როლში შესვლა. თურმე, ბატონი ოთარი მადევნებდა თვალყურს. მითხრა, რომ მორჩები რეპეტიციას, ჩემთან შემოიარეო. მივედი. მითხრა, ვხვდები, ბერის როლში ვერ შედიხარ და მე დაგეხმარებიო. გაოცებული ვუყურებდი, როგორ ითავისებდა ჩემს როლს, როგორ შევიდა ბერის როლში, როგორი ემოცია მოდიოდა მისგან. ეს, უნდა გენახათ და განგეცადათ. ასე რომ, მან ბერის გზაზე დამაყენა, კარგი ბიძგი მომცა და ამ როლის თამაში გამიადვილა. ის ჩემთვის მნიშვნელოვანი ფიგურა იყო და გული მწყდება, ჩვენ გვერდით რომ აღარ არის. ქალბატონ სოფიკო ჭიაურელთანაც მომიწია თამაში, მისი პარტნიორი ვიყავი და ბედნიერი ვარ, რომ მათ გვერდით ვიდექი. რამდენი ერთი ჩამოვთვალო. უბრალოდ, ბედნიერი ვარ, მათთან რომ მომიწია ურთიერთობა.

**– ონისე, მარჯანიშვილის თეატრის წინ, როგორ ფიქრობ, მათ მსგავსად, ვარსკვლავს შენც გაგიხსნიან?**

– არასოდეს! არ მინდა! ძალიან ბევრი უნდა გააკეთო იმისთვის, რომ შენი ვარსკვლავი სიცოცხლეშივე დაიმსახურო. მე თავმდაბალი არ ვარ, უბრალოდ, არ მინდა, სიცოცხლეში ვარსკვლავი გამიხსნან და მე მასზე გავიარო.

**ნონა დათეშიძე**

# როგორ აპირებს დათო ევგენიძე თემურ ლენგისთვის სამაგიეროს გადახდას საქართველოს რვაჯერ აოხრების გამო

(22-ე გვერდიდან)

პატივისცემა გამოხატა ამ ჟესტით. ასევე, ვაპირებთ, საქართველოში გავხსნათ „არტ ფიქჩერის" სტუდიის ფილიალი. დაბადების დღესთან დაკავშირებით, მოსკოვში, ამ ხუთდღიანი ვიზიტის განმავლობაში, მივიღე ხუთი ძალიან სერიოზული შეკვეთა. სანამ მათზე მკითხავთ, უნდა გავიხსენო ჩემი ურთიერთობა რეზო გიგინეიშვილთან.

**– რომელიც გარდა იმისა, რომ ქართველია, თქვენი მეგობარი სტიოპა მიხალკოვის სიძეცაა.**

– კი, მაგრამ რეზიკო ამ შემთხვევაში, კიდევ უფრო ახლობელია ჩემთვის, ვიდრე ფედია და სტიოპა, იმიტომ რომ, ჩემი გაზრდილია. ჩემი ლიკა, ლუკა და რეზიკო, ერთად მღეროდნენ. კლიპიც არის გადაღებული, როდესაც მღერიან „ბუხტარ, ბუხტარ, ბუხტარ მე"... რეზიკოს დედამ გააკეთა საახალწლო გადაცემა და იქ მღეროდნენ სწორედ. მასში რეზიკო 5 წლისაა, ლიკა 4-ის და ლუკა 3-ის. რეზიკო შვილივით მიყვარს და მისი ყველა ფილმის კომპოზიტორი ვარ.

**– რადგან ხუთივე ზემოხსენებულ პროექტს ვერ ჩამოვთვლით, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანსა და მასშტაბურზე ვისაუბროთ.**

– ძალიან რთულია, როდესაც ასეთ შემოთავაზებაზე თანხმდები, რადგან რვაჯერ ილაშქრა თემურ ლენგმა საქართველოზე. მიხვდით, ალბათ, ამ ისტორიულ პიროვნებაზე ფილმს იღებენ. მე ამ ფილმის კინომუსიკაში შევეცდები, ლენგს სამაგიერო გადავუხადო. ფილმს ჰოლივუდი იღებს, „იუნივერსალ ფიქჩერსი". მოხუც ლენგს თამაშობს ჯეკ ნიკოლსონი. სცენარისტია პიროვნება, რომელმაც „გლადიატორის" სცენარი დაწერა.

**– წელს საიუბილეო წელი გაქვთ.**

– ერთ-ერთი პროექტი ამ ხუთიდან, სწორედ ამ თარიღს უკავშირდება.

**ეკა სალაღაია**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ფოლკსვაგენ პასატი", 2001 წლის, მართვის ავტომატური კოლოფით. მუშაობს მაღალ ბრუნზე. დაახლოებით 1000-1100 ბრუნზე გადახურების მდგომარეობაშია. შესაბამისად, სიჩქარეში რომ ვაგდებ, ძიგძიგს იწყებს. რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს?**

**პასუხი**: ავტომობილის მაღალი ბრუნების დაკლება არც ისე რთულია ხელოსნისთვის. ამ მდგომარეობაში მუშაობა კი კოლოფისთვის ძალიან ცუდია, ამიტომ, დროულად მიაკითხეთ ხელოსანს. მაღალი ბრუნები რამდენიმე მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული, იმის მიხედვით, თუ რა სისტემითაა ავტომობილი აღჭურვილი, მაგრამ, ძირითადად მაინც ორ მიზეზს გამოვყოფ, რაც ბევრ მოდელზე ერთნაირად იჩენს თავს. ესენია: შემშვებ კოლექტორში საიდანღაც ჰაერი იპარება, ანუ, მისი ან მასთან მიმაგრებული დეტალების ჰერმეტულობა დარღვეულია; მეორე – „დროსელი" შეიძლება იყოს ნორმაზე მეტად ღია, რაც იმას ნიშნავს ავტომობილისთვის, რომ გაზზე ოდნავ ფეხი გვაქვს მიჭერილი, თუმცა, ამის დარეგულირებაც მარტივადაა შესაძლებელი.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ფოლკსვაგენ ჯეტა", 1998 წლის. ამ ბოლო დროს ერთი პრობლემა შეექმნა: თუ ავტომობილს გახურების შემდეგ გავაჩერებ, ის აღარ იქოქება, ანუ, მხოლოდ ცივზე იქოქება. ამ სიცხეში თუ სადმე ხუთი წუთით გაჩერება მინდა, მერე მთელი საათი ველოდები ძრავას გაგრილებას. იქნებ ამიხსნათ, რის გამო ხდება ეს და როგორ გამოვასწორო სიტუაცია?**

**პასუხი**: ამის ძალიან ბევრი გამომწვევი მიზეზი არსებობს, მაგრამ, ყველაზე მეტად, შეიძლება, ეს რელეს ბრალი იყოს. გირჩევთ, რელეები გადაამოწმოთ, რომლებიც სადმე ერთ ბუდეში იქნება მოთავსებული მცველებთან ახლოს. ყველაზე კარგია გამორიცხვის მეთოდი. იპოვეთ მსგავსი ავტომობილი, გააცხელეთ თქვენი ავტომობილი და, როდესაც მიხვალთ იმ კონდიციამდე, რომ აღარ იქოქება, რელეები სათითაოდ გადმოიტანეთ სხვა ავტომობილიდან და სცადეთ დაქოქვა. ასე, იოლად მიაგნებთ იმ ერთს, რომელიც დაზიანებულია.

**კითხვა: მსურს, შევიძინო ავტომობილი „სუბარუ იმპრეზა ვეერიქსი", ახალი მოდელი. გთხოვთ, დამიხასიათოთ ეს მანქანა (ვგულისხმობ გადაცემათა მექანიკური კოლოფით აღჭურვილს). მაინტერესებს, ეკონომიურია თუ არა ის და რა არის მისი სუსტი მხარეები?**

**პასუხი**: ეს არის ძალიან კარგი, გამძლე და მძლავრი ავტომობილი, ტურბირებული ძრავით. რა თქმა უნდა, თუ მის დახასიათებაზეა საუბარი, აუცილებლად უნდა ვისაუბროთ მართვის მექანიკური კოლოფით აღჭურვილ „სუბარუ იმპრეზა ვეერიქსზე". ეს ავტომობილები აღჭურვილია 2.0-იანი ან 2.5-იანი ტურბირებული ძრავებით. მართალია, 2.5-იანი ძრავა გაცილებით მძლავრი და გამძლეა, მაგრამ, 2.0-იანი მასთან შედარებით წარმოუდგენლად პრაქტიკული და ეკონომიურია. „სუბარუ" ცნობილია საწვავის დიდი რაოდენობით მოხმარებით, მაგალითად, „იმპრეზა ვეერიქსი" 2.0-იანი ძრავით 100 კილომეტრზე დაახლოებით 15 ლიტრ ბენზინს წვავს და ეს ძალიან ცოტაა 2.5-იან ძრავასთან შედარებით. რაც შეეხება მართვის კოლოფს, „სუბარუს" ძალიან სუსტი და სწრაფფუჭებადი სიჩქარეთა კოლოფი აქვს, რომელიც საკმაოდ გაგაწვალებთ, მაგრამ, სამაგიეროდ, სხვა მოდელებთან შედარებით, მისი სავალი ნაწილი წარმოუდგენლად გამძლეა და თითქმის არ ფუჭდება.

**კითხვა: მყავს „ცე" კლასის „მერსედესი", რომელიც საკმაოდ ბევრ საწვავს მოიხმარს. მინდა, იმავე კლასის უფრო ეკონომიური ავტომობილის შეძენა, რომელიც ასეთივე კომფორტული და გამძლე იქნება. მირჩიეთ, რა მოდელი შევიძინო?**

**პასუხი**: პირველი, რასაც გირჩევთ, არის არა ავტომობილის შეცვლა, არამედ, მისი გადაყვანა გაზის სისტემაზე. როგორი ეკონომიური მანქანაც არ უნდა შეიძინოთ, თუნდაც ძალიან მცირელიტრაჟიანი, მაინც ვერ აჯობებს ეკონომიაში გაზზე გადაყვანილ თქვენს ავტომობილს. მით უმეტეს, კითხვიდან გამომდინარე, თქვენი ავტომობილი ძალიან მოგწონთ და ყველა პარამეტრში გაკმაყოფილებთ. თუ გაზზე გადასვლის კატეგორიული წინააღმდეგი ხართ (თუმცა ეს არანაირ საფრთხეს არ შეიცავს, მიუხედავად უამრავი ჭორისა, რაც მასზე შეიძლება გაიგოთ), მაშინ, გირჩევთ იაპონიის მიმართულებით წასვლას. შეიძინეთ „ტოიოტას" ან „ჰონდას" რომელიმე მოდელი, რომელიც კლასით ახლოსაა თქვენს ავტომობილთან. არჩევნის გაკეთებამდე გაითვალისწინეთ ისიც, რომ თანაბარი კუბატურის ძრავების შემთხვევაში, „ჰონდა" დაახლოებით 1,5 ლიტრით ნაკლებ საწვავს მოიხმარს „ტოიოტასთან" შედარებით.

**კითხვა: საიმედოა თუ არა დიაგნოსტიკური აპარატის, ეგრეთ წოდებული კომპიუტერის მიერ დასმული დიაგნოზი? ჩემს ავტომობილს რაღაც გაუმართაობა სჭირს, კომპიუტერმა აჩვენა კონკრეტული დაზიანება და შევცვალე, მაგრამ, მისი მდგომარეობა არ გამოსწორდა. რა უნდა ვქნა ამ დროს?**



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე**

**პასუხი**: ამა თუ იმ დაზიანების შემთხვევაში სწორი დიაგნოზის დასმა მაინც ჭირს. კომპიუტერს შეუძლია, ის პრობლემა „დაინახოს", რომელიც უშუალოდ ელექტროსისტემებთან არის დაკავშირებული და მარტივად გასარკვევია. თუ ჩვენმა ავტომობილმა აანთო ეგრეთ წოდებული „ჩეკი" – „ჩეკ ენჯინი", წითელი ნათურა, რომელზეც ძრავა ხატია ან პირდაპირ წერია ინგლისურად – „ჩეკ", მაშინ კომპიუტერი პრობლემას მარტივად აღმოაჩენს. თუ „ჩეკი" არ აანთო, სწორედ მაშინ რთულდება ავტომობილის დიაგნოზის დასმა, რადგან კომპიუტერისთვის ყველაფერი მწყობრშია. პრობლემას კომპიუტერი ვერ აგვარებს, თუ მექანიკური დეტალებია დაზიანებული, რადგან, მექანიკურ დეტალებს ის საერთოდ ვერ ხედავს. კომპიუტერულ დიაგნოსტიკაზე მიყვანას აზრიც არ აქვს, მაგალითად, იმ დროს, როდესაც ძრავას რაღაც ხმები აქვს, სავალი ნაწილი ახმაურდა და, მით უმეტეს, თუ არ ანთია „ჩეკი". შესაძლოა, ამ დროს ავტომობილმა საწვავის წვას მოუმატოს, მაგრამ, ვერც ამ დროს გამოიცნოს კომპიუტერმა პრობლემა. სენსორი, რომელიც კომპიუტერს ინფორმაციას აწვდის, მცდარ ინფორმაციას გადასცემს, თუმცა, მცდარია თუ არა ეს ინფორმაცია, ამას კომპიუტერი, რა თქმა უნდა, ვერ არჩევს. ამიტომ, გირჩევთ, რა ტიპის პრობლემაც არ უნდა გქონდეთ, კარგი ხელოსანი მოიძიოთ და მას მიმართოთ.

> **ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
>
> ** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
>
> ** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
>
> ** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
>
> ** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
>
> *გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**



...ქეთ-ელაური
ყინულის „კოშკი“ გამოქვაბულებში
ესპანეთის რეგიონი
მიცვალებულის ნება
ქვემოთ
ქალაქი ცენტრალურ იტალიაში
დროში შეუზღუდავი
პირველი წყვილი
თოვლის „ერთეული“
ჩვენი ანსამბლი
ეპოქა ანუ?
ქალაქი ესპანეთში
ოპერის სიმღერა
უდანაშაულობის საბუთი
მწერალი (......) ჩიანელი
ძველი ბრაზილიელი ფეხბურთელი
გაერთიანება
ველოარენა
საკლასო ოთახის ინვენტარი
დახრილი შრიფტი
ხელოვნური თმა
აბატი პრევოს „(......) ლესკო“
„ვეფხისტყაოსნის“ მეორეხარისხოვანი პერსონაჟი
ვენის ფეხბურთის გუნდი
წითელი დღე
თბილისის “დინამოს“ დიდი კაპიტანი
გადმონაშთი
ბატონი კობერიძე
ზოგჯერ პრალის წინ ამბობენ
თავის საქმის დიდოსტატი
ქიაჩელის ტარიელი
ხელსაქმე ანუ?
თუშეთის ტოპონიმი
(......)-მასკარადი
საბურთალოს ერთი ბაღის „ნათლია“
წლოვანება
არკადი მოფერებით
XVIII ს გერმანელი მწერალი
ნიმუში ანუ?
ასოთა თანამიმდევრობა
ბიბლიური პერსონაჟი
მუსიკალური გასაღები
ჩვენი სასაზღვრო მდინარე რუსეთთან
თურქეთის დედაქალაქი
მომღერალი რაფაელა
დასახლება სოხუმთან
რამდენიმე ყვავილი ერთად
სასახლე (ძველი სიტყვა)
თხელი ტალახი
ცეცხლის ენა
დახვეწილება
ქალაქი შვეიცარიაში
კვანძი ანუ?
ძილის ინვენტარი
ბაში-აჩუკის მეგობარი ქალი
ლომების ოჯახი
შემწვარი კარტოფილი
(.......) კეტაშვილი
„გამზრდელის“ (......)-ხანუმი
ჭადრაკის ფიგურა
ჩვენი კინოს ანარქისტი პერსონაჟი
(.......) ვეკუა
იტალიის ოლქი (.......)-რომანია
ქიაჩელის „გვადი ბიგვას“ პერსონაჟი ქალი
ნიადაგის რღვევა
სტატუსის შემდეგაა
(.......) მერკელი
(......) დე მოპასანი
(.......) კალანდაძე
(........) ხრუშჩოვი
ფართობის საზომი
ბრბო (ძველი სიტყვა)
გია დანელიას ფილმი
ქალაქი საფრანგეთში
ძველი კოლხეთის დედაქალაქი
ფანტომასის როლშია
სისხლისღვრა

Column clues (top to bottom):

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 | 34 | 35 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | 1 | | | | | | | | 1 | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | 1 | 1 | 1 | 10 | 1 | | 1 | 7 | | | 3 | 1 | | | | 4 | | | | | | | | |
| | | | | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 9 | 9 | 9 | 2 | 11 | 1 | 6 | 5 | 8 | 2 | 8 | 10 | 3 | 3 | 3 | 9 | 1 | 1 | | | | | | |
| 29 | 2 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 4 | 7 | 9 | 9 | 3 | 6 | 6 | 2 | 3 | 17 | 10 | 2 | 1 | 17 | 6 | 2 | 12 | 15 | 15 | 2 | 17 | 12 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 29 |

Row clues (left to right):

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 17 | 4 | 7 |
| | | | 2 | 2 | 3 | 2 |
| | | | | 1 | 7 | 1 |
| | | | | 1 | 3 | 1 |
| | | | | 1 | 2 | 1 |
| | | | | 1 | 3 | 1 |
| | | | | 1 | 2 | 1 |
| | | | | 1 | 2 | 1 |
| | | | | 1 | 2 | 1 |
| | | | | 1 | 2 | 1 |
| | | | | 1 | 2 | 1 |
| | | | | 1 | 2 | 1 |
| | | | | 1 | 2 | 1 |
| | | | 1 | 7 | 3 | 1 |
| | | | 1 | 11 | 3 | 1 |
| | | | | 1 | 18 | 1 |
| | | | | 1 | 19 | 1 |
| | | | | 1 | 18 | 1 |
| | | | | 1 | 19 | 1 |
| | | | 1 | 8 | 10 | 1 |
| | | | 1 | 9 | 8 | 1 |
| | | | 1 | 11 | 7 | 1 |
| | | 1 | 11 | 1 | 4 | 1 |
| | 1 | 4 | 4 | 1 | 4 | 1 |
| | 1 | 3 | 3 | 6 | 3 | 1 |
| 1 | 3 | 3 | 3 | 2 | 3 | 1 |
| 1 | 3 | 3 | 3 | 2 | 3 | 1 |
| 1 | 3 | 3 | 3 | 2 | 2 | 1 |
| | 1 | 3 | 8 | 3 | 3 | 1 |
| 1 | 2 | 3 | 3 | 3 | 3 | 1 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებში.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | 7 | | | | 6 | 4 | 5 |
| 5 | | 8 | 3 | 7 | | 9 | | 2 |
| | 2 | | 6 | | 9 | | 3 | |
| | 7 | | 8 | | 5 | | 9 | |
| 6 | | 9 | 7 | | 1 | 2 | | 3 |
| 8 | 1 | | | | 6 | 7 | 5 | |
| | | | | 9 | 7 | 4 | | 1 |
| 7 | 4 | | 2 | 1 | | 3 | 6 | |
| 2 | 9 | 1 | 4 | 6 | | | | |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | | 6 | | 7 | | 8 | |
| 9 | | 8 | 2 | | | | | |
| | 6 | | | | 8 | | | 9 |
| | | | 4 | | 9 | | 1 | |
| 7 | | 4 | 1 | | 3 | 9 | | 6 |
| 1 | | | | 6 | | | 3 | |
| | | 1 | 3 | | | | | |
| | 8 | | 9 | 4 | | 6 | | |
| 4 | | 5 | | | | 3 | | 1 |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. დაიწყეთ ბიჭის თავის ხატვა

2. ბიჭს მიახატეთ ქოჩორი, წარბები და ყურები





3. მიახატეთ თვალები, ცხვირ-პირი და ყელი





4. მიახატეთ სპორტული მაისური და შარვალი



5. ბიჭს მიახატეთ ხელები, სპორტული ფეხსაცმელი და შარვალზე – ჯიბეები



6. გააფერადეთ

თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ ათი განსხვავება





## რომელი გზით მივა ლეკვი ფინიშამდე



## რამდენი თევზი უნდა დაიჭიროს თითოეულმა ცხოველმა, რომ თევზები თანაბრად შეხვდეთ



# მეფუტკრე

## (იგავ-არაკი)

ერთხელ, როდესაც მეფუტკრე შინ არ იყო, ვიღაც საფუტკრეში შეიპარა და მთელი ფიჭა გოლეული გაზიდა. მეფუტკრე რომ შინ დაბრუნდა და ცარიელი სკები დახვდა, იქნებ ქურდის კვალს წავაწყდეო, საფუტკრის თვალიერება დაიწყო. ამასობაში ფუტკრებიც დაბრუნდნენ მინდვრიდან, სკები რომ დაცარიელებული ნახეს, იფიქრეს, ამ კაცმა დაგვლუპაო, დაესივნენ და დაკბინეს.

– ვინც თაფლით პირი ჩაიტკბარუნა, იმას არაფერი უქენით და მე მკბენთ, თქვენს მომვლელსო? – წამოიძახა გამწარებულმა კაცმა.

შეუგნებელი ადამიანი მტერსა და მოყვარეს როდი არჩევსო.

## რიცხვრებუსი

1,,, 0,,, 10,,



# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი **ზაქრო ბაჟიაშვილი**

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
>
> **ჯეიმს დუგლასი**

კითხვა: **როცა ძაღლი რწყილების საწინააღმდეგო პრეპარატით არის დამუშავებული, არ მოქმედებს ეს მასზე უარყოფითად? ანუ ჯანმრთელობაზე.**

**პასუხი**: აბსოლუტურად არ მოქმედებს. როდესაც ძაღლს დავამუშავებთ რწყილებისა და ტკიპების საწინააღმდეგო პრეპარატით, მეორე-მესამე დღეს შეგვიძლია თავისუფლად ვაბანაოთ. თუ დამუშავების შემდეგ ძაღლი 15 წუთში ვაბანავეთ, რა თქმა უნდა, ეფექტი დაიკარგება. სხვა შემთხვევაში პრეპარატი 30 დღის განმავლობაში თავის ფუნქციას ასრულებს. ასევე გაითვალისწინეთ, რომ ზაფხულში ტკიპებისა და რწყილების გარდა, ცხოველებში საკმაოდ გახშირებული პრობლემაა ჭიები, რომლის ძირითადი გადამტანი ბალახეულია. ძაღლებს ძალიან უყვართ ბალახის ჭამა, ბალახში თამაში და კოტრიალი. ამიტომ სასურველია ცხოველი 3 თვეში ერთხელ ჭიებზე დავამუშაოთ, ანუ ჩაუტარდეს დეჰელმინთიზაცია. სასურველია ეს სეზონურადაც და არასეზონურადაც. ეს საკმაოდ საშიშია, რადგან გადამდებია ადამიანის მიმართ, ხოლო ზაფხულის პერიოდში ეს პრობლემა ორმაგად გამძაფრებულია. ამიტომ ყველა ვარიანტში დროული დეჰელმინთიზაცია უნდა მოხდეს.

კითხვა: **თუ სახლში ორი ძაღლია, როგორ ავარიდოთ მათ ურთიერთობას უსიამოვნო ინციდენტები?**

**პასუხი**: იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ კონფლიქტები უნდა გავითვალისწინოთ მთელი რიგი წესები. მაგალითად თუ გვსურს, რომ სახლში მოვიყვანოთ ზრდასრული ძაღლი, მაშინ ჩვენი ძაღლი და ახალი ძაღლი ერთმანეთს უნდა გავაცნოთ ნეიტრალურ ტერიტორიაზე, ერთად უნდა გავასეირნოთ და უნდა ვეცადოთ, ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობა ჩამოუყალიბდეთ. არ უნდა დაუშვათ, რომ მათ შორის იერარქიული დამოკიდებულება ჩამოყალიბდეს. მას შემდეგ, რაც ერთმანეთს შევაჩვევთ, ერთდროულად წავიყვანოთ სახლში. თუ რომელიმე ცხოველს ჩამოუყალიბდება ამ დროს ტერიტორიული ინსტინქტი ამ დროს უმჯობესია, ისინი ერთად გადავიყვანოთ ისეთ ადგილას, რომელიც ორივესთვის უცხო იქნება. ამ დროს უფრო უკეთესად ყალიბდება კეთილი ურთიერთდამოკიდებულება.

კითხვა: **ჩემი ძაღლი საკმაოდ აგრესიულია სხვა ძაღლების მიმართ. ქუჩაში სეირნობისას ხშირად უყეფს და თავს ესხმის მათ. მაინტერესებს, რა უნდა გავაკეთო უპირველესად, თუ შემთხვევით ჩემი ძაღლი დაკბინეს?**

**პასუხი**: როგორც წესი, დაკბენის შემთხვევაში სასწრაფოდ უნდა მიიყვანოთ ცხოველი ვეტერინართან, რადგან ერთი დღე-ღამის შემდეგ უკვე ჩირქოვანი პროცესი ძალიან ღრმად მიდის და ცხოველის მდგომარეობა უარესდება. იწყება ჩირქოვან რეზორბციული ცხელება, რაც რთულდება სეფსისით და შეიძლება ცხოველის სიკვდილით დამთავრდეს ან მიიღოს ქრონიკული სახე. პატრონის მხრიდან სწორი საქციელია ის, რომ რაც შეიძლება სწრაფად მიიყვანოს დაკბენილი ცხოველი ვეტერინართან და სწრაფად აღმოუჩინოს დახმარება. ეს უზრუნველყოფს გართულებების მინიმალიზაციას და ცხოველის გამოჯანმრთელების პროცესის ხანგრძლივობის შემცირებას. მიიყვანთ რა თქვენს ცხოველს ვეტერინართან, ის შეაფასებს მის ზოგად მდგომარეობას, ტრავმის ხარისხს და ნაკბენების რაოდენობას. ჩაატარებს ნაკბენი ჭრილობების ქირურგიულ დამუშავებას, შეაჩერებს სისხლდენას და სიცოცხლისთვის საშიში ორგანოების დაზიანების შემთხვევაში, ქირურგიულ ოპერაციას დაუნიშნავს, ისევე როგორც პოსტოპერაციულ მკურნალობას. ყოველივე აღნიშნულის თავიდან ასარიდებლად, უნდა მოვარიდოთ ჩვენი ცხოველები აგრესიულ ურთიერთობას. ყოვლად დაუშვებელია ქუჩაში ძაღლების ჩხუბი. განსაკუთრებით უნდა მოვარიდოთ ჩვენი ოთხფეხა მეგობრები ქუჩის ძაღლებთან კონტაქტს და კონფლიქტს. უნდა გვახსოვდეს, რომ ერთ-ერთი ყველაზე საშიში ინფექციური დაავადება – ცოფი სწორედ ნაკბენით და ნაკაწრით გადადის. აუცილებლად უნდა ჩაუტაროთ ცხოველებს ყოველწლიური ვაქცინაცია ცოფის საწინააღმდეგოდ. ამით დავიცავთ როგორც მათ, ასევე, საკუთარ თავს და საზოგადოებას ამ მეტად საშიში ინფექციისგან.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

კითხვა: **არის თუ არა სოლია გამძლე მცენარე და როგორ პირობებში ხარობს ის უკეთ?**

**პასუხი:** სოლია გამძლე მცენარეა და 2-3 გრადუს ტემპერატურასაც იტანს. მოსწონს მზისგულზე ყოფნა. ზაფხულში საკმარისია ოთახის ნორმალური ტემპერატურა. ზაფხულობით მიწა ტენიანი უნდა იყოს, ხოლო ზამთარში, როცა ტემპერატურა დაბალია, მორწყვაც უნდა შევამციროთ. ორ კვირაში ერთხელ მიეცით ბალანსირებული თხევადი სასუქი. დიდი მცენარე კარგად უნდა გასხლათ და გაზაფხულზე გადარგოთ, რათა კომპაქტურობა და სიჯანსაღე შეინარჩუნოს. მისთვის უკეთესია, თუ საკიდ კალათაში მოათავსებთ და ზამთრის ბაღში ჩამოკიდებთ.

კითხვა: **როგორ სინათლესა და ტემპერატურაზე ვამყოფო სედუმი?**

**პასუხი:** ეს მცენარე საკმაოდ იოლი მოსავლელია. თუ გსურთ, რომ მან კომპაქტურობა შეინარჩუნოს, დადგით მზისგულზე. ზამთარში კარგი განათება სჭირდება. მოსწონს ოთახის ტემპერატურა მთელი წლის განმავლობაში. იტანს გრილ ზამთარს, ოღონდ, არანაკლებ 10 გრადუსისა.

კითხვა: **რა სიხშირით სჭირდება პტერისს მორწყვა?**

**პასუხი:** ცხელ ზაფხულში მცენარეს მაღალი ტენიანობა სჭირდება და ზრდის პერიოდშიც არ უნდა მოაკლოთ ტენი. დაბალ ტემპერატურაზე მორწყვა ოდნავ შეამცირეთ, ოღონდ, ნიადაგს ძალიან ნუ გამოაშრობთ. მიწა ორ კვირაში ერთხელ გაანოყიერეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით. სითბოში ქოთანი სველკენჭებიან ლანგარზე დადგით, რათა მცენარეს მაღალი ტენიანობა შეუნარჩუნოთ. დანამეთ რეგულარულად და ტენისთვის სააბაზანოში დადგით.

კითხვა: **როგორ მოვუარო ზრდის პერიოდში კალას?**

**პასუხი:** აქტიური ზრდის დროს კალას მიწა ტენიანი უნდა იყოს, ხოლო დაყვავილების შემდეგ – მშრალი. ზრდის პერიოდში, როცა მცენარე გაფოთლილია, კაშკაშა სინათლეში ამყოფეთ და ორ კვირაში ერთხელ მორწყეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით. დაყვავილების შემდეგ თანდათან გააშრეთ და დამჭკნარი ფოთლები მოაშორეთ, ხოლო მიძინებული ბოლქვი მშრალად შეინახეთ. გადარგეთ ზამთარში ან ადრიან გაზაფხულზე და ფოთლების ზრდასთან ერთად მორწყვასაც უმატეთ.

კითხვა: **სად შეიძლება ბროწეულის გახარება?**

**პასუხი:** თუ თქვენ საჭმელად ვარგის ბროწეულს გულისხმობთ, მაშინ, აუცილებლად ბაღში უნდა გაახაროთ, რადგან ოთახში გაზრდილი დეკორატიული ბროწეული პატარა ნაყოფს ისხამს და არ იჭმევა. შეგიძლიათ, დეკორატიული ბროწეული ზამთრის ბაღში გაახაროთ.

კითხვა: **როგორ მოვუაროთ ბუგენვილიას?**

**პასუხი:** ბუგენვილია არის ძალიან უპრეტენზიო მცენარე, რომლის სამშობლო ავსტრალიაა, რაც მიგვანიშნებს, რომ ტროპიკებიდანაა და მეტ-ნაკლებად სჭირდება მზე. არ უყვარს ნიადაგის გამოშრობა, ამიტომ, ყოველთვის ეცადეთ, ბუგენვილიას ჰქონდეს საკმარისი წყალი. მცენარე ზაფხულში გაიტანეთ გარეთ და დადგით ნახევრად ჩრდილში, ხოლო ზამთარში შეიტანეთ ბინაში ის ამყოფეთ 18-20 გრადუს ტემპერატურაზე. ის ყვავის ადრე გაზაფხულზე. თუ გსურთ, რომ ხშირად იყვავილოს, მცენარეს გააცალეთ ძველი ყვავილიანი ღეროები, რათა ახალმა დაიწყოს ამოსვლა. ბუგენვილია ზაფხულში მორწყეთ რეგულარულად, ხოლო ზამთარში – ათ დღეში ერთხელ. მინერალური საკვები მიაწოდეთ ყოველ ორ თვეში ერთხელ.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ახალგაზრდა მამაკაცი საცოლის სასტიკი ცემისთვის ციხეში ორ წელს გაატარებს



27 წლის ლევან კ. საცოლის სასტიკი ცემისთვის ციხეში 2 წელს გაატარებს. ამ შემთხვევამდე, ბრალდებული და მსხვერპლი ერთმანეთს თითქმის ერთი წლის განმავლობაში ხვდებოდნენ, დაქორწინებასაც აპირებდნენ, მაგრამ, კაცი განსხვავებული ორიენტაციის აღმოჩნდა, რის გამოც მათი რომანი ინციდენტით დასრულდა.

25 წლის სალომე ს. საავადმყოფოში აღმოჩნდა, ამის მიზეზი კი გახდა ის, რომ მან საქმროს შემთხვევით შეუსწრო „უხერხულ პოზაში", თანაც, არა უცხოსთან, არამედ, მისთვის კარგად ნაცნობ მამაკაცთან. როგორც საქმიდან ირკვევა, შეყვარებულებს შეხვედრებისთვის ბინა ჰქონდათ ნაქირავები. იქ ქალი გაუფრთხილებლად მივიდა და საქმრო იმ კაცთან ერთად ნახა, ვინც მაქსიმალურად უწყობდა ხელს მათ ურთიერთობას. სისხლიანი ინციდენტიც სწორედ მის იქ ყოფნას მოჰყვა.

მინის ნამსხვრევებით დაჭრილი სალომე ს. საავადმყოფოში ნაქირავები ბინის მეზობლების დახმარებით აღმოჩნდა – სასწრაფო სწორედ მეზობლებმა გამოიძახეს. მძიმე მდგომარეობაში მყოფ ქალს სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა. მას შუშით კისრის ძარღვი ჰქონდა გადაჭრილი, რის გამოც კინაღამ სისხლისგან დაიცალა. მომხდარის შესახებ ბინის პატრონი საქმის კურსში ასევე მეზობლებმა ჩააყენეს. ის შემთხვევის ადგილზე სასწრაფოდ მივიდა და სწორედ მისი ინფორმაციით მოხდა დამნაშავის არა მხოლოდ დაკავება, არამედ, ყველა იმ დეტალის გარკვევა, რაც გამოძიებას საქმის ოპერატიულად გახსნაში დაეხმარა. ბინის მეპატრონისგან გაირკვა, რომ მისი 120 კვადრატული მეტრი ბინა ორმა მამაკაცმა იქირავა, რომელთაგან ერთი უცხოელი იყო. მისი თქმით, მეორე პიროვნებაც უცხოელს ჰგავდა, მაგრამ, ქართული ძალიან კარგად იცოდა. მამაკაცებს უთქვამთ, რომ საქართველოში მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებდნენ და ბინა მინიმუმ ექვსი თვე ოფისად სჭირდებოდათ. დიასახლისის თქმით, სხვადასხვა სამკაულით მორთულ-მოკაზმული მამაკაცები მაინცდამაინც არ მოეწონა, მაგრამ, ეს, ზოგადად, უცხოელების უცნაურობად ჩათვალა და, ვინაიდან ექვსი თვის ქირა ერთიანად გადაუხადეს, მათთვის ზედმეტი შეკითხვები აღარ დაუსვამს, ბინა მიაქირავა და მეზობლებს სთხოვა, ახალი მდგმურებისთვის ყურადღება მიექციათ. თვეების განმავლობაში მეზობლებს საეჭვო არაფერი შეუნიშნავთ, რითაც დიასახლისი დარწმუნდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო. როგორც ამ ქალბატონმა განაცხადა, მან მხოლოდ მომხდარის შემდეგ შეიტყო, რომ მის ბინაში ორგიები ეწყობოდა...

### ტრაგიკული ბავშვობა

ლევან კ., რომელიც სოფელში დაიბადა, ოთხ დედმამიშვილში ნაბოლარა იყო. ბავშვი თვეების იყო, როდესაც მამამისმა ცოლ-შვილი მიატოვა და ისედაც გაჭირვებულ ოჯახს მატერიალურად კიდევ უფრო გაუჭირდა. პატარა ლევანის გაზრდაში დედამისს ყველაზე მეტად მეზობლად მცხოვრები დები ეხმარებოდნენ. მერე ბავშვმა სკოლა დაამთავრა, სადაც გრძელი თმისა და ქალური მანერების გამო ბიჭები დასცინოდნენ და ხშირად სცემდნენ კიდეც. მას იმდენად ჩაგრავდნენ, ბავშვი გულჩათხრობილი გახდა და მხოლოდ გოგონებთან მეგობრობდა და თურმე, მათთვის ყავაზეც მკითხაობდა...

სკოლის დასრულების შემდეგ, ლევანის ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა: მეზობელმა დებმა, რომლებსაც მის აღზრდაში უზარმაზარი როლი ჰქონდათ, ბიჭი ისე უყვარდათ, რომ მას ფული გამოუგზავნეს და ამერიკაში წაიყვანეს.

ექვსი წლის შემდეგ 25 წლის ლევან კ. უცხოეთიდან სულ სხვა ადამიანი დაბრუნდა. იქ შეგროვილი ფულით მან თბილისში ბინა იყიდა და, როგორც ინგლისურის კარგად მცოდნემ, ერთ-ერთ პრესტიჟულ ბარში დაიწყო მუშაობა, სადაც ძირითადად უცხოელები დადიოდნენ. ლევანმა სალომე ს. სწორედ ბარში გაიცნო, უფრო ზუსტად კი, ისინი ერთმანეთს უცხოელმა მაიკლ შ-მ დააახლოვა. საქმე ისაა, რომ სალომე მაიკლის თარჯიმანი იყო, რომელიც სტუმარს ყველა შეხვედრაზე დაჰყვებოდა. ერთ დღეს კი ბარში აღმოჩნდნენ, სადაც სალომემ ლევანი გაიცნო. ბარის თანამშრომელი იმდენად უაქცენტოდ ლაპარაკობდა ინგლისურად, სალომეს ლევანიც უცხოელი ეგონა...

როგორც სალომე ს. ჩვენებაში აცხადებს, მას ლევანი თავიდანვე მოეწონა და, არ მალავს, რომ ბარში მისი ყურადღების მისაქცევად ძალიან ხშირად დადიოდა, ანუ, აღიარა, რომ ინიციატივა მას ეკუთვნოდა. მართლაც, გოგონამ მიზანს მიაღწია – მათ შორის მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა და, გაუთვალისწინებელი მოვლენები რომ არა, დიდი ალბათობით, მათი ურთიერთობა ქორწინებითაც დასრულდებოდა.

თითქმის ერთი წლის განმავლობაში წყვილი მშვიდად ცხოვრობდა. მათ ურთიერთობას არც ყვავილები აკლდა და არც ლამაზი თავგადასავლები. ქორწინებას ხელს ერთადერთი გარემოება უშლიდა – სალომეს მშობლები უცხოეთში იმყოფებოდნენ და მათ დაბრუნებას ელოდნენ, რომ ურთიერთობა ოფიციალურად გაეფორმებინათ.

**დაქირავებულ ბინაში ქალი გაუფრთხილებლად მივიდა და საქმრო იმ კაცთან ერთად ნახა ინტიმურ პოზაში, ვინც მაქსიმალურად უწყობდა ხელს მათ ურთიერთობას**

საინტერესო დეტალი: სალომესა და ლევანის დაახლოებიდან ცოტა ხანში, სალომემ შეიტყო, რომ ლევანს ბინა ჰქონდა ნაქირავები. ეს მას ძალიან გაუკვირდა, რადგან, ოთხოთახიანი ბინა ისედაც ჰქონდა, რომელშიც მისი ოჯახი ცხოვრობდა. გოგონამ ივარაუდა, რომ ბინა, შესაძლოა, მათი შეხვედრებისთვის უნდოდა და სთხოვა, ტყუილად ფული არ გადაეყარა, რადგან, მისი მშობლები უცხოეთში იყვნენ და ბინაში მარტო ცხოვრობდა. მაგრამ, პასუხად მიიღო, რომ მასთან შეხვედრას იმ ბინაში უფრო კომფორტულად მოახერხებდა. სალომეს ჩვენებით, უცნაური ის იყო, რომ მათ შორის „ზედმეტი" არაფერი ხდებოდა, რაც გაუხარდა.

სალომე ს-ს ჩვენებიდან: „ნაქირავები ბინის გასაღები ორივეს გვქონდა, თუმცა, იქ ან ერთად მივდიოდით, ან – მაშინ, როცა ვიცოდით, რომ ერთ-ერთი ჩვენგანი იქ იყო.

ინციდენტის დღეს, დღის 4 საათზე, მაიკლ შ-ს უნდა შევხვედროდი. უკვე სახლიდან გავდიოდი, მაიკლმა რომ დამირეკა – მნიშვნელოვან საქმეზე ვარ და შეხვედრა 6 საათისთვის გადავიტანოთო. ცხადია, დავთანხმდი, მაგრამ, სახლში აღარ შევბრუნდი. გამახსენდა, რომ წინა დღეს ლევანის ნაქირავებ ბინაში ტესტები და მნიშვნელოვანი დოკუმენტების საქაღალდე დამრჩა. ვინაიდან იმავე დღეს მჭირდებოდა, დროის გადატანა გამიხარდა კიდეც და მის წამოსაღებად წავედი. ერთადერთი, იმის მერიდებოდა, რომ იქ ლევანის უკითხავად მივდიოდი. ამიტომ, სახლთან მისვლამდე სამჯერ დავურეკე, მაგრამ, ჩემს ზარებს არ უპასუხა.

კარი რომ გავაღე და ოთახში შევედი, ლევანის ფეხსაცმელები და ტანსაცმელი შევნიშნე. ძალიან გამიკვირდა, რადგან, იატაკზე ეყარა. ამის შემდეგ ხმა საძინებლიდან შემომესმა... კარი შევაღე და მამაკაცები დავინახე... ინსტინქტურად ვიყვირე, რადგან, ვიფიქრე, რომ ქურდები იყვნენ, მაგრამ, მაიკლი რომ დავინახე, გავშეშდი... ლევანი ბოლოს შევნიშნე...

უკან გამოვიქეცი და კიბეები ჩავირბინე, მაგრამ, იმდენად დაბნეული ვიყავი, ისევ უკან ავბრუნდი – მინდოდა, ორივესთვის თვალებში ჩამეხედა. ბინაში რომ შევედი, მაიკლი უკვე ჩაცმული იყო და გარეთ გამოდიოდა. გაშტერებით მიყურებდა, თავი ვერ შევიკავე და სახეში შევაფურთხე, რის შემდეგაც იქიდან კი არ წავიდა, გაიპარა... ამის შემდეგ ლევანს მთელი ხმით ვუყვიროდი და მომხდარის შესახებ პასუხს ვთხოვდი, რადგან, შეეძლო ჩემთვის ყველაფერი აეხსნა. ლევანი მთხოვდა, გავჩუმებულიყავი – არ უნდოდა მეზობლებს გაეგოთ, მაგრამ, ხმას უფრო ავუწიე, რის გამოც სახეში ძლიერად დამარტყა. მითხრა, რომ არ ვუყვარდი და, საერთოდ, მისთვის თავი დამენებებინა. თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი... ყვირილს განვაგრძობდი, რის გამოც ლევანი დახრჩობას მიპირებდა... მან სასტიკად მცემა. მიუხედავად იმისა, რომ ცხვირიდან სისხლი მდიოდა, ტკივილს ვერ ვგრძნობდი. შემდეგ კი ხელიდან გავუსხლტი და ოთახიდან ოთახში გასასვლელი კარი ისე მივაჯახუნე, კარის მინა ჩამოიმსხვრა და მოზრდილი ნატეხი კისერში დამეცა. მთლიანად სისხლში ვცურავდი, მაგრამ ყვირილს მაინც განვაგრძობდი. ლევანს ვემუქრებოდი, რომ ყველას ყველაფერს ვეტყოდი. შევნიშნე, ოთახში უცხო ხალხი იყო შემოსული. სისხლის დანახვის შემდეგ ლევანი ცდილობდა აეხსნა, რომ ყველაფერი სხვაგვარად იყო, მთხოვდა, გავჩუმებულიყავი... მეტი აღარაფერი მახსოვს...

საავადმყოფოში, როდესაც უკეთ გავხდი, ლევანის უცნაურობები აღვიდგინე. გამახსენდა მისი ქცევები და ის ეჭვები, რომლებიც მუდმივად მაწუხებდა, მაგრამ, ვერ ვხსნიდი."

რაც შეეხება ლევან კ-ს, იმავე დღეს დააკავეს. მან აღიარა, რომ განსხვავებული ორიენტაციის იყო და თავს დამნაშავედ ცნობდა სალომეს წინაშე, რადგან ის თვალის ასახვევად გამოიყენა. მისი თქმით, რეალურად, გოგონას დიდ პატივს სცემდა: „საკუთარ თავს ვარწმუნებდი, რომ ოჯახის შექმნას შევძლებდი. ეს ინციდენტი რომ არა, ალბათ, ჩვენი დაქორწინებაც შედგებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ასე უნდა მომხდარიყო," – განაცხადა განსასჯელმა, რომელსაც ბრალი მხოლოდ ცემის მუხლით წაუყენეს.

ვინაიდან ლევან კ. პირველად მოხვდა განსასჯელის სკამზე, ამავდროულად, დამტკიცდა, რომ კარის მინა სალომეს მიზეზით ჩატყდა, რამაც გოგონა დააზიანა, ბრალდებულს მხოლოდ 2 წლით პატიმრობა მიესაჯა.

რაც შეეხება უცხოელ მაიკლ შ-ს, მან ქვეყანა მალე დატოვა და დაზარალებულს ბოდიშის წერილი დაუტოვა...

**ეკა ბარაბაძე**

# მე – დაქირავებული მკვლელი

## უშიშროების პოლკოვნიკის ჩანაწერების მიხედვით

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №28(550)-22(648)

– დიახ. კაპიტანი სვინინი და მაიორი გრუშინი ჰყავთ მოსყიდული. ისინი სხვადასხვა ეკიპაჟის მეთაურები არიან და, მილიონი დოლარის საფასურად „მინა-ჰაერი" შუა ალლუმის დროს უნდა გაუშვან.

– ორი რაკეტა?

– არა. ერთ-ერთი; უფრო სწორად, გრუშინი დაზღვევაა – თუკი სვინინი ვერ მოახერხებს გაშვებას, მაშინ გრუშინი ამოქმედდება.

– რა პრობლემაა, ამხანაგო გენერალო, ოფიცრები ავყაროთ, რაკეტებს კი გამშვები მექანიზმი დავუბლოკოთ და ქობინები მოვხსნათ – ვუთხარი შჩუკინს. მან კი თავი გააქნია და მომიგო:

– ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, უსაფრთხოებისთვის აუცილებელია და, წესით, უნდა განვახორციელოთ, მაგრამ, ლეონიდ ილიჩს რომ მოახსენეს, მან მტკიცედ თქვა: „ჩვენი სამხედრო ალლუმის განაწესში არაფერი შეიცვლება და წითელ მოედანზე სრული საბრძოლო ალჭურვილობის მქონე ჯარი გაივლის, მოღალატე ოფიცრები კი დააპატიმრეთო". მაგრამ, ყველაფერ ამაში ყველაზე მთავარი ისაა, რომ ამერიკელებმა ასეთი აგრესიული სვლა შეიმუშავეს და ამის უპასუხოდ დატოვება არ შეიძლება.

– რას გულისხმობთ, ვიქტორ იაკოვლევიჩ?

– რას და, ხელმძღვანელობის კატეგორიული მითითებით, რაც პირადად ბრეჟნევისგან მომდინარეობს, 7 ნოემბერს ამერიკელებს უნდა მოვუწყოთ ცეცხლოვანი ფოიერვერკი, რომელსაც დიდი მატერიალური ზარალი უნდა მოჰყვეს, მაგრამ, ერთი ადამიანიც კი არ უნდა დაშავდეს. ამ ოპერაციას კი შენ უხელმძღვანელებ. გახსოვს, რომ გითხარი, გული მიგრძნობს, კვლავ დაგვჭირდები-მეთქი?

– რა უნდა გავაკეთოთ?

– ოჰაიოში ამერიკელების სამხედრო საწყობი უნდა ააფეთქო, სადაც ისინი „მინა-ჰაერის" ტიპის რაკეტების ქობინებს ინახავენ. მაგრამ, გახსოვდეს, ერთი ადამიანიც კი არ უნდა დაშავდეს. თანაც, ეს ყველაფერი 7 ნოემბერს უნდა მოხდეს.

7 ნოემბერს მოსკოვსა და ოჰაიოში საბჭოთა უშიშროებამ ორი ერთდროული ოპერაცია ჩაატარა. იმ დროს, როდესაც ლუბიანკელმა ჩეკისტებმა ოფიცრები – სვინინი და გრუშინი დააპატიმრეს და წითელ მოედანზე სამხედრო ალლუმი დაიწყო, მე და ჩემმა დივერსანტმა ხელქვეითებმა მიწისქვეშა საწყობი ავაფეთქეთ, მისი დაცვა კი მანამდე გავანეიტრალეთ და უსაფრთხო ადგილზე გაკოჭილები დავტოვეთ, რომ არავინ დაზარალებულიყო... სანამ წითელ მოედანზე რევოლუციის წლისთავს ზეიმობდნენ, ოჰაიოში მძლავრი აფეთქებები ხდებოდა და ამერიკამ 750 მილიონი დოლარის ზარალი მიიღო.

შეერთებული შტატების ოფიციოზი, რა თქმა უნდა, მშვენივრად მიხვდა, სინამდვილეში რა მოხდა, მაგრამ, მათ არანაირი საბუთი არ ჰქონდათ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ და ოჰაიოს ტრაგედია უბრალო დაუდევრობად მონათლეს...



მოსკოვში რომ დავბრუნდი, შჩუკინი სიხარულისგან მეცხრე ცაზე იყო და მითხრა:

– ყოჩაღ, კოკი, ამ წარმატებისთვის შენ და შენს ხელქვეითებს ჯილდოები და რიგგარეშე ჩინები მოგეცემათ. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ შენი ნახვა ლეონიდ ილიჩს სურს.

– ვის?

– ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევს. ნუ ღელავ. მოსკოვში დარჩი, მოემზადე და მოგაკითხავთ. ახლა კი დაისვენე.

ქვეყნის პირველ პირთან შესახვედრად მე, შჩუკინი და ანდროპოვი ერთად გავემგზავრეთ ანდროპოვის დაჯავშნილი „ზილით" არა კრემლში, არამედ, მოსკოვის მახლობლად, გენერალური მდივნის აგარაკზე.

ლეონიდ ბრეჟნევი საკმაოდ ინფორმირებული, მახვილგონიერი და ხაზგასმულად კეთილგანწყობილი ადამიანი აღმოჩნდა. ის გულთბილად შემხვდა, ხელი მაგრად ჩამომართვა და მითხრა:

– ყოჩაღ, ამხანაგო კოკი, ყოჩაღ. ამერიკელები კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ ჩვენი დიადი ქვეყნის ლაფში ამოსვრის მცდელობა მათ პრაქტიკულ ასპექტში შეუბრუნდათ უკან და საკმაოდ დამსახურებულადაც.

– ვემსახურები საბჭოთა კავშირს! – გამოვეჯგიმე ბრეჟნევს, მან კი მხარზე ხელი მომითათუნა და ყველანი სუფრასთან მიგვიწვია, რომელიც ხეების ქვეშ იყო გაშლილი.

ბრეჟნევის აგარაკზე ხუთიოდე საათი გავატარე, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩემი ღვაწლი ქვეყნის წინაშე ყველაზე მაღალ დონეზე დაფასდა. ეს ასეც მოხდა – მეორე დღეს გამომიცხადეს, რომ პირადად ლეონიდ ბრეჟნევმა მოსკოვის მახლობლად აგარაკი მაჩუქა. სხვათა შორის, ეს აგარაკი, ისევე, როგორც მოსკოვის ბინა, დღემდე ჩემს მფლობელობაშია და მათ გაყიდვას არ ვაპირებ. გენერალური მდივნის აგარაკიდან საუკეთესო შთაბეჭდილებებით წამოვედი, ბრეჟნევზე დადებითი აზრი ჩამომიყალიბდა და შემიძლია, ეს დღესაც დავადასტურო. ეგრეთ წოდებული, „ზასტოის" შემოქმედი ქვეყანას თვრამეტი წლის განმავლობაში მართავდა და სწორედ იმ პერიოდში მოვახერხეთ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის გაგვესწრო სამხედრო კუთხით და არც საბჭოთა მოქალაქეები ცხოვრობდნენ ცუდად. ყოველ შემთხვევაში, სამუშაო ყველას ჰქონდა და არავის შიოდა. საქართველო კი, რაც არაერთხელ აღმინიშნავს, საბჭოთა რესპუბლიკებში ცხოვრების ყველაზე მაღალი დონით გამოირჩეოდა და ამ მხრივ მას ტოლი არ ჰყავდა. მოწინავენი იყვნენ ქართველი ხელოვანები, მეცნიერები, სპორტსმენები და, მართალია, ზოგჯერ დაპირისპირებებსაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ, საბჭოთა კავშირი მაინც დადებითი მოვლენა იყო მის შემადგ-

ენლობაში მყოფი რესპუბლიკებისა და მთლიანად კაცობრიობისთვისაც.

ერთხელ, ეგრეთ წოდებული ამერიკელი „ქორების“ ძალიან ვიწრო წრის შეხვედრაზე ვიმყოფებოდი ნიუ-იორკში, რომელიც ერთ-ერთ ელიტურ კლუბში შედგა და მისი მონაწილეები აბსოლუტურად გულახდილად გამოთქვამდნენ საკუთარ აზრებს. „ქორები“ იმ ამერიკული კასტის წევრები არიან, რომელთა ძალისხმევითაც დაიშალა საბჭოთა კავშირი. შუა ლაპარაკის დროს ერთ-ერთმა მათგანმა დიდი თვითკმაყოფილებით თქვა:

– თქვენ წარმოიდგინეთ, ძმებო, თუ როგორ შეგვეკვეცებოდა ფრთები, ჩვენი გრანდიოზული მიღწევების ხუთი პროცენტიც კი არ გვექნებოდა, საბჭოეთი რომ არ დაგვენგრია. ისინი ხომ გლობალურ პრობლემებს წყვეტდნენ, გლობალურად გვიშლიდნენ ხელს და, რეალურად, ჩვენზე ბევრად ძლიერებიც იყვნენ.

– ნება მიბოძეთ, სერ, გკითხოთ, – მივმართე თვითკმაყოფილ „ქორს,“ – თუკი საბჭოეთი ამერიკაზე ძლიერი იყო, მაშ, როგორ დაანგრია ის ამერიკამ?

– ეს მართლაც პარადოქსულად გამოიყურება, მისტერ ევროპელო ჟურნალისტო, – მომიგო „ქორმა,“ – მაგრამ, მხოლოდ ერთი შეხედვით. ჩვენ რამდენიმე ჩვენი აგენტი გვყავდა უმაღლეს პარტიულ საბჭოთა ელიტაში. ისინი, რომ იტყვიან, ხის კენწეროში აფრინდნენ, მერე კი საბჭოეთის დაშლა ტექნიკის საქმე იყო. ანუ, ქვეყანა თავიდან დაინგრა და არა საფუძვლიდან.

– გამოდის, რომ საბჭოთა ფუნდამენტი კიდევ არსებობს? – ვკითხე „ქორს“.

– ის კიდევ დიდხანს იარსებებს.

– ესე იგი, არსებობს საშიშროება, რომ ის კვლავ აღდგეს?

– ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს და სწორედ აქეთკენაა მიმართული მთელი ჩვენი ძალისხმევა. ამ ფუნდამენტზე ახალი შენობის აგება არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, ვიმეორებ: არავითარ შემთხვევაში და ამისთვის ჩვენ ორმოცდაათი წელი გვჭირდება. ანუ, ძველი თაობა მთლიანად უნდა გაქრეს...

ასეთი იყო „ქორის“ პასუხი. მე მეტი არაფერი მითქვამს მისთვის. შემდეგ პატარა წვეულება გაიმართა, მოიტანეს საუცხოო შამპანური და სწორედ ამ შამპანურმა მოწამლა ის „ქორი“, რომელსაც მე რამდენიმე შეკითხვა დავუსვი. „ქორის“ ლიკვიდაცია მე განვახორციელე და სწორედ ამ მისიით ვიყავი იქ. შეკვეთა კი ერთ-ერთმა ამერიკელმა პოლიტიკოსმა მომცა, რომელსაც „ქორი“ წინსვლაში უშლიდა ხელს და ამ საქმეში 600 ათასი დოლარი გადამიხადა. ანუ, ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც ჩემი პოლიტიკური და, ასევ თქვათ, სამსახურებრივი, უფრო სწორად კი – პროფესიული ინტერესები, ერთმანეთს დაემთხვა.

შეიძლება, ვინმემ იფიქროს, რომ ამერიკელების ხოცვა სიამოვნებას მგვრის. უნდა ვთქვა, რომ, არათუ ამერიკელების, არამედ, არავის ხოცვა არ მსიამოვნებს, ეს გადაუდებელი აუცილებლობითაა გამოწვეული და არა ჩემი მანიაკური მისწრაფებებით. მანია და მოვალეობა რადიკალურად დიფერენცი-



რებული ცნებებია და ისე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა. მართალია, ორივე შემთხვევაში ერთსა და იმავე შედეგს ვიღებთ და საქმე მკვლელობით მთავრდება, მაგრამ, მანიაკი საზოგადოებისთვის საშიში სუბიექტია, ჩვენ კი, პირიქით, საზოგადოებას ვიცავთ. ასეთი თვითშეგნებით ვიმსახურე „კაგებეში“ ათწლეულები და ასევე ვაგრძელებ ჩემს პროფესიულ საქმიანობას. ვერანაირი ფული და სიმდიდრე ვერ მაიძულებს ამ პრინციპიდან გადახვევას და არავითარ შემთხვევაში არ მოვკიდებ ხელს შეკვეთას, თუ ის ჩემს რწმენას ეწინააღმდეგება. რამდენჯერმე კი ყოფილა შემთხვევა, რომ შემკვეთის წინააღმდეგ მიმოქმედია და სამსხვერპლოს დავხმარებივარ.

ერთხელ, შემკვეთმა თელ-ავივში დამიბარა შეხვედრაზე და, როდესაც მივედი, მითხრა:

– თქვენზე მითხრეს, საუკეთესოაო.

– სწორად უთქვამთ. გისმენთ, – ვუთხარი შემკვეთს, რომელიც გულდასმით მაკვირდებოდა და ჩემთვის თვალებში ჩახედვა უნდოდა, მაგრამ, ჩემი შავი სათვალე არ აძლევდა ამის საშუალებას.

– მისტერ, მე თქვენ ძალიან დიდ თანხას გთავაზობთ საქმეში, მაგრამ იმის სრული გარანტია უნდა მომცეთ, რომ ყველაფერი ბოლომდე გაკეთდება, – მითხრა შემკვეთმა, – სხვა თუ არაფერი, ეს თქვენი ღირსების საქმეა.

– მინდა, დაგარწმუნოთ, რომ ჩემი ღირსება არასდროს შემილახავს და ეს არც ამჯერად მოხდება, ხოლო, რაც შეეხება სრულ გარანტიებს, ეს გამორიცხულია. ჩვენს საქმეში სრული გარანტიის მიცემა არაპროფესიონალიზმია. სრული გარანტიის მიცემა მხოლოდ ღმერთს შეუძლია, მე კი ღმერთი არ ვარ, მე ვარ პროფესიონალი და, როგორც თქვენ თქვით ჩვენი საუბრის დასაწყისში – საუკეთესო, – მივუგე შემკვეთს და დავამატე, – თუ დაგაკმაყოფილათ ჩემმა პასუხმა, საქმეზე გადავიდეთ.

– თქვენმა პასუხმა აბსოლუტურად დამაკმაყოფილა, – მითხრა შემკვეთმა და ფოტოსურათი მაჩვენა, – აი, თქვენი სამიზნე. თქვენ ის უნდა გაანადგუროთ და ამაში 300 ათას დოლარს გადაგიხდით.




ერდო ჯგუფი

-ლექტორი ბებიის დანატოვარ
5 ოთახიან ბინას ვყიდი ვაკეში,
ვართ ორი ძმა, და თან არ გვაქვს
ნორმალური სამუშაო და თან ...

-რუსეთიდან ჩამოვედი და მსურს
ვიყიდო 5 ოთახიანი ბინა ვაკეში,
მყავს ცოლ-შვილი და თან მაქვს
კარგი სამსახური
და თან ...

მაკლერი:
-კი თქვენ გენაცვალეთ და თან ...
გადაგვიხადეთ 6%.
3 გამყიდველის და
3 მყიდველის მხრიდან.

მარიკა 599 24 28 31



სამასი ათასი დოლარი ნამდვილად არ იყო დიდი ფული, როგორც ამას ხაზი გაუსვა შემკვეთმა, ბევრჯერ ბევრად უფრო დიდი თანხა ამიღია მსგავს შეკვეთაში. თუმცა, შემკვეთისთვის ამაზე არაფერი მითქვამს და ვკითხე:

– ობიექტის ადგილსამყოფელს თქვენ მეტყვით თუ მე უნდა მოვძებნო?

– ეს სუბიექტი მოსკოვში ცხოვრობს და მისი მოძებნა არ გაგიჭირდებათ.

– კარგი. ფული ხვალ უნდა ჩამირიცხოთ სრულად და მაქსიმუმ ორ კვირაში ყველაფერი მზად იქნება.

– მოვილაპარაკეთ.

– მშვიდობით, – ვუთხარი შემკვეთს და შეხვედრის ადგილი პირველმა დავტოვე.

შეკვეთის ობიექტი ცნობილი ქართველი ბიზნესმენი იყო, რომელიც რუსეთში მოღვაწეობდა და, მართალია, მე მას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ, მის საქმეებზე ბევრი მსმენოდა. ის ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, ახალგაზრდა თბილისელი იატაქქვეშა საქმოსანი, ეგრეთ წოდებული „დელეცი“ იყო, როდესაც ნიჭიერ ქართველებს აფინანსებდა, გაჭირვებულ ადამიანებს ეხმარებოდა და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდს ფასდაუდებელ მატერიალურ დახმარებას უწევდა, რადგან, ფეხბურთის ფანი იყო და საყვარელი გუნდისთვის არაფერი ენანებოდა. ერთი სიტყვით, დადებითი პიროვნება იყო და ყველას უყვარდა. მან ჩემი მეუღლის, მერიკოს საავადმყოფოს უნიკალური აპარატურა შეუძინა და თბილისში ჩამოუტანა. არადა, მსგავსი დანადგარი მაშინ მოსკოვშიც კი არ არსებობდა და სწორედ მოსკოვსააცალა ცხვირწინ, როდესაც იქ გერმანული მედტექნიკის გამოფენა გაიმართა და მოსკოვში უნდა დაეტოვებინათ ის მოწყობილობა. ამ კაცს პოსტკომუნისტურ პერიოდშიც ბევრი დიდი ეროვნული საქმე ჰქონდა გაკეთებული უანგაროდ და მისი მოკვლა არასწორად ჩავთვალე, მით უმეტეს, რომ შემკვეთი ისრაელში გაქცეული ყოფილი საბჭოთა კრიმინალი იყო და არც საბჭოთა კავშირისა და არც საქართველოს წინაშე არანაირი დამსახურება არ ჰქონდა. ამიტომ, არც ვაციე, არც ვაცხელე და შეკვეთის მიღებიდან ოთხი დღის შემდეგ, ობიექტს ჟურნალისტის სტატუსით ვეწვიე პოდმოსკოვიეში, აგარაკზე და, მარტონი რომ დავრჩით, ვუთხარი:

– დავიწყოთ ჩვენი ინტერვიუ?

– დავიწყოთ, ჩემო კარგო, – კეთილგანწყობით მომიგო ობიექტმა, რომელსაც, რა თქმა უნდა, ობიექტად აღარ განვიხილავდი და მის გადასარჩენად ვიყავი იქ მისული.

– პატივცემულო, მე სულაც არ ვარ ის, ვინც გგონივართ.

– რას გულისხმობთ? – მკითხა ბიზნესმენმა.

– იმას, რომ მე დაქირავებული მკვლელი ვარ და თქვენს ლიკვიდაციაში 300 ათასი დოლარი გადამიხადა ერთმა კაცმა, რომელსაც თელ-ავივში შევხვდი ამ ხუთი დღის წინ.

– გასაგებია შემკვეთის ვინაობა. რას აპირებთ?

– შეკვეთის გაუქმებას.

– რატომ?

მასპინძლის შეკითხვაზე გამეცინა და ქართულად ვუპასუხე:

– იმიტომ, ჩემო კარგო, რომ თქვენზე მხოლოდ კარგი მაქვს გაგონილი ჯერ კიდევ კომუნისტების პერიოდში და, დარწმუნებული ვარ, რომ სიკვდილს არ იმსახურებთ.

– გმადლობთ კეთილი სიტყვებისთვის და იმისთვის, რომ სიცოცხლე შემინარჩუნეთ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემი მტერი სხვას არ დაიქირავებს. ამიტომ, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, კონტრშეკვეთას მოგცემთ და ორჯერ მეტს გადაგიხდით ჩემი მტრის ლიკვიდაციაში. რას იტყვით, გაწყობთ?

– სრულიად.

– მაშინ, ჩემო მეგობარო, მითხარით, რა ფორმით გსურთ 600 ათასი დოლარის მიღება, ახლავე, ხელზე; როცა თქვენ ისურვებთ თუ საბანკო ანგარიშზე დაგისვათ?

– ნაღდ ფულს წავიღებ ახლავე.

ბიზნესმენი ოთახიდან გავიდა და ათიოდე წუთის მერე პატარა ქეისით შემოვიდა, რომელშიც ასდოლარიანი დასტებით 600 ათასი დოლარი ელაგა. მან ქეისი მომცა და მითხრა:

– ინებეთ, აქ 600 ათასი დოლარია.

თბილისში ორი დღის მერე დავბრუნდი ფულით, რომელიც სამალავში შევინახე. ორი დღის შემდეგ კი კვლავ ისრაელში ჩავფრინდი და ობიექტს ადგილობრივი წარმოების სნაიპერული შაშხანიდან შიგ შუბლში ჩავაჭედე ტყვია, როდესაც ის ფორთოხლის წვენს სვამდა ფეშენებელური სასტუმრ-

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | კ | | ა | მ | ა | ნ | ს | ი | ო | |
| | | | | | | ლ | | ს | | რ | | ა | | ს | |
| | | | | | | ი | ნ | ა | მ | ქ | ა | მ | | კ | |
| | | | | | | პ | | კ | | ი | კ | ო | ლ | ა | ს |
| | | | | | | ი | ს | ი | ს | ფ | ე | ს | | რ | |
| ს | | ს | ა | გ | ა | | კ | | პ | ო | ლ | ი | ს | ი | |
| ე | კ | ა | | ა | ი | ლ | ა | ტ | ი | | ა | | ი | | გ |
| რ | | ა | ი | ნ | | ი | ლ | ა | კ | ე | | ი | ს | უ | რ |
| ი | კ | რ | ა | ხ | | მ | ა | ლ | ა | ქ | ი | ტ | ი | | ა |
| ა | | ი | | ი | ლ | ო | რ | ო | | ი | ლ | ა | ნ | ი | ფ |
| | ტ | | ი | ლ | ე | ნ | ი | ნ | | მ | ა | მ | ა | თ | ი |
| ს | ი | ა | რ | უ | ლ | ი | | ი | | ი | | ი | | ი | |
| | ტ | ი | ა | ლ | ი | | ჯ | | ქ | | ა | რ | ი | ა | დ |
| ვ | ა | რ | დ | ი | | ა | ი | ნ | ი | პ | ი | პ | | ლ | |
| ა | ნ | ე | ვ | | გ | | მ | ა | რ | ო | | | ს | | |
| შ | ი | ვ | ა | კ | ი | | ი | დ | ა | ნ | ი | რ | ა | მ | |
| ა | | ი | | ი | ნ | ა | თ | ე | | ი | მ | ა | ს | უ | |
| | ი | | ა | რ | ე | ტ | ი | ლ | | | ა | მ | ა | ს | ო |
| ა | ვ | ა | რ | ი | ს | ი | | ი | ფ | ი | რ | ა | | ი | |
| | ა | ბ | ა | ბ | ი | ლ | ა | | ი | კ | ა | ზ | ა | კ | |
| ა | რ | ა | მ | ა | | ა | ნ | ო | დ | ი | | ა | ზ | ო | დ |
| დ | ა | კ | ო | ტ | ა | | ი | ბ | ე | ტ | ე | ნ | ო | ს | |
| ი | კ | ა | ტ | ი | პ | ს | | ი | რ | უ | ლ | ი | ვ | ი | ც |
| ც | | | | | ს | | ქ | ლ | ი | ბ | ი | | ი | | |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 6 | 3 | 1 | 8 | 7 | 5 | 4 | 2 |
| 8 | 5 | 4 | 3 | 2 | 6 | 9 | 1 | 7 |
| 2 | 1 | 7 | 9 | 5 | 4 | 3 | 6 | 8 |
| 4 | 2 | 1 | 6 | 9 | 8 | 7 | 5 | 3 |
| 7 | 3 | 6 | 5 | 4 | 2 | 8 | 9 | 1 |
| 5 | 9 | 8 | 7 | 1 | 3 | 6 | 2 | 4 |
| 1 | 8 | 5 | 2 | 7 | 9 | 4 | 3 | 6 |
| 3 | 4 | 2 | 8 | 6 | 5 | 1 | 7 | 9 |
| 6 | 7 | 9 | 4 | 3 | 1 | 2 | 8 | 5 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 2 | 7 | 5 | 4 | 3 | 1 | 6 | 9 |
| 9 | 1 | 4 | 2 | 7 | 6 | 8 | 5 | 3 |
| 5 | 3 | 6 | 1 | 9 | 8 | 4 | 2 | 7 |
| 6 | 7 | 2 | 4 | 3 | 9 | 5 | 8 | 1 |
| 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 3 | 4 | 2 |
| 4 | 5 | 3 | 8 | 2 | 1 | 7 | 9 | 6 |
| 2 | 4 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 3 | 5 |
| 7 | 6 | 9 | 3 | 5 | 4 | 2 | 1 | 8 |
| 3 | 8 | 5 | 6 | 1 | 2 | 9 | 7 | 4 |

„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: **1. კვერცხი. 2. მწვანე. 3. ადრიატიკის. 4. ხმოვანი კინოს გამოგონება – ისინი პიანისტებად მუშაობდნენ მუნჯი კინოსეანსების დროს. 5. ძმები გრიმები. 6. გაეროს – ცისფერი ჩაფხუტები ან ბერეტები. 7. მუსლიმანთა პირველი მცნება: „არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და მუჰამედია მოციქული მისი“. 8. კატაპულტას. 9. ქერჩი. 10. „ფლაი ოფ“.**

ოს საცურაო აუზის პირას...

ქართველი ბიზნესმენი კი, რომელიც მას მერე ზღაპრულად გამდიდრდა, დღესაც ცოცხალია და თავის სამშობლოს ისევ გულუხვად ეხმარება. ამიტომ, არასდროს მინანია ჩემი საქციელი და მოხარული ვარ, რომ მას სიცოცხლე შევუნარჩუნე, მისი მტერი კი მოვსპე...



ჩემს მოთხრობას, ალბათ, ჩემი კოლეგებიც კითხულობენ და ზოგიერთმა მათგანმა, შეიძლება, უპატიოსნობაშიც კი დამდოს ბრალი, რადგან, აღებული შეკვეთის შეუსრულებლობა, დიდი ხიფათის გარდა, დიდ უპატიოსნობადაც ითვლება, მაგრამ, მათ მუშნი ზარანდიას სიტყვებით ვუპასუხებ: „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“...

ერთხელ გენერალმა შჩუკინმა მოსკოვში სასწრაფოდ დამიბარა და, როდესაც ვეახლე, მკითხა:

– კოკი, საქართველოს ხელოვნების მუზეუმში თუ ხარ ნამყოფი?

– დიახ, ვიქტორ იაკოვლევიჩ.

– მის დახურულ ფონდში?

– დიახ, – დავუდასტურე შჩუკინს. მაშინ მან დიდი ზომის ფერადი ფოტოსურათი დამიდო წინ და მითხრა:

– აი, ეს ნივთი თუ გეცნობა?

ფოტოზე საშუალო ზომის ოქროს ბარძიმი იყო გამოსახული, რომელიც მე ნანახი არ მქონდა და შჩუკინს ვუთხარი:

– არა, ეს ნივთი მე იქ არ მინახავს.

– ეს ნივთი ერთ-ერთი ყველაზე ფასეულია მათ შორის, რომლებიც ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოში ჩამოიტანა. ერთი კვირის წინ კი ის გაქრა. მასთან ერთად გაქრა მუზეუმის არქივის ერთ-ერთი თანამშრომელიც. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ მან ეს ნივთი გაიტაცა. სავარაუდოდ, ახლა ის ლონდონში იმყოფება და ამ ოქროს ბარძიმის გადაცემას აპირებს აი, ამ კაცისთვის, – გენერალმა ერთი რესპექტაბელური ჯენტლმენის ფოტო მაჩვენა, – ეს კაცი კოლექციონერის სახელსაა ამოფარებული, სინამდვილეში კი ღრმად კონსპირირებული სექტის ერთ-ერთი მმართველია, რომელსაც ლონდონში აქვს ბინა და, დიდი ეჭვი გვაქვს, რომ ამ ისტორიული ნივთის ხელში ჩაგდება და თავიანთი შავ-ბნელი მიზნებისთვის გამოყენება სურს.

იმ პერიოდში, მისტიკური სწავლებების არც არაფერი გამეგებოდა და არც მჯეროდა, ამიტომ, როდესაც მითხრეს, რომ საქართველოს მუზეუმიდან გატაცებული ბარძიმი, სავარაუდოდ, გრაალის თასი იყო, გუნებაში გამეცინა, მაგრამ, ხმამაღლა ეს არ გამომიხატავს და შჩუკინს ვკითხე:

– კონკრეტულად რა მევალება?

– შენი მთავარი ამოცანაა, ამ გატაცებული ნივთისა და მისი გამტაცებლის უკან დაბრუნება. მაგრამ, თუკი მის გამტაცებელს უკან ვერ დააბრუნებ, მაშინ, მისი ლიკვიდაცია უნდა განახორციელო. გასაგებია?

– გასაგებია! – გამოვეჯგიმე გენერალს.

მე არა მარტო ეს ბარძიმი დავაბრუნე უკან, არამედ, მისი გამტაცებელიც მივაყოლე და ის ბრიტანელი სექტანტიც, ვინც ამ ნივთის ყიდვას აპირებდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# კალეიდოსკოპი

## ლეონარდო დიკაპრიოსთან ერთად კოსმოსში გაფრენის უფლება აუქციონზე გაიყიდა

რუსმა ბიზნესმენმა ვასილი კლიუკინმა, რომელიც მონაკოში ცხოვრობს, საქველმოქმედო აუქციონზე 1,5 მილიონ ევროდ მიიღო უფლება, კოსმოსში ჰოლივუდის ვარსკვლავთან, ლეონარდო დიკაპრიოსთან ერთად გაფრინდეს. 37 წლის ბიზნესმენმა, ასევე, შეიძინა 400 ათასი ევროს ღირებულების ოქროსა და ალმასის სამკაულები.

საქველმოქმედო საღამო შიდსის კვლევის ფონდმა კანში მოაწყო. აუქციონის შემოსავალმა სულ 25 მილიონი ევრო შეადგინა და ორჯერ და მეტად გადააჭარბა შარშანდელს – 11 მილიონ ევროს. კომპანია „ვირჯინ გალაქტიკის“ ხომალდით კოსმოსში გასაფრენი ბილეთების შეძენის მსურველებმა არა მარტო უნდა იჩქარონ, არამედ, უფრო მეტი თანხაც მოამზადონ, რადგან, თუ ამ აუქციონზე ბილეთის საწყისი ფასი 1,2 მილიონი ევრო იყო, ახლა უკვე 1,8 მილიონი გახდა. ჯერჯერობით გაფრენის თარიღი უცნობია.

თავად ლეონარდო დიკაპრიო აუქციონზე „საიდუმლო სტუმარი“ იყო. საღამოს ესწრებოდნენ: კანის ფესტივალის ჟიურის წევრები – ნიკოლ კიდმანი და კრისტოფ ვალცი; მომღერლები – კაილი მინოუგი, ჯანეტ ჯეკსონი და სხვა ცნობილი სახეები.

შიდსის კვლევის ფონდის აუქციონი კინოფესტივალზე თანხის მიზიდვის მსოფლიოში ყველაზე დიდი ღონისძიებაა, რომელსაც სათავე ლეგენდარულმა ამერიკელმა მსახიობმა ელიზაბეთ ტეილორმა დაუდო. წამყვანი კი, ტრადიციულად, შერონ სტოუნია. სხვა ღირებულებებთან ერთად, აუქციონზე გაიყიდა: ჰოლივუდის ღონისძიებებზე დასასწრები ბილეთები, თანამედროვე მხატვრების ტილოები, მთავარი როლების შესრულების უფლებები...

## „ტერმიტული აპოკალიპსი“

ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთში ფორმოსანის ტერმიტების არნახული შემოსევა დაფიქსირდა. ინტერნეტი გადატვირთულია ვიდეორგოლებითა და ფოტოებით, რომლებიც ახალი ორლეანის, მეტერის (ლუიზიანას შტატი), მობაილის (ალაბამას შტატი) და სხვა ქალაქებშია გადაღებული, სადაც აღბეჭდილია მწერების უზარმაზარი ღრუბლები, რომლებიც მთელ ცას ფარავენ. მეცნიერები და სპეციალისტები ამშვიდებენ ამერიკელებს, რომ ამ პერიოდში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, რადგან, გაზაფხულის ბოლოს და ზაფხულის დასაწყისში მათი განაყოფიერების დროა. დედალ-მამალი ტერმიტები ერთმანეთს ჰაერში ხვდებიან და შემდეგ ერთად სხდებიან მიწაზე გასანაყოფიერებლად. ამ პროცესის დროს ბევრ მათგანს სტყდება ფრთები და იღუპება. ასე რომ, შთამომავლობას ყველა ვერ ტოვებს. ამასთან, ისინი ადამიანისთვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენენ. თუმცა არც ისაა სადავო, რომ საკმაოდ უსიამოვნოა ტერმიტებით დაბნელებული ცა, დაფარული ქუჩა, თმებში გახლართული მწერები... ამასთან, თუ ადამიანის საცხოვრებელ სახლებში დასახლდნენ, როგორც დაადგინეს, ისინი ღრღნიან ხის მასალას. ოფიციალური მონაცემებით, ტერმიტები ყოველწლიურად ამერიკის შეერთებულ შტატებს 5 მილიარდ დოლარის ზარალს აყენებენ.

ისინი ამერიკაში მეორე მსოფლიო ომის დროს შორეული აღმოსავლეთიდან ხისგან დამზადებულ ყუთებსა და სხვა ნაწარმს ჩამოჰყვნენ.

## პოპულარული და არაპოპულარული ქვეყნების რეიტინგი

გამოქვეყნდა გამოკითხვის შედეგები, რომელიც, ტრადიციულად „საყვარელი ქვეყნების“ გამოსავლენად ტარდება. ქვეყნებისადმი სიმპათიებისა და ანტიპათიების რეიტინგის პირველი ათეული ასე გამოიყურება: 1. გერმანია, 2. კანადა, 3. დიდი ბრიტანეთი, 4. იაპონია, 5. საფრანგეთი, 6. ევროკავშირის ქვეყნები, 7. ბრაზილია, 8. ამერიკის შეერთებული შტატები, 9. ჩინეთი, 10. სამხრეთ კორეა. სიას ამთავრებს რუსეთი, ისრაელი, ჩრდილო კორეა, პაკისტანი და ირანი.

## ხუთმა მონეტამ ავსტრალიის კონტინენტის აღმოჩენის შესახებ წარმოდგენა გადაატრიალა

ხუთმა უძველესმა მონეტამ მეცნიერებს ეჭვი ჩაუსახა იმის შესახებ, რომ ჯეიმს კუკი არ იყო ავსტრალიის პირველი აღმომჩენი. სპილენძის მონეტები, რომლებსაც შეუძლიათ ავსტრალიის ისტორიის „გადაწერა“, წარმოშობით კილვას სასულთნოდანაა, უძველესი ქალაქიდან, რომლის ნანგრევებიც თანამედროვე ტანზანიის კუნძულზეა შემორჩენილი. მონეტები თარიღდება 900-დან 1300 წლებამდე პერიოდით. უელსელის დაუსახლებელ კუნძულზე მონეტები 1944 წელს ავსტრალიელმა ჯარისკაცმა მორი აიზენბერგმა აღმოაჩინა, თუმცა მათი წარმოშობით დიდი ხნის განმავლობაში არავინ დაინტერესებულა, სანამ მათ შესახებ არ შეიტყო ინდიანას უნივერსიტეტის თანამშრომელმა, მკვლევარმა იან მაკენტოშმა. ამერიკელი მზადაა, გაემგზავროს ექსპედიციაში ამ მონეტებითა და რუკით, რომელზეც ჯვრითაა აღნიშნული მათი აღმოჩენის ადგილი. სწავლული შეეცდება, პასუხი გასცეს რამდენიმე კითხვას: როგორ მოხვდა მონეტები ჩრდილო ავსტრალიის ტერიტორიაზე; იყვნენ თუ არა იქ სხვა მოგზაურები კუკამდე და ვინ უნდა ჩაითვალოს კონტინენტის პირველ აღმომჩენად. მაკინტოშს ორი ვერსია აქვს: ან, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, აღმოსავლეთ აფრიკა, არაბეთის ნახევარკუნძული, ინდოეთი და სუნელ-სანელებლების კუნძულები ძველ დროში ერთმანეთთან ვაჭრობდნენ, ანდა, მონეტები უელსის კუნძულზე მოხვდა გემის დაღუპვის გამო.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯეიმს კუკამდე ავსტრალიის კონტინენტზე 1606 წელს მივიდა ჰოლანდიელი ზღვაოსანი ვილემ იანზონი, თუმცა, ის ვერ მიხვდა, რომელი კონტინენტი აღმოაჩინა.

**მოამზადა**
**ლაშა გაბელიამ**

# ყველა კაცი ერთნაირია

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №12-22(648)**

### პროვოკაცია

ფრანგ ქალებს, უკვე რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ცხოვრებაზე საკუთარი, ინდივიდუალური წარმოდგენა აქვთ. იქით კარნახობენ მამაკაცებს თამაშის წესებს და სქესთა ურთიერთობის საკითხებში ლამის ექსპერტები არიან... კიდევ მოდის, სილამაზისა და ჯანმრთელობის საკითხებშიც... რატომ? შეიძლება, იმიტომ რომ არ ეშინიათ ექსპერიმენტების... უყვართ, როცა რაღაც ახალს აღმოაჩენენ – ზოგჯერ, სრულიად მოულოდნელს და ეს ცხოვრების ყველა სფეროს ეხება, უპირველესად, მოდას და ინტიმს...

***

ლიზამ ნავაჭრით სავსე ჩანთები მკლავზე ჩამოიკონწიალა და ტროტუარზე ასკინკილით გააგრძელა გზა. მერე უკან მომავალ ცოლქმარს მოხედა და ხმამაღლა დაიძახა:

– ვგიჟდები პარიზზე! ეს ჩემი ქალაქია, ჩემი... აქ თავს პრინცესად ვგრძნობ. თბილისში ჩვეულებრივი ქალი ვარ, ჭირვეული და ახირებული. ყველაფერი რომ აღიზიანებს... პრინცესას როლს მარტო აქ ვირგებ...

– ამას უნდა ვუყურო მთელი საღამო და მისი სისულელეები ავიტანო? – უკმაყოფილოდ გადაულაპარაკა ვახომ ცოლს.

– ჩუმად, არ გაიგონოს, – ქეთი გაწითლდა.

– კარგი იქნება, თუ გაიგონებს, – ბუზღუნით გააგრძელა ვახომ, – იქნებ მიხვდეს, რომ აქ ზედმეტია.

– კარგი, რა... ისეთს რას აშავებს? პირიქით, რამდენი მაღაზია გვანახა, რა კარგი რაღაცეები გვაყიდინა...

– მაგ მაღაზიებს თვითონაც მივაგნებდით, მის დაუხმარებლად. მაინც, რა ხასიათი გაქვს, სად პოულობ ასეთებს? როდემდე უნდა ვუსმინო, როგორ აფრქვევს იაფფასიან სნობიზმს.

– ვახო, გეყოფა... ეს ერთი საღამო როგორმე ავიტანოთ, – ქეთიმ ქმარს შეუბღვირა და ლიზისკენ გაიქცა.

– მეც მომწონს, ძალიან. კიდევ კარგი, ეგვიპტე ან თურქეთი არ ავირჩიე, გული დამწყდებოდა.

– ეგვიპტეც კარგია და თურქეთიც, მაგრამ იქ ვილლები. პარიზი სულ სხვაა... შენი ქმარი დაიღალა?

ქეთი დაიბნა.

– ვახო? არა... უბრალოდ, სხვა გეგმები ჰქონდა. მაღაზიებში სიარული არ უყვარს. სულერთია, მისთვის ვყიდულობთ რამეს თუ ჩვენთვის.

– ყიდვაზე გამახსენდა, – ლიზამ თვალები მოჭუტა, – ჩემი საყვარელი თითქმის ვახოს აღნაგობისაა. მისთვის საჩუქრების ყიდვას ვაპირებ და ხომ დამეხმარება?

ქეთი გაშრა.

– საყვარელი გყავს?.. და ამას ასე მარტივად ამბობ?

– ჰო, რა იყო? პრინციპში, მართალი ხარ, ვერც მე ვიტან მაგ სიტყვას. ძალიან მოძველებული და გოიმურია, მაგრამ ჯერ უკეთესი სახელი ვერ მოვიფიქრე, – გადაიკისკისა ლიზამ, – დამეხმარება?

ქეთიმ ვახოსკენ გაიხედა. თავდახრილი, ნელა რომ მიაბიჯებდა და თავისთვის რაღაცას ბურტყუნებდა.

– დაგეხმარება... – თქვა ყოყმანით ქეთიმ, – ოღონდ უნდა ვუთხრათ, რომ ქმრისთვის გინდა.

– ხუმრობ? რატომ უნდა მოვატყუოთ, რა პრობლემაა?

– მე მექნება პრობლემა, ოღონდ, არ მკითხო, რატომ.

– გასაგებია, – ლიზამ ისევ გადაიკისკისა, ჩვეულებრივი, კავკასიური ჯიშის მამრია. კარგი... რაც გინდა, ის უთხარი.

ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ. მერე ისევ ლიზა ალაპარაკდა.

– აქ ერთი კაფეა... ყავა დავლიოთ. პირდაპირ ქუჩაში... ძალიან მაგარია.

ქეთიმ მექანიკურად დაუქნია თავი და უცებ იკითხა.

– ქმარიც ხომ გყავს?

– მერე რა? ერთი მეორეს ხელს არ უშლის.

– ეს ხომ პროვოკაციაა?

– მერე რა, მიყვარს პროვოკაციები. ცხოვრებას აზარტს სწორედ ეს აძლევს.

– იმას? იმას ჰყავს... – სათქმელი რატომღაც ველარ დაასრულა ქეთიმ.

– ვინ იმას? აა, მივხვდი... არა, ცოლი არ ჰყავს. როგორ ფიქრობ, მჭირდება პრობლემები?

– ცოლიანი კაცი პრობლემაა?

– უჰ, დიდი, – ლიზამ ცხვირი აბზიკა, – ცოლიანი კაცი რომ საყვარელს იჩენს, ის კრეტინია და კომპლექსებით დახუნძლული, თანაც, ეგოისტი. მე თვითონაც ეგოისტი ვარ და ამისთანას გვერდით ვერაფრით ავიტან. ქმარიც მეყოფა იმისთვის, რომ დისკომფორტი შემიქმნას. აი, ჩვენი კაფეც... ყავაზე მე გეპატიჟებით...

– ვახოსთან სხვა თემა შევარჩიოთ სასაუბროდ, კარგი? – მოასწრო და წასჩურჩულა ქეთიმ. ლიზამ გაუცინა და თვალი ჩაუკრა...

***

არავინ კამათობს: სულ ცოტა ქარაფშუტობა და ამჩატება ქალს ნამდვილად მატებს შარმს და უხდება კიდეც. რაღაც ეტაპამდე ეს კაცისთვის სერიოზული პროვოკაციაა. თუმცა ქალური კაპრიზები მამრისთვის მხოლოდ იქამდეა მისაღები, სანამ სიმწრისგან ღმუილს არ დაიწყებს.

ყველა კაცი ერთნაირია და ბოლოს პროვოკატორ ქალს ყურადღებიანი, მზრუნველი, მგრძნობიარე, თბილი და მორჩილი ფისუნია ურჩევნია. ეს იმიტომ, რომ ყველა კაცი ერთნაირია!

...ვახომ ამოიოხრა. უკვე აღარ ერიდებოდა უკმაყოფილების გამოხატვას... მაგრამ, უხერხულობას ამის გამო მხოლოდ ქეთი გრძნობდა. ლიზასთვის კი ეს ჩვეულებრივი გამოწვევა იყო. ფეხი კეკლუცად შემოიდო ფეხზე და ისე, რომ სიშიშვლის დაფარვა არც უცდია, ვახოს ჰკითხა.

– შენ, ალბათ, სტანდარტული ქმარი ხარ, არა?

ვახო შეიჭმუხნა.

– სტანდარტული, რა უბედურებაა... ეს რა ახალი ტერმინია?

– არა. ძველი „ჯიშია" მამაკაცებისა, – ლიზას ისე მოეწონა საკუთარი ხუმრობა, რომ რამდენიმე წამი გაუჩერებლად იცინოდა.

– შენ, ეტყობა, რაღაც ძალიან დააშავე, – სული რომ მოითქვა, თითის დაქნევით უთხრა ვახოს.

– დავაშავე? რა პონტში?

– ქმრებს ცოლები პარიზში მაშინ მიჰყავთ, როცა თავს დამნაშავედ გრძნობენ – ქართველ ქმრებს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა. ეგენი ცალკე კასტაა... ორიგინალობით გამორჩეული.

– არ ვიცი, რის თქმას ცდილობ, მაგრამ საშინლად არ მიყვარს სისულელეების მოსმენა.

ქეთი მიხვდა, რომ სიტუაცია საშიშ ხასია-



თს ილებდა და თემა სასწრაფოდ შეცვალა.

– ვახო, ლიზას შენი დახმარება სჭირდება.

– მართლა? საინტერესოა, მაინც, რაში?

– ქმრისთვის საჩუქრის ყიდვა უნდა...

– მერე, მე როგორ უნდა დავეხმარო? – გაიოცა ვახომ.

– შენი აღნაგობის ყოფილა და ტანსაცმლის შერჩევისას, მაღაზიაში რომ გავყვეთ.

– თუ ჩემს იქით გზა არ აქვს, რა გაეწყობა, ცოლის მზრუნველობა უნდა დავაფასოთ.

– ჰოდა, ძალიან კარგი. დავლიოთ ყავა და ვიშოპინგოთ. შენთვისაც შევარჩევ რამეს.

– უჰ, ეტყობა, მზრუნველობა გადამდებია, – გაეცინა ვახოს, – ოღონდ, ახლავე გაფრთხილებთ. მაღაზიებში დიდხანს არ მაწანწალოთ, ვერ ვიტან.

ლიზამ ყავა მოსვა და ქეთის თვალი ჩაუკრა.

– გეუბნები, სტანდარტული „გრუზინია“ შენი ქმარი. ვითომ არ უყვარს შოპინგი, სინამდვილეში, ძალიანაც მოეწონება, „შმოტკებს“ რომ უყიდი.

– ორიგინალური წარმოდგენა გაქვს „გრუზინობაზე“, მაგრამ შენთან პოლემიკაში არ შევალ. ეს ჩემი პრობლემა არ არის.

– არც ჩემი ქმრის პრობლემაა, მერწმუნე...

– ჰოო, კარგია, – ვახოს ერთი სული ჰქონდა, ამ აბეზარი თანამგზავრისგან თავი დაეხსნა. ცოლს რამდენჯერმე ჩუმად შეუბღვირა, მაგრამ ქეთიმ არ შეიმჩნია. ვითომ ვერ მიხვდა, რას ანიშნებდა კაცი.

– ისე, სიმპათიური ხარ. ამას ვერ უარვყოფ.

– გმადლობ, ობიექტური შეფასებისთვის. გულწრფელად მიხარია, – დაუფარავი ირონიით გადაუხადა მადლობა ვახომ.

– იუმორის გრძნობაც გქონია? არა, მთლად წყალწაღებული არ უნდა იყო... – აგრძელებდა ლიზა „შეტევას“.

ვახომ ამოიოხრა.

– ვერ დალიეთ ეგ ყავა? წავიდეთ. კიდევ რაღაც მინდა მოვასწრო.

– რა? აქაური ბორდელები ძალიან ძვირია. არ გირჩევ მათ მონახულებას. ისეთი ფასები აქვთ კახპებს, რომ ყველანაირი სიამოვნება ჩაგშხამდება.

ვახომ ხელები გაშალა.

– ვა, შენ ვინ ყოფილხარ?! ყოჩაღ შენს ქმარს! ახლა ვხვდები, რატომ გამოგიშვა სამოგზაუროდ მარტო.

– ვერა, ვერ ხვდები, – ლიზამ ენა გამოუყო, – კაცები ძალიან მიუხვედრელები ხართ. თქვენი მოტყუებაც ძალიან ადვილად შეიძლება.

– მე არ ვატყუებ ჩემს ქმარს, – თავი გამოიდო ქეთიმ.

– არ ატყუებ, ანუ, არ გინდა მისი მოტყუება და იმიტომ. აბა, ამის სურვილი გაგიჩნდეს, შენი ქმარი ძალიან ცუდ დღეში ჩავარდება.

– მორჩა, ან მოდიხართ საყიდლებზე, ან მე სასტუმროში ვბრუნდები და შეგიძლიათ, უჩემოდ განაგრძოთ ეს „საინტერესო“ საუბარი. მე უკვე ყელამდე ვარ, ამ აბდაუბდით! – იფეთქა ვახომ.

ლიზამ მხრები აიჩეჩა და წამოდგა. თავისი უკმაყოფილება კი სკამის ხმაურით გასწორებით გამოხატა.

***



გიგიმ სავარძელი უკან გააგორა, საზურგეზე ნებივრად გადაწვა და ფეხები მაგიდაზე შემოაწყო.

– მდა, ზოგიერთ ქალს ძალიან უხდება სისულელეები და მისი კაპრიზებიც ზოგჯერ სასიამოვნოა.

ზუკამ ირონიულად გახედა.

– დაგღუპავს შენ ეგ სოციალური ქსელი და მანდ თავმოყრილი „ნაშობა“.

– ჰოო? შენ უკვე დაგღუპა, არა? პირადი გამოცდილება მაინც სხვაა. მართლა, სად არის შენი „დამა“. რაღაც საეჭვოდ მშვიდად ხარ.

– ქვებს როდის ვისროდი? ნუ იცი შენ ადამიანის ნერვებზე თამაში. სამოგზაუროდ წავიდა.

– ვაუ, მერე, რატომ თან არ წაგიყვანა? არ დაიმსახურე, თუ „საგარეო“ საქმეებისთვის ქმარი ჰყავს.

– საწყალი ნინი, ნეტავი, როგორ გიძლებს! – გულწრფელად შეიცოდა ზუკამ გოგო.

გიგიმ გაიცინა.

– სხვათა შორის, მეც მაგას ვეუბნები ხოლმე.

– მერე, რას გპასუხობს?

– რა უნდა მიპასუხოს, ვუყვარვარ. სიყვარული კი, მოგეხსენებათ, ბრმაა.

კარი გაიღო და ოთახში თიკომ შემოყო თავი.

– ბიჭებო, ის ტიპი მოვიდა, ჩვენი ახალი კლიენტი. თქვენი ნახვა უნდა. რა ვქნა?

– მდაა, გოგო, თუ ჩვენი ნახვა უნდა, რაღას გვეკითხები, პირდაპირ შემოიყვანე.

– რა ვიცი მე, იქნებ, რაზე ლაპარაკობდით აქ, – გაცხარდა თიკო და კარი გაიჯახუნა.

– რაც ვახო წავიდა, ამან სულ აიწყვიტა, – ამოიოხრა გიგიმ, – ძალიან გაუტკბათ, ხომ იცი, მოგზაურობა. საერთოდ, რა „პონტია“ ცოლთან ერთად ევროპაში მოგზაურობა.

– ძალიან კარგი „პონტია“, მაგრამ შენ ამას ვერ გაიგებ. მორჩი ახლა, შემოვიდა ის კაცი.

ოთახში საშუალო სიმაღლის, თმაშევერცხლილი, ძვირფას კოსტიუმში ჩაცმული, სანდომიანი გარეგნობის მამაკაცი შემოვიდა და ღიმილით მიაჩერდა გიგის. გიგიმაც გაუღიმა და მაგიდის ქვეშ ფეხი გამეტებით წასცხო ზუკას, არიქა, ამ ტიპის სახელი შემახსენეო.

– მობრძანდით, ბატონო ლევან, დღეს არ გელოდებოდით. პრობლემაა რამე?

– არა, არა... ძალიან კმაყოფილი ვარ თქვენი მუშაობით. უბრალოდ, მინდოდა, უფრო ახლოს გაგვეცნო ერთმანეთი... თქვენს უფროსთან ერთად, ვახო ჰქვია, ხომ? ჩემს რესტორანში გეპატიჟებით ყველას.

გიგიმ და ზუკამ ერთმანეთს გადახედეს.

– ბატონი ვახო თბილისში არ იმყოფება, – თქვა ზუკამ, – ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ, თუ გნებავთ, მის ჩამოსვლას დაველოდოთ.

კაცი ცოტა შეყოყმანდა... მაგრამ, მალევე მიიღო გადაწყვეტილება.

– ბატონი ვახო რომ ჩამოვა, მერე კიდევ ერთხელ შევიკრიბოთ. ახლა კი, ჩვენ წავიდეთ.

– ახლა?

– თუ საქმე გაქვთ, გვიან იყოს. დაგელოდებით.

– არა, ისეთი საქმეც არაფერი გვაქვს... – ზუკამ გიგის შეხედა, რომელმაც მობილური ჯიბეში ჩაიტენა და კომპიუტერს ეცა გამოსართავად.

– მაშინ, წავიდეთ. ის გოგონაც წამოიყვანეთ.

– თიკო? – ეჭვით იკითხა გიგიმ.

– ჰო. თუ გყავთ თანამშრომელი ვინმე, ისიც. ყველას გეპატიჟებით.

– დღეს მარტო ჩვენ ვართ სამსახურში, ანუ ჩვენ სამნი თუ წამოვალთ, თითქმის სრული შემადგენლობა ვიქნებით.

– ძალიან კარგი. ქვემოთ დაგელოდებით, მანქანასთან. შეგიძლიათ, თქვენი მანქანები სადგომზე დატოვოთ. დავლიოთ ცოტა. სახლებში ჩემი მძღოლი მიგიყვანთ.

თიკომ გაოცებით დაახამხამა წამწამები.

– მეც დამპატიჟა? მართლა?

– ჰო, რა იყო? პაემანზე კი არ გეპატიჟება. როგორც ჩვენი ოფისის თანამშრომელს, პატივი უნდა რომ გცეს.

– უნდა წამოვიდე?

– ეგ უკვე შენი გადასაწყვეტია. ოღონდ, დროზე მოიფიქრე, რას იზამ. დიდხანს ნუ ვალოდინებთ იმ კაცს, სირცხვილია.

– წამოვალ. ორი წუთი მჭირდება. მაკიაჟს დავიმატებ. აქაურობას მოვაწესრიგებ და მოვდივარ.

გიგი დაიღრიჯა.

– ვიცი, მე შენი ორი წუთი. დროზე ქენი ახლა, დროზე...

თიკომ ხელი ჩაიქნია, „კოსმეტიკას“ დასწვდა და საპირფარეშოში შევარდა.

– აუ, ამის კეკლუცობას რა გაუძლებს სუფრასთნ, – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა გიგიმ.

– ბიჭო, უხერხული ხომ არ არის, რომ მივდივართ? – ჰკითხა ზუკამ.

– აუ, ახლა შენ დაიწყე კიდევ... გამოადგი ფეხი, თუ ძმა ხარ...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# აპატიე, კარგად იქნები!

*პატიება ყველაზე დასაფასებელი და სასარგებლო უნარია; მით უმეტეს, როგორ შეიძლება, პატიების სურვილი არ გაგიჩნდეს, თუ ადამიანი გიყვარს და ის შენთვის ძვირფასია?!*

**1. მეგობარს პირადული პრობლემები აქვს და ძალიან ხშირად გირეკავთ:**

ა) ძალიან გავბრაზდები, რომ მაწუხებს;

ბ) ყოველთვის მოვუსმენ;

გ) თუ შემიძლია, დავეხმარები.



**2. როდისმე დიდ რიგში ვინმე თქვენზე წინ გაგიტარებიათ?**

ა) არავითარ შემთხვევაში;

ბ) ფეხმძიმე ქალი – კი;

გ) თუ ზრდილობიანად მთხოვს, გავატარებ.

**3. თქვენს ოჯახში (ვგულისხმობ პარტნიორს) პირველად ვინ დგამს ნაბიჯს პატიებისკენ?**

ა) რა თქმა უნდა, ყოველთვის მე;

ბ) გააჩნია, ვინ არის დამნაშავე;

გ) როგორც წესი, მამაკაცმა უნდა დათმოს.

**4. კონფლიქტურ სიტუაციაში ვისი იმედი გაქვთ?**

ა) არავის იმედი არ მაქვს. შეიძლება, მეგობართან წავიწუწუნო;

ბ) მხოლოდ საკუთარი თავის. თან არავინ გადაგყვება;

გ) ოჯახის წევრების.

**5. როცა აუცილებელი ხდება, იცრუოთ, გაწუხებთ სინდისი?**

ა) თუ უწყინარი და აუცილებელი ტყუილია – არა;

ბ) პრაქტიკულად, ყოველთვის;

გ) პრინციპში, არა.

**6. როცა პარტნიორს სამსახურში პრობლემები აქვს; როცა ყვირის, ყველა წვრილმანზე გეკამათებათ და ჭირვეულობს...**

ა) მშვიდად ვითმენ;

ბ) ვცდილობ, გავუგო და როგორმე დავამშვიდო;

გ) სკანდალისტი სკანდალით უნდა დაამშვიდო.

**7. საინტერესო გადაცემას უყურებთ, ბავშვს კი სხვა არხზე გადართვა და მულტფილმის ყურება უნდა:**

ა) ბავშვმა უყუროს, არ არის პრობლემა;

ბ) ავუხსნი, რომ ჯერ ჩემი ინტერესებია პრიორიტეტული;

გ) გააჩნია, როგორ განწყობაზე ვიქნები.

### ტესტის გასაღები

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 1 | 1 | 5 | 5 | 3 | 5 | 5 |
| ბ | 5 | 3 | 3 | 1 | 1 | 3 | 1 |
| გ | 3 | 5 | 1 | 3 | 5 | 1 | 3 |

### დაითვალეთ ქულები:

*7-23 ქულა: არასდროს არანაირ დათმობაზე არ მიდიხართ. თქვენთვის ბოდიშის მოხდაც კი მიუღებელია. თუ ჯერ კიდევ არ გაქვთ მძიმე ხასიათის მქონე პიროვნების რეპუტაცია, ეს მხოლოდ და მხოლოდ თქვენი ახლობლების დამსახურებაა. მათ ისეთი უყვარხართ, როგორიც ხართ, მაგრამ, თუ პატიებას არ ისწავლით, საფრთხე იმისა, რომ მარტო დარჩებით, რეალურია.*

*24-35 ქულა: მზად ხართ, ყველას ყველაფერი აპატიოთ, ოღონდ კი არ იჩხუბოთ და არ გეჩხუბონ. გიყვართ სიმშვიდე, მაგრამ, ეს არც ისე კარგია, თუ გავითვალისწინებთ იმას რომ ანგარიშს არავინ გიწევთ. მოძებნეთ „ოქროს შუალედი“.*

## ნივთების ევოლუცია



იქნებ ფიქრობთ, რომ მაცივარი თანამედროვეობის მონაპოვარია? – სულაც არა. მას იმაზე შთამბეჭდავი ისტორია აქვს და იმაზე გაცილებით ხანდაზმულია, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ. პირველ მაცივრებს ჯერ კიდევ 1643 წელს ამზადებდნენ ჩინეთში წითელი ხისგან. შიგნით ყინულის დიდ ლოდებს აწყობდნენ, რომელთაც საგანგებოდ ეზიდებოდნენ ჩინეთის მთიანი რეგიონებიდან.

1928 წელს ლითონისგან დამზადებული პირველი მაცივარი გაჩნდა ამერიკაში. ის მოღუნულ, მაღალ ფეხებზე იდგა და მანქანის ძრავაზე მუშაობდა.

1971 წელს შვეიცარიაში პირველად დაამზადეს თანამედროვე ტიპის მაცივარი ლითონისა და პლასტმასისგან. გაცივების ეფექტისთვის კომპრესორი გამოიყენეს.

2012 წელს იაპონიაში პირველი ფოლადის მაცივარი დაამზადეს, ულტრათანამედროვე თერმოელექტრონული გაცივების მექანიზმით.

## ძვირი, ვიდრე ალმასი

ზურმუხტები – სილამაზე შერწყმული ფუფუნებასთან... ეს საკმაოდ იშვიათი ძვირფასი ქვაა, რომელიც გაცილებით ძვირია, ვიდრე ალმასი...



ზურმუხტი ბერილიუმის გამჭვირვალე ვარიანტია, მწვანე-ბალახისფერი შეფერილობით... მაღალი ხარისხის ზურმუხტი ლამის შეუფასებელია. რამდენიმე ერის კულტურაში ის წმინდა ქვად არის აღიარებული. ძველად მიაჩნდათ, რომ ზურმუხტი ადამიანს იცავს ღალატისგან, იპოქონდრიისა და სევდისგან; არიდებს ცუდ სიზმრებს; ასევე, ფარდას ხდის საიდუმლოს. ყველაზე ძვირფასი ზურმუხტები ამოღებულია წითელი ზღვიდან, ზუსტად იმ ადგილიდან, სადაც კლეოპატრას სამშობლოა. ისინი თითქმის არ საჭიროებდნენ დამუშავებას.

* ტაილანდში არის ყველა ბუდისტის წმიდათაწმიდა სალოცავი – ზურმუხტის ბუდა. სინამდვილეში, ბუდა სულაც არ არის ზურმუხტისგან გამოთლილი. 66 სანტიმეტრი სიმაღლის სტატუეტი, რომელიც „ლოტოსის“ პოზაში ზის, მთლიანად ნეფრიტისგან არის გამოთლილი. ბუდას ასაკი დღემდე არ არის ზუსტად დადგენილი. ამ ბუდამ ბევრი ადგილი გამოიცვალა: ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში იყო ინდოეთში, მერე გადაიტანეს შრი-ლანკაში, იქიდან – კამბოჯაში, ბოლოს – სიამში, 1782 წლიდან კი ბინა ტაილანდში დაიდო. ბუდისტებისთვის ის ზურმუხტისაა.

* ინკების დროინდელ ერთ-ერთ ტაძარში ინახება უზარმაზარი, სირაქლემას კვერცხის ზომის ზურმუხტი, რომელიც სამ კილოგრამს იწონის. ზურმუხტს ინკები ღვთაება უმინას განსხეულებად მიიჩნევდნენ და თაყვანს სცემდნენ მას. ესპანელებმა, მიუხედავად დიდი სურვილისა, ზურმუხტი ხელში ვერ ჩაიგდეს. ის ისე ოსტატურად გადამალეს ტაძრის ქურუმებმა, რომ ჯერაც არ არის ნაპოვნი. ამიტომაც, დღემდე ჩვენთვის ცნობილ ყველაზე დიდ, დაუმუშავებელ ზურმუხტად მიჩნეულია 1970 წელს უკრაინაში ნაპოვნი ძვირფასი ქვა. მისი მასა 5 360 გრამია (ანუ, 26 800 კარატი). ეს უნიკალური ზურმუხტი მუზეუმში ინახება.

* ვენის მუზეუმში შეგიძლიათ, ნახოთ კოსმეტიკის შესანახი ჭურჭელი, რომლის სიმაღლე 10 სანტიმეტრია და იწონის 536 გრამს (2 681 კარატი). ის დამზადებულია მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეების მიჯნაზე. მილანელი გრავიურის ოსტატის – დიონისიო მოზერონის მიერ. მას „კოლუმბიური ზურმუხტი“ ეწოდება.

* საინტერესოა ერთი ზურმუხტის ისტორია, რომელმაც „მოპარულის“ სახელწოდება მიიღო: ეს ძვირფასი ქვა იპოვეს 1881 წელს, ჩრდილოეთ კაროლინაში. იწონის 1 270 კარატს და ინახებოდა სმიტსონის ინსტიტუტში, საიდანაც მოიპარეს. სავარაუდოდ, დღეს რომელიმე კერძო კოლექციაშია. შეფასებულია მილიონ ევროდ.

* ცნობილია, ასევე, ზურმუხტი „მონღოლი“ (217,8 კარატი). ეს საოცარი შეფერილობის ზურმუხტი აღმოაჩინეს კოლუმბიაში, მეჩვიდმეტე საუკუნეში. მეოცე საუკუნეში ის ისევ გამოჩნდა ბაზარზე. ზურმუხტზე ამოკვეთილია წარწერა – მუსლიმანური ლოცვები ორნამენტით.

* 1992 წელს სოფელ მალიშევოს მაღაროებში იპოვეს ერთ-ერთი უმსხვილესი ზურმუხტი – წონით 1,2 კილოგრამი. ელცინის პატივსაცემად მას „პრეზიდენტი“ ეწოდა და რუსეთის ფედერაციის საკუთრებაა.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძე**

# მკვლელის შეცდომა

## ფრენსის ლოკრიჯი

რონინ ბიდი ორი დღის წინ გაიქცა ციხიდან და პოლიციელები მას ამაოდ ეძებდნენ. უესტჩესტერის საგრაფოს მცხოვრებლები დაზაფრულები იყვნენ შიშით. საშიში დამნაშავე, ცივსისხლიანი მკვლელი, მათ სიახლოვეს თავისუფლად დასეირნობდა, თანაც, უკვე მოასწრო, მოეკლა ორი ადამიანი. რონინ ბიდს ვერც სულით ავადმყოფად მიიჩნევდნენ, ვერც მთლად ნორმალურად. პრობლემა ის იყო, რომ, შეიძლება, კიდევ მოეკლა ვინმე. პირველი მსხვერპლი ბოსტნეულით მოვაჭრე იყო, რომელმაც სატვირთო ავტომობილი გაუჩერა. აბა, რა იცოდა, მანქანაში ვის ისვამდა. მეორე მსხვერპლი 17 წლის გოგონა გამოდგა, რომელსაც რონინი სახლში შეუვარდა. შეიძლება, იქ საკვებისთვის შევიდა, მაგრამ, გოგოს გადააწყდა, შეეშინდა და მოკლა, ან, სულაც, რაღაცამ გააღიზიანა. პოლიცია ამაზე უფრო მის დაჭერაზე ფიქრობდა. ავტომობილში მკვლელმა თითების ანაბეჭდები დატოვა. აი, გოგონას შემთხვევაში კი, მისი ბრალეულობის დამტკიცება გართულდება. ქალიშვილი მაუნტკისკოში მოკლეს – განმარტოებით მდგარ სახლში. პოლიცია იქვე ახლოს, ბიდების საგვარეულო ფერმასთან ჩასაფრდა. ძველისძველ, დაფხავებულ სახლში რონინის დედა ცხოვრობდა. მან არაფერი იცოდა შვილის შესახებ. პოლიცია მაინც იცდიდა... გამოძახება დღის ხუთის ნახევარზე მივიდა. საპატრულო მანქანამ, რომელსაც სერჟანტი ჩარლზ ფორნირი მართავდა, სასწრაფო სიგნალი მიიღო, მანქანა შემოაბრუნა და შემთხვევის ადგილისკენ გაქანდა... მან იცოდა გზა. ფრანკლინებს იმ არემარეში თითქმის ყველა იცნობდა – არტურ ფრანკლინი ქალაქის საბჭოში მუშაობდა და, ასევე, ადგილობრივ ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა. მისმა ცოლმა, მარტამ, მებაღეობის სკოლა დააარსა. დაუჯერებელი იყო, რომ უბედურება სწორედ ამ მშვიდ და წესიერ ადამიანებს დაატყდათ თავს. საუკუნოვანი ხეებით გარშემორტყმული სახლი კლდოვანი სანაპიროს კიდეში იდგა. შეიძლება, სწორედ ამიტომაც მივიდა იქ მკვლელი. სახლის კარი ბოლომდე ღია იყო, სახელური და საკეტი კი მოგლეჯილი ჰქონდა. პატარა შემოსასვლელში, ფეხსაცმელების შესანახ ყუთზე იჯდა არტურ ფრანკლინი. მას ხელისგულები მუხლებზე დაეწყო, მზერა იატაკისკენ ჰქონდა მიმართული და თავისთვის ბუტბუტებდა:

– მან ის მოკლა... აი, ისე... უბრალოდ... ყოველგვარი მიზეზის გარეშე... თუ რამე უნდოდა, ეთქვა და ყველაფერს მივცემდით... დაუნანებლად... მან კი მოკლა... ეს, ალბათ, ის იყო, ხომ? რონინ ბიდი...

არტურ ფრანკლინი დაახლოებით 40-43 წლის კაცი იყო, საკმაოდ კარგი აღნაგობის, სიმპათიური... შორტი და ლურჯი მაისური ემოსა... ხელები მიწიანი ჰქონდა.

მარტა ფრანკლინის გვამი სასტუმრო ოთახში, მარმარილოს ბუხრის წინ ეგდო სისხლში მოსვრილი... ქმარზე შვიდი თუ რვა წლით იყო უფროსი... მბრძანებლური იერი სიკვდილის მერეც შერჩენოდა...

– ბაღში ვმუშაობდი, პომიდორს ვუვლიდი – ხშირად უნდა მოაშორო ზედმეტი ფოთლები და ძირშიც მიწა გაუფხვიერო... მოკლედ, ბაღში ვიყავი-მეთქი. ადრიანად მიყვარს მუშაობა... სანამ იპოვით, კიდევ რამდენ ადამიანს მოკლავს?

– ვინ? – იკითხა ინსპექტორმა, თან სახლის თვალიერებას განაგრძობდა.

– ის მანიაკი...

– რონინ ბიდზე ამბობთ? რატომ გგონიათ, რომ თქვენი ცოლი მან მოკლა?

– აბა, სხვამ ვინ? ჩვენ მტრები არ გვყავდა.

– ბაღში მუშაობისას არაფერი დაგინახავთ ან გაგიგონიათ?

– გასროლის ხმა გავიგონე. თითქოს ვიღაცამაც გაირბინა მინდორში. ყურადღება არ მიმიქცევია. ვიფიქრე, ვიღაც მწყერებზე ნადირობს-მეთქი. როგორ წარმოვიდგენდი, თუ მანიაკი მარტას მოკლავდა.

– ეს ჯერ მხოლოდ ვარაუდია.

– რა არის ვარაუდი? – ფრანკლინმა სახეზე მოისვა ხელი და ლოყაზე ჭუჭყიანი კვალი დატოვა.

– ის, რომ თქვენს მეუღლეს მკვლელმა მანიაკმა ესროლა.

– ამით რისი თქმა გინდათ? – არტურ ფრანკლინი შესამჩნევად აღელდა.

– იმის, რომ ჯერჯერობით მხოლოდ ზოგადი დასკვნის გაკეთება შეიძლება. თქვენ თქვით, რომ ვიღაც შენიშნეთ, იმ ადამიანმა ბოსტნის სიახლოვეს გაირბინა?

– არა. მე ვმუშაობდი. შორს იყო და, როგორც გითხარით, განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია. ზურგითაც ვიყავი. ასე რომ.... არ მესმის, რაღა გაქვთ გამოსაძიებელი. როგორც ვიცი და ამბობენ, ის ბიდი ცივსისხლიანი მკვლელია... – უცებ მისტერ ფრანკლინი შეტორტმანდა და იატაკზე უგონოდ გაიშხლართა. კაპიტანი მაშინვე მისკენ გაიქცა, გონზე მოიყვანა და ფრთხილად ჩასვა სავარძელში. მერე წყლის მოსატანად წავიდა. როცა დაბრუნდა, სახლის პატრონი ერთიანად კანკალებდა.

– მაპატიეთ... არ ვიცი, ეს როგორ დამემართა. ძალიან განვიცდი. შეიძლება, არ მეტყობა, მაგრამ, არ მიყვარს ჩემი უბედურების საჯაროდ გამოტანა. გმადლობ...

კაპიტანმა თანაგრძნობით დაუქნია თავი:

– გასაგებია. ახლა აქ საგამომძიებლო ჯგუფი და სერჟანტი მოვლენ, ანაბეჭდები უნდა ავიღოთ, გვამიც სპეციალისტმა უნდა დაათვალიეროს. თქვენ ცოტა დაისვენეთ. აი, წყალი დალიეთ.

ფრანკლინმა გაწვდილი ჭიქა ჩამოართვა. პოლიციის ჯგუფი მალევე მოვიდა. კაპიტანმა ისინი სახლში დატოვა, თვითონ კი დასათვალიერებლად გაემართა. რაღაცამ დააეჭვა და, უნდოდა, ეს ეჭვი გადაემოწმებინა. ფრანკლინების ნაკვეთი საგულდაგულოდ იყო დამუშავებული. კაპიტანმა პომიდვრის კვალთან ჩაიმუხლა, რამდენიმე ფოთოლი მოწყვიტა და საკუთარ ხელებს დასუნა, ამოიოხრა და თავი გადააქნია. სახლში რომ დაბრუნდა, მისტერ ფრანკლინი ფერზე მოსულიყო და ლაპარაკიც შეეძლო.

– ესეც ასე, მისტერ ფრანკლინ. თქვენ ეჭვმიტანილი ხართ ცოლის მკვლელობაში და უნდა დაგაპატიმროთ! – ხმამაღლა განუცხადა კაპიტანმა.

– რაო? თქვენ ხომ არ შეიშალეთ?

– სულაც არა. აი, უსუნეთ ჩემს ხელებს. მე მხოლოდ ორი ფოთოლი მოვწყვიტე, თქვენ კი მთელი დილა პომიდვრებს უვლით. ცუდად რომ გახდით და აგაყენეთ, გამიკვირდა, თქვენი ხელებიდან სპეციფიკური სუნი რომ ვერ შევიგრძენი. მეც რაღაც გამეგება მებოსტნეობაში და ვიცი, როგორი მძაფრი სუნი აქვს პომიდვრის ფოთლებს. შეცდომა მოგივიდათ მისტერ ფრანკლინ: დიდი ხანია, გინდოდათ ცოლის თავიდან მოშორება? მთელი ქონება ხომ მას ეკუთვნის... ხელსაყრელი შემთხვევაც მოგეცათ – გაიგეთ, რომ საშიში მკვლელი გაგვექცა და სადღაც აქ დაბოდიალობდა. პომიდორი რომ არა... ეჰ, მისტერ ფრანკლინ, რა მიუტევებელი შეცდომაა... ჯობდა, ლობიო გეთქვათ. მაშინ, აუცილებლად დაიძვრენდით თავს... თითქოს უმნიშვნელო შეცდომა იყო, მაგრამ, ამან დაგღუპათ...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# მკვდარი ვერსია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №7-22(648)

იპოდრომის დაცვის სამსახურის ხელმძღვანელმა მაგიდის უჯრიდან სააღრიცხვო ჟურნალი ამოიღო, ზურაბს გაუწოდა და ჰკითხა:

– ეს რაიმენაირად უკავშირდება ჩვენი თანამშრომლის მკვლელობას?

– შესაძლებელია, – უპასუხა მან და ჟურნალის თვალიერებას შეუდგა.

ჟურნალში მითითებული იყო ყველა იმ მცველის ვინაობა, რომლებიც ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მორიგეობდნენ. ზურაბის გასახარად, მთელი ამ დროის განმავლობაში მცველთა შემადგენლობა მხოლოდ ერთმა თანამშრომელმა დატოვა, დანარჩენები კი ისევ იპოდრომზე მუშაობდნენ. აქედან გამომდინარე, მათთან შეხვედრა და საუბარი სირთულეს არ წარმოადგენდა.



– სად შეიძლება თქვენს თანამშრომლებთან შეხვედრა? – ზურაბმა გვერდზე გადადო სააღრიცხვო ჟურნალი და დაცვის სამსახურის ხელმძღვანელს მიუბრუნდა.

– კონკრეტულად რომელი თანამშრომელი გაინტერესებთ? – ჰკითხა მან.

– დრო რომ არ დავკარგოთ, მოკლედ აგიხსნით ვითარებას, – უპასუხა ზურაბმა, – დაახლოებით ერთი თვის წინ იპოდრომის ავტოსადგომზე ჩხუბი მოხდა. ჩხუბში თქვენი აწ გარდაცვლილი თანამშრომელი დიმა გაბისონიაც მონაწილეობდა. მე მაინტერესებს დაცვის სამსახურის ის წევრები, რომლებიც იმ დღეს მორიგეობდნენ და ჩხუბს შეესწრნენ.

– გასაგებია, – ჩაილაპარაკა დაცვის სამსახურის უფროსმა, – მაგრამ, ამისთვის თანამშრომლების გამოძახება არ დაგჭირდებათ, იმ ჩხუბს მეც შევესწარი.

– რა შეგიძლიათ, მითხრათ მომხდარის შესახებ? – მოსასმენად მოემზადა ზურაბი.

– ეს დაკითხვაა? – ჰკითხა დაცვის სამსახურის უფროსმა.

– არა, ჯერჯერობით, უბრალოდ, ვისაუბროთ. თუ თქვენს ნაამბობში რაიმე მნიშვნელოვანი დეტალი აღმოჩნდა, ოფიციალურად დაგკითხავთ.

– კეთილი... – დაცვის სამსახურის უფროსი წამით ჩაფიქრდა და შემდეგ განაგრძო: – ის ჩხუბი უშუალოდ დიმას არ უკავშირდებოდა. ყველაფერი ერთი ჩვენი მუდმივი კლიენტის მეგობრის გამოხდომას მოჰყვა.

– მუდმივ კლიენტში დოდო კასრაძეს გულისხმობთ? – ჰკითხა ზურაბმა.

დაცვის სამსახურის უფროსმა სწრაფად გახედა და შემდეგ უპასუხა:

– დიახ... ის ტიპი დოდოს ავტოსადგომზე შეხვდა. როგორც შემდეგ თანამშრომლებმა მითხრეს, ის დაახლოებით ერთი საათი იცდიდა. ბიჭებს თავიდანვე არ მოეწონათ მისი საქციელი. აშკარად ეტყობოდა, რომ ნერვიულობდა: სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა; დროდადრო მანქანიდან გადმოდიოდა და ღობის იქიდან ათვალიერებდა იპოდრომის შიდა ტერიტორიას.

– მისი ვინაობა ხომ არ იცით?

– ვიცი. აკაკი რაზმაძე.

– რაზმაძე?! – გაუკვირდა ზურაბს. მას ადრეც სმენოდა ეს სახელი და გვარი – ორიოდ წლის წინ აკაკი რაზმაძე საქართველოში ნავთობპროდუქტების ერთ-ერთ მსხვილ იმპორტიორად ითვლებოდა. შემდეგ მისი კომპანია ფიქტიურ გარიგებებში დაადანაშაულეს. გამოძიებას სასამართლო მოჰყვა. რაზმაძესთან ერთად საბრალდებო სკამზე მისი რამდენიმე ბიზნესპარტნიორიც აღმოჩნდა. მათგან ზოგიერთს სხვადასხვა საპატიმრო ვადა მიუსაჯეს. თავად რაზმაძე და კიდევ ორი ბრალდებული კი სახელმწიფოსთან საპროცესო გარიგების საფუძველზე დარჩნენ თავისუფლებაზე. თუმცა, იმ შემთხვევის შემდეგ რაზმაძეს კომპანიამ არსებობა შეწყვიტა და მას აღარ მოიხსენიებდნენ მსხვილ ბიზნესმენთა შორის.

– დარწმუნებული ხართ, რომ ნამდვილად ის იყო? – ხანმოკლე ფიქრის შემდეგ ჰკითხა ზურაბმა.

– რა თქმა უნდა. მეც ამ ქალაქში ვცხოვრობ და რაღაც-რაღაცეებში ვერკვევი, – გაეღიმა დაცვის სამსახურის უფროსს, – რაზმაძეს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ, ვიცი, ვინც არის და ხშირადაც მინახავს აქ მოსული.

– კასრაძესთან ერთად?

– დიახ. დროდადრო მანქანით მოჰყავდა, ზოგჯერ საღამოობით აკითხავდა. ეს რამდენიმე თვე გრძელდებოდა. შემდეგ ის თითქმის წელიწად-ნახევრით გაქრა, ერთი თვის წინ კი ისევ გამოჩნდა, – უპასუხა დაცვის სამსახურის უფროსმა.

– ჩხუბის მიზეზის შესახებ რა იცით? – გამოკითხვა განაგრძო ზურაბმა.

– იმაზე, თუ რა მოხდა დოდოსა და რაზმაძეს შორის, ვერაფერს გეტყვით. როგორც ბიჭებმა მითხრეს, ის ავტოსადგომზე დახვდა დოდოს, ხელი მხრებში სტაცა, ანჯღრევდა და რაღაცას უყვიროდა. ვიდრე დაცვის სამსახური რამეს მოიმოქმედებდა, ავტოსადგომზე დიმა გამოჩნდა. მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა დოდოსთან და ბუნებრივია, მისი დახმარება გადაწყვიტა. რაზმაძე არ შეეპუა და ლანძღვა-გინებით მოუქნია მუშტი. დიმამაც არ დაუთმო – რაზმაძე სცემა და მანქანაში ჩატენა.

– თქვენ სად იყავით იმ დროს?

– ზუსტად იმ დროს მივედი ავტოსადგომზე, დაცვის ბიჭებს დიმა გაკავებული რომ ჰყავდათ, რაზმაძე კი უკვე მიდიოდა.

– რაზმაძე გაბისონიას ემუქრებოდა?

დაცვის სამსახურის უფროსი ჩაფიქრდა და შემდეგ უპასუხა:

– სიმართლე გითხრათ, არ მსიამოვნებს ეს საუბარი, მაგრამ, ტყუილსაც ვერ გეტყვით – ემუქრებოდა. რამდენჯერმე შეაგინა დაძრული მანქანის ფანჯრიდან და დაემუქრა, რომ ძალიან მალე და ძალიან მწარედ ანანებდა ამ დღეს.

– როგორ იქცეოდა ამ დროს გაბისონია? – ჰკითხა ზურაბმა.

– გაცოფებული იყო. ბიჭები გაჭირვებით აკავებდნენ. მეც გამალიზიანა რაზმაძის საქციელმა. დაძრული მანქანიდან გინება არავინ ჩაუთვალა დიდ ვაჟკაცობად.

– მუქარაზე რას იტყვით? თქვენი აზრით ანგარიშგასაწევი იყო მისი ნათქვამი?

– რა გითხრათ... – მხრები აიჩეჩა დაცვის სამსახურის უფროსმა, – საერთოდ ქართველებს გვახასიათებს ასეთი მუქარები. რომელი ჩხუბი გინახავთ სიტყვების ბაქი-ბუქის გარეშე – მოგკლავ! დაგკლავ! ჩემი ხელით გაგითხრი საფლავს!.. მოკლედ რომ ვთქვა, თავადაც ხვდებით, რასაც ვგულისხმობ. მაგრამ, იმ დღეს რაზმაძის მზერაში რაღაც სხვაც დავინახე. იშვიათად მინახავს ასე გაშმაგებული ადამიანი. დიმას მორევის



## გია და დეიკო თოდუების გახსენება

„მე არ მოვმკვდარვარ, გარდავიცვალე, უსასრულობის შევცურე ზღვაში... მე მხოლოდ ბინა გამოვიცვალე, დედამიწიდან გავფრინდი ცაში. მე არ მოვმკვდარვარ, გარდავიცვალე, ვიცი, დავწყვიტე უამრავს გული, მაგრამ მე მხოლოდ სახე ვიცვალე – თქვენში ჩავტოვე მე ჩემი სული“... 4 ივნისს შესრულდება 7 წელი, რაც გია და დეიკო ჩვენთან აღარ არიან. კიდევ ერთხელ მოვალთ თქვენთან, მოგეფერებით და ვილოცებთ:

ღმერთო, მიეცი მარადიული სასუფეველი და განათე მათი სულები!..

**ოჯახი**

იმედი რომ ჰქონოდა, დარწმუნებული ვარ, იქვე გაგლეჯდა შუაზე.

– გაბისონიასთან თუ ისაუბრეთ მომხდარის შესახებ? – განაგრძო ზურაბმა.

– რა თქმა უნდა. ინციდენტი იპოდრომის ტერიტორიაზე მოხდა და, მე, როგორც დაცვის სამსახურის უფროსი, ვალდებული ვიყავი, გარკვეული რეაგირება მომეხდინა. თუმცა, მეც არ ვამტყუნებდი დიმას. მის ადგილას მეც იმავეს მოვიმოქმედებდი. დოდო ჩვენი მუდმივი კლიენტია, მას ყველა ვიცნობთ. მაგრამ, ამასაც არა აქვს მნიშვნელობა. უბრალოდ, ის იყო ქალი, რომელსაც მამაკაცი დაესხა თავს, დიმამ კი ის დაიცვა. იპოდრომის ხელმძღვანელობამ მადლობაც კი გადაუხადა მას.

– მას შემდეგ რაზმაძე იპოდრომზე აღარ მოსულა?

– არა, მას შემდეგ ის აღარ მინახავს... – სულ ეს არის. შეგიძლიათ, ჩემს თანამშრომლებსაც გაესაუბროთ, მაგრამ, გარწმუნებთ, ამაზე მეტს ისინიც ვერ გეტყვიან.

– არ არის საჭირო, ჩემთვის ყველაფერი გასაგებია. გმადლობთ.

– ოფიციალურად როდის დამკითხავთ? – ჰკითხა დაცვის სამსახურის უფროსმა.

– ჯერჯერობით ვერ ვხედავ ამის საჭიროებას, – უპასუხა ზურაბმა და სააღრიცხვო ჟურნალი დაუბრუნა.

* * *

აკაკი რაზმაძის მეუღლე, მაკა, 30-32 წლის იქნებოდა. ის დაბალი, გამხდარი ქალი იყო. ტანთ მოზარდი გოგონასთვის შესაფერისი მინი-ქვედაბოლო და მოკლე მაისური ეცვა. მან ჯერ ყურადღებით შეათვალიერა ზურაბი და შემდეგ ჰკითხა:

– ვინ ბრძანდებით?

ზურაბმა პირადობის მოწმობა უჩვენა. მისდა გასაოცრად, დიასახლისს არ გაჰკვირვებია კრიმინალური პოლიციის ხელმძღვანელის სტუმრობა. მან გულგრილი იერით ჩახედა პირადობის მოწმობას და ჰკითხა:

– რა გნებავთ?

– აკაკის ნახვა მინდა. შინაა?

– არა... შინ არ ბრძანდება, – გაღიზიანებული ტონით უპასუხა მაკამ.

– სად შეიძლება მისი ნახვა? – განაგრძო ზურაბმა, – ოფისში უკვე ვიყავი, მაგრამ, იქ არავინაა.

– რა საქმე გაქვთ აკაკისთან? ისევ რამე ავანტიურაში გაება თუ ვინმე მოკლა?

– არა, მსგავსი არაფერი მომხდარა. უბრალოდ, მასთან საუბარი მსურს.

მაკამ ყურადღებით შეათვალიერა სტუმარი და მერე თქვა:

– სახლში შემობრძანდით, იქნებ მე შევძლო თქვენი დახმარება.

დიასახლისმა სასტუმრო ოთახში შეიყვანა ზურაბი და დივანზე დაჯდომა შესთავაზა, თავად კი მის პირისპირ ჩამოჯდა, სიგარეტს მოუკიდა და ლაპარაკი განაგრძო:

– სულელი არ ვარ და ვხვდები, რომ უბრალოდ სასაუბროდ შინ არ მოაკითხავდით აკაკის. რაშია საქმე, რამე დანაშაული ჩაიდინა?

– მისთვის რამდენიმე კითხვის დასმა მინდა, – უპასუხა ზურაბმა.

– ესე იგი, მისით ისევ ინტერესდება პოლიცია და, ალბათ, პროკურატურაც, – დაასკვნა მაკამ.

– მისი განსაკუთრებული ინტერესი რომ მქონდეს, მე კი არ მოვიდოდი, ჩემს თანამშრომლებს გამოვგზავნიდი, რომლებიც თქვენს მეუღლეს სამმართველოში მოიყვანდნენ.



– ახლა უკვე გასაგებია მისი გაქრობის მიზეზი. მე კი მეგონა, ისევ იმ ძუკნასთან გადაბარგდა! – გულგრილად ჩაილაპარაკა მაკამ.

– რას გულისხმობთ გაქრობაში? – ჩაეძია ზურაბი.

– სხვა რა უნდა თქვა კაცზე, რომელიც ორი კვირის განმავლობაში ერთხელაც არ მოვა სახლში, არ დაინტერესდება, რას საქმიანობს მისი ცოლი, როგორ არიან შვილები?!

– აკაკი ორი კვირის განმავლობაში არ გამოჩენილა? – დაიძაბა ზურაბი.

– არ გამოჩენილა, – დაუდასტურა მაკამ, – იმ კრეტინს ტელეფონითაც ვერ ვუკავშირდები, ეტყობა, ისევ შეცვალა სიმბარათი!

– პოლიციისთვის არ მიგიმართავთ? – ჰკითხა ზურაბმა.

– რისთვის? – მხრები აიჩეჩა მაკამ, – ეს პირველად არ ხდება. განსხვავება ისაა, რომ ადრე მისი გაქრობა ყოველთვის ქალებს უკავშირდებოდა, ახლა კი, ვეჭვობ, რომ პოლიციას ემალება.

– ჰქონდა საამისო მიზეზი?

– ეგ თქვენ უკეთ გეცოდინებათ, – ირონიით უპასუხა მაკამ.

– გარწმუნებთ, რომ აკაკისთან მხოლოდ სასაუბროდ მოვედი.

მაკამ ეჭვით შეხედა და შემდეგ თქვა:

– მაშინ, იმ ძუკნასთან მოიკითხეთ!

– ვის გულისხმობთ? – ჰკითხა ზურაბმა.

– მის საყვარელს... თქვენს ყოფილ კოლეგას, დოდო კასრაძეს. შემთხვევით, ხომ არ იცნობთ?

– არა, – თავი გააქნია ზურაბმა.

– მისამართი არ ვიცი, თორემ, სიამოვნებით მიგასწავლიდით. თუმცა, თქვენ ხომ პოლიციელი ხართ და არ გაგიჭირდებათ მისი ბორდელის მოძებნა – აკაკი ნამდვილად იქ იქნება. ის ყოველთვის ასე იქცეოდა. ყოველი წაკინკლავების შემდეგ იმ ბორდელს აფ-




არებდა თავს! – ბრაზით წამოისროლა მაკამ.

– თქვენ გინდათ, თქვათ, რომ აკაკის გაქრობამდე მასთან კამათი მოგივიდათ? – ჰკითხა ზურაბმა.

– კამათი ის სიტყვა არ არის, – შენიშნა მაკამ, – მიკვირს, როგორ გამასწრო სახლიდან. ყველაფერი იმ საზიზღარი ქალის გამო მოხდა. აკაკი არასდროს გამოირჩეოდა განსაკუთრებული ერთგულებით, მაგრამ, იმ ძუკნას გაცნობის შემდეგ საერთოდ შეიშალა. ჯერ იყო და თითქმის ორი თვით გადაიკარგა, შემდეგ კი ისეთი რამ გააკეთა, რასაც მისნაირი ნაძირალასგანაც კი არ ველოდი!

– რას გულისხმობთ?

– მე ძალიან გვიან გავიგე მომხდარის შესახებ, თორემ, ამის საშუალებას არ მივცემდი. იმ კრეტინმა აწყობილი, მოქმედი ბიზნესიდან გაიტანა წილი და ახალ საქმეში ჩადო! – უპასუხა მაკამ.

– სამშენებლო ბიზნესში ხომ არა? – ჰკითხა ზურაბმა.

– დიახ... საიდან იცით? – გაოცებით შეხედა მაკამ.

– ახლა მშენებლობა ყველაზე უსაფრთხო და მომგებიან ბიზნესად ითვლება. როგორც ჩემთვის ცნობილია, თბილისში ბევრი ბიზნესმენი ცდილობს ფულის სამშენებლო საქმეში ჩადებას.

– მე არ მაინტერესებს, ვინ როგორ ცდილობს თბილისში ფულის შოვნას, – ცივად შენიშნა მაკამ, – ჩემი ოჯახისთვის კი აკაკის იდიოტური წამოწყება ძალიან ცუდად დამთავრდა. ერთ წელზე მეტია, რაც იმ საქმეში ჩადო ფული და მთელი ამ დროის განმავლობაში სახლში ერთი თეთრიც არ მოუტანია. ჩემი მშობლები რომ არა, აქამდე შიმშილით ამოვწყდებოდით, მას კი საერთოდ არ ადარდებს ჩვენი მდგომარეობა. მისი გონება მხოლოდ იმ ქალითაა დაკავებული!

– იმ კომპანიის დასახელება ხომ არ გახსოვთ, რომელშიც ფული ჩადო თქვენმა მეუღლემ?

– ზუსტად არ მახსოვს. თუ არ მეშლება „ექსტრაგრუპჯორჯია" უნდა ერქვას.

– „ინტელგრუპჯორჯია" ხომ არა? – შეუსწორა ზურაბმა.

– მართალი ხართ, დიახ... ნამდვილად ასე ჰქვია, – მაკას ისევ ეჭვნარევი გაუხდა მზერა, – ესე იგი, თქვენ ესეც იცით!.. რა შარში გაეხვა ამჯერად აკაკი?!

– არა, არა, – თავი გააქნია ზურაბმა, – უბრალოდ, მე მის რამდენიმე პარტნიორს ვიცნობ, რომლებსაც საქმიანი ურთიერთობა აქვთ „ინტელგრუპჯორჯიასთან". იქნებ, თქვენც იცნობთ მათ?

– ვის გულისხმობთ? – ჰკითხა მაკამ.

– ანდრო სირაძესა და ილია ნინუას, – ზურაბი გამომცდელად ჩააცქერდა სახეში.

– სირაძე... სირაძე... ნინუა... – მაკა მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ უპასუხა: – არა, წარმოდგენა არ მაქვს, ვისზე საუბრობთ.

– არც მერაბ ინწკირველი გსმენიათ? – განაგრძო ზურაბმა.

– პირველად მესმის, – ისევ იუარა მაკამ.

– დიმა გაბისონია ხომ არ უხსენებია?

– კიდევ დიდხანს გაგრძელდება ეს უმსგავსობა? – მაკამ ბრაზით ჩაჭყლიტა სიგარეტი საფერფლეში და ზურაბს ნაკვერჩხლებივით წამონთებული თვალები მიაპყრო, – გასაგებად გითხარით, რომ წარმოდგენა არ მაქვს, სად დაწანწალებს ის არამზადა და ვისთან აქვს ურთიერთობა. ერთადერთი პიროვნება, რომლის ვინაობაც ვიცი, დოდო კასრაძეა. მასთან მოიკითხეთ აკაკი!

– დამშვიდდით... კასრაძის გარდა, ვინ შეიძლება იცოდეს მისი ადგილსამყოფელი? – ფრთხილად ჰკითხა ზურაბმა.

– თქვენ რა, ყრუ ხართ?! – იფეთქა მაკამ, – რამდენჯერ გაგიმეოროთ, რომ არ ვიცი?! რამდენიმე დღეა, მისი მშობლებიც ცდილობენ გაარკვიონ მისი ასავალ-დასავალი, მაგრამ, ამაოდ!

– კიდევ ერთ კითხვაზე მიპასუხეთ, – სთხოვა ზურაბმა, – აკაკი ისევ სარგებლობს იმ იაპონური მანქანით?

– რომელი მანქანით? – გაოცებით შეხედა მაკამ.

– კარგად არ მახსოვს, მუქი ლურჯი ფერის იყო თუ შავი.

– ასეთი მანქანა აკაკის არასდროს ჰქონია. ის საერთოდ ვერ იტანდა იაპონურ მანქანებს.

– გასაგებია, – ჩაილაპარაკა ზურაბმა და წასასვლელად ადგა, – მეტს აღარ შეგაწუხებთ. კარგად ბრძანდებოდეთ.

მაკამ გასასვლელ კარამდე მიაცილა სტუმარი, დამშვიდობებისას კი სთხოვა: იმ არაკაცს როცა შეხვდებით, გადაეცით, რომ, შეუძლია, საერთოდ აღარ მოვიდეს აქ. ამ დღეებში მის გარეშე შევიტან განცხადებას განქორწინების თაობაზეო – და ბრაზით მიხურა კარი.



ზურაბი სწრაფი ნაბიჯით დაეშვა კიბეზე. გზაში მობილური ტელეფონი მოიმარჯვა, ნიკას დაუკავშირდა და მხოლოდ ერთი ფრაზა უთხრა:

– ყველა საქმე გადადე და სასწრაფოდ მოდი „ინტელგრუპჯორჯიასთან". თხუთმეტი წუთში ოფისის შესასვლელთან ვიქნები...

* * *

თხუთმეტი წუთის შემდეგ ნიკა „ინტელგრუპჯორჯიას" მთავარ ოფისს მიუახლოვდა. გზის საპირისპირო მხარეს ზურაბის მანქანას მოჰკრა თვალი და მისკენ განაგრძო გზა. მანქანა იქვე შეაჩერა, ზურაბის მანქანაში გადაჯდა და მაშინვე საქმეზე გადავიდა.

– რა მოხდა?

– ინწკირველს სერიოზულად უნდა დაველაპარაკოთ, – უპასუხა ზურაბმა.

– ეს ასე სასწრაფოა?! – გაუკვირდა ნიკას.

– იცი, ვინ აღმოჩნდა დოდოს იდუმალი მეგობარი?

– ვინ?

– აკაკი რაზმაძე.

– ის რაზმაძე?! – გაოცებით გახედა ნიკამ.

– ჰო, სწორედ ის რაზმაძე, – დაუდასტურა ზურაბმა, – მაგრამ, ეს წვრილმანია იმასთან შედარებით, რასაც ახლა გეტყვი: დოდომ სიმართლე გითხრა – რაზმაძე მართლაც დახვდა იპოდრომთან და მასა და გაბისონიას შორის ნამდვილად მოხდა ჩხუბი. ახლა რაზმაძის სახლიდან მოვდივარ. მის მეუღლეს ვესაუბრე და, როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოს, აღმოჩნდა, რომ რაზმაძეს იგივე ურთიერთობა ჰქონდა „ინტელგრუპჯორჯიასთან", რაც სირაძესა და ნინუას.

– მაგით რისი თქმა გინდა?

– დაახლოებით ერთი წლის წინ რაზმაძემ თავისი წილი გაიტანა ბიზნესიდან და ფული „ინტელგრუპჯორჯიაში" ჩადო.

– სად არის ახლა რაზმაძე? იქნებ, ამჯერად მაინც მოვახერხოთ „ინტელგრუპჯორჯიას" აქციონერთან გასაუბრება?

– არა მგონია, ეს რომ შევძლოთ, – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ზურაბმა, – ორი კვირაა, რაც ის ოჯახის წევრებს აღარ უნახავთ.

– იმალება?! – ივარაუდა ნიკამ.

– შეიძლება. მაგრამ, ასევე, შესაძლებელია სხვა ვარიანტიც, – გახედა ზურაბმა, – საერთო სტატისტიკით თუ ვიმსჯელებთ, „ინტელგრუპჯორჯიას" ყველა აქციონერმა ცუდად დაასრულა საქმიანობა.

– ამიტომაც გინდა ინწკირველთან საუბარი?

– ბუნებრივია.

– ზურაბ, აშკარაა, რომ ინწკირველის უკან ძალიან სერიოზული ხალხი დგას, ცალკე პროკურატურაც გვტისკავს. მე არაფერი მაკავშირებს გაბისონიას საქმესთან და, ჩემი შენთან ერთად ოფისში გამოჩენა, შეიძლება, შენ წინააღმდეგ გამოიყენონ, – თქვა ნიკამ.

– ვიცი, მაგრამ, ნაცნობ ქალთან მისვლა არავის აუკრძალავს შენთვის, – თვალი ჩაუკრა ზურაბმა.

– შენ გინდა, რომ...

– მინდა კი არა, ასე სჭირდება საქმეს.

ვიდრე მე ინწკირველით ვიქნები დაკავებული, შენ დოდოს გაესაუბრები. გამორიცხულია, რომ მან არაფერი იცოდეს რაზმაძისა და ინწკირველის ურთიერთობის შესახებ. საუბარს გამოკითხვის ფორმას ნუ მისცემ, ფრთხილად შეაპარე.

– დოდო მაგას არ ჭამს, – შენიშნა ნიკამ.

– მართალი ხარ. რაც არ უნდა იყოს, პროკურატურის ყოფილი გამომძიებელია.

– რამეს მოვახერხებ... წავედით, – თქვა ნიკამ და მანქანის კარი გააღო.

...დოდო გაოცებული მზერით შეეგება მის კაბინეტში გამოჩენილ ნიკას. ერთად გატარებული ღამის შემდეგ ნიკა ტელეფონითაც კი არ დაკავშირებია და ახლა მისი ოფისში მოსვლა სრულიად მოულოდნელი იყო.

ნიკამ ლოყაზე აკოცა ქალს, მის პირისპირ ჩამოჯდა და გამომცდელად შეხედა თვალებში.

– რა მოხდა? – ჰკითხა დოდომ.

– სალაპარაკოდ მოვედი.

– გისმენ, – დოდომ გვერდზე გადადო საქაღალდე, რომელზეც ნიკას მოსვლამდე მუშაობდა.

– არც კი ვიცი, რით დავიწყო, – შუბლი მოისრისა ნიკამ, – არც მინდა და აზრიც არა აქვს შენთან მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს. ყველაფერს პირდაპირ გეტყვი და პასუხსაც პირდაპირს ველი: შენ ყველაფერი არ მითხარი!

– რას გულისხმობ?

– იპოდრომზე მომხდარ ჩხუბს.

– მე ყველაფერი გითხარი, ერთი პიროვნების ვინაობის გარდა.

– მოდი, ყველა და ყველაფერი თავისი სახელებით მოვიხსენიოთ... აკაკი რაზმაძე! – თქვა ნიკამ.

– მე მას კაკოს ვეძახდი, – მშვიდად ჩაილაპარაკა დოდომ, – ესე იგი, მაინც გაარკვიე!

– მე არა, ზურაბმა გაარკვია.

– მე ხომ გთხოვე! – წყენა დაეტყო დოდოს.

– ჩვენ შევთანხმდით, რომ შენი სახელი ოფიციალურ დოკუმენტაციაში არ მოხვდებოდა.

– შემდეგ?

– ზურაბს არავინ დაუკითხავს ოფიციალურად.

– ამაზეც მადლობელი ვარ... – დოდომ პაუზა გააკეთა და შემდეგ ჰკითხა: – რას ცვლის სახელი? ასეთი მნიშვნელოვანია შენთვის, კაკოსთან ვმეგობრობდი თუ ლექსოსთან?

– არაფერს, მაგრამ, შენ არაფერი გითქვამს რაზმაძისა და „ინტელგრუპჯორჯიას" ურთიერთობის შესახებ. იმას ხომ არ მეტყვი, რომ არაფერი იცოდი ამის შესახებ?

– რა თქმა უნდა, ვიცოდი, მაგრამ, რა მნიშვნელობა აქვს ამას? მე მამაკაცთან მქონდა ურთიერთობა და საერთოდ არ მაინტერესებდა მისი ბიზნესსაქმიანობა, – უპასუხა დოდომ.

– სხვა ვითარებაში ამას მართლაც არ ექნებოდა მნიშვნელობა, მაგრამ, შენ ხომ იცოდი, რომ „ინტელგრუპჯორჯია" იმ საქმეს უკავშირდება, რომელზეც ახლა ვმუშაობ?!

– საქმეს „ინტელგრუპჯორჯია" უკავშირდება და არა კაკო!.. რას მთხოვ, ნიკა? ყველა იმ პიროვნების მონაცემებს ხომ არა, რომლებიც, ასე თუ ისე, უკავშირდებიან ჩემს კომპანიას?! – ირონიით უპასუხა დოდომ.



– რამდენიმე კითხვაზე მაინც მოგიწევს პასუხის გაცემა.

– გააჩნია, რას მკითხავ.

– რაზმაძე შენ დააკავშირე „ინტელგრუპჯორჯიასთან"? – ჰკითხა ნიკამ.

– არა, მე კომპანიის სარეკლამო აგენტი არ ვარ.

– მაშინ, როგორ მოხვდა ის კომპანიაში?

– იმაზე თუ გიფიქრია, რომ კაკო აქ გავიცანი? – კითხვა დაუბრუნა დოდომ.

– აქ გაიცანი?! – დაიბნა ნიკა.

– რა არის ამაში უცნაური? ყველაფერი ბევრად მარტივად მოხდა, ვიდრე შენ წარმოგიდგენია. კაკო თავად დაუკავშირდა ინწკირველს. ბუნებრივია, რომ ხელშეკრულების გაფორმებას მეც ვესწრებოდი და მაშინ გავიცანი კაკო. იმას არ ვიტყვი, რომ პირველი შეხვედრისთანავე მომეწონა. სამაგიეროდ, მას მოვეწონე. შემდეგ ის ხშირად მოდიოდა ოფისში. მოდიოდა ინწკირველთან და მოდიოდა ჩემს მოსანახულებლადაც. ასე დავუახლოვდით ერთმანეთს. გავაგრძელო?..

– არ არის საჭირო, – ყრუდ ჩაილაპარაკა ნიკამ.

– კიდევ რა გაინტერესებს? – ჰკითხა დოდომ.

– რა სარგებელი მიიღო რაზმაძემ კომპანიასთან ურთიერთობიდან?

– როგორც ჩემთვის ცნობილია, არავითარი. ის იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომელშიც დანარჩენი აქციონერები.

– მარტივად რომ ვთქვათ, კომპანიაში ჩადებული ფული დაკარგა!

– ეს დროებითი მოვლენაა.

– რაზმაძე შენთან ლაპარაკობდა ამის შესახებ?

– არა. მე თავიდანვე გავაფრთხილე, რომ არ მაინტერესებდა მისი საქმიანობა და მასაც არ უყვარდა თავისი პრობლემების ჩემთან განხილვა, – დოდომ სიგარეტს მოუკიდა და შემდეგ დაამატა: – გთხოვ, ნუ მათქმევინებ იმას, რისი თქმაც არ მსურს!

– რას გულისხმობ?

დოდომ მზერა გაუსწორა და მშვიდად უპასუხა:

– გაიგე, ნიკა, მე მასთან წოლა მომწონდა და მეტი არაფერი, სხვა გრძნობა მის მიმართ არ მქონია. ერთმანეთთან ძალიან მარტივი ურთიერთობა გვქონდა. ის მამრი იყო, მე – მდედრი, მორჩა და გათავდა. სხვა რამ არ მაინტერესებდა – არც მისი საქმიანობა და არაც საბანკო ანგარიში!.. რაც გითხარი, სრულიად საკმარისია დასკვნის გამოსატანად და, მოდი, ნუღარ გავაგრძელებთ ამაზე საუბარს. მე ერთხელ უკვე გაგიწიე სამსახური, როდესაც სირაძის ხელშეკრულების ასლი მოგეცი. ამ შემთხვევაში იმავეს აღარ გავიმეორებ. მე დაქირავებული თანამშრომელი ვარ. შენ კი, თუ რამე საბუთი გჭირდება კაკოს საქმიანობასთან დაკავშირებით, ინწკირველს მიმართე! – ცივად დაასრულა დოდომ.

– რამდენი ხანია, რაც რაზმაძეს აღარ შეხვედრიხარ?

– ხომ გითხარი, რომ იპოდრომის ინციდენტის შემდეგ აღარ მინახავს.

– ტელეფონითაც არ დაგკავშირებია? – ჰკითხა ნიკამ.

– არა... რატომ მეკითხები?

– ბოლო ორი კვირის განმავლობაში რაზმაძე არავის უნახავს – ის არც თავის ოფისში გამოჩენილა და არც სახლში მისულა. მას ტელეფონითაც ვერ უკავშირდებიან!

– ამაში ვერაფერს ვხედავ უცნაურს. კაკო მუდამ ეძებდა თავშესაფარს. ეჩვენებოდა, რომ მისი არ ესმით და ისეთი ადამიანის გვერდით ყოფნას ცდილობდა, რომელიც მას მოუსმენდა. როდესაც ცოლს წაეჩხუბებოდა, ჩემთან გამორბოდა. ჩემთან კარგად გრძნობდა თავს – მე ხომ თავს არ ვაბეზრებდი ჩემი პრობლემებით. ახლა მეც წამეჩხუბა და, ვინ იცის, ვისთან გამონახა დროებითი თავშესაფარი, – უპასუხა დოდომ.

– შენ ფიქრობ, რომ ის შეგნებულად არიდებს თავს ნაცნობებსა და ოჯახის წევრებს?

– კი არ ვფიქრობ, დარწმუნებული ვარ. კიდევ გაინტერესებს რამე?

– არა, – უპასუხა ნიკამ, ფეხზე ადგა და კარს მიუბრუნდა.

– მოიცადე, – სწრაფად დაადევნა დოდომ.

ნიკა შემობრუნდა.

– საღამოს მოხვალ ჩემთან?

– არ შემიძლია, – მცირე პაუზის შემდეგ უპასუხა ნიკამ.

– შენი უარი იმ ქალს უკავშირდება თუ კაკოს? – ნაწყენი ხმით ჰკითხა დოდომ.

– სამუშაოს! – მოკლედ უპასუხა ნიკამ და ოთახიდან გავიდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**პოპულარულმა პროექტმა „მის საქართველომ", რომელიც „იმიჯ ცენტრის" ეგიდით წელს მეთერთმეტედ ჩატარდება, სტარტი უკვე აიღო. პროექტი, რომელიც წლიდან წლამდე უფრო და უფრო მასშტაბური ხდება და ძალიან ბევრ გოგონას უხსნის გზას წარმატებული მომავლისკენ, ივლისის ბოლოს ჩატარდება. „იმიჯ ცენტრის" ხელმძღვანელს, ია კიწმარიშვილს „მის საქართველოს" სამზადისსა და პროექტის კადრს მიღმა დარჩენილ ისტორიებზე ვესაუბრეთ.**

# რას ვერ იშორებს ია კიწმარიშვილი წარსულიდან და რა გამოცდებს უწყობს მას ცხოვრება

**ია კიწმარიშვილი:** კონკურსანტების რეგისტრაცია დაწყებულია და გასტანს 20 ივნისამდე. წელს გამარჯვებულისთვის, როგორც შარშან, მთავარი პრიზი კვლავ იქნება „ტოიოტა რავ 4", რომელიც კიდევ უფრო ახალი და უკეთესი მოდელია. 21 ივნისს ჩატარდება ქასთინგი, სადაც შევარჩევთ 20 გოგონას. ისინი გააგრძელებენ ბრძოლას „მის საქართველოს" ტიტულის მოსაპოვებლად, რომლის ჩატარებაც დაგეგმილია ივლისის ბოლოსთვის. გამარჯვებულს ექნება დრო, მოემზადოს „მის მსოფლიოსთვის", რომელიც ჩატარდება სექტემბერში, ინდონეზიაში, ჯაკარტაში. „მის საქართველო 2013-ს" წელს მეთერთმეტედ ჩავატარებთ. „იმიჯ ცენტრი" ახორციელებს რამდენიმე პროექტს, რომელთა შორის ყველაზე პოპულარული და ყველაზე ხანდაზმული მაინც „მის საქართველო" რჩება. პირადად მე ისეთი განცდა მაქვს, რომ მთელი ცხოვრება ამ პროექტს ვაკეთებ, რადგან, მეც და ჩემი თანამშრომლებიც მთელ სულსა და გულს ვდებთ ამ პროექტში. ვინც მიცნობს იცის, რომ განსაკუთრებული პასუხისმგებლობით გამოვირჩევი და საქმეში ყველა დეტალის მიმართ საფუძვლიანი მიდგომა მაქვს.

**– ამის მიუხედავად, „მის საქართველო" სკანდალებს მაინც ვერ აღწევს ხოლმე თავს. ოპონენტები იმასაც ხშირად გსაყვედურობენ, რომ ქართული სილამაზის თქვენებურ სტანდარტს ქმნით.**

– ამ სფეროში მე არ ვარ გამონაკლისი. მსგავს პროექტებს, მით უმეტეს – სილამაზის კონკურსებს, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ აკლია მსგავსი „ფიარი", თუმცა, ჩემმა გამოცდილებამ ერთი რამ მასწავლა: მე უნდა ვაკეთო ჩემი საქმე კეთილსინდისიერად და, რაც მოსახდენია, მოხდეს. როცა შენ კეთილსინდისიერად აკეთებ შენს საქმეს, ბოლო ყოველთვის კეთილია, ის ეგრეთ წოდებული სკანდალებიც, ამიტომაც არის ხოლმე მოკლევადიანი. თავიდან მსგავს ისტორიებზე ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ ახლა ვიცი, რომ, რაც უნდა დიდი მონდომებით აკეთო ეს პროექტი, ეს ის საქმეა, რომელშიც მსგავსი სკანდალებისგან ბოლომდე ვერასდროს ვერ დაიზღვევ თავს. ოპონენტებისგან მე ისიც გამიგია, ია კიწმარიშვილი თავისნაირებს ირჩევსო, მაგრამ, ამდენი წლის გამოცდილება, მგონი, არ უნდა აძლევდეთ ამის თქმის საშუალებას ***(იცინის).*** კანისა და თვალის ფერი არასდროს არაა გადამწყვეტი. ჩვენ ვცდილობთ, კომპლექსური მიდგომით ავირჩიოთ ყველაზე ღირსეული გოგონა. იმას აუცილებლად ვიტყვი, რომ პროექტი ყოველწლიურად უფრო და უფრო პოზიტიური და პოპულარული ხდება – ამას მე თავადაც ვამჩნევ; ვამჩნევ გოგონების ნაკადით, საზოგადოების დამოკიდებულებით. კონკურსზე წლიდან წლამდე უფრო და უფრო უკეთესი გოგონები მოდიან და ეს არცაა გასაკვირი, რადგან, დროსთან ერთად იცვლება თაობა: გოგონები უფრო ადრეულ ასაკში იხვეწებიან, უფრო გახსნილი გონებით, შეხედულებებით და დამოკიდებულებებით გამოირჩევიან. თავიდან, როდესაც ამ პროექტის გაკეთება დავიწყეთ, მაშინ რა თქმა უნდა, არ იყო ასეთი მასშტაბური როგორც დღესაა, თუმცა, ის, რომ პირველი „მის საქართვველო", ირინა ონაშვილი გაემგზავრა მსოფლიოს №1 საერთაშორისო სილამაზის კონკურსზე – „მის მსოფლიოზე," ეს „იმიჯ ცენტრისა" და პირადად ჩემი დამსახურებაა, რითაც ძალიან ვამაყობ. მიმაჩნია, რომ საქართველოდან გოგონების მონაწილეობა მსგავსი დონის საერთაშორისო კონკურსებზე არის ძალიან დიდი მიღწევა, როგორ შეფასებას აძლევს მათ საერთაშორისო ჟიური, ამაზე, სამწუხაროდ, მე ვერ ვაგებ პასუხს. მე არ ვაკლებ ძალისხმევას, მონდომებას, შრომას, ფინანსებს იმისთვის, რომ საუკეთესოდ წარვდგეთ საერთაშორისო კონკურსებზე, თუმცა, მარტო ჩემი და რამდენიმე სპონსორის თუ მხარდამჭერის თანადგომა, რომლებსაც, მინდა, მადლობა გადავუხადო წლიდან წლამდე ჩვენი მხარდაჭერისა და თანადგომისთვის, არ კმარა წარმატების მისაღწევად. საერთაშორისო ჟიურის მიდგომა ჩემთვის მაინც ბურუსით რჩება მოცული, თუმცა, მაინც მიმაჩნია, რომ თითოეული გოგონასთვის ძალიან დიდი მიღწევაა, თავისი ქვეყნის ყველაზე ლამაზი გოგონას ტიტული ატაროს.



**ყველაზე მეტი პრობლემა მაშინ შემექმნა, როდესაც ჩემი მეუღლე პოლიტიკაში ღიად დაფიქსირდა**

**– როდესაც ამ პროექტის გაკეთება დაიწყეთ, თქვენი მეუღლე ქვეყნის გავლენიანი პირი იყო და მისი დამსახურებით თქვენთვის ბევრი ტექნიკური ბარიერის გადალახვა, ალბათ, უფრო იოლი იქნებოდა.**

– ეს ძალიან მცდარი აზრია, ჩემი მეუღლე არასდროს ჩარეულა ჩემს საქმეებში. მაგალითისთვის გეტყვით, რომ, როდესაც ჩემი მეუღლე ხელმძღვანელობდა „რუსთავი 2-ს," მაშინ უფრო მეტი პრობლემა მქონდა პროექტის გაშუქების, ვიდრე ახლა მაქვს, რადგან, მას ყოველთვის ჰქონდა ასეთი დამოკიდებულება – არ უყვარს ახლობლობითა და ნათესაობით გაკეთებული საქმეები და, მიმაჩნია, რომ ნებისმიერ ადამიანს უნდა ჰქონდეს ნიჭი და უნარი, თავად წარმოაჩინოს საკუთარი თავი. თუ მე ვინმეს რამეს ვუმტკიცებ მთელი ცხოვრება, ეს, პირველ ყოვლისა, არის ჩემი მეუღლე, რომელიც არის ჩემი ყველაზე დიდი კრიტიკოსი ***(იცინის).*** აქვე უნდა ვაღიარო, რომ ყველაზე მეტი პრობლემა მაშინ შემექმნა, როდესაც ის პოლიტიკაში ღიად დაფიქსირდა, თუმცა, ვფიქრობ, რომ ჩვენ ცხოვრების ყველა ეტაპი ღირსეულად გავიარეთ. მე აბსოლუტურად აპოლიტიკური ადამიანი ვარ, პოლიტიკური პერიპეტიების მიუხედავად, ვაკეთებ ჩემს საქმეს და, მიმაჩნია, რომ, შემიძლია, ჩემი საქმით სარგებელი მოვუტანო ჩემს ქვეყანას და იმ გოგონებს, რომლებიც ამ კონკურსებში იღებენ მონაწილეობას.

**– უდავოა, რომ თქვენ ბევრი ქართველი გოგონას ცხოვრება და ბედი შეცვალეთ უკეთესობისკენ.**

– ეს ძალიან კარგი განცდაა. მე თვითონ ძალიან აზარტული და ემოციური ვარ. როცა ვხედავ ადამიანს, რომელსაც აქვს პოტენციალი ჩვენს სფეროში, ვერ დავუშვებ, რომ მას შანსი არ მივცე; მეტიც, პროექტების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, რამდენიმე შანსსაც ვაძლევ ხოლმე გოგონებს. ეს ძალიან საინტერესო სფეროა: გოგონებს უწევთ ურთიერთობა ბევრ საინტერესო ადამიანთან; ხვდებიან განსხვავებულ სამყაროში; ეჩვევიან დამოუკიდებლობას, რაც ჩვენს დროში ძალიან მნიშვნელოვანია და ეს ყველაფერი დიდ ცხოვრებისეულ გამოცდილებას აძლევს მათ.

**– ამბობენ, რომ ძალიან მკაცრი ხართ გოგონების მიმართ.**

– ვფიქრობ, რომ ეს სიმკაცრე არ არის. მე პრინციპული ადამიანი ვარ, მიყვარს წესრიგი. თვითონაც შრომისმოყვარე ვარ და იმავეს მოვითხოვ სხვებისგან. არ მიყვარს და არ მესმის, როცა გოგონას საკუთარი თავის არ სჯერა. სულ ვეუბნები ხოლმე მათ: ახლა ჩემი გამოცდილება და თქვენი ასაკი და სიტუაცია მომცა-მეთქი ***(იცინის).*** როცა ჩემნაირი გამოცდილი ადამიანი გიდგას გვერდში, გეხმარება და გაძლევს შანსს, წარმატებული მომავალი შექმნა, როგორ არ უნდა გამოიყენო?! მე არასდროს მყოლია გვერდით ადამიანი, რომელიც გზას გამიკვალავდა. ვიღაცას, შეიძლება, ეგონოს, რომ ჩემს ცხოვრებაში იოლად მოდის რამე, არადა, პირიქით არის – ცხოვრება ხშირად მიწყობს გამოცდებს და ყველაფერს რთულად ვაღწევ. თუმცა, ისიც მინდა ვთქვა, რომ მეც მყავდა გვერდით საინტერესო ადამიანები, პედაგოგები, მწვრთნელები თუნდაც მაშინ, როცა კალათბურთს ვთამაშობდი, ვისაც კარგი ცხოვრებისეული რჩევა მოუცია ჩემთვის.

**– პროფესიულ დონეზე თამაშობდით კალათბურთს?**

– ვთამაშობდი საქართველოს ნაკრებში, ასევე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში. მე ვიყავი გამთამაშებელი – ეს არის გუნდში მოთამაშე, რომელიც, პრაქტიკულად, ხელმძღვანელობს თამაშის პროცესს; ასევე, ხშირად ვიყავი გუნდის კაპიტანი და, ალბათ, ამიტომაცაა, რომ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ბევრ ადამიანთან მუშაობა, პროცესში სხვადასხვა აზრის გათვალისწინება და მუშაობის გუნდური წესი. ალბათ, ჩემი წარსული განაპირობებს ჩემს სპორტულ აზარტს, რომელიც ახლა ძალიან მადგება.

**– იცლით ძველი და საყვარელი საქმისთვის?**

– სპორტული ადამიანი ვარ, მიყვარს ცხოვრების სპორტული წესი. ზაფხულობით, თუ მაქვს ხოლმე შანსი, მეგობრებთან ერთად არც კალათბურთზე ვამბობ უარს – ეს ერთ-ერთი შესაძლებლობაა, რომ ბავშვობის მეგობრები შევიკრიბოთ.

**– ანუ, თქვენი გუნდი გაქვთ?**

– ჩვენ ბევრნი ვართ და სამეგობრო გუნდი ყოველთვის გამოგვდის ***(იცინის).*** ჩემი რეჟიმი არ მაძლევს საშუალებას, კალათბურთს ბევრი დრო დავუთმო, მაგრამ, ეს ისაა, რისი ნოსტალგიაც მაქვს, რადგან, საერთოდ, ასე ვარ – რაც მიყვარს, ის სამუდამოდ მიყვარს.

**– თქვენი ქალიშვილების ჩართვაზე თუ ფიქრობთ თქვენს ბიზნესში?**

– ჩემს შვილებს ცხოვრების ის ეტაპი აქვთ, როდესაც აქტიურად არიან დაკავებული სწავლით. უფროსი ვაჟი და შუათანა ქალიშვილი სწავლობენ ამერიკაში, კოლეჯში, უმცროსი ქალიშვილი თბილისშია და კოლეჯისთვის ემზადება. სწავლა-განათლება და პროფესიული არჩევანი მათთვის დღეს ყველაზე დიდი პრიორიტეტია – ამისკენ მოვუწოდებ ახალგაზრდა მოდელებსაც, რადგან, ჩვენთან სამოდელო პროფესია, სამწუხაროდ, ჯერ არაა იმ დონეზე, რომ ახალგაზრდებს თავის რჩენის საშუალება ჰქონდეთ. რაც შეეხება ჩემი შვილების ჩართვას ჩემს საქმეში, ჩვენ ძალიან დემოკრატიული ოჯახი გვაქვს – ყველა თავის არჩევანს აკეთებს. მეც და ჩემი მეუღლეც ბავშვებს ადრეული ასაკიდან ვაძლევდით არჩევნის საშუალებას და ისინი დამოუკიდებლობას შევაჩვიეთ. როგორც ვიცი, ჩემს შვილებს ჩემი საქმიანობა მოსწონთ, იმედი მაქვს, გულის სიღრმეში ამაყობენ კიდეც, მაგრამ, არჩევანი მათი გასაკეთებელია, მე არაფერს დავაძალებ. თუ ცხოვრების რომელიმე ეტაპზე მათი ცხოვრება პროფესიულად ჩემსას გადაკვეთს, ამით ძალიან ბედნიერი ვიქნები.

**თამუნა ნიჟარაძე**

# მედიაჰოლდინგმა „ჯორჯიან თაიმსმა“ წლის საუკეთესო ბიზნესკომპანიები დააჯილდოვა



30 მაისს, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში” გაიმართა წლის საუკეთესო კომპანიისა და ბიზნესმენის დაჯილდოების ცერემონია, რომელიც მედიაჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსისა“ და სოციოლოგიურ და მარკეტინგულ კვლევათა ცენტრ „გორბის” ინიციატივით იყო ორგანიზებული. ტრადიციული მე-14 ბიზნესრეიტინგის დაჯილდოების ცერემონიალს ბიზნესსექტორთან ერთად, მთავრობის, დიპლომატიური კორპუსისა და მასმედიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ექსპერტების, ჟურნალისტებისა და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეების მიერ 2012 წლის 25 საუკეთესო კომპანიად დასახელდნენ: „თიბისი ბანკი”, „საქართველოს ბანკი”, ბანკი „კონსტანტა”, „ჯეოსელი”, „ორბი ჯგუფი”, „ფლაი ჯორჯია”, „რუსთავის აზოტი”, „ვისოლ ჯგუფი”, „ვითიბი ბანკი ჯორჯია”, კომპანია „ზედაზენი”, „სარაჯიშვილი”, კომპანია „ავერსი”, საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი, „წყალი მარგებელი -ნაბეღლავი”, „გეოპლანტი გურიელი”, „გუდვილი”, „ვაგონმშენი”, „ნატახტარი”, „ჩაი პეტრა”, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუფერი”, „გაზენერჯი”, „ქიმერიონი”, „შპს ჯგუფი”, „ჯორჯიან ამერიკან ელოის”, „ინტეგრირებული ქართული სისტემები.”

. წლის გამარჯვებული კომპანია „სოკარ ენერჯი ჯორჯია” გახდა. „სოკარის” გენერალურ დირექტორს, მაირ მამედოვს, გარდამავალი ბოლნური ჯვარი მედიაჰოლდინგის პრეზიდენტმა მალხაზ გულაშვილმა და კომპანია „გორბის“ პრეზიდენტმა მერაბ ფაჩულიამ გადასცეს. ცერემონიალზე სპეციალურად მიწვეულმა სტუმრებმა სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული კომპანიები დააჯილდოვეს.




ქართული ბიზნესის გათავისუფლებაში შეტანილი წვლილისთვის სპეციალური პრიზი გადაეცა ბადრი პატარკაციშვილის დედას, ნათელა პატარკაციშვილს. დაჯილდოების ცერემონიალზე ჟურნალისტების მიერ ექსპრომტად ჩატარებული „კვლევის” შედეგად, ჟურნალისტების რჩეულის ტიტული კომპანია „სმარტმა” მოიპოვა.

„ქორთიარდ მარიოტში” შეკრებილი საზოგადოების მუსიკალურ და ხალისიან განწყობაზე ჯგუფმა „ფორტემ” იზრუნა, წამყვანის ამპლუაში საღამოს ჟურნალისტი ინგა გრიგოლია უძღვებოდა.

## ჯგუფი „შინ“ საქართველოში კონცერტებით და ინოვაციური ალბომით დაბრუნდა



ჯგუფი „შინ” გერმანიაში 20-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. „შინმა,” „ბრავო რექორდსთან” ერთად, 26 მაისს მსმენელს კონცერტის გარდა ახალი ალბომის პრეზენტაცია მოუწყო, რომელიც სამშობლოში დაბრუნებას მიუძღვნა.

მანამდე, კერძოდ კი, 2012 წლის 10 დეკემბერს, ქალაქ რიგის კონგრესჰოლში ჯგუფი „შინ“ ლატვიელი მსმენელის წინაშე ახალი და მეტად ორიგინალური მუსიკალური პროექტით წარდგა. ლატვიური პროექტის კონცეფცია აგებული იყო იმ მუსიკალურ ნაწარმოებებზე, რომლებმაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ჯგუფის თითოეული წევრის დამოკიდებულებაზე ზოგადად მუსიკის მიმართ, ანუ, პრაქტიკულად, ეს მუსიკალური პროექტი არის ერთგვარი მიძღვნა იმ მუსიკოსებისადმი, რომლებმაც განაპირობეს ჯგუფ „შინის“ წევრების მუსიკალური მსოფლმხედველობა და კრედო. სწორედ ამიტომ ჰქვია პროექტს „არაჩვეულებრივი გამოფენა”. პროექტში თავმოყრილია გია ყანჩელის, ჩიკ კორეას, ხოაკინ როდრიგოს, მაიკლ სტერნის, მაილს დევისის და, რაღა თქმა უნდა, ქართული ხალხური მუსიკის მოტივები, რომლებიც „შინის“ წევრებმა ლიეპაის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, ახლებური ინტერპრეტაციით შესთავაზეს ლატვიელ მსმენელს. პროექტის ძირითადი ნაწილი გია ყანჩელის მუსიკალურ თემებს მიეძღვნა, რაც ჯგუფის თითოეული წევრის მხრიდან უდიდეს პატივისცემასა და დაფასებას გამოხატავს ლეგენდარული ქართველი მაესტროს მიმართ. სიმფონიური ორკესტრის გარდა, პროექტში მონაწილეობდნენ ლატვიელი ბექვოკალისტები და ლატვიის თანამედროვე ბალეტის მსახიობები.

ჯგუფ „შინის“ თბილისში ჩატარებულ ორიგინალურ და ინოვაციურ კონცერტში, ლატვიური პროექტისგან განსხვავებით, მონაწილეობდნენ: თბილისის სიმფონიური ორკესტრი ვატო კახიძის ხელმძღვანელობით, ასევე, თბილისის კონსერვატორიის ვოკალური სექსტეტი და საბალეტო დასი ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით. გარდა ამისა, სპეციალურად პროექტისთვის მოწვეულები იყვნენ ცნობილი უცხოელი მუსიკოსები. 26 მაისს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით „ბრავო რექორდსმა” გამართა, ასევე, „შინის” რიგით მეათე ალბომის პრეზენტაცია, რომელშიც 12 მუსიკალური ნაწარმოებია შესული. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით კი 29 მაისს ჩატარდა განმეორებითი კონცერტი. ინოვაციურმა, ორიგინალურმა კონცერტმა, ქართველ მსმენელზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. მათ კი, ვისაც გსურთ CD ალბომის შეძენა, 26 მაისიდან მიაკითხეთ „ბრავო რექორდსის“ სადისტრიბუციო ქსელის მაღაზიებს.

## კიდევ ერთი სასიამოვნო და სასარგებლო სიახლე თბილისელებისთვის



ადამიანი ცხოვრების მესამედს ძილში ატარებს. ცნობილია, რომ საყოფაცხოვრებო მტვერი ძირითადად ადამიანის კანის მკვდარი უჯრედებისგან შედგება. ამის გათვალისწინებით, ჩვენი საწოლი გულმოდგინე მოვლას საჭიროებს. მხოლოდ თეთრეულის რეგულარული გამოცვლა და ქვეშაგების გამზეურება საკმარისი არ არის. როგორ მოვუაროთ სწორად ბალიშებს, ანუ, როგორ გავხადოთ ჩვენი ძილი ჯანმრთელი? შეკითხვებით ვესტუმრეთ „ბალიშების სალონს”.

**1. რატომ უნდა გავაახლოთ ბალიში?**

**ელენე**: ბალიში უშუალო კონტაქტშია სხეულთან და ღრუბელივით ისრუტავს ოფლსა და ნერწყვს, რომელსაც ადამიანი ძილის დროს გამოყოფს. ამას ემატება მტვერი და ბუმბულზე დასახლებული მიკროორგანიზმების ცხოველქმედების პროდუქტები. ამის გამო, ბალიში ხდება ალერგიის მიზეზი. გაახლებისას კი დაავადების გამომწვევი უამრავი მიკრობი იღუპება.

**თამთა**: თქვენი ძილი რომ სასიამოვნო იყოს, ახალი ბალიშის შეძენა სულაც არ არის საჭირო. „ბალიშების სალონი“ გთავაზობთ ეკონომიურ გამოსავალს – გაახლების შედეგად ბალიში ფაფუკი, ჰაეროვანი და ჯანმრთელი ხდება. თქვენი ბალიში სუფთა და მოხერხებელი რომ იყოს, სასურველია, წელიწადში ერთხელ მაინც გააახლოთ.

**2. რას გულისხმობს ბალიშების გაახლება?**

**თამთა**: გასასუფთავებელი ბუმბული იყრება აპარატში და იწყება მისი ანტიბაქტერიული სხივებით დამუშავება. პარალელურად, ჰაერის ნაკადის საშუალებით, მიმდინარეობს მტვრის ნაწილაკების მოშორება. შემდეგ, ბუმბულის მასა ჰაერის ნაკადის საშუალებით გაივლის დამატებითი ფილტრების სისტემას. საბოლოოდ, გასუფთავებული და განიავებული ბუმბული ხვდება ახალ, ბუმბულგაუმტარ შალითაში.

**ელენე**: „ბალიშების სალონში“ ბუმბულგაუმტარი შალითების ფართო არჩევანია. თქვენი კომფორტისთვის გთავაზობთ კურიერის მომსახურებასაც.

„ბალიშების სალონი“ სხვა სერვისსაც შემოგთავაზებთ. თუ დაინტერესდით, ეწვიეთ „ფეისბუქის“ იმავე სახელწოდების გვერდს.

**მოამზადა სალომე გველესიანმა**

# ვინ ჩააბარა ბესო ზანგურთან ცხოვრების გამოცდა „ხუთიანზე“ და რა კომფორტი შეუქმნა მას მეუღლემ

*შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობი, ბესო ზანგური, წლების განმავლობაში იპყრობდა ხალხის ყურადღებას თავისი ცხოვრების წესით. უკვე ერთი წელია, რაც ჩვენმა რესპონდენტმა ახალი ცხოვრება დაიწყო და რადიკალურად შეიცვალა. ამ ყველაფერში კი დიდი წვლილი მის მეუღლეს, გვანცა წულეისკირ-ზანგურისას მიუძღვის.*

**– როგორც გავიგე, ბესო ზანგურის პირად ცხოვრებასა და კარიერაში სიახლეებია. იქნებ მოგვიყვე, რას მოიცავს ახალი ამბები?**



**ბოლომდე მაინც არავის ეგონოს, რომ დავსერიოზულდი**

– ახლახან რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე პრემიერა ვითამაშე – „ფსიქოზი 4.48,” რომელიც ბატონმა რობერტ სტურუამ და ტიტა როყვამ დადგეს. ის უსამართლობა, რაც ბოლო წლებში იყო რუსთაველის თეატრში, აღარ არის; აღდგა რამდენიმე სპექტაკლი. თეატრი დაუბრუნდა შემოქმედებით ცხოვრებას და აქ აღარ არის მხოლოდ ბიზნესცხოვრება.

**– ანუ, ახალი ენერგიით დაიწყეთ ცხოვრება.**

– კი, ძალიან. უკვე ვიყავით რამდენიმე გასტროლზე უცხოეთში. წინა მმართველების დროს მხოლოდ საქართველოს რეგიონებში გვიწევდა სპექტაკლების გატანა, ახლა კი ასე აღარ არის და საქართველოს ფარგლებს გავცდით. რასაც ჰქვია შემოქმედებითი ცხოვრება აღდგა რუსთაველის თეატრში, რაც მისასალმებელია, პირველ ყოვლისა – მაყურებლისთვის.

ასევე, ახალი როლისთვის ვემზადები. „მარია კალასს” დგამს რობერტ სტურუა ახალ თეატრში, რომელიც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გაუხსნა. ონასისი უნდა ვითამაშო, მარია კალასის საყვარელი. სიახლე კინოშიც არის – ახალ ფილმზე დამამტკიცეს უკრაინაში. ჯერ მე თვითონაც არ ვიცი ზუსტად, რა ხდება, სცენარი უნდა გადმომიგზავნონ. ერთი ის ვიცი, რომ მთავარ როლზე ვარ დამტკიცებული. ძალიან ჩაბმული ვარ საქმეში და ოჯახის გარდა არავისთვის აღარ მცალია.

**– რაც შეეხება პირად ცხოვრებას, გავიგე, რომ მესამე შვილის მამობისთვის ემზადები.**

– ძალიან სერიოზულად ვემზადები, თუმცა, პირველ ორზეც არანაკლებად ვემზადებოდი. რაღაც რთული და არასასიამოვნო პერიოდები ყველას აქვს ცხოვრებაში და ასე იყო ჩემს შემთხვევაშიც. სამწუხაროდ, სხვები ხდებიან სხვისი ჭირის მოლხინეები. სალაპარაკო თემა გაუჩნდათ მათ, რისი საბაბი მეც მივეცი, რა თქმა უნდა. ამ ეტაპზე ყველაფერი შეიცვალა ჩემს ცხოვრებაში, მართლა ძალიან სერიოზულად ვემზადები მესამე შვილის მამობისთვის; უფრო მეტიც, მასზე არ შევჩერდებით და, მინდა, მეოთხეც მივაყოლოთ მისი გაჩენის შემდეგ.

**– გამოდის, რომ გინდა, მრავალშვილიანი მამა გახდე.**

– კი, მინდა, რომ მრავალშვილიანი მამა ვიყო და ვიცხოვრო ოჯახურ გარემოცვასა და იმ თბილ ატმოსფეროში, რომელიც ჩემთვის ყოველთვის სანატრელი იყო. ვიცი, ეს ბევრს გაუკვირდება, მაგრამ, ჩემთვის პირველ ადგილზე ყოველთვის ოჯახი იდგა.

**– ანუ, გვანცამ გააკეთა ის, რაც მანამდე შენმა ვერც ერთმა მეუღლემ ვერ მოახერხა.**

– შეიძლება, ასეც ითქვას. უბრალოდ, გვანცამ გააცნობიერა, ვისთან არის და ვის დაუკავშირა თავისი ბედი. რა თქმა უნდა, მასაც შეხვდა სირთულეები ჩემი ხასიათიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე. მან გააკეთა არჩევანი – ყოფილიყო მშვიდად, წყნარად, თავისთვის, თავისივე სიყვარულის გამო, თავის თბილ ოჯახში. ეს რომ ვიგრძენი, ძალიან გამიხარდა. უკვე ერთი წელია, ერთად ვართ და ახლახან გადავწყვიტე, რომ შვილი გაეჩინა ჩემთვის. ერთი წელი წინამოსამზადებელი პერიოდი ავიღე. გვანცამ კი გამოცდა „ხუთიანზე“ ჩააბარა. სხვათა შორის, გვანცა უკვე ჩემს გვარზე გადმოვიდა და წულეისკირი-ზანგურისა გახდა.

**– შენთან ურთიერთობის ასაწყობად კი ჩააბარა გვანცამ გამოცდა „ხუთიანზე“, მაგრამ, დედობისთვის როგორ ემზადება?**

– ასეთ საკითხებზე არ ვფიქრობთ, ჩვენ, უბრალოდ, ცხოვრებას მშვიდად და წყნარად მივყვებით. წინასწარ არაფერს ვგეგმავთ. ისე კარგად გვაქვს ყველაფერი აწყობილი, რომ ჩვენ თვითონვე გვიკვირს. მე და გვანცას ერთმანეთისთვისაც გვითქვამს, იმდენად უპრობლემოდ და კარგად მიდის ყველაფერი, ფიქრიც კი აღარ გვინდა ამაზე, რომ თვალი არ გვეცეს.

**– სხვების აზრებსა და მონაჭორებს მექანიკურად ისხლეტ და ყურადღებას აღარ აქცევ თუ?!.**

– ადრე ბესო ზანგური ყველასთვის თითით საჩვენებელი იყო. სულ ვიცოდი, ყველაფერი შეიცვლებოდა და ეს დროც მოვიდოდა, უბრალოდ, არ ვჩქარობდი ამას.

**– რატომ?**

– არავის აზრი არ მაინტერესებს და იმიტომ. ვიცი ჩემი სიმართლე და ვერავინ მასწავლის, როგორ უნდა ვილოცო ჩემს ტაძარში. ჩემი ოჯახი ჩემი ტაძარი და რელიგიაა.

**– შენ და გვანცამ ჯვარი დაიწერეთ?**

– ჯვარს ივნისში დავიწერთ. ჯვარი არ მქონდა აყრილი და აქამდე ამიტომ არ მოხერხდა. ძალიან სერიოზულად მივუდექი ამ საქმეს: საპატრიარქოში მივედი, სადაც სპეციალური კანონების სასჯელი დამადეს. მოკლედ, ძალიან სერიოზულად მოვემზადე ამ სერიოზული ნაბიჯის გადასადგმელად. „ჰარი-ჰარალოზე“ არ მივსულვარ ჯვრის დაწერის გადაწყვეტილებამდე.

**– როდის ელოდებით პატარას?**

– ჯერ პატარა ფეხმძიმეა. ბავშვს, სავარაუდოდ, შობას, 7 იანვრისთვის ველოდებით.

**– ორი ბიჭის მამა ხარ და, ლოგიკურია, რომ გოგოს მამობა გინდოდეს.**

– კი, გოგო მინდა ძალიან. მგონი, უკვე მთელმა მსოფლიომ იცის, რომ გოგო მინდა ძალიან, რომელსაც აუცილებლად მარიამს დავარქმევ.

**– ჯერ კიდევ წლების წინ ამბობდი, ვინც გოგოს გამიჩენს, ის იქნება ჩემი სამუდამო ცოლიო.**

– იმედი მაქვს, მარიამი გაჩნდება და არა ნიკოლოზი. თუმცა, ამის გამოსწორებაც შეიძლება – მეოთხე ხომ მაინც იქნება გოგო.

ბოლოს და ბოლოს, ჩემს ცხოვრებაში დადგა განმეორებითი გაზაფხული. სულ ვამბობდი, რომ კიდევ მოვა გაზაფხული! ყველას ვპირდებოდი, აუცილებლად გავაზაფხულებ-მეთქი. ასე რომ, მინდა, ყველამ გაიგოს: ბესო ზანგურმა გააზაფხულა!

**მარიკა ხიდურელი**

# რა დათმო საქართველოში ჩამოსვლის გამო სალომე ზურაბიშვილმა და რატომ ვერ ისწავლა მან რუსული

**(მე-14 გვერდიდან)**

– 1924-1925 წლებში, ჩემი მშობლები, თურქეთიდან საფრაგეთში რომ ჩავიდნენ, იქ ძალიან მძიმე სიტუაცია დახვდათ, უფრო მეტად კი ემიგრანტებს უჭირდათ. დროებით იყვნენ წასულები და, ვერ წარმოედგინათ, რომ ემიგრაციაში ყოფნა გაუგრძელდებოდათ... ყველამ დაიწყო იმის კეთება, რაც შეეძლო: ქალები კერავდნენ, კაცები ტვირთს ზიდავდნენ ან მუშებად სხვაგან მსახურობდნენ; ყველაზე იაფფასიან სასტუმროში ცხოვრობდნენ. მათი ერთადერთი გართობა იყო სხვა ქართველებთან ერთად პურის ჭამა, საქართველოზე საუბარი, საქართველოდან მიღებული ამბების გარჩევა. არც შვებულება არსებობდა, არც არაფერი... მერე ნელ-ნელა გაუმჯობესდა მათი ცხოვრების პირობები, თუმცა, არავინ გამდიდრებულა. მაინც ჭარბობდა აზრი, რომ, საბოლოოდ საქართველოში დაბრუნდებოდნენ. მამაჩემმა უარი თქვა ფრანგობაზე, რითაც, რეალურად, წარმატებულ კარიერაზეც უარი განაცხადა! ასევე, უარი თქვა სახლის ყიდვაზე. მისთვის პრიორიტეტი ყოველთვის სხვების დახმარება იყო: ჯერ ქართული ეკლესიის დაარსება, მერე მოვლა; „ლევილი” – ხანშიშესულების სახლი და, არასდროს, პირად კეთილდღეობაზე არ უზრუნია. უმრავლესობა ქართველებისა ასეც ცხოვრობდა და, ამიტომაც, ალბათ, ბევრისთვის გაუგებარია – რატომ უფრო მდიდრულად არ ცხოვრობენ დღემდე, რატომ არავინ გამხდარა მილიარდერი, რატომ იმყოფება წმიდა ნინოს ეკლესია დღემდე ამ სარდაფში და არა მდიდრულ, მოოქრულ გარემოში... ეს იყო სხვა დრო და სხვა თაობა. მე რომ ვიზრდებოდი, გაჭირვება, როგორც ასეთი, არ მიგრძნია, მაგრამ, ვიცოდი, რომ მშობლების საშუალებები შეზღუდული იყო და რაღაც-რაღაცეებს არ ვთხოულობდით. 14 წლის ვიყავი, საზაფხულო სამუშაო რომ ვიშოვე – სწავლასთან ერთად მუშაობა დავიწყე და ჩემი სახსრებით მოვახერხე ამერიკაში, კოლუმბიის უნივერსიტეტში წასვლა. მშობლები ყოველთვის ამბობდნენ, რომ ჩვენ არაფერს ვუტოვებთ შვილებს, გარდა აღზრდისა და სწავლისაო... მართლაც, მე და ჩემმა ძმამ ორივე უხვად მივიღეთ.

**– თქვენ ყოველთვის აქცევდით თავს ყურადღებას – არ მიეკუთვნებით იმ ქალბატონების კატეგორიას, რომლებისთვისაც ეს არ არის პრიორიტეტი. ახლა, როცა ბატონი ჯანრი თქვენ გვერდით აღარ არის, ალბათ, არც ეს გაინტერესებთ?**

– ვერ ვიტყვი, რომ ეს ოდესმე ძალიან მაინტერესებდა... დედაჩემისთვის რომ გეკითხათ, გეტყოდათ, რომ, მისი გემოვნებიდან გამომდინარე, ყოველთვის დაუვარცხნელი ან არასაკმარისად კარგად ჩაცმული ვიყავი და, საერთოდ, პომადას სახლიდან გასვლის მერე, ჩქარ-ჩქარა, ქუჩაში ვისვამდი, რაც ჩემს შვილებსაც არ მოსწონდათ... ჯანრის მაინცდამაინც არ ვეპრანჭებოდი, მაგრამ, ძალიან უყვარდა ჩემთან ერთად მაღაზიებში სიარული და ტანსაცმლის ამორჩევა... ამ საკითხშიც მაქვს ხალისის ნაკლებობა, მაგრამ, თავის მოვლა მხოლოდ ხალისზე არაა დამოკიდებული, ეს ელემენტარული ზრდილობის საკითხია, პატივისცემის გამოხატვა იმ საზოგადოების მიმართ, რომელშიც ტრიალებ.

**– ექსპერიმენტები თუ გაგიკეთებიათ თქვენს გარეგნობაში?**

– იმიჯის შეცვლის სურვილი არ მქონია, იმიტომ, რომ იმიჯიც არასდროს შემიქმნია და, შესაბამისად, ექსპერიმენტებიც დიდად არ მაინტერესებს. სტილისტთან თვეში ერთხელ თუ დავდივარ (გარდა თბილისისა), კანის გასაწმენდად – წელიწადში ერთხელ. არც ტანსაცმელზე ვარ გადაყოლილი – არ მიყვარს ძვირად ღირებულის ყიდვა, უფრო სოლდებში და ჩამოფასებულ მაღაზიებში დავდივარ. ჩემს ტანსაცმელში ძვირის მიცემა მენანება. ბევრად მირჩევნია და მსიამოვნებს, როცა სხვებისთვის ვარჩევ საჩუქრებს!

**ეკა პატარაია**

**ბოლო დროს საკმაოდ გახშირდა შაქრიანი დიაბეტით დაავადების რაოდენობა. ის სამწუხაროდ, ახალგაზრდა ასაკშიც გვხვდება. მისი გამომწვევი რამდენიმე ფაქტორი არსებობს. თუმცა, უმთავრესად მას ორგანიზმში ნახშირწყლების ცვლის დარღვევა იწვევს. თუ რა გამოვლინებები აქვს შაქრიან დიაბეტს, როგორ ვაკონტროლოთ ის და რომელ საკვებს უნდა მიანიჭოს განსაკუთრებული ყურადღება ამ დაავადების მქონე ადამიანმა, ამაზე ენდოკრინოლოგი, ნინო ჯიქურაული გვესაუბრება.**

# უწყობს თუ არა ხელს „სწრაფი კვება" შაქრიანი დიაბეტის განვითარებას და როგორ ვაკონტროლოთ ის

**ნინო ჯიქურაული**: შაქრიანი დიაბეტი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ქრონიკული დაავადებაა. სულ რაღაც ათი წლის წინ მსოფლიოში, დაახლოებით 150 მილიონი ადამიანი იყო რეგისტრირებული დიაბეტით. დღეისთვის კი, დიაბეტით დაავადებულთა რიცხვი 300 მილიონამდეა გაზრდილი. ექსპერტთა პროგნოზით 2030 წლისთვის მოსალოდნელია, დაავადდეს 438 მილიონი ადამიანი, რაც მოსახლეობის 6,6 პროცენტს შეადგენს.

**– რა იწვევს ამ დაავადებას და თუ აქვს მას გენეტიკური განწყობა?**

– შაქრიანი დიაბეტი არის ნივთიერებათა, უმთავრესად კი ნახშირწყლების ცვლის ღრმა დარღვევა. მისი განვითარების საფუძველს შეიძლება, წარმოადგენდეს გენეტიკური წინასწარგანწყობა, ზოგჯერ ვირუსული ინფექცია და ხშირად კი – სიმსუქნე. ხელშემწყობ ფაქტორებად გვევლინება – სერიოზული ნერვიულ-ფსიქიკური გადაძაბვა, უმოძრაო ცხოვრების წესი, არარაციონალური კვება – ნახშირწყლოვანი (ცომეული, ტკბილეული) და ცხიმიანი საკვების გადაჭარბებული მიღება, კვების რეჟიმის დარღვევა, ეგრეთ წოდებული „სწრაფი კვება". აღნიშნული გარემოებების შემთხვევაში, დროთა განმავლობაში ადგილი აქვს პანკრეასის არასრულფასოვან მუშაობას, ინსულინის გამომუშავების დარღვევას. ინსულინი კი არის ჰორმონი, რომლის საშუალებითაც ხდება გლუკოზის ნორმალური დონის შენარჩუნება სისხლში. ჭარბი ცხიმოვანი ქსოვილის გავლენით ინსულინის აქტივობა დაქვეითებულია.

**– როგორც ამბობენ, სიმსუქნისკენ მიდრეკილ ადამიანებს ყველაზე დიდი შანსი აქვთ შაქრიანი დიაბეტის განვითარების. ეს რამდენად რეალურია?**

– სიმსუქნე ყველაზე ხშირი მიზეზია მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტის რისკ-ფაქტორებს შორის. პირველი ტიპის დიაბეტის დროს პანკრეასის უჯრედები დაზიანებულია, ინსულინის დონე დაქვეითებული. სიმსუქნის დროს ინსულინი გადაჭარბებული რაოდენობითაც კი გვაქვს, მაგრამ სისხლში შაქრის რეგულირება ვერ ხერხდება. ამ მდგომარეობის მიზეზია ინსულინრეზისტენტობა. მარტივად რომ ავხსნათ, ინსულინს ქსოვილები ვერ აღიქვამს და შაქრის ნორმალიზება ძნელდება. ნორმაში, მსუბუქი ინსულინრეზისტენტობა ორგანიზმს ზამთრიდან გაზაფხულის ბოლომდე მიჰყვება. ეს მდგომარეობა ერთ-ერთი ადაპტაციური მექანიზმია ენერგიის დასამარაგებლად. მსუქანი ადამიანი კი მუდმივად ასეთი „დაგროვების" ფაზაშია. ხანგრძლივი ინსულინრეზისტენტობის შედეგად შაქრიანი დიაბეტი ყალიბდება.

**– რა სიმპტომები ახასიათებს შაქრიან დიაბეტს, რომ ადვილად ამოვიცნოთ მისი არსებობა და დროულად მივმართოთ შესაბამის სპეციალისტს?**

– შაქრიანი დიაბეტის სიმპტომები ყველასთვის ცნობილია. გაძლიერებული წყურვილი, გახშირებული შარდვა, სისხლში შაქრის მომატება. ერთ შემთხვევაში შაქრიანი დიაბეტის მწვავე დასაწყისი – ძლიერი სიგამხდრით, გამოფიტვით ვლინდება, ხოლო მეორე შემთხვევაში შესაძლოა, იყოს მადის გაძლიერება და წონის მომატება. სისხლში შაქარი ზოგჯერ 250 – 300მგ/დლ ან მეტია, მაგრამ შესაძლოა, არც ერთი სიმპტომით არ იჩენდეს თავს. ეს მდგომარეობა უფრო მსუქნებს ახასიათებთ, რომელთაც ნახშირწყლოვანი ცვლის გარკვეული დარღვევა აღენიშნებათ. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს იმ ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც ნახშირწყლოვანი დარღვევა დიდი ხნის განმავლობაში, ზოგჯერ წლები, აქვთ ფარულად, მაგრამ ამის შესახებ არაფერი იციან. ასეთ შემთხვევაში, დიაბეტის ტიპური სიმპტომები დამახასიათებელი არ არის და დაავადებამ შეიძლება თავი იჩინოს შემთხვევით, უკვე შაქრიანი დიაბეტის შორს წასული გართულების ნიშნებით ან შემთხვევითი ანალიზით. ადრეულ სტადიაზე მხოლოდ ერთჯერადი შაქრის განსაზღვრა ინფორმაციას არ იძლევა. აუცილებელია, რისკის მქონე ადამიანებში ჩატარდეს სრულყოფილი ტესტი ნახშირწყლოვანი ცვლის დარღვევების გამოსავლენად. დიაბეტის დროს მიმდინარე დარღვევები, რომელთაც დროული და სათანადო ყურადღება არ ეთმობა, განაპირობებს გართულებებს სხვადასხვა ორგანოების მხრივ. ამის გამო შაქრიან დიაბეტს ვერაგ დაავადებასაც უწოდებენ. ხშირია გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ – არტერიული წნევის მომატება, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლა, ზოგჯერ უსიმპტომო ინფარქტი, თვალისა და თირკმლის დაზიანება, ტერფის დეფორმაცია და წყლული. მიუხედავად ასეთი პროგნოზისა, დიაბეტით დაავადებულთა სიცოცხლის ხარისხი არ განსხვავდება არადიაბეტიანი ადამიანისგან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ საკმარისი წარმოდგენა აქვთ დაავადებაზე და ითვალისწინებენ ექიმის მითითებებს. ბოლო წლებში დიდი ყურადღება ექცევა შაქრიანი დიაბეტის პრევენციას, რაც სიმსუქნის მკურნალობასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას ითვალისწინებს. დღემდე არ შეცვლილა მიდგომა მკურნალობის ძირითადი პრინციპების მხრივ. დიეტა მისი აუცილებელი კომპონენტია და ნებისმიერი მკურნალობა, იქნება ეს ტაბლეტოთერაპია თუ ინსულინოთერაპია კვების რეჟიმის გარეშე უეფექტო იქნება. სამწუხაროდ, დიაბეტი ტიპი 1-ის პრევენცია შეუძლებელია. ის ვლინდება ჩვილობიდან 40 წლამდე ასაკში და საჭიროებს ინსულინით მკურნალობას. მეორე ტიპის დიაბეტის დროს კი ყველაფერი კონკრეტული ადამიანის ხელშია. მის სურვილზე ბევრად არის დამოკიდებული ჯანმრთელობა და მოსალოდნელი საშიში დაავადებების თავიდან აცილება. ტიპი-2 დიაბეტი ვლინდება მოზრდილებში და სამწუხაროდ, ეგრეთ წოდებული „მოზრდილთა დიაბეტი" ბოლო დროს იმატებს ბავშვებშიც. ბავშვებში მისი ძირითადი მიზეზი სიმსუქნეა. ეს ის მდგომარეობაა, როდესაც სხეულის მასის შემცირებითაც კი შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული ეს რთულად სამართავი დაავადება.



სიმსუქნე ყველაზე ხშირი მიზეზია მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტის რისკ-ფაქტორებს შორის

**– როგორ შევძლოთ დიაბეტის დროს თვითკონტროლი საკუთარ ორგანიზმზე?**

– ყოველ ვიზიტზე ექიმთან განხილული თავის მოვლის წესები, მათ შორის კვების თავისებურებები, ინდივიდუალურად დგება, ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე. კარგად განსწავლული ადამიანი გართულებებისგან მეტწილად დაზღვეულია. თვითკონტროლის აუცილებელი კომპონენტია გლუკომეტრი. დიაბეტიან ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს საშუალება გაიგოს რამდენია სისხლში შაქრის დონე მოცემულ მომენტში. აწარმოოს დღიური და ექიმთან ერთად, რეგულარულად გააანალიზოს ცვლილებები, დიაბეტის უკეთესი მართვისთვის.

ადრე გაზაფხული პროდუქტის სიმცირით გამოირჩევა. ეს პერიოდი კრიტიკულია ყველა ადამიანისთვის – ავიტამინოზის, იმუნიტეტის დაქვეითების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების, ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობის, ფსიქო-ემოციური ლაბილობის გამო. ამ დროს განსაკუთრებით იზრდება მოთხოვნილება ცომეულსა და ტკბილზე, რაც გავლენას ახდენს დიაბეტის მოვლის ხარისხზე, სხეულის მასის კონტროლზე. საქმე ისაა, რომ ზამთარში ჩვენი ორგანიზმი ჭარბად მიღებულ ნახშირწყლებს, ანუ ენერგიის მარაგს ცხიმის სახით ინახავს. „დაგროვებითი" ნივთიერებათა ცვლა მადის მომატებას განაპირობებს. მადასთან ერთად, მატულობს შაქარიც და წონაც. ამიტომ რეკომენდებულია მადის მოწესრიგებაზე ზრუნვა, პოლივიტამინების მიღება, დანაკლისის შესავსებად, ენერგიისა და განწყობის შესანარჩუნებლად, კვების რეჟიმში მოყვანა (საუზმე, სადილი და ვახშამი). ბურღულეულის მიღება, ბოსტნეულისა და ცილოვანი პროდუქტის ულუფის გაზრდა. „სწრაფი ნახშირწყლების" – პურის, ტკბილეულის ამოღება რაციონიდან. რძის პროდუქტები – ხაჭო, მაწონი კი, ყოველდღიურად უნდა მიიღოთ. ეს ხელს შეუწყობს დანაყრების შეგრძნების შენარჩუნებას. აუცილებელია, ცხიმების შეზღუდვა და ზომიერი ფიზიკური დატვირთვა, არა მხოლოდ სისხლში შაქრის ნორმალიზებისთვის, არამედ მადის დაქვეითების მიზნითაც. ალკოჰოლის რაოდენობა მკაცრად იზღუდება, გულ-სისხლძარღვთა სისტემა ყველაზე საფრთხილოა.

**– გამიგია, რომ შაქრიანი დიაბეტის დროს ადამიანმა ფეხსაცმლის შერჩევისას უნდა გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რომელიც აუცილებელია. ამის შესახებ რას გვეტყვით?**

– დიახ, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, უნდა გავამახვილოთ ყურადღება ფეხსაცმლის შერჩევაზე. მოგეხსენებათ, ტერფი ძალიან ფაქიზი საკითხია დიაბეტის დროს. მით უმეტეს, თუ უკვე არის ტერფის დაზიანების ან დეფორმაციის ნიშნები. რამდენადაც სპეციალური ორთოპედიული ფეხსაცმელი ჩვენს ქვეყანაში იშვიათობაა, გასათვალისწინებელია, რამდენიმე დეტალი. ფეხსაცმელი უნდა შეეფერებოდეს ტერფის მოცულობას. ფეხსაცმელში საკმარისი სივრცეა საჭირო ტერფის თავისუფალი და უმტკივნეულო მოძრაობისთვის. ის არ უნდა იყოს ვიწრო, არ უნდა ჰქონდეს უხეში ნაკერები, მყარი ან ძალიან თხელი ძირი. სასურველია, ძირი იყოს დაახლოებით ისეთი, როგორიც აქვს სპორტულ ფეხსაცმელს, რბილი და დრეკადი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ცუდი ხარისხის მასალა სხვადასხვა ბაქტერიისა და სოკოს გამრავლებას უწყობს ხელს. დიაბეტის დროს კი ნებისმიერი სოკო თუ ბაქტერია გაცილებით ადვილად აღწევს კანში. დიაბეტი ქრონიკული დაავადებაა და ამიტომ, ყველა დიაბეტიანისთვის უპირატესი მნიშვნელობა აქვს მკურნალი ექიმის მითითებებს, კონკრეტული ცხოვრებისეული გარემოებების გათვალისწინებით, რაც მწვავე გართულებების რისკს შეამცირებს.

**ნონა დათეშიძე**

**„ახალი საბავშვო ხმის" გამარჯვებული რეზიკო დიდებაშვილი გახდა. თავისი გამორჩეული მუსიკალური მონაცემების გამო ის სატელევიზიო პროექტის დაწყებიდანვე გახდა მაყურებლის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი. 13 წლის რეზიკო თბილისში, სამგორის რაიონში ცხოვრობს. ამ ძალიან ხალისიან და საყვარელ ბიჭს, უყვარს მუსიკა, კომპიუტერული სპორტული თამაშები, მუსიკასთან დაკავშირებით კი დიდი გეგმები აქვს, რაზეც ახალი თაობის პატარა ვარსკვლავი ჩვენთან საუბრობს.**

# სად გაატარებინეს „ახალი საბავშვო ხმის" გამარჯვებულ რეზიკო დიდებაშვილს ფინალის ღამე და ვინ „იშვილა" ის

**– რეზიკო, როგორ მოხვდი პროექტ „ახალ საბავშვო ხმაში"?**

– როდესაც „ახალი ხმის" რეკლამა გავიდა ტელევიზორში, დედამ მითხრა. მომეწონა დედას იდეა, ანკეტა გავგზავნეთ და დაგვირეკეს. ადრეც ბევრ კონკურსში მაქვს მიღებული მონაწილეობა: ჯერ „ანა-ბანაში" ვიყავი, მერე გოგი ცაბაძის კონკურსზე ავიღე პირველი ადგილი, მაგრამ, მივხვდი, რომ ეს მაინც სხვანაირი პროექტი იქნებოდა. პირველ ქასთინგზე ძალიან ვინერვიულე, ჩემი დები იყვნენ იქ ჩემი გულშემატკივრები. ჩემი წინათგრძნობა გამართლდა– ეს მართლაც მაგარი პროექტი გამოვიდა. დღეს ძალიან ბედნიერი ვარ, რომ აქ მოვხვდი. მუსიკა ჩემთვის ყველაფერია. შეუდარებელია მუსიკის სამყარო, როცა ვმღერი, ისეთ რამეს ვგრძნობ, სიტყვებით ვერ ვამბობ.

**– როგორ მიხვედი ფინალამდე?**

– თავიდან ძალიან ვნერვიულობდი ხოლმე ყველა გამოსვლის წინ. ღამე არ მეძინა ემოციებისგან, მაგრამ, სცენაზე ეს არასდროს მეტყობოდა. ყველაზე რთული მაინც რინგი იყო, რინგზე სამნი ვიდექით. ნამდვილად არ მეგონა, რომ რინგს გადავლახავდი.

**– „ბრმა ქასთინგზე" შენ გამო ლამის მწვრთნელებიც კი წაეკიდნენ ერთმანეთს, შენ კი არჩევანი დათო ფორჩხიძეზე გააკეთე.**

– დიახ, ბრმა ქასთინგზე სამივე მწვრთნელი რომ შემომიტრიალდა, ემოციური მომენტი იყო. სტეფანეს და ეკა კახიანსაც უნდოდათ, რომ მათ გუნდში ვყოფილიყავი, მაგრამ მე გული დათოსკენ მიმიწევდა. მასთან ნამუშევარი ვიყავი, როცა უფროსების „ახალ ხმაში" გამარჯვებულ სალომე ქათამაძესთან ერთად ვიმღერე. ორივე „ახალი ხმის" გამარჯვებული დათო ფორჩხიძის გუნდიდან ვართ. დათომ შვილივით მიმიღო. ის ძალიან ბევრს მავარჯიშებდა; რამე თუ არ მოეწონებოდა – თავიდან, თავიდანო, – მეუბნებოდა ხოლმე. მეც ყველა შეცდომას განვიცდიდი. გვიან ღამემდე ვვარჯიშობდი დათოსთან. ფინალში ისეთი ლამაზი რაღაც მითხრა, სხვა მწვრთნელებმაც შემაქეს.

**–კონკურენტებზე რას იტყვი?**

– ნიჭიერი ბავშვები იყვნენ, ძლიერი კონკურენტები მყავდა, მომეწონა ის, რომ ყველას კარგი ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთთან. ვერც კი ვგრძნობდით, რომ კონკურენტები ვიყავით. გამიგია, რომ უფროსი თაობის მომღერლებში კონკურენტობა სხვანაირია, ჩვენთან, ბავშვებში, ეს არ იგრძნობა. რინგზე, როგორც ახლა ფინალში, უიტნი ჰიუსტონის სიმღერა ვიმღერე. მე თუ სიმღერა არ მომწონს, ვერ ვიმღერებ, ამიტომ, რეპერტუარს როცა მირჩევდნენ, ვამბობდი, მომწონდა თუ რა ის მომღერალი. უიტნი ჰიუსტონი იღბლიანი აღმოჩნდა ჩემთვის ამ პროექტში, კიდევ, ჩემი მეგობარი ელენე გონაძე აღმოჩნდა ჩემთვის „იღბალა". ის ბექებში იდგა *(იცინის).*

**– სიმღერა როდის დაიწყე?**

– დედა ამბობს, სანამ ლაპარაკს დაიწყებდი, მანამდე უკვე მღეროდიო. მაშინ ძალიან პატარა ვყოფილვარ. საერთოდ, ჩემი დაბადება უცნაურად მომხდარა. სამი უფროსი და მყავს და ოჯახში ნანატრი ბიჭი ვიყავი. დედაჩემი ლამის გარდაიცვალა, როცა მე გამაჩინა. დედა ისე ცუდად ყოფილა, ძლივს გადაარჩინეს. ერთი თვე



ჩვენ მდიდრები არ ვართ, რომ ესემესები „გვეყიდა"

იწვა, თურმე, სამშობიაროში და ჩემთვის არავის ეცალა. დედა ამბობს, ექიმების იმედზე იყავი მიტოვებულიო. მერე გავახსენდი ყველას, დედა რომ გამოკეთდა *(იცინის).* პირველად ჩემმა მასწავლებელმა უთხრა დედაჩემს, როცა პირველ

**დედაჩემი ლამის გარდაიცვალა, როცა მე გამაჩინა, ამიტომ, ერთი თვე არავის ვახსოვდი**

კლასში ვიყავი, წაიყვანეთ ეს ბავშვი რაიონულ კონკურსზე, აუცილებლად გაიმარჯვებსო. მერე იყო „ანა-ბანა." ჩემი და მეხმარებოდა თავიდან – ნინო კარგად მღერის. მამაჩემიც მღერის ხანდახან, ის ბოტანიკურ ბაღში მუშაობს, მაგრამ, უყვარს სიმღერა. ჩემს ოჯახს მოსწონს, რომ ვმღერი, ყველაფერში მეხმარებიან. ძალიან ბევრს ვვარჯიშობ, სახლშიც კი სულ ვმღერი. მიყვარს ესტრადა, პოპი, ქართული სიმღერა. ჩემი პედაგოგია ნანა ჟღერია, მას დიდი წვლილი მიუძღვის, მე რომ ასე ვმღერი. ახლაც, მგონი, ისე მგულშემატკივრობდა, როგორც ჩემი ოჯახის წევრები. სკოლაც ძალიან მგულშემატკივრობდა. პროექტის დროს სკოლის გაცდენა მიწევდა ხოლმე, მაგრამ, მასწავლებლები ხელს მიწყობდნენ, თუმცა, მეც კარგად ვსწავლობდი.

**– ფინალში გადამწყვეტი მაინც ესემესები იყო. სთხოვდი მეგობრებს, რომ ესემესები გამოეგზავნათ? ვინ გიგზავნიდა ყველაზე მეტ ესემესს?**

– ჩვენ მდიდრები არ ვართ, რომ ბარათები გვეყიდა და ესემესები „გვეგზავნა". დედა ამიტომაც ნერვიულობდა, რომ ესემესებზე იყო დამოკიდებული გამარჯვება. ეტყობა, ხალხს მოსწონდა ჩემი სიმღერა და ამიტომაც მიგზავნიდნენ ესემესებს უცხოებიც. ძალიან ბევრი ხალხი მგულშემატკივრობდა. მამაჩემის თანამშრომლებიც მიგზავნიდნენ ესემესებს, ყველა მიგზავნიდა, ვინც მიცნობს – მეზობლები, სკოლელები, თანაკლასელები. ჩემი გამარჯვება მათი გამარჯვებაც არის. მეც ბევრს ვმუშაობდი, მაგრამ, გამარჯვებას არ მოველოდი. როცა გამომაცხადეს, სიხარულით გადავირიე. გამარჯვება უდიდესი გრძნობა ყოფილა. ფინალის ღამეს ყველანი „მაგთი კლუბში" წავედით და მთელი ღამე იქ გავატარეთ, ბევრი ვიმღერეთ და ვიმხიარულეთ. ესეც მაგარი სიურპრიზი იყო.

**– როგორ შეცვალა ამ პროექტმა შენი ცხოვრება?**

– ძალიან შეცვალა – პოპულარული გავხდი. მე, ძირითადად, მეტროთი ვმგზავრობ და, როცა მეტროში ხალხი მცნობს, მიხარია. ზოგი მაჩერებს და კარგ რაღაცეებს მეუბნება. პოპულარობა მართლაც კარგი ყოფილა. წარმომიდგენია, რას გრძნობენ დიდი ადამიანები, ვინც ცნობილები არიან, როცა ხალხს უყვარს.

**– რა პრიზები გერგო გამარჯვებულს?**

– „ახალი ხმის" მთავარი პრიზი – ტელეფონი „გალაქსი ნოუთ". ეს ტელეფონი ძალიან მინდოდა. შემოდგომაზე ამერიკაში უნდა წავიდე, მანამდე კი სინგლს ჩავწერ და იქაურ „ლაივს" დავესწრები. ჰო, კიდევ, საფრანგეთის დედაქალაქის „დისნეი ლენდში" წავალ. ამერიკაში დათო ფორჩხიძესთან და დათო იმედაშვილთან ერთად უნდა გავემგზავრო. ამ პრიზებში ამერიკა ყველაზე მეტად გამიხარდა, მაგრამ, სახლში იმდენი ქალი მივლის, არ ვიცი ამერიკაში ვინ უნდა მომიაროს *(იცინის).*

**– შენს მომავალს რომ სიმღერას დაუკავშირებ, ამას კითხვაც არ უნდა.**

– დიახ, მინდა, ცნობილი მომღერალი გამოვიდე. ეს ძნელია, მაგრამ, თუ ბევრს იშრომებ, დაგიფასდება – მე ასე გამიგია. ვიცი, რომ მომღერლები თავის საქმეში არიან სულ და სხვა ვერაფრისთვის იცლიან, მაგრამ, როცა სიმღერა გიყვარს, ასეც იცხოვრებ.

**თამუნა ნიჟარაძე**



**ბადრი (ბადური) ჩოხელის გახსენება**

მოულოდნელი წასვლით დიდი ტკივილი დაგვიტოვე ახლობლებს, ოჯახის წევრებს, დედას, შენს უბანს, ეზოს...

ვაჟკაცი იყავი, საამაყო, სიცოცხლით სავსე. შენს სახელს დავიწყება არ უწერია. დაგტირით ძალიან.

40 დღის შემდეგ სული მიდისო და შენც გაუყევი იმ გზას, რომელსაც უსასრულობა ჰქვია.

უფალმა დაგიმკვიდროს მარადიული სასუფეველი!

**ელგა გულიაშვილი, გია ბუწაშვილი**

# „ავერსის კლინიკა“-ს საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატი ISO-9001 მიენიჭა

## „ეს მომსახურების მაღალ ხარისხს, შეცდომის დაშვების გამორიცხვას და მომხმარებლის ნდობის ამაღლებას ნიშნავს!“



***„ავერსის კლინიკა“ პირველი მრავალპროფილური კლინიკაა, რომელსაც ISO-ს საერთაშორისო სერტიფიკატი მიენიჭა, რაც მომსახურების მაღალ ხარისხსა და ნდობასთან ასოცირდება. ამასთან დაკავშირებით „ავერსის კლინიკის“ გენერალური დირექტორი, დიმიტრი ჯორბენაძე გვესაუბრა.***

„ავერსის კლინიკა“-მ საერთაშორისო სასერტიფიკაციო აუდიტი გაიარა და ამის საფუძველზე ISO-9001-ის საერთაშორისო სერტიფიკატი მიენიჭა. ეს როგორც ჩვენთვის, ასევე საზოგადოების სოლიდური ნაწილისთვის (რომელიც ჩვენი მომსახურებით სარგებლობს) მეტად სასიხარულო ფაქტია. მოგეხსენებათ, ISO – სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც გაეროს საკონსულტაციო სტატუსით სარგებლობს. მისი სტანდარტები ყველაზე უფრო მეტად არის გავრცელებული თანამედროვე მსოფლიოში, რაც, ერთი მხრივ, მომხმარებელს მაღალი ხარისხის პროდუქციისა და მომსახურების მიღების გარანტიას აძლევს, მეორე მხრივ კი კომპანიის მმართველ რგოლს მიუთითებს, თუ როგორ გააუმჯობესოს საქმიანობა. სერტიფიკატის აღება ჩვენი ნებისმიერი თანამშრომლისთვის ნიშნავს თვითდაჯერებულობას, რადგან, რასაც აკეთებს, ყველაფერი საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტს არის დაქვემდებარებული და პროცესი სწორად მიმდინარეობს. რასაკვირველია, ძალიან მნიშვნელოვანია თავად ამ პროცესის დაგეგმვა, მის შესრულებაზე ზედამხედველობა, სწორი ანალიზი და შეფასება, რისთვისაც არსებობს ეს საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტი. ესე იგი, ნებისმიერი ქმედება, რაც ჩვენს კლინიკაში ხორციელდება როგორც სამედიცინო მომსახურების, ისე მენეჯმენტის თვალსაზრისით, ISO-ს სტანდარტს შეესაბამება, რაც მეთოდური ინსტრუქციების, პრაქტიკული სახელმძღვანელოებისა და პროტოკოლების სახით გვაქვს დოკუმენტირებული. აქედან გამომდინარე, პერსონალის მხრიდან შეცდომის დაშვების ალბათობა მინიმუმამდეა შემცირებული. მოგეხსენებათ, სამედიცინო საქმიანობა ერთ-ერთი მაღალი რისკის შემცველად ითვლება მთელ მსოფლიოში. ამიტომ, ასეთ საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს დიდი ყურადღება ექცევა.



**– და მაინც, რით განსხვავდება ISO-ს სტანდარტები სხვა საერთაშორისო სტანდარტებისგან?**

– ISO-ს სტანდარტები თავისი უნივერსალურობით გამოირჩევა, მისაღებია ყველა საწარმოსთვის, პერსონალის რაოდენობის, გამოშვებული პროდუქციის ხასიათისა და მომსახურების სახეობის მიუხედავად... ეს სტანდარტები მისაღებია სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოებისა და მათი დეპარტამენტებისთვის, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის (სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ISO) დღესდღეობით 160-მდე ქვეყნის ეროვნული სტანდარტიზაციის ორგანოს აერთიანებს). ISO გადაწყვეტილებებს კონსენსუსის საფუძველზე იღებს და მიზნად საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილებას ისახავს. ISO-ს სტანდარტები მთელ მსოფლიოში ხარისხის სინონიმია. დღეისთვის საქართველოში დიდი მოთხოვნაა სწორედ ISO-ს სტანდარტებზე. ეს სტანდარტები ნდობასთან ასოცირდება.

**– ჰქონდა თუ არა მინიჭებული ეს სერტიფიკატი თქვენამდე რომელიმე სხვა კლინიკას?**

– „ავერსის კლინიკა“ არის პირველი მრავალპროფილური კლინიკა, რომელმაც მიიღო ISO 9001:2008 სერტიფიკატი. ჩვენ ამ შედეგისთვის 2009 წლიდან ვემზადებოდით. სასერტიფიკაციო აუდიტის მოთხოვნების დაკმაყოფილება კი იმაზე რთული აღმოჩნდა, ვიდრე წარმოგვედგინა.

**– მაინც, რა მოთხოვნები უნდა დაგეკმაყოფილებინათ?**

– ამ მოთხოვნებიდან ძირითად 8 პრინციპს ჩამოგითვლით:

1) ორიენტაცია მომხმარებელზე; 2) მმართველი რგოლის ლიდერობა; 3) თანამშრომელთა ჩართულობა მთლიან პროცესში; 4) პროცესუალური მიდგომა; 5) მენეჯმენტისადმი სისტემური მიდგომა; 6) მუდმივი გაუმჯობესება; 7) გადაწყვეტილების მიღება ფაქტებზე დაყრდნობით 8) მომწოდებლებთან ურთიერთსასარგებლო დამოკიდებულება.

ამ ყველაფრის ზედმიწევნით შესრულება არც ისე იოლია, თუმცა, ჩვენ ეს შევძელით.

ამასთან, კლინიკაში სასერტიფიკაციო აუდიტი ჩატარდა გერმანული ჰოლდინგის – TUV SUDDEUSCHLAN-ის მიერ, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო ლიდერს საექსპერტო სასერტიფიკაციო ორგანოთა შორის. ცენტრალური ოფისი მიუნჰენში მდებარეობს. თავისი საქმიანობის 135 წლის განმავლობაში ჰოლდინგმა დააგროვა სოლიდური გამოცდილება და დაიმკვიდრა დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი. მას გააჩნია 65 ფილიალი და წარმომადგენლობა როგორც ევროპაში, ასევე, ამერიკასა და იაპონიაში. TUV SUD-ის მკაცრი აუდიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილება ჩვენგან სერიოზულ შრომას მოითხოვდა, რასაც კლინიკის ყველა თანამშრომელი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა.

მისამართი: თბილისი 0160, ვაჟა-ფშაველას გამზირი, №27 ბ.
ტელეფონები: 2-399-888; 2-391-501; 2-394-853; 2-967-227.
ფაქსი: 2-399-370. ელ-ფოსტა: clinic@aversi.ge; ვებ-გვერდის მისამართი: www.aversi.ge.

# ბრძნული აზრები

**შილერი**: ბუნება არის უსასრულოდ დანაწილებული ღმერთი.

**ლუ სინი**: ვინც არ იბრძვის, მას გზაც აღარ ექნება.

**რასელი**: ის, რასაც ადამიანები არსებობისთვის ბრძოლას უწოდებენ, ალმატებისთვის ბრძოლაა და სხვა არაფერი.

**ფულერი**: მონაწილეთა სიმრავლე არ ამართლებს ბოროტმოქმედებას.

**სენეკა**: მოფიქრებული, თუნდაც განუხორციელებელი ბოროტმოქმედება, მაინც ბოროტმოქმედებაა.

**გოეთე**: სიბოროტე ეძებს მიზეზს, არა საფუძველს.

**სერვანტესი**: მამის დამსახურება შვილზე არ ვრცელდება.

**კამიუ**: დასჯა, რომელიც არაფერს აგვარიდებს, შურისძიებაა.

**ავრელიუსი**: დასჯა სამართლიანობაა უსამართლოსთვის.

**კორნელი**: თუ კარგ დასაბამს დასასრული არა აქვს, არაფრად ღირს.

**ოვიდიუსი**: დასასრული აგვირგვინებს საქმეს.

**ზირაქი**: რასაც არ უნდა აკეთებდე, იფიქრე დასასრულზე.

**პასკალი**: კაცთა ცოდვანი და დანაშაულნი უფრო ბევრს გვასწავლის, ვიდრე კეთილი საქმენი მათნი.

**ეზოპე**: გასაჭირში ჩავარდნილ ადამიანს სიმართლის თქმისა არ ეშინია.

**იბსენი**: მთელი განვითარება დღემდე სხვა არაფერია, თუ არა ბარბაცი ერთი შეცდომიდან მეორისკენ.

**ფიშერი**: გამოცდილება გვაუწყებს, რომ კაცი იმას გამოსცდის ხოლმე, რისი გამოცდაც არ სურდა.

**მაკიაველი**: ვისაც სურს იცოდეს – რა მოხდება, მან ყურადღება უნდა მიაქციოს მას, რაც მომხდარა.

**კოლტონი**: მოთმინება სისუსტის საყრდენია, მოუთმენლობა კი ძლიერების ნანგრევი.

**შექსპირი**: მოთმინება დიაცს უხდება.

**გრასი**: მოგონება ნიშნავს შერჩევას.

**კონფუცი**: ლაჩრობაა, შეგნებული გქონდეს მოვალეობა და არ შეასრულო.

**გოეთე**: მაინც რა არის შენი მოვალეობა? – რასაც დღევანდელობა მოითხოვს შენგან.

**ირვინგი**: დიდი ადამიანები მიზნებს ისახავენ. დანარჩენები თავიანთ სურვილებს მისდევენ.

**ენგელსი**: სადაც არ არის საერთო ინტერესები, იქ არ შეიძლება იყოს მიზანთა ერთიანობა.

**სპინოზა**: ადამიანის წადილში გამოიხატება მისი არსება.

**ჰორაციუსი**: თუ მიზანი გინდა, საშუალებაც უნდა გინდოდეს.

**ფადიმანი**: კარგი მეხსიერება ისე უნდა იყოს გაწვრთნილი, რომ დაივიწყოს, რაც ტრივიალურია.

**მონტესკიე**: თავაზიანობა მიდრეკილებაა კაცისა, რომ სხვებს თავი მოაწონოს.

**ლობგრერი**: თითქმის ყველა ქალს უნარი შესწევს ყველაზე უმაღლესი გმირობა ჩაიდინოს სიყვარულის გამო.

**კიპლინგი**: ქალური ალღო ბევრად უფრო ზუსტია, ვიდრე მამაკაცის მტკიცე რწმენა.

# თუ გამოიცნობთ

1. ფაბერჟეს მიერ შექმნილი ამ ნივთის პირველ ნიმუშში, რომელიც ხელოვნების ნაწარმოებადაა მიჩნეული, იდო ქათამი საიმპერატორო გვირგვინის მოდელით, რომლის შიგნითაც, თავის მხრივ, იდო კვერცხის ფორმის ლალი. მეორე ანალოგიური ნივთი ზარბაზნის ლითონით დაამზადეს და მოათავსეს საარტილერიო ჭურვის სადგარზე. **რა ნივთი უკვდავყო ფაბერჟემ ხელოვნებაში?**

2.ანტიბირთვული მოძრაობის ყველაზე გავრცელებული ემბლემაა ორი მოკლე ზოლით გადახაზული „ბირთვული სოკო". ამ ზოლების ფერი სხვადასხვა ორგანიზაციისთვის სხვადასხვაა. მაგალითად, მემარცხენე ორგანიზაციები მას წითლად გამოსახავენ, ბურჟუაზიული პაციფისტური პარტიულები და უპარტიოები – შავად, რელიგიური ორგანიზაციები – ყვითლად. **რა ფერია ეს ზოლები გარემოს დაცვის პოზიციის მქონეთათვის?**

3. 1818 წელს ჩამოყალიბდა დეკაბრისტული ორგანიზაცია – „შეერთებული სლავების საზოგადოება". მის გერბზე გამოსახული იყო 4 გადაჯვარედინებული ლუზა, რომელიც 4 „სლავურ ზღვას" გამოსახავდა: „თეთრს, ბალტიის, შავს და... **დაასახელეთ მეოთხე.**

4. მეოცე საუკუნის დასაწყისში ევროპის დიდ ქალაქებში ბევრი უმუშევარი მუსიკოსი გამოჩნდა – ყველა ერთი და იმავე სპეციალობის. ეს კი კაცობრიობის ერთ-ერთ პროგრესთან იყო დაკავშირებული. **დაასახელეთ, რა პროგრესი იყო ეს?**

5. 1990 წელს გამოშვებულ გერმანულ მარკებზე გამოსახულნი არიან ცნობილი გერმანელები: 10-მარკიან კუპიურაზე – მათემატიკოსი ჰაუსი, 200-მარკიანზე – მედიკოსი პაულ ერლიჰი, 1 000 მარკის ღირებულების კუპიურაზე კი ორი ადამიანია გამოსახული, რომლებიც, ალბათ, სიმბოლურად, ამ თანხის ზღაპრულობას გამოსახავენ. **ვინ არიან ისინი?**

6. პირველად ის შეიქმნა 1956 წელს, ეგვიპტის მოვლენებთან დაკავშირებით. მისი დასახელება ორი სიტყვისგან შედგება: ერთი აღნიშნავს ფერს, მეორე კი – ერთ ან მეორე თავსაბურავს, იმის მიხედვით, თუ რამდენად დაძაბულია სიტუაცია ადგილზე. მასში სხვადასხვა ერთვნების წარმომადგენლები არიან. **ვის ექვემდებარებიან ისინი?**

7. საუდის არაბეთის სახელმწიფო დროშა მეფე იბნ საუდის – სახელმწიფოს პირველი მმართველის დროშიდან წარმოიშვა. დროშა მწვანეა, მასზე გამოსახულია ხმალი და თეთრი ფერის არაბული ასოებით წარწერა. **რა წერია საუდის არაბეთის დროშაზე?**

8. ონაგრი – ველური ცხენის ერთ-ერთი სახეობაა. იმის გამო, რომ მასზე დაჯდომა თითქმის შეუძლებელია, რადგან ხტუნაობს და მხედარს აგდებს, მისი სახელი დაარქვეს ერთ-ერთ მექანიზმს, რომელიც ძირითადად სამხედრო საქმეში გამოიყენება. **რომელს?**

9. ამ ქალაქს თავის დროზე ერქვა: პანტიკაპეა, ბოსფორი, კორჩევი. გენუელები მას ჩერკიოს ეძახდნენ. 1745 წელს ის თურქებმა დაიპყრეს და ყირიმის სახანოს დაუქვემდებარეს. **დაასახელეთ ქალაქი.**

10. ცნობილია, რომ სპორტულ ტურებს, საიდანაც წაგებული გუნდი ვარდება, ინგლისური ტერმინით „ფლეი ოფს" უწოდებენ. ავიამოდელისტებს მსგავსი ტურებისთვის აქვთ ტერმინი, რომელშიც პირველი სიტყვაა შეცვლილი. **ეს ტერმინია...**

***პასუხები იხილეთ 60-ე გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* მეცხრამეტე საუკუნის ევროპა წარმოუდგენელი იყო ფრანგული ენის გარეშე, ისევე, როგორც აზია – თათრულის.

* 1763 წელს ფრანგმა ბუგენვილმა, რომლის ექსპედიცია მთლიანად ქალაქ სენ-მალოს ვაჭრების მიერ იყო დაფინანსებული, ატლანტის ოკეანეში აღმოაჩინა კუნძულები, რომლებსაც მალვინის კუნძულები დაარქვა.

* ბუდას წარბების მოხაზულობასა და ყურის ბიბილოების მოგრძო ფორმაზე ხაზგასმა მის წმინდანობაზე მიუთითებს. მისი სხეულის მდგომარეობა, ასევე, ფეხების ჟესტები, გარკვეული სპეციფიკური მნიშვნელობისაა: წინ დაწყობილი ფეხები სიმბოლურად გამოხატავს, რომ ის ისვენებს. თუ ერთი ფეხი მეორეზე აქვს გადადებული – ის სიკვდილის პოზაშია გამოსახული.

* 1989 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაწყვიტეს, გამოევლინათ ქვეყნის საუკეთესო ჩინოვნიკი და გამოაცხადეს კონკურსი მოთხრობაზე, რომლის თემა ჩვენთვის ნამდვილად მიულებელია და შინაგან პროტესტსაც გაგვიჩენს: „ჩემი საყვარელი ბიუროკრატი".

* ჩრდილო კორეაში 80-იან წლებში გამოიყვანეს ყვავილების ახალი ჯიშები, რომლებსაც ქვეყნის პირველი პირისა და მისი შვილის სახელები - „კიმჩენირნხვა" და „კიმირსენხვა" დაარქვეს. მათ გავრცელებას არა მარტო ესთეტიკური მნიშვნელობა, არამედ, პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა: მასზე ქმნიდნენ ლექსებს, სიმღერებს... მის სურათებს ინტენსიურად ბეჭდავდა პრესა, აჩვენებდნენ ტელევიზიები...

* ცნობილი ჰამბურგული ფირმა „სტენვეი" თავდაპირველად მხოლოდ სპილოსძვლისკლავიშებიან პიანინოებსა და როიალებს უშვებდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც „რინპისის" აქციით, გერმანიაში სპილოს ძვლის იმპორტი აიკრძალა, „სტენვეიმ" სინთეტიკური მასალის გამოყენება დაიწყო.

* „გინესის რეკორდების წიგნში" შევიდა პლაჟის სილით აგებული არქიტექტურული ნაგებობა, რომელმაც, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ხანს გაძლო – ერთ კვირის შემდეგ ის ზღვის მოქცევამ გაანადგურა. შენობა ამერიკულ მერტლ ბიჩზე აიგო. ნაგებობის სიგრძე, რომლის მშენებლობაში 2 000 სხვადასხვა ასაკის ადამიანი მონაწილეობდა, 4 591 მეტრს შეადგენდა.

* 1988 წელს კანადელმა ბიოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ არსებობს ბუზი, რომელიც ინილბება და ემსგავსება ობობას. ბიბლიური ფრაზის სიტყვების გადანაცვლებით, მათ ამ ბუზს უწოდეს „მგლის ტყავში გახვეული კრავი".

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლa8-a1!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



– ძვირფასო, გამომყვები ცოლად?
– ბრილიანტის ბეჭედს მიყიდი?
– რა მოხერხებულად მითხარი უარი?!

***

ტიპმა გადაწყვიტა, სასტუმროში დაისვენოს, მაგრამ საყვარელი ძაღლიც უნდა, რომ თან ჰყავდეს. მიმართა ადმინისტრატორს.




– ჩვენს პრაქტიკაში ჯერ არ მომხდარა, რომ ძაღლს სიგარეტით დასძინებოდა და ნომერში ხანძარი გაეჩინა, ან პირსახოცი გაეყოლებინა ხელს, თუნდაც წითელი ღვინო დაელვარა ხალიჩაზე... ასე რომ, სიამოვნებით მივიღებთ... და თუ თქვენც პირობას გვაძლევთ, რომ მსგავს საქციელს არ ჩაიდენთ, მასთან ერთად მოგათავსებთ.

***

სასამართლოზე.
– ქალბატონო, რატომ მოწამლეთ მეზობლები?
– იცით, ტარაკნების წამალს რომ ვყიდულობდი, მითხრეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში იმოქმედებს, თუ მეზობლებთან ერთად დახოცავთო...

***

– გაიგე, ვასო პედერასტი ყოფილა...
– რა, ვალი არ დაგიბრუნა?!
– არა, კარგი გაგებით...

***

ქალი – როგორც შუქნიშანი, ჯერ მწვანეს ანთებს, მერე ყვითელს, ბოლოს გადადის წითელზე.
მამაკაცი კი, როგორც მძღოლი – ყველაფერზე მიდის.

***

ჩინელი ფილოსოფოსის ჩანგ ინგ იუს აზრით: თუ ადამიანი დღის განმავლობაში, ისეთი აქტიურია, როგორც ფუტკარი; ძლიერია, როგორც ხარი; მუშაობს, როგორც ცხენი და სახლში ისეთი დაღლილი მიდის, როგორც ძაღლი, საჭიროა ვეტერინარის კონსულტაცია, დიდი შანსია, ვირი აღმოჩნდეს...

***

– ექიმო, ჩემი ცოლი მივლინებაში წავიდა ორი კვირით. ბავშვი ჩემთანაა. ყველაფერს ვუკეთებ, როგორც დამავალა, მაგრამ წონაში იკლებს... მეცადინეობა, მასაჟი, ცურვა, ვარჯიში... ყველაფერი თავის დროზე...
– უკაცრავად, რას აჭმევთ?
– აუ, ჩემი... ხომ ვფიქრობდი, რაღაც მავიწყდება-მეთქი...

***

მიხო წლების განმავლობაში შორი გადაზიდვების მძღოლად მუშაობდა. პენსიაში როცა გავიდა, მეგობრებმა გააცილეს და საჩუქრად მანქანის კაბინა მიუტანეს.
შაბათს მეგობრებს შესანიშნავი სუფრა გაუწყო ცოლ-ქმარმა... ორივე კარგ გუნებაზეა, ცოლი ანათებს...
– მადლობა საჩუქრისთვინა, მთელი სიცოცხლე კაბინაში გავატარე, მაგრამ ასეთი სიამოვნება არასდროს მიმიღია, დილით აღარ მიწევს კაბინიდან ვინმეს გაგდება...

***

– აბა, ბავშვებო, ვინ იტყვის, რა ეროვნების იყო ბურატინო...
– რუსი – ალექსეი ტოლსტოიმ არ დაწერა, მასწ?!
– არა, იტალიელი, – ნაწარმოების ავტორი იტალიელი იყო.
– არა, მასწ, არც ერთი და არც მეორე, – ორივე ნაწარმოებში შავით თეთრზე წერია: „აილო მამა კარლომ შეშის ნაჭერი“...

***

ტიპი ნუდისტურ პლაჟზეა წამოწოლილი, თავის ღირსებას კი მზისგან ქუდით იცავს. ჩამოიარა ქალმა.




– ნამდვილი ჯენტლმენი ქალის დანახვისას ქუდს იხდის.
– ქალბატონო, ნამდვილი ქალის დანახვისას ქუდი თვითონ აიხდება.

***

– ალო, ტერარიუმია?
– დიახ.
– იცით, ჩემთან გველი შემოძვრა...
– სად, როგორია?
– მეხუთე სართულზე თეთრი მუცელი აქვს, ზემოდან შავია...
– ეცადეთ, დაიჭიროთ...
– როგორ, ხელებით?! რას ამბობთ?!
– თქვენ „ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის წევრი ხართ“?
– არა?!
– მაშინ რამე გექნებათ... ნაჯახი, ნიჩაბი, ჯოხი... რაც ხელში მოგხვდებათ...

***

ჩვენ ვისწავლეთ წყალში ცურვა, როგორც თევზებმა; ვისწავლეთ ცაში ფრენა, როგორც ფრინველებმა; ახლა უნდა ვისწავლოთ დედამიწაზე ცხოვრება, როგორც ადამიანებმა.

***

დილით კარზე ზარია.
– გამარჯობა, ჩვენ იაღოველები ვართ და თქვენთან საუბარი თუ შეიძლება...
– კარგი, შემობრძანდით, – მიმართა მასპინძელმა.
შევიდა შუა ოთახამდე.
– რაზე გინდოდათ საუბარი?
– დამავიწყდა... ასე შორს არსად არასდროს შევსულვარ... – უხერხულად ჩაილაპარაკა მოსულმა.

***

რესპონდენტებს აჩვენეს სურათი: მამაკაცს თეფშში აქვს ჩადებული თავი. „რას ნიშნავს?“




მხოლოდ ქართველმა თქვა: „ძალიან დათვრა“. დანარჩენებმა – „გარდაიცვალა“.

***

– ვერცხლისფერ „მერსედესთან“ შემიჩერეთ! – ეუბნება მგზავრი მარშრუტკის მძღოლს.
– ვერცხლისფერი „მერსედესი“ დაიძრა, მივყვე!

***

– მამი, რატ მითხრა მასწავლებელმა, „რაც მამაა, ის შვილიო“? – ეკითხება მიხო მამას.
– შე შობელძაღლო, ტ..ზე უჩქმიტე?

***

– დაწვრილებით მოყევით, რა დაემართა, როგორ გაგიჟდა თქვენი მეუღლე.
– იცით, მთებში წავედით დასასვენებლად, შესანიშნავი ბუნებაა და ძლიერი ექოა... ჩემი ცოლი კი მიჩვეული იყო, რომ ბოლო სიტყვა მისი უნდა ყოფილიყო...

***

– მაყვალ, მიტუას მშობლები შენ დასანიშნად მოვიდნენ.
– ო, როგორ არ მინდა დედას მოვშორდე...
– მაგაზე დარდობ, დედაშენსაც გაგაყოლებ...

***

– ისეთი მშვენიერი ხარ... სად არის ის წვრილმანი დეფექტი, რომელზედაც განცხადებაში წერდი?
– სად და... საბავშვო ბაღში...

***

როდესაც ნატაშა სამი წლის იყო, პლაჟზე შიშველი დარბოდა... ახლა, 30 წლის ასაკში ორი ბოთლი შამპანური ნათლად ახსენებს იმ ბავშვობას...

***

მთვრალი მიხო შინ გვიან ბრუნდება...
– სად ეშმაკებში დაეთრეოდი?!
– მარო, შენცა ნახე ისინი?!

# „მაგიური“ პულტი, დამუხტული ცხვირი და აღშფოთებული ედიშერ მაღალაშვილი

... მანქანა მიყვარს. მხოლოდ სასეირნოდ კი არა, საერთოდ მიყვარს ტექნიკა და ჩხირკედელაობა. ნებისმიერ ძრავას დავშლი და ავაწყობ. ბინაში პატარა სახელოსნოც მაქვს. გასული საუკუნის ბოლო მეოთხედია. ხელში ჩამივარდა გერმანული ჟურნალი, რომლის მიხედვითაც, დიდი წვალების შემდეგ, შევქმენი მიკროავტომატი დისტანციური მართვით.

უფრო გასაგებად და კონკრეტულად რომ გითხრათ, შევქმენი პულტი, რომლითაც ჩემი ოთახიდან ვმართავდი ეზოში მდგარ მანქანას. რაც არავისთვის გამიმხელია.

ამ ამბიდან ერთ კვირაში მესტუმრა ჩვენი დიდებული მსახიობი, უაღრესად მართალი კაცი და ჯენტლმენი პიროვნება, ედიშერ მაღალაშვილი.

პირველად მას გავუმხილე...

– როგორ, კაცო! – არაფრით არ იჯერებს...

– აბა, ვნახოთ... – მოვიმარჯვე პულტი ჩვენს მაგიდასთან და დავაწექი ღილაკს. ეზოში მდგარი ჩემი მანქანა ალულუნდა.

– ახლა გადავირევი! – აღმოხდა ბატონ ედიშერს.

– ჯერ სადაა... – მანქანა დაიძრა და ჩვენი ფანჯრისკენ წამოვიდა... მოვიდა, მოვიდა... დავაწექი ისევ სხვა ღილაკს და მანქანა გაჩერდა...

– სიზმარია! – თვალებზე მოისვა ხელი მაღალაშვილმა, – ვერ ვიჯერებ!

– მაგია! – ვთქვი მრავალმნიშვნელოვნად, – „მაგია!“ მოიცა, ამის გაკეთება სხვანაირადაც შემიძლია.

– რ... რ... როგორ? – სულ გადაირია ცხონებული.

– არშაკ! – გავძახე მეზობელ ტაქსის მძღოლს.

– აქ ვარ, გივიჯან!

– ერთი, ჩემთან შემო, რა...

არშაკა „პოლბუტილკით“ მეახლა.

– ვაა, ე რა პატივსაცემი ბატონი გყოლია, გივიჯან... გამარჯობა, ბატონო ედიშერ!..




ედიშერი გაოგნებულია... შუბლზე აქვს ორი თითი მიდებული და, არ იცის, რა თქვას.

– ეს ხომ პრასტოი შოფერია, ბატონო ედიშერ? – დავიწყე.

– შენ ახლა სულ ნუ გახვედი თავს! – გაბრაზდა, – იფოკუზე და მორჩი!

პულტი ჯიბეში დავმალე. გავედი, არშაკას ჭიქა შემოვუტანე და დავჯექი.

– ახლა მე არშაკას ცხვირზე მივაჭერ ხელს და მანქანა ეზოში დაიქოქება.

არშაკას რაღაცა ცუდად ენიშნა:

– მაიცა, ჩემი ცხვირზე რო არ მამაჭირო, შენი მანდ არა გაქ?!

– მოიცა, არშაკ... მოსწი ცხვირი.

– აჰა... მახლას, ეგეც ჩემი ცხვირი...

მივაჭირე ერთი თითი ცხვირზე და მეორით პულტი ჩავრთე... ჩემი მანქანა წამსვე ალულუნდა.

– შენ ახლა მართლა ჰოოო! – გაბრაზდა მაღალაშვილი...

არშაკა უარეს დღეშია.

– ვაა, ეხლა რა გამოდის, ტო! ჩემი ცხვირი შენი მაშინას ზაჟიგანიაა?!

– ნუ, დაახლოებით...

– ვაა! – ცხვირი მოიზილა გულმოდგინედ, – ახლა არა შვება... რათა?

– შენი ცხვირი მინუსია, – ვუხსნი, – პლუსი უნდა...

– თვითონ შენია მინუსი!

– აბა, ახლა... – დავაწექი პულტს და მეორე ხელით – არშაკას ცხვირს.

მანქანა შებრუნდა და ნელა წავიდა საწყისი ადგილისკენ.

– მე, მაგალითად, ძალიან ავად გავხდი! – თვალები გადაატრიალა არშაკამ, – მგონი, 78 გრადუსი ტემპერატურა მაქ... თქვენ დარჩით, მე წავალ, ჩემს ლოგინში ჩავწვები და ნელ-ნელა ოფლები მოვიდენ...

– ერთი ჭიქა და – წადი, – შევიპატიჟე.

– რა ერთი სტაკანი, კაცოო! გითხარი, ავათა ვარ... ჩემი ცხვირი მაგარი დამუხტებულია... წავალ, რა... წავალ...

ვისაც არ სჯეროდა, მალე დაიჯერეს. ეს ამბავი წარსულს ჩაბარდა, ისე კი, მანქანას მოტოციკლი მირჩევნია. სალამოობით ჩამოვიხურავ ჩემს „კასკას“, მოვახტები ჩემს მოტოციკლს და ჰერი! ჩემს საყვარელ პლეხანოვზე... და სულ მახსოვს ცხონებული კოროშინაძე:

„მე თბილისელი ბიჭი ვარ“...

თქვენი გივი „ჩუგო“.

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობის, გივი ჩუგუაშვილის ნაამბობის მიხედვით მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# როგორ აგროვებს ჩინელი ბიჭი ფულს საქართველოში ღირსეული იმიჯის შესაქმნელად

გამარჯობა, დედა, როგორ ხარ? ძალიან მენატრებით ყველა, მე არა მიშავს. ყველაფერს ვიკლებ და ვცდილობ, ფული დავაგროვო, რადგან, აქ ადამიანის ცხოვრება იმაზეა დამოკიდებული, რამდენი ფული აქვს.

ფულით საქართველოში ყველაფრის გაკეთება შეიძლება, აბსოლუტურად ყველაფრის: შეგიძლია, დირექტორი გახდე, ასევე, პარლამენტარი და პრეზიდენტიც კი.

რაც უფრო იმატებს ადამიანის ქონება, მით უფრო პატივცემული და დაფასებული ხდება; ყველა ულიმის, საჩუქრებს ჩუქნიან და ბავშვებს ანათვლინებენ, რომ შემდეგ თავის ნათლულს მიხედოს.

საქართველოში არსებობს უამრავი გამოთქმა ფულზე და სიმღერებსაც კი უძღვნიან. მაგალითად: „ფული ჯოჯოხეთს ანათებს“, „ფული რომ დაგიმთავრდება, კარგი ბიჭობაც მთავრდება“, „ფული ხელის ჭუჭყია“, „მთავარია, გქონდეს ფული, რომ არ იყო დაჩაგრული“ და ბევრი სხვა კიდევ, მაგალითად, დედა, მე რომ ახლა ბევრი ფული მქონდეს, ბრუსლის კი არ დამიძახებენ, ვიქნები ბატონი ტობი ვონგი, ან – პატივცემული ტობი ვონგი, ან – ტობი ნათლია, ან – ვინმეს ხელში გაზრდილი... ამიტომაც ვაგროვებ ფულს ასე სიმწრით.

უბანში რომ გახვალ, ბირჟაზე, ვისაც მეტი ფული უდევს ჯიბეში, ყველაზე მეტ ყურადღებას ის იმსახურებს და ყველა „ძმას“ ეძახის, იმიტომ, რომ, იქნებ, გაბრიყვდეს და ბიჭებს არაყი ან ლუდი უყიდოს.




ქართველების ასი პროცენტი გამდიდრებას გეგმავს, ოღონდ, იშვიათად, რომ ამას თავისი შრომით რომელიმე ცდილობდეს, ძირითადად, ლატარიაში ან ტოტალიზატორში მოგებით აპირებს ყველა, ან – ახლად შემოსული ინტერნეტ-პოკერით, რომელმაც სულ გააღარიბა, ისედაც ვალებში ჩავარდნილი მოსახლეობა.

აქ მუშაობა სირცხვილად ითვლება, თუ რამის უფროსი არ ხარ ან ბანკში არ მუშაობ. ვინც მიმტანად, ხელოსნად, მძღოლად ან რამე ასეთ სამსახურში მუშაობს, გულმოდგინედ მალავს, რომ არ დასცინონ.

იშვიათად არსებობს ქართველი, რომელსაც ვალი არ აქვს, განსაკუთრებით – ბანკის. ნებისმიერ აქაურს შეუძლია, დიდი სესხი აიღოს ბანკში და ხუთასკაციანი დაბადების დღე ან ქორწილი გადაიხადოს. ვალს აიღებენ, უახლესი მოდელის ტელეფონს იყიდიან და მერე მთელი წელი მშივრები ივლიან. აქ ვინმემ თუ შეგამჩნია, რომ ფინანსურად გიჭირს, სირცხვილად ითვლება. ამიტომ, როცა ვინმესთან სტუმრად მიხვალ, მაღაზიაში დიდ ვალს დაიდებს და სუფრას გაგიშლის, თუმცა, შეიძლება, მერე ერთი კვირა საჭმელი არ ჰქონდეს სახლში.

ქართველი კაცის ყოველი დათრობა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რადგან, მაშინ ახსენდება ყველანაირი გასართობი ადგილი, იღებს ვალს ან ოქროს ნივთებს დააგირავებს ლომბარდში და ალებულ ფულს ბოლო კაპიკამდე დახარჯავს. ჯერჯერობით სულ ეს არის, დედა. მერე კიდევ მოგწერთ. ძალიან მენატრებით ყველა.

**გკოცნით**
**თქვენი ტობი ვონგი**